



აჭარის საარქივო სამმართველო

(1923-2015)



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2015

მონოგრაფიაში შესწავლილია აჭარის საარქივო სამმართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. დოკუმენტური წყაროებისა და სამეცნიერო ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე ავტორები ცდილობენ შექმნან საარქივო სამმართველოს ისტორიის ერთიანი სურათი. ნაშრომში პრაქტიკულად პირველადაა წარმონეილი საარქივო სამმართველოს უწყვეტი ისტორია, მიმოხილულია ფონდები და დოკუმენტური მასალების მოვლა-შენახვის ღონისძიებები.

მონოგრაფია საარქივო სამმართველოს შედარებით უფრო სრულყოფილი, უწყვეტი ისტორიის გადმოცემის პირველი ცდაა. იგი კარგ სამსახურს გაუწევს მკვლევარებს, არქივისტებს, ისტორიკოსებს და ზოგადად საარქივო საქმით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველს.

წიგნის ავტორები:

თამაზ ფუტკარაძე, ელგუჯა ჩაგანავა, ნათია ბერიძე, ნაზი ნაგერვაძე, დოდო შუშანიძე, მზია სურმანიძე, გუგული პატარიძე, მაია რურუა, ქეთევან იაკობაძე, ნატო ქიქავა, ნაზი შარაშიძე.

სარედაქციო საბჭო: მაია ივანიშვილი (თავმჯდომარე); თამაზ ფუტკარაძე (რედაქტორი); თენგიზ ცინცილაძე, თენგიზ სალუქვაძე, ჯაბა ბერიძე, ფრიდონ ქარდავა, მაია რურუა, ქეთევან იაკობაძე, ნატო ქიქავა, ელგუჯა ჩაგანავა, ელგუჯა გოგიბერიძე, ეთერ ნათელაძე, დოდო შუშანიძე, მედეა გორგილაძე, გუგული პატარიძე, ნაზი ნაგერვაძე, ნოდარ ზაქარიაძე, ავთანდილ ლეონიძე, ბადრი შერვაშიძე, კახა დავითაძე, თემურ ბერიძე.

რეცენზენტები: პროფ. **ოთარ გოგოლიშვილი**
ციური ქათამაძე
თინათინ ჯაბადარი

© აჭარის საარქივო სამმართველო, 2015

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2015

თბილისი, 0179, ი. ჯანაშიასი 8აშპ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

ISBN 978-9941-22-566-6

შესავალი

არქივი „ერის დოკუმენტური მემსიერებაა“. მასში თავმოყრილია ქვეყნის ისტორია, მისი თავგადასავალი. არქივი არის უძვირფასესი საუნჯე, განძი, სადაც ისტორიულ, იურიდიულ, დემოგრაფიულ თუ სხვა ხასიათის მასალებში თავმოყრილია ათასწლეულების მანძილზე ხალხის მიერ დაგროვილი ემპირიული ცოდნა და გამოცდილება. საარქივო მასალების გარეშე შეუძლებელია ამ თუ იმ ხალხის ისტორიის სრულყოფილი წარმოჩენა. ამიტომაცაა, რომ დოკუმენტსაცავებს - საარქივო დაწესებულებებს ყველა ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. იგი იყო და არის სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტსაცავი და სამეცნიერო ორგანიზაციაა საქართველოში, სადაც ინახება 1878 წლის შემდგომი პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ამსახველი მეტად საინტერესო და უნიკალური დოკუმენტები (2356 ფონდის 670 222 საქმე). ყველა ეს დოკუმენტი ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის, საქმის გასაიოლებლად კი შექმნილია სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, გზამკვლევი, თემატური ბარათები, შედგენილია საცნობარო სიები, თემატური მიმოხილვები. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა დოკუმენტების დიგიტალიზაციისათვის.

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მასალების საფუძველზე დაწერილია არაერთი მონოგრაფია, ნარკვევი თუ სამეცნიერო სტატია, თუმცა საკუთრივ არქივის სრულყოფილი ისტორიის შესწავლა დღემდე ვერ მოხერხდა. წინამდებარე ნაშრომი ამ ხარვეზის შევსების მცდელობაა. ავტორთა კოლექტივმა გამოთქვა მზადყოფნა, რათა თავისი მოკრძალებული წვლილი შეიტანოს ამ საქმე-

ში. ამასთან დიდი პატივისცემითა და სიყვარულით გვინდა მოვიგონოთ ის ადამიანები, რომლებმაც საინტერესო ნაშრომები დაგვიტოვეს საარქივო სამმართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხებზე. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს **ლევან კალანდარიშვილის, სერგო ტაბაღუას, შოთა თოღაძისა და ტატიანა ნეფედოვას დეაწლი**, რომლებმაც 1959 წელს შეადგინეს და გამოსცეს „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური“. ამ გამოცემაში წარმოდგენილი იყო აჭარის სახელმწიფო არქივის ისტორიის ზოგიერთი საკითხი.

არქივის ისტორიის ცალკეული საკითხი შედარებით უფრო ფართოდ იყო წარმოდგენილი **ნაზი ნოღაიდელის** მიერ 1970 წელს შედგენილ ნაშრომში „საარქივო საქმის განვითარება აჭარაში“.

მოგვიანებით, 1974 წელს ხელახლა გამოიცა აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის **განახლებული „მეგზური“ ნ. ნოღაიდელის რედაქტორობით**, რომლის შემდგენლები იყვნენ ასევე ცნობილი არქივისტები: **გ. მოსიძე, ს. ტაბაღუა, მ. თავაძე, გრ. ჩაგანავა**. 2003 წელს კვლავ განახლდა და ახალი მასალებით შეივსო სახელობითი, გეოგრაფიული და საგნობრივ-თემატური საძიებლებით აღჭურვილი „მეგზური“, რომლის შემდგენაში მონაწილეობდნენ: **შალვა აბაშიძე (რედაქტორი), მარიამ ჭელიძე, დოდო შუშანიძე, ეთერ ნათელაძე, ნანა დურგლიშვილი, მაია რურუა, ინგა ფაცურეიშვილი, გუგუელი ანდრეულაძე, ნუნუ სკამპოჩაიშვილი, მადონა ცხადაძე, ნაზი ნაგერვაძე, მანანა თურმანიძე, ციური ქათამაძე, ნათია მიქელთაძე, ნინო ჯაბნიძე, გულნარა კაკაბაძე, რუსუდან გოგიტაური, გუგუელი პატარიძე და ეთერ გოგიბერიძე**. მართალია იგი ბეჭდური სახით არ გამოცემულა, მაგრამ ხელნაბეჭდის რამოდენიმე ეგზემპლარი დღესაც დიდ დახმარებას უწევს საარქივო სამმართველოს თანამშრომლებსა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ

მკვლევარებს. „მეგზურის“ შესავალ ნაწილში, რომლის ავტორია შალვა აბაშიძე, მოკლედაა წარმოდგენილი საარქივო სამმართველოს განვლილი გზა დაარსებიდან მეოცე საუკუნის დასაწყისამდე. მასში დახასიათებულია ისტორიული და საბჭოთა პერიოდის ფონდები. განსაკუთრებული მნიშვნელობის ფონდებზე შედგენილია ცალკე დახასიათებები. **2000 - იანი წლების შემდგომი მასალების „მეგზურში“ შეტანა თანამედროვე არქივისტთა ერთ-ერთი მნიშვნელოვანესი ამოცანაა.**

ამ საკითხებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით სერგო ტაბაღუას, გუგული ანდღულაძისა და ნუნუ სკამკოჩაიშვილის მიერ შედგენილ ცნობარს, რომელშიც წარმოდგენილია აჭარის სახელმწიფო დაწესებულებების ისტორიის საკითხები 1921-1946 წლებში.

საარქივო სამმართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები წარმოჩენილია აგრეთვე „არქივისტის დღე“-სათუ საიუბილეო ღონისძიებებზე არქივის თანამშრომელთა მოხსენებებსა და გამოსვლებში. მათ შორის უნდა აღინიშნოს: გრ. პინიანცის ნაშრომი „**ИСТОРИЯ АРХИВНОГО ДЕЛА ВАДЖАРИИ**“ (ასს ცსა, ფ. 1041, საქმე 1883, ფურც. 27-39), შალვა აბაშიძის სტატია „**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამსახური 80 წლისაა**“ (გაზეთი „ბათუმი“, 2003 წ. 8 აპრილი), გრ. ჩაგანავას „**აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია**“ (ასს ცსა, ფ. 89, ან. 1, საქმე 279, ფურც.1-9) და ა. შ.

აჭარის სახელმწიფო არქივის ჩამოყალიბების, დოკუმენტების დაკომპლექტების, ფონდების შემადგენლობისა და დოკუმენტების გამოყენების საკითხებს ეძღვნება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ-საარქივო ინსტიტუტის მეექვსე კურსის სტუდენტის ა. კარასევას სადიპლომო ნაშრომი „**Центральный государственный архив Аджарской АССР**“, რომელიც შესრულდა 1961 წელს (ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 138). იგივე საკითხებს ეძღვნება აგრეთვე

იმავე ინსტიტუტის სტუდენტის **მაყვალა თავაძის სადიპლომო ნაშრომიც** (იხ. „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967). ორივე სადიპლომო ნაშრომი დაცულია აჭარის საარქივო სამმართველოში.

საარქივო სამმართველოს ისტორიის საკითხების კვლევა გააქტიურდა 2010 წლიდან. ჟურნალ „არხეონის“ პირველ ნომერში (ბათუმი, 2011) დაიბეჭდა **ხათუნა შერვაშიძის ნაშრომი „საარქივო დაწესებულებათა ისტორიის ზოგიერთი საკითხი“**. ამავე ნომერში დაიბეჭდა საარქივო სამმართველოს ჩამოყალიბებასთან დაკავშირებული დოკუმენტური წყაროებიც. გამოქვეყნდა აგრეთვე **მაია რურუას სტატია „ვეტერანი არქივისტები** („არხეონი, 2, ბათ. 2011), **მისივე - „არქივისტთა პროფესიული დღესასწაულის ისტორიისათვის“** („არხეონი“ 3, ბათ. 2012) და **„ისინი ქმნიდნენ საარქივო დარგის ტრადიციებს“** („არხეონი 7, თბ. 2014), **ელგუჯა ჩაგანავას ნაშრომი „საარქივო სამმართველოს საქმიანობის ძირითადი მიმართულებები“** („არხეონი 3, ბათ. 2012), **გუგული პატარიძის - „საარქივო სამმართველოში დაცული ფოტოდოკუმენტების შემადგენლობა და მათი სამეცნიერო მნიშვნელობა“** („არხეონი“ 3, ბათ. 2012), **თამაზ ფუტკარაძის - „სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა საარქივო სამმართველოში“** („არხეონი 3, ბათ. 2012), **თამაზ ფუტკარაძისა და ნატო ქიქავას - „საარქივო სამმართველო - 90“** („არხეონი 7, თბ. 2014), **ნაზი ნაგერვაძის - „დაწესებულებათა საექსპერტო კომისიების მუშაობის სრულყოფის მეთოდები“** („არხეონი 4, ბათ. 2012), **ნათია მირიანაშვილისა და მარინე იტრიაშვილის - „აჭარის არქივის შექმნის ისტორიიდან“** (სამსრუთ-დასავლეთი საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ. 2012) და ა. შ. ყველა ზემოთდასახელებულ ნაშრომში სხვადასხვა კუთხითაა წარმოდგენილი საარქი-

ვო სამმართველოს ჩამოყალიბების, დაკომპლექტების, დოკუმენტების განთავსებისა თუ არქივის ისტორიასთან დაკავშირებული სხვა საკითხები.

აღნიშნული გამოკვლევების მიუხედავად ვერ მოხერხდა არქივის უწყვეტი ისტორიის შესწავლა-დამუშავება, თუმცა არქივისტთა დღის წესრიგში არაერთხელ მდგარა შედარებით უფრო სრულყოფილი ისტორიის მომზადების ამოცანა. 1990-იან წლებში მრავალჯერ დაისვა ეს საკითხი, მაგრამ ვერც მაშინ მოხერხდა დასახული მიზნის განხორციელება. საარქივო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის **თენგიზ ცინციკიძის 2014 წლის 16 ივლისის N 41 ბრძანებით** „აჭარაში საარქივო დაწესებულების ისტორიის დაწერის და გამოცემის მიზნით შეიქმნა საარქივო სამმართველოს ისტორიის მომზადებისა და გამოცემის სარედაქციო საბჭო“, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ გამოცდილი არქივისტები (თამაზ ფუტკარაძე, თენგიზ სალუქვაძე, ფრიდონ ქარდავა, მათა რურუა, ქეთევან იაკობაძე, ნატო ქიქავა, ელჯუჯა ჩაგანავა, ელგუჯა გოგიბერიძე, ეთერ ნათელაძე, დოდო შუშანიძე, მედია გორგილაძე, გუგუელი პატარიძე, ნაზი ნაგერვაძე, ნოდარ ზაქარიაძე, ავთანდილ ლეონიძე, ბადრი შერვაშიძე, კახა დავითაძე, თემურ ბერიძე). ბრძანებით დამტკიცდა სარედაქციო საბჭოს სამუშაო გეგმა და განაწილდა ფუნქციები.

წინამდებარე ნაშრომი სარედაქციო საბჭოსა და ავტორების თავდაუზოგავი შრომის შედეგად შეიქმნა. იგი არაა დაზღვეული შეცდომებისა და ნაკლოვანებებისაგან. წიგნის ავტორები მადლიერებით მიიღებენ ნებისმიერ საფუძვლიან შენიშვნას და გაითვალისწინებენ შემდგომი მუშაობის პროცესში.

თაზო I

საარქივო საქმის განვითარება აჭარაში

§1. წერილობითი დოკუმენტებისა და ნივთიერი მასალის შენახვის ტრადიციები საქართველოში

ისტორია მარტო წარსულის ხსოვნა როდია. იგი საფუძველთა საფუძველია და აქტიური მონაწილე ხვალის დღელი დღისა. მშობლიური სიძველის ცოდნის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა გააზრება, მომავლის პერსპექტივების დასახვა და განხორციელება. ისტორიული განვითარების კანონზომიერებათა ცოდნამ, სიძველისადმი პატივისცემამ, ტრადიციებისადმი ერთგულებამ, თვითგადარჩენის უზარმაზარმა ენერჯიამ, საბრძოლო შემართებამ განაპირობა არა მარტო ქართული სხეულის, არამედ ქართველი ხალხის შინაგანი სტრუქტურის, შინაგანი სახისა და მისი სულიერი რაობის შენარჩუნება. თვითგადარჩენისათვის სამიათასწლოვანი ბრძოლის გზაზე ქართველ კაცს ბევრჯერ განუცდია გამარჯვებით გამოწვეული სიხარულიცა და დამარცხებით განცდილი მწუხარებაც, მაგრამ შეძლო დღემდე მოეტანა თავისი ეროვნული თავისთავადობა.

ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, მისი გმირული წარსულის, მაღალგანვითარებული მატერიალური და სულიერი კულტურის თავისებურებების შესახებ საუბრობენ ნივთიერი კულტურის ძეგლები, საქართველოს სიძველეთსაცავებში დაუნჯებული წერილობითი დოკუმენტები.

ისტორიის (ცხოვრება, მატიაწე), ისტორიული დოკუმენტების მნიშვნელობა კარგად ჰქონდათ გააზრებული ჩვენს წინაპრებს. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში შეუქმნიათ სიძველეთსაცავები, მუ-

ზეუმები, სხვა დაწესებულებები, უზრუნიათ, რომ ჩვენი წარსული ასახულიყო ქვის ფილებზე, რელიგიური და სხვა დაწესებულებების კედლებზე, მხატვრობაში, ეტრატებსა თუ ქაღალდის ფოლიანტებზე. სწორედ ამის შესახებ წერდა აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე: „ჩვენი მიზანია ფარდა ავხადოთ, რამდენადაც შესაძლებელია, ქართველების ძველ წერილობით კულტურას და ვუჩვენოთ „დიდ“ ერებს, რომელნიც კულტურულ-ტრეკერების პრეტენზიებით გამოდიოდნენ და ახლაც გამოდიან, რომ შემოქმედებითი უნარი კულტურულ-ლიტერატურულ დარგში არასდროს შეადგენდა მათს მონოპოლიას და პრივილეგიას, რომ ასეთ პატარა ხალხს, როგორც იყო ქართველობა, არამც თუ მთლიანად აუთვისებია მოწინავე კულტურის მონაპოვარი, თავისი საკუთარი წვლილიც შეუტანია მსოფლიო კულტურისა და ლიტერატურის საგანძურებში“ (საქართველოს არქივები:19).

წერილობითი დოკუმენტებისა თუ ნივთიერი მასალების შენახვის ტრადიცია საქართველოში შორეული წარსულიდან იღებს სათავეს. ჯერ კიდევ კოლხეთის ისტორიიდან ცნობილია, რომ **ფაზისში მზის სახელობის ტაძრის გალავანში** უჩვენებდნენ არგონავტების ღუზას. რომელი მოღვაწე არიანე ფაზისში არსებული სიძველეების დათვალიერების შემდეგ (137 წ.) აღრიანესადმი (რომის იმპერატორი) მიწერილ წერილში აღნიშნავს: „აქ ვნახე არგონავტების ღუზა, რომელიც ძველი არ მეჩვენა, მიუხედავად იმისა რომ იგი ზომით დიდია და თავისი სახეობით განსხვავდება ახლანდელი ღუზებისაგან. უფრო მეტიც, არგონავტებისეულად შეიძლება მივიჩნიოთ აქვე დაცული ქვის ღუზის ნაწილები“ (ჩიტაია, 2001:71). ე. ი. ფაზისში დაცული ყოფილა ისტორიული მნიშვნელობის ნივთები არგონავტებიდან არიანემდე. **შესაძლოა ამ ნივთებთან ერთად იყო წერილობითი დოკუმენტებიც.**

ამ ცნობიდან ჩანს, რომ რეას (მზის) ტაძარში დაცული იყო სხვა რელიქვიებიც. ნიშნდობლივია, რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეში შემორჩენილია უძველესი გადმოცემები ღუზის არსებობის შესახებ. აღსანიშნავია ისიც, რომ ძველ საბერძნეთში ამა თუ იმ ღვთაების სახელზე შეწირული იშვიათი ნივთების შესანახ ადგილს ტაძრებში **მუზეონი** ეწოდებოდა (ჩიტაია, 2001:72). სავარაუდებელია, რომ აქვე ინახებოდა წერილობითი დოკუმენტებიც.

მოგვიანებით მსგავსი ნივთები თუ დოკუმენტები ტაძრებსა და ეკლესიებთან ერთად ინახებოდა **სამეფო სალაროებში**. ამის შესახებ საინტერესო ცნობას გვაწვდის ჟამთააღმწერელი: „გარნა ხუამლისა ქუაბსა რომელნი იდვა, მცირე გამოიღეს და გაიყვეს და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს, ხოლო ჯაჭვე იგი სახელდებული, სალამური და თუალი იგი პატივცემული გურდემლი და მარგალიტი იგი დიდი, რომლისა სწორი არავის – სადა უხილავს – ესე სამივე რუსუდანის ძესა დავითს მიხუდა” (ჟამთააღმწერელი, 2002:243). მემატიანის მიხედვით **ხუამლის სამალავში დაცული იყო სამეფო სალაროდან გატანილი ძველი კოლექციები**. აქ ინახებოდა ვახტანგ გორგასალის ჩაფხუტი და ჯაჭვის პერანგი, თამარ მეფის პირადი ნივთები (ჩიტაია, 2001:72). საქართველოს მეფის სალაროში დაცული რელიქვიების შესახებ საუბრობს აგრეთვე სულხან საბა ორბელიანი ვატიკანის მუზეუმის დათვალიერების დროს (ჩიტაია, 2001:72).

პროფ. სარგის კაკაბაძის აზრით ქართველებს უკვე I საუკუნეში ჰქონდათ არიან ქართლის ძის აზოს მცხეთაში მოსვლის ამსახველი საისტორიო თხზულება (კაკაბაძე, 1924:28). ლეონტი მროველის (XI საუკუნე) ცნობით ძვ. წ. IV-III სს. მიჯნაზე შექმნილია პირველი ქართული ანბანი: „ესე ფარნავაზ იყო პირველ მეფე ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი. მან განავრცო ენა ქართული და არღარა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინი-

ერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული (მროველი, 1987:58).

ძველისძველ საისტორიო ტრადიციებზე დაყრდნობით საინტერესო ვარაუდს გამოთქვამს თეიმურაზ ბატონიშვილი (ბაგრატიონი). მისი აზრით ქართველებს დამწერლობა ჰქონდათ ფარნავაზამდე (ქართული მწერლობა, 1987:10). არსებობს საფუძვლიანი არგუმენტები ვივარაუდოთ, რომ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე არსებობდა ქართული წარმართული მწერლობა, რომელიც იმსხვერპლა უამთა სიავემ და ჩვენამდე ვერ მოაღწია (ჯავახიშვილი, 1949:235).

ხალხურ ლექსებსა და მითოლოგიურ გადმოცემებში არც თუ ისე იშვიათად გვხვდება სიტყვა „წიგნი“. ამირანის თქმულებაში პირდაპირ წერია: „თითებს შუა წიგნი ედო ქაღალდისი“. რა თქმა უნდა „წიგნი“ შემდეგდროინდელი ჩანართია, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ იგი მწიგნობრობასთანაა დაკავშირებული, რაც უდიდესი მნიშვნელობის კულტურულ მოვლენად ითვლება (ლოლაშვილი, 1978:10). მწიგნობრობა თავისთავად წერასთანაა დაკავშირებული. ადამიანის ნააზრვეის გადატანას ქვებზე, ქაღალდზე, კლდესა თუ თიხაზე „წერაი“ ეწოდებოდა, მხოლო პიროვნებას, ვისაც ნააზრვეი გადაჰქონდა სხვადასხვა საგნებზე - „დამწერალი“.

ძველ საქართველოში ხელნაწერებს ინახავდნენ და იცავდნენ მათი შემქმნელები. უმთავრესად საერო და სასულიერო ხელისუფალნი. პრ. კესარიელის ცნობაზე დაყრდნობით ივანე ჯავახიშვილი ასაბუთებს, რომ VI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში - ლაზიკაში არსებობდა წერილობითი დოკუმენტების დაცვა-შენახვის პრაქტიკა (ჯავახიშვილი, 1926:80). ავტორი იქვე მიანიშნებს, რომ მნიშვნელოვანი დოკუმენტები ინახებოდა საჭურჭლეში, რომელიც წარმოადგენდა როგორც საბუთსაცავს, ასევე განძსაცავს. ქუთაისის განძ-საბუთსაცავ საჭურჭლეში

დიდხანს ინახებოდა ბაგრატ III-ის მიერ შედგენილი აფხაზთა მეფეების გენიალოგიური კრებული (საქართველოს არქივები, 25).

მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ტერმინი „დივანი“ (ცნობილია, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა გამოსცა ბაგრატ III-ის „დივანი მეფეთა“). სპარსული წარმოშობის „დივანი“ თავდაპირველად წიგნს, ჩანაწერს ნიშნავდა, მოგვიანებით კი კანცელარიის, დაწესებულების მნიშვნელობა შეიძინა (საქართველოს არქივები, 26). იგი არქივის მნიშვნელობითაც გამოიყენებოდა.

„დივანი მეფეთა“ ბაგრატ III – ის სამეფო არქივის დამადასტურებელი მნიშვნელოვანი დოკუმენტია. **საჭურჭლე ნიშნავს საგანძურს, არქივს**, რომლის პარალელურად გამოიყენებოდა აგრეთვე სიტყვები: **გოდორი და დავთარხანა** (საქართველოს არქივები, 26-27). აღნიშნული ტერმინები გვხვდება საისტორიო დოკუმენტებში. მაგ. ერთ-ერთ საბუთში პირდაპირ წერია: „თავისუფლებისა ბრძანება კონსტანტინესი და ბაგრატისი“ მიქაელ მემღვიმეს მიუღია სამეფო არქივიდან-გოდორიდან (ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, 1984;19). „გოდორი“ და „მეგოდრე“ არაერთხელ გვხვდება „ხელმწიფის კარის გარიგებაში“. **მეგოდრესთან ინახებოდა სხვადასხვა სახის დოკუმენტები, სარეგისტრაციო წიგნები, სიგელები**, რისთვისაც იგი იღებდა საზღაურს. ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი **ალფრედ რამბო** (1842-1905) პირდაპირ აღნიშნავს, რომ ბიზანტიისაგან განსხვავებით IX-X სს. **საქართველოში ჰქონდათ დავთარხანებით** (საქართველოს არქივები, 28). აღნიშნული დაწესებულების არსებობა მტკიცდება ვახტანგ VI – ის „დასტურლამალი“ – თაც.

XVIII საუკუნეში სახელმწიფო **დავთარხანა//გოდორი//საბუთსაცავი//არქივი იყო თბილისის სასახლის სამეფო პალატაში**. ერეკლე II – ის დროს დავთარხანა ადგილს უთმობს სამეფო პალატას. მოგვიანებით, აღნიშ-

ნულ დაწესებულებას **II საუკუნიდან მომდინარე ლათინური სიტყვა „არქივი“** (დაწესებულება, სადაც ინახებოდა სახელმწიფო აქტები) ეწოდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ საარქივო საქმის განვითარებაში ხდება ცვლილებები. **ყალიბდება საუწყებო არქივები** (კავკასიის მეფის-ნაცვლის კანცელარიის არქივი, ამიერკავკასიის მთავარ-მმართველის კანცელარიის არქივი და ა. შ.). დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა ინიციატივით XIX საუკუნის II ნახევარში ყალიბდება ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების არქივი. **1920 წლის 23 აპრილს დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი საქართველოს ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ, რომლის დირექტორად დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშივილი დაინიშნა.** ამჟამად, ქვეყანაში არსებული წერილობითი დოკუმენტების დიდი ნაწილი თავმოყრილია საქართველოს ეროვნულ სახელმწიფო არქივში. იგი ქვეყნის ერთ-ერთი მსხვილი სამეცნიერო დაწესებულებაა.

მოგვიანებით, **1923 წ. აპრილში შეიქმნა აჭარის საარქივო სამმართველი, რომელმაც ასევე დიდი როლი შეასრულა საარქივო საქმის სრულყოფასა და განვითარებაში.**

§2. დოკუმენტური მასალების მდგომარეობა აჭარაში საარქივო დაწესებულების ჩამოყალიბებამდე

საარქივო საქმე სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უმნიშვნელოვანესი დარგია. იგი ემსახურება ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ ინტერესებს, წინაპრების დოკუმენტური მემკვიდრეობის დაცვას. საარქივო საქმეს კულტურული ქვეყნები ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევენ, რადგან მას დიდი მნიშვნე-

ლობა აქვს არა მარტო განვლილ დროთა მასალების დაგროვებისა და შესწავლის მხრივ, არამედ პრაქტიკული თვალსაზრისითაც. არქივების საშუალებით სახელმწიფო ერკვევა არსებულ სამოქალაქო-უფლებრივ ურთიერთობასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:47).

XVI-XIX სს. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, საკუთრივ აჭარაში საარქივო საგანძურს ისტორიული ბედუკულმართობის გამო მიაღება მნიშვნელოვანი ზარალი. დოკუმენტების ნაწილი დაზიანდა ან დაიტაცეს. **1878 წ. 20 აგვისტოს, ქუთაისში, თურქეთის კომისრებთან დადებული პირობების** მიხედვით ბათუმისა და ბათუმის ოლქის შესახებ არსებული დოკუმენტები უნდა დარჩენილიყო ადგილზე და გადასცემოდა ახალ ხელისუფლებას, მაგრამ ეს პირობები დაირღვა. აჭარის საქართველოსთან დაბრუნების შემდეგ მათი დიდი ნაწილი თურქებმა გაიტაცეს, ნაწილი პეტერბურგში იგზავნებოდა, ადგილზე დარჩენილი დოკუმენტები კი ნადგურდებოდა და ნიავდებოდა, რადგან ვერ მოხერხდა დოკუმენტებისათვის შესაფერისი ფართის გამონახვა. ქალაქის თავის ანდრონიკაშვილის მცდელობის მიუხედავად პრობლემა კვლავ მოუგვარებელი დარჩა. ბათუმის სამხედრო კომისრის ულენტის წერილიდან ირკვევა, რომ ბათუმის სამხედრო კომისარიატში შექმნილა **დროებითი კომისია სამხედრო-ისტორიული მასალების შეგროვებისა და კლასიფიკაციისათვის**. სამხედრო კომისარი ითხოვს მკაცრი ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დოკუმენტების „დატაცება და გაფუჭება“. ამ მიზნით აღრიცხვაზე უნდა აეყვანათ არსებული დოკუმენტები და საუწყებო არქივები გადასულიყო დროებითი კომისიის განკარგულებაში.

1920-იან წლებამდე, არქივები იმყოფებოდა ცალკეული უწყებების და კერძო პირების გამგებლობაში. კერძო ნოტარიუსები დოკუმენტებს ინახავდნენ თავისთან. ბა-

თუმში იყო აგრეთვე „Крепостной Кутаисский нотариальный архив“ (ფ. ი-16, საქმე 1, ფურც. 3; საქმე 3, ფურც. 31). ბათუმის პორტის საარქივო დოკუმენტები ინახებოდა პორტის ხის ჯიხურში, სადაც ცხოვრობდა აგრეთვე დარაჯი ქალი (ფ. ი-16, ს. 23, ფურც. 73; ასევე ა. კარასევა „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი, ბათუმი 1961. გვ. 3). არაა გამორიცხული, რომ დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა - სიგელ-გუჯარები, დავთრები ყოფილიყო ყოფილი ბეგების ხელში, ხოლო დოკუმენტები მიწის შესახებ - მეჩეთებში, თუმცა ყველა ისინი ბერლინის ტრაქტატის შემდეგ გაზიდული იქნა ბათუმიდან. ამის მიუხედავად, არსებობდა დოკუმენტების გარკვეული რაოდენობა, რომლებშიც ასახული იყო რუსეთ-თურქეთის ომამდელი ისტორია.



ასე გამოიყურებოდა საარქივო მასალები 1921 წელს

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთის იმპერია დაადგა კაპიტალისტური ურთიერთობების განვითარების გზას. ბურჟუაზიული ურთიერთობების საკითხები 1856-1910 წწ. აისახა ნიკოლაევის საბაჟოს ფონდის საქმეებში. ამ საქმეებიდან შედარებით საინტერესო ისტორიულ მასალას წარმოადგენდა მასალები, რომლებიც ეხებოდა 1856-1878 წლებს. 1878 წლიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საპორტო ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველოს, საბაჟოს, ფოსტა-სატელეგრაფო კანტორის, ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის ფონდებმა (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი, ბათუმი 1961. გვ. 3, 4). ბათუმის მუნიციპალური ცხოვრებისა და მშენებლობების ისტორიის საკითხები თავმოყრილი იყო ზემოთდასახელებულ ფონდებში, თუმცა იყო ქალაქის სათათბიროს და ქალაქის მმართველობის ორი სპეციალური ფონდი. ცარიზმის დამხობისა და თურქეთის ოკუპაციის დასრულების, ასევე ინგლისელების ბათუმიდან გასვლის შემდეგ გატაცებული იქნა უამრავი ფასეული დოკუმენტი (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი, ბათუმი 1961. გვ. 4).

1878 წლიდან ბათუმში ჩნდება სხვადასხვა უწყებების ადმინისტრაციული და სამეურნეო დაწესებულებები. ჩვეულებრივი გარჩევების, კრიმინალების ძებნის, დანაშაულთან ბრძოლის მიზნით საოლქო მეჯლისებთან შეიქმნა სასამართლო-მეჯლისები და პოლიციის მმართველობა, შემდგომ კი ერთმანეთის მიყოლებით გაიხსნა სხვა უწყებებიც: საბაჟო, მსოფლიო განყოფილება, ფოსტა, ტელეგრაფი და სხვა (ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 253, ფურც. 13; ასევე, მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 13). 1888 წლიდან ბათუმში ყალიბდება საქალაქო სათათბირო და ქალაქის მმართველობა. მოგვიანებით კვლავ

ჩნდება რიგი დაწესებულებები: ბათუმის სავაჭრო პორტის მმართველობა, სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილება, ბათუმის წოდებრივ-საადგილმამულო მიწის კომისია და ა. შ. (ბათუმი და მისი შემოგარენი, 1906:465, რუსულ ენაზე).

ბათუმის ოლქის ზოგიერთ საუწყებო დაწესებულებას თავისი ცენტრი ჰქონდა ოლქის გარეთ, რის გამოც შესაბამისი დოკუმენტური მასალა იგზავნებოდა შესაბამის სათავო დაწესებულებებში. მაგ. ბათუმის ოლქში ქუთაისის საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწის კანცელარია თავის საქმეებს აგზავნიდა ქუთაისის ჟანდარმერიის არქივში. ბათუმის ოლქის უფროსი - საფაბრიკო ინსპექტორი 1902 წლისათვის ყველა დოკუმენტს აგზავნიდა ხარკოვში (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 15.), სახელმწიფო ბანკის ბათუმის განყოფილების მასალები გადაიტანეს როსტოვში, ბათუმის საოლქო მმართველობის და მიხაილოვის ციხის დოკუმენტები გადაიტანეს სადგურ ლაბინსკში და ა. შ. მოგვიანებით ლაბინსკში გადატანილი დოკუმენტები ველარ აღმოაჩინეს (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 15).

მას შემდეგ, როცა ბათუმის ოლქი შევიდა ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში, საარქივო დოკუმენტები გადაიტანეს ქუთაისში.

ბევრი დოკუმენტი განადგურდა პირველი მსოფლიო ომის დროს, კერძოდ მაშინ, როცა თურქეთმა დაიკავა ართვინი, ბათუმის ოკრუგის ნაწილი და იმუქრებოდა მიხაილოვის ციხის და ბათუმის ადებით. ამ დროს დაიწყო დოკუმენტების ევაკუაცია. მაგ. ბათუმის საქალაქო დუმის (სათათბიროს) და ქალაქის მმართველობის საქმეები გადაიტანეს თბილისში. მოგვიანებით, ეს დოკუმენტები

გარკვეული დანაკარგებით უკან დააბრუნეს. ევაკუაციის დროს კვლავ განადგურდა დოკუმენტების ნაწილი (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 16). 1924 წელს განადგურდა ართვინის ოლქის მმართველობის არქივი (ფონდი რ-89, ან 1, საქმე 1, ფურც. 14). როგორც თურქმა ოკუპანტებმა, ისე ინგლისელებმა გაიტანეს უამრავი საარქივო დოკუმენტი, თუმცა მათი მოქმედების ამსახველი მასალები ჩვენთან არ შემონახულა. 1990-იან წლებში მოხერხდა ბრიტანული დოკუმენტების ასლების შემოტანა. 2010 წლიდან კი შემოტანილი იქნა სოფიაში დაცული აჭარის ისტორიის ამსახველი ოსმალური დოკუმენტების ელექტრონული ვერსიებიც.

მსხვილი ქარხნების - როტშილდის, პიტოევას, სიდერიდისის, ნობელის და სხვა საწარმოების დოკუმენტაციასთან ერთად გატანილი იქნა კერძო მფლობელობაში არსებული (მაგ. ვოლგა-კამის და რუსულ-აზიური კერძო ბანკების ბათუმის განყოფილების არქივი) არქივებიც (ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, ს. 1, ფურც. 23). დოკუმენტების ნაწილი საქართველოდან გატანილი იქნა მენშევიკური მთავრობის ემიგრაციის დროსაც.

§3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი საბჭოთა პერიოდში

**ა. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის
ჩამოყალიბება. დოკუმენტების დაკომპლექტების პირველი
ღონისძიებები**

საარქივო საქმის განვითარების ისტორიის საწყის თარიღად საქართველოში მიჩნეულია 1920 წლის 23 აპრილი, როცა დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელ-

მა კრებამ მიიღო კანონი ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ. **რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დირექტორად დაინიშნა დამფუძნებელი კრების წევრი პეტრე გელეიშვილი** (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:47; სუიცა ფ.335 ან. საქ. 7, გვ.1). პირველად, სამეფო დაწესებულებების საუწყებო არქივების ბაზაზე ყალიბდება მთავარი ისტორიული არქივი. ამავე პერიოდში ყალიბდება სამხედრო-ისტორიული არქივი, მოგვიანებით კი (1923-1927 წწ.) ძველი აქტების არქივი, ისტორიულ-რევოლუციური არქივი, იურიდიული არქივი და ა. შ. (ა. კარასევა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი. სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961, გვ. 1,2 (რუსულად). ასევე, ფონდი რ-89, ან.1. საქმე 138, ფურც. 1, 2). რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაარსების შესახებ კანონის მიღება უადრესად დროული იყო, რადგან უპატრონობისა და დაუცველობის გამო საარქივო მასალის უდიდეს ნაწილს მოსპობა ემუქრებოდა. წითელი არმიის შემოსვლას მოჰყვა ზოგიერთი არქივის განადგურება, მაგ. განადგურდა კავკასიის ყოფილი საოლქო შტაბის არქივი. თვით ცენტრალური არქივის შენობაშიც ჯარისკაცების დგომისას ბევრი საარქივო დოკუმენტი საბოლოოდ გაქრა და განიავდა (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:47).

„საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს რევკომმა 1921 წლის 1 ივლისს გამოსცა დეკრეტი, რომლის მიხედვით უნდა გაუქმებულიყო სახელმწიფო დაწესებულებათა საუწყებო არქივები. მათი საქმეები უნდა გადასცემოდა სახელმწიფოს საერთო საარქივო ფონდში. „საარქივო ფონდის გამგებლობისათვის“ განათლების სახალხო კომისარიატთან უნდა დაარსებულიყო საარქივო სამმართველო, როგორც „მისი აკადემიური ცენტრის ნაწილი“. სახელმწიფო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს ევალებოდათ „ყოველგვარი საარქივო საქმე-

ები და მიწერ-მოწერა, რომელიც დასრულებულია 1921 წ. თებერვლის 25-მდე და მიმდინარე მუშაობის საჭიროებას არ წარმოადგენს“ გადაეცათ საარქივო საქმეთა სამმართველოსათვის, დაუსრულებელი საქმეები კი ყოველი უწყებისათვის ცალკე დებულებით გათვალისწინებულ დრომდე უნდა დარჩენილიყო ადგილზე. საარქივო სამმართველოს წერილობითი ნებართვის გარეშე სახელმწიფო დაწესებულებებს აეკრძალათ დოკუმენტების მოსპობა-განადგურება. დეკრეტი ითვალისწინებდა საარქივო დოკუმენტებით სარგებლობის გამარტივებას (სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გააქტიურების ინტერესებიდან გამომდინარე), ამიტომაც მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ „სახელმწიფო საარქივო ფონდის ცალკე ნაწილები შეძლებისდაგვარად შეერთებულიყო ცენტრალიზაციის საფუძველზე“ (ასს ცსა, ფ. რ-1, ან.1, ს. 23, ფურც. 91).

წარმოდგენილი დეკრეტის საფუძველზე აჭარაში დაიწყო დოკუმენტების შეგროვება და დაცვა (თ. ფუტყარაძე, ნ. ქიქავა. „არხეონი“ III, 2012: 3). გასაბჭოების პირველი დღეებიდანვე აჭარის ასსრ სამხედრო კომისარიატთან ჩამოყალიბდა დროებითი კომისია, რომელსაც დაევალა სამხედრო-ისტორიული დოკუმენტების შეგროვება და კლასიფიკაცია. ამ კომისიის გამგებლობაში უნდა მოქცეულიყო როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო დაწესებულებების საარქივო მასალები (გრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც.2) .

1921 წლის 15 ივლისს სამხედრო კომისარიატის მიერ გამოცემული განკარგულებით ყველა დაწესებულებას (სამოქალაქო, სამხედრო) სამი დღის განმავლობაში უნდა ეცნობებინათ დროებითი კომისიის თავმჯდომარისათვის მათ განკარგულებაში არსებული მასალების შესახებ (გრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279,

ფურც.3). სამხედრო კომისარიატის დროებითი კომისია თავის თავზე იღებდა აჭარის ტერიტორიაზე არსებული ყველა არქივის გამგებლობას.

აჭარის საოლქო სამხედრო კომისარიატის დროებითმა კომისიამ დიდი მუშაობა ჩაატარა საარქივო-დოკუმენტური მასალების შეგროვების, კლასიფიკაციის, აღწერისა და ყველა საარქივო დოკუმენტის ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში თავმოყრის თავლსაზრისით (გრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც.3).

საარქივო დოკუმენტების შენახვის, აღრიცხვაზე აყვანის და საარქივო საქმის ორგანიზაციის მიზნით აჭარაში გამოიგზავნა საქართველოს მთავარი სამმართველოს რწმუნებული, რომელსაც თავისი საქმიანობის განხორციელება მოუხდა სამხედრო კომისარიატის დროებითი კომისიის მუშაობის პარალელურად (გრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც.3).

1922 წლის 10 იანვარს საქართველოს ცენტრალურმა არქივმა ბათუმში მოაგვლინა ცნობილი ისტორიკოსი **სარგის კაკაბაძე**, რომელსაც, როგორც მისი წერილიდან ირკვევა, საკმაოდ უცნაური ვითარება დახვდა. აღმოჩნდა, რომ ბათუმში 1921 წელს მოსკოვიდან **ჩასულან სიროტენკო და შაფირი**, რომლებიც თავანთ თავს კომინტერნის წარმომადგენლებს უწოდებდნენ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012: 48). მათ შეუდგენიათ ადგილობრივი სამხედრო საისტორიო კომისია, რომლის თავმჯდომარედაც დაუნიშნავთ გენერალ-მაიორი **გიორგი ფურცელაძე**. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ: ნაცვლიშვილი (ციხის შტაბის სამხედრო მოხელე), ქადეიშვილი (საბინაო განყოფილების აგენტი) და ცინცაძე (დამსჯელი ასეულის კომენდანტი). ცინცაძე კომისიის მდივნის მოვალეობასაც ასრულებდა (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:48). აღ-

სანიშნავია ის ფაქტი, რომ მთავარი საარქივო სამმართველოს არც ერთი ხელმძღვანელი პირი ბათუმში არ ჩასულა. ისინი მხოლოდ დეპეშებითა და წერილობითი მიმართვებით ცდილობდნენ საარქივო აპარატის ორგანიზებას. მიუხედავად ამისა, კომისიის მუშაობას საკმაოდ კარგი შედეგი მოყვა. უამრავი საარქივო დოკუმენტი გადაურჩა გაბნევასა და განადგურებას. უფრო მეტიც, თითქმის მთლიანად შენარჩუნდა ქალაქის მმართველობის, საბაჟოსა და სასამართლოს არქივები (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:48). სამწუხაროდ, ყოფილი უანდარმერიის სამმართველოს არქივი ორი სატვირთო მანქანით ბათუმის ადგილობრივი ჩეკას მითითებით 1921 წლის ზაფხულში გადაუტანიათ თბილისში, საქართველოს ჩეკაში.

ბათუმის არქივში არსებული მდგომარეობის გაცნობის შემდეგ, სარგის კაკაბაძემ სამმართველოს რწმუნებულად გიორგი ფურცელაძე დატოვა. მას მიეცა შესაბამისი მანდატი: „წარმომდგენი ამისა, გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე ითვლება სსსრ მთავარ საარქივო სამმართველოს რწმუნებულად აჭარაში. მას ევალება მთავრობის 1 ივლისის, 1921 წლის დეკრეტის ფარგლებში შესახებ საარქივო საქმის მოწყობისა, ადგილობრივ დაწესებულებებთან ან კიდევ ცალკე არსებულ არქივების თვალყურის დევნება, ზომების მიღება მათი დაცვის შესახებ და შეძლებისდაგვარად მათი მოწყობა. ყველა დაწესებულებას ეთხოვებათ დახმარება აღმოუჩინონ ამხ. ფურცელაძისადმი მინდობილ დავალებათა შესასრულებლად“. მანდატს ხელს აწერს საარქივო მმართველობის მთავარი გამგე სარგის კაკაბაძე (სუიცსა, ფ. 335, ან. 1, ს. 63, ფურც. 14). ს. კაკაბაძეს კანონზომიერად მიაჩნია გ. ფურცელაძის დანიშვნა აღნიშნულ პოზიციაზე, რადგან „მას ამ საქმისთვის“ ჰქონდა „ინტერესი და სათანადო კულტუროსნობაც“. ს. კაკაბაძეს ამის შესახებ უცნობებია კიდევ „აჭარისტანის განათლების კომისიისათვის“: „ამხ. ფურცელა-

ძის ჩვენი რწმუნებულად დანიშვნის შესახებ მე ვაცნობე ბათუმშივე აჭარისტანის განათლების კომისიას, რომელსაც ვსთხოვე მისი დაკმაყოფილება სათანადო ულუფით საარქივო სამმართველოსათვის დადგენილ ულუფათარიცხვიდან“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:48; სუიცა ფ.335, ან.1, საქ.7 გვ.130).

1922 წლის აგვისტოში განათლების კომისარიატმა გამოსცა დეკრეტი **აკადემიური ცენტრის შექმნის** შესახებ. ცენტრში უნდა შესულიყო საარქივო განყოფილება. მალე აკადემიური ცენტრი გააუქმეს. საარქივო განყოფილების მომავალი პერსპექტივა კვლავ გაურკვეველი დარჩა. მართალია განათლების კოლეგიამ მიიღო დადგენილება აჭარის საარქივო განყოფილების შექმნის შესახებ, მაგრამ განათლების კომისარიატმა იგი არ დაამტკიცა, რადგანაც აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს გადაწყვეტილებით, „საარქივო განყოფილების შექმნა საჭირო არ იყო“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:49). ყოვლად აუხსნელი და გაუაზრებელი იყო უმაღლესი საბჭოს ანალოგიური გადაწყვეტილება მაშინ, როცა რსფსრ-ს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მიღებული ჰქონდა დეკრეტი საგუბერნიო და საოლქო აღმასკომებთან დიდი უფლებებით აღჭურვილი საარქივო ბიუროების დაარსების შესახებ (იხ. „правда“ 25.11.1921). სწორედ ამის შესახებ წერდა გიორგი ფურცელაძე სარგის კაკაბაძეს: „რატომ ჩვენ საქართველოში ან და მით უმეტეს ბათუმში არ უნდა გვექონდეს საარქივო განყოფილება, სადაც მრავალი საისტორიო მასალაა დაგროვილი. მხოლოდ საჭიროა ამის შესახებ თქვენ მიერ ახსნა-განმარტება, რათა ცენტრმა მიაქციოს ყურადღება, რომ არ ქონდეს ალაგი ისეთ გაუგებრობას, რომ ერთი კალმის გასმით, რომელიმე პიროვნებას შეეძლოს ასეთი დაუფასებელი კულტურული მასალა გარეთ გაყაროს და ხაზი გადაუსვას მის არსებობას“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი,

ლი, 2012:50, ასევე, ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც.3).

საქართველოს საარქივო სამმართველოს რწმუნებულის გიორგი ფურცელაძის აქტიური მეცადინეობით, ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებითა და მხარდაჭერით 1922 წლის ნოემბერში ჩამოყალიბდა აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბათუმის საარქივო განყოფილება, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა საარქივო დაწესებულების ფორმირებას.

არქივის დაარსების საკითხი განხილულ იქნა აჭარის სახკომსაბჭოს 1922 წ. 7 დეკემბრის პლენუმზეც. საარქივო დოკუმენტებში დაცულია აღნიშნული პლენუმის N8 ოქმი (ესწრებოდნენ: „ს. დიასამიძე (სახკომსაბჭ. თ-რე), გ. რამიშვილი (კომ. მეურნ. განყ), პევეცოვი (კომ. მეურნ. თ.-რის ამხ-ი), ჩუპრინა (პროფკაეშ), მარკმანი (ს.მ.უ.ს), ფაღავა (მიწ. მოქ. სახკ.), თუმანოვი (მუშგლეხინი), გათენაძე (სახსურს.სახკ.) ლორთქიფანიძე (განათ.სახკ.), ბლიუმზაკი (შრომ.სახკ.), სვანიძე (პარტკომი), ქიქავა (ფინ.სახკ.), ბზიავა (იუსტ.სახკ.), ქოჩიაშვილი (ჯანმრ. სახკ.), კაიკაციშვილი (შინ.საქ.სახკ.), იესეღვეიჩი (საგანგ. განყ.) და ბოდიანსკი (ბათ. გამ. რ-ნი)“. დღის წესრიგში იყო „ძველი საქმეების შესანახად და შესასწავლად“ საარქივო სამმართველოს დაარსების შესახებ განათლების სახკომის მომართვის განხილვა. პლენუმმა დაადგინა: „ეცნობოს ცენტრს, რათა მან მოავგაროს ეს საკითხი: მზრუნველობა გასწიოს ბათომში არსებულ სხვადასხვა ისტორიული მნიშვნელობის საქმეების შენახვაში, ხოლო ბათომში ამ მიზნისთვის სპეციალური აპარატის შექმნა უარყოფილ იქნას. წინადადება მიეცეს ყველა დაწესებულებებს, სადაც ასეთი საქმეები ინახება, ყურადღებით დაიცვან ისინი (ასსცსა, ფონდი რ-2, ან.1, საქმე 12, ფურც. 4). პლენუმის გადაწყვეტილების მიუხედავად საარქივო სამმართველოს დაარსების საკითხი მაინც გადაუჭრელი დარჩა.

1923 წლის 20 მარტს აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა საქართველოს მთავარი საარქივო საქმის რწმუნებულის გ. ფურცელაძის მოხსენება „საარქივო საქმის მდგომარეობა აჭარაში“. პრეზიდიუმმა განიხილა საარქივო საქმესთან დაკავშირებული ყველა საკითხი და დაადგინა: „ყველა მასალა გადაეცეს განათლების სახალხო კომისარიატს და წინადადება მიეცეს მას, რათა ათი დღის განმავლობაში წარმოადგინოს დაწვრილებითი გეგმა ამ საკითხის მოსაგვარებლად და მისი საჭიროებისათვის საჭირო აპარატის შექმნის პროექტით“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:50; სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.32). განათლების კომისარიატსავე დაევალა უახლოეს დროში წარედგინათ შესაბამისი პროექტი.

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიამ 1923 წ. 28 მარტს განიხილა არქივის საკითხი და მიიღო დადგენილება „განკომთან საარქივო განყოფილების შექმნის შესახებ“. მკითხველს ვთავაზობთ ამონაწერს აღნიშნული სხდომის ოქმიდან:

**„ა მ თ ნ ა წ ე რ ი განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის სხდომის ოქმიდან №33,
§ I. 28 მარტი 1923 წ.“**

თავმჯდომარე: ს. რეშადი მდივანი: გურგენიძე

მოსმინეს: 1.სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საარქივო აპარატის და მისი მომავალ მუშაობის გეგმის წარმოდგენის შესახებ განათლების სახ. კომისარიატის მიერ.

ფუძე: სახკომისართა საბჭოს პრეზიდიუმის ოქმის №131-9 ამონაწერი.

დაადგინეს: 1.საარქივო აპარატის შექმნა ქ. ბათუმში პრინციპულად მიღებულ იქმნეს აპარატის შტატი შემდგარ იქმნეს ოთხი კაცისაგან 1/გამგე, 2/თანამშრომელი, 3/არქივარიუსი, 4/დარაჯი. რაც შეეხება ხსენებულ საარქივო აპარატის ხარჯთაღრიცხვას, ასეთის შედგენა მიენდოს პრეზიდიუმს და წარმოდგენილ იქმნეს მომავალ კოლეგიის სხდომაზე დასამტკიცებლათ.

დედანი სათანადო ხელის მოწერით

დედანთან სწორია: განკომის მდივანი“ (გვარი არ იკითხება) (ასსცსა, ფონდი – რ-2, აღწერა-1, საქმე – 23, ფურც. – 158)

კოლეგიის დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინა სახალხო კომისართა საბჭოს. პლენუმმა განიხილა ზემოთდასახელებული საკითხი და დაადგინა: „განათლების კომისარიატის კოლეგიის წარმოდგენილი საკითხი დამტკიცდეს და დანქარებით გატარდეს ცხოვრებაში“ (სუიცა, ფ.335, ან.1 საქ.11, გვ.32).

1923 წლის 11 აპრილს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი „არქივის ორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“ და დაადგინა: „დაუყოვნებლივ დაწესდეს საარქივო სამმართველო განათლების სახალხო კომისარიატთან“ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:50). გადაწყდა, რომ შექმნილიყო აჭარის საარქივო სამმართველო ოთხი საშტატო ერთეულით: ცენტრალური საარქივო სამმართველოს გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი (ასსცსა, ფ. №2, აღწერა 1, ს. 14, ფურც. 121). საარქივო დოკუმენტებში დაცულია აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომის ოქმი, რომელსაც მკითხველს ვთავაზობთ უცვლელად:

„ ო ქ მ ი №133

ა. ა. ს. ს. რ. სახკომისართა საბჭოს პრეზიდიუმის
სხდომისა.

11 აპრილი 1923 წ.

დაესწრენ წევრები: თ. ხიმშიაშვილი (სახკომსაბჭოს თ-
რე), ო. მოწყობილი (ცაკის თ-რე), ნ. ბახტაძე
(შინ. საქ. სახკომი) და ს. ლორთქიფანიძე (მიწათ.
მოქ. სახკომი); გ. რამიშვილი (რეგტრიბ) და ა.
ბელოვი (სახკომი).

თავმჯდომარე თ. ხიმშიაშვილი მდივანი ს. ჟორჟოლიანი

მოსმინეს: განათლების სახკომისარიატის მომართვა სა-
არქივო მმართველობის დაწესებისა და მისი შტატისა და
ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ. ფუძე: მომ. 5/აპ-
რილი №1248

დაადგინეს: მოხსენება დამტკიცებულ იქნეს დაუყონებ-
ლივ, დაწესდეს საარქივო სამმართველო განათლე-
ბის სახკომისარიატთან, რომლის წარმოდგენილი
შტატი და ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნას იმ
სახით, როგორითაც წარმოდგენილია განათლების
სახკომისარიატისაგან, ხოლო საარქივო განყოფილე-
ბის გამგე მირიცხულ იქნასმეთოთხმეტე კათეგორია-
ზე (ასსცსა, ფონდი 2, საქმე №14, ფურც. 120).

უცვლელად მოგვაქვს აგრეთვე შესაბამისი უწყების მიერ
შემუშავებული „საარქივო აპარატის შექმნის“ გეგმა:

„ გ ე გ მ ა

ბათომში საარქივო აპარატის შექმნის

1) შტატი: გამგე – ერთი, 14 ან 13 კატეგორიის.

თანამშრომელი – ერთი, 12 “————”

არქივარიუსი – ერთი, 12 “————”

დარაჯი (იგივე შიკრიკი) – ერთი, 4 “————”

2)ბინა: ერთი დიდი ოთახი საწყოებისათვის არანაკლები 15X15 არშ. ერთი პატარა ოთახი 5X5 არშ. კანცელარიისა და სამუშაოებისათვის.

3)მოწყობილება: ა) თაროები, ოთხ იარუსიანი 12 ვერშოკ. სიგანისა სულ 100 არშ.სიგრძე

ბ) მაგიდები: ორი დიდი მაგიდა საწყოებში სამუშაო სამი არშ. სიგრძე და ორი არშ. სიგანე, ორი პატარა მაგიდა კანცელარიაში სამუშაოთ ორი არშ. სიგრძე და ერთი არშ. სიგანე; ოთხი სკამი; კიბე დასაშალი ერთი; ტანისამოსის და ხალათების ვეშარკა; ხელის დასაბანი ტასტი, სკამით, ვედრით და კრუჟკით;

საქმეების და საკანცელარიო ნივთების შესანახად ერთი მორჩილი შკაფი დასაკეტი, ცოცხი და ტილო. დასაკიდი გასაღები ორი.

4)სამუშაო ტანსაცმელი: ოთხი ბიაზის ხალათი და ოთხი წყვილი ტუაფის ან რეზინის პერჩატკები.

5)განათება: ერთი ლამპოჩკა კანცელარიაში და სამი კი საწყოებში.

6)საკანცელარიო ნივთები: ორი ბეჭედი; ერთი შტამპი; ერთი ბალიში; შემოსულ გასულ ქაღალდების ჟურნალი 2, ნივთების წიგნი-1, კატალოგის წიგნი-10, არქივების რიცხვის მიხედვით: კარანდაშები, მელანი, საწები.

7)—————

8)სხვადასხვა ადგილებში მყოფი არქივების ერთ ადგილში მოგროვება დაახლოვებით ყველა ბათომის დაწესებულებაში მყოფი არქივები იქნება წონით: ა) კომუნალურ მეურნეობაში – არანაკლები 600 ფუთი. ბ) ცენტრო-სოიუზის სარდაფში – 500 ფუთი; ვ) სახალხო ბანკის სარდაფში – 400 ფუთი; გ) მე-2 ქალ. საავადმყოფო-

ში – 15 ფუთი; დ) ბათომის საბაჟოში – 400 ფუთი; ე) მუშათა და გლეხთა ინსპექციაში – 50 ფუთი; ე) ბურუნტაბის საწობში – 100 ფუთი; სულ 2200 ფუთამდე; ამის გადატანას მოუხდება 40-45 – მდე ერთი ცხენი დროგი და ოთხი მუშა (7-8 დღე მუშაობა; დღეში ერთი ლირა თითო მუშას) – სულ არქივების გადატანას დაგვიჭირდება – 100 ლირამდე (ასსცსა, ფონდი №რ-2; საქმე №23; გვ. 163).”

ჩვენის აზრით, სწორედ ეს დღე, **1923 წ. 11 აპრილი უნდა ჩაითვალოს აჭარაში საარქივო დაწესებულების დაბადების დღედ**, თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში „აჭარის არქივის შექმნის ისტორიიდან“ ავტორები ნ. მირიანაშვილი და მ. იტრიაშვილი აჭარის საარქივო დაწესებულების დაბადების თარიღად მიიჩნევენ 1921 წელს და არგუმენტად ასახელებენ დოკუმენტების ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში თავმოყრის მიზნით სამხედრო-ისტორიული ხასიათის დოკუმენტების შეგროვებისა და კლასიფიკაციის დაწყების თარიღს. ჩვენის ვფიქრობთ, რომ აჭარის საარქივო დაწესებულების შექმნა უკავშირდება აჭარის 1923 წ. 11 აპრილის დადგენილებას საარქივო სამმართველოს შექმნის შესახებ, რომლის შემდეგადაც აღნიშნულმა დაწესებულებამ ოფიციალურად დაიწყო ფუნქციონირება.

როგორც იქნა, ასრულდა საარქივო დოკუმენტების ბედით დაინტერესებული მამულიშვილების ოცნება - ჩამოყალიბდა აჭარის უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო კერა და დოკუმენტსაცავი – საარქივო სამმართველო, მაგრამ მალე ამ საქმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, საქართველოს საარქივო სამმართველოს რწმუნებული გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე დახვრიტეს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში მონაწილეობისათვის (ა. კარასევა, „აჭარის

ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 17).

გ. ფურცელაძის დახვრეტის შემდეგ საარქივო საქმის ხელმძღვანელად მოწვეული იქნა კიევის უნივერსიტეტის რუსეთის ისტორიის კათედრის დოცენტი **ნიკოლოზ სპილიოტი** (დაბადებული 1867 წელს) (შერვაშიძე ხ., „არხეიონი“ I, 2011:106). არქივის გასაღები მას ბოჭორიშვილმა გადასცა. ჩამოსვლისთანავე ნ. სპილიოტმა აქტიური მუშაობა დაიწყო საარქივო დოკუმენტების თაემოყრისათვის. იგი თავად ეძებდა დოკუმენტებს ქალაქის საბჭოს სარდაფებსა თუ სხვადასხვა სახელმწიფო უწყებაში. მის ჩამოსვლამდე, 1923 წლისათვის აჭარისტანის განათლების კომისარიატთან ახლადჩამოყალიბებული საარქივო განყოფილება აერთიანებდა 72 ფონდს, 11481 შესანახ ერთეულს („საქართველოს არქივები“ ცნობარი, გვ.70). ეს რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა ნ. სპილიოტის მუშაობის პერიოდში.

ნ. სპილიოტს დიდხანს მოუწია მუშაობა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. 1937 წ. 20 სექტემბრის 4 § 1 ბრძანებით ნ. სპილიოტი გადაყვანილი იქნა აჭარის ცენტრალური საარქივო სამმართველოს მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 68. ან 1. ფურც. 5-6).

ფონდების რაოდენობრივი ზრდის მიუხედავად საარქივო საქმიანობა ვერ წარიმართა სრულფასოვნად. საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის რწმუნებულის შ. ჩხეტიას 1924 წლის 1 დეკემბრის მოხსენებაში (რომელიც წარუდგინა აჭარის ასსრ - ის განათლების სახალხო კომისარს) ვკითხულობთ: „საქართველოს დემოკრატიული მთავრობის საზღვარგარეთ გამგზავრების შემდეგ, ბათომში დარჩა მრავალი სხვადასხვა უწყებათა და დაწესებულებათა არქივები.... ასე მაგალითად, დემოკრატიული მთავრობის დროს თბილისიდან ბა-

თომში გადმოტანილი იყო სახალხო გვარდიის შტაბისა, იუსტიციის სამინისტროსი, საჟანდარმო სამმართველოს და სხვა დაწესებულებათა არქივები, რომლებიც შემდგომში თბილისს აღარ გადასცემია... საჭიროა სახელმწიფო საარქივო ფონდის ცალკე ნაწილები შეერთებულ იქმნენ ცენტრალიზაციის საფუძველზე... ამგვარ ორგანოს ფუნქციებს აჭარისტანის ფარგლებში და კერძოდ ბათომში ასრულებდა საქართველოს სსრ ცენტრალურ სამეცნიერო არქივის განყოფილება (აწ უკვე განსვენებულ გ. ფურცელაძის ხელმძღვანელობით), რომელიც დაარსებული იყო ჯერ კიდევ ორი წლის წინეთ. ეს განყოფილება თანამშრომელთა უყოლობის გამო, ამჟამად არ ჰმოქმედობს და ამგვარად ბათომში თავმოყრილი არქივები მეთვალყურე და მომვლელ აპარატს სრულიად მოკლებული არიან...

დაბეჯითებით გთხოვთ: 1. მოახდინოთ სათანადო განკარგულება, რათა საარქივო განყოფილება, რომელიც უკვე არსებობდა და ამჟამად გაუქმებულია, კვლავ ამუშავდეს და მის ხელმძღვანელად შესაფერისი პირი დაინიშნოს; 2. მომეცეს თქვენგან სათანადო ნებართვა (მანდატი) ბათომის სახელმწიფო დაწესებულებათა არქივების, მათი მდგომარეობის გამორკვევის მიზნით დათვალიერებისათვის, სახ. განათლების კომისარიატის ერთ-ერთი თანამშრომლის თანდასწრებით და მონაწილეობით“ (სუიცსა, ფ. 335, საქმე 63, ან. 1, ფურც. 149).

ამ პრობლემებით უნდა იყოს განპირობებული აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განათლების სახალხო კომისარიატის 1924 წ. 11 დეკემბრის სხდომის მოწვევა („ესწრებოდნენ: ქუთათელაძე - განსახკომისარის მოადგილე, კომახიძე - აჭარკომის სააგიტაციო საპრ. განყოფილების გამგე, გობეჩია - კომკავშირის მდივანი, სულუხია - პოლიტგანყოფილების მთავარი სამმართველოს გამგე, პირუშოვა - პროფსაბჭოს კულტურის განყოფილების გამ-

გე, ტორჩინოვა - განათლების მუშაკთა პროფკავშირის წარმომადგენელი“. სხდომამ განიხილა საკითხი „საარქივო განყოფილების შესახებ“ და მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება: „აღდგენილი იქნას საარქივო განყოფილების მუშაობა. ეთხოვოს აჭარკომს და აგრეთვე საქ. ცენტრალურ საარქივო სამმართველოს, რაც შეიძლება დაჩქარებით წამოაყენონ კანდიდატი განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მომავალი მუშაობა განყოფილებისა იქნეს მჭიდროთ დაკავშირებული ცენტრთან. ამ თავითვე განყოფილების აღდგენისათვის შესდგეს კომისია შემდეგის წარმომადგენლობით: აჭარკომის, აჭარისტანის საგანგებო კომისიის და განსახკომისარიატისა. კომისიას დაევალოს უყოს კონცენტრაცია ყველა ადგილობრივ დაწესებულების არქივებს, რომელთა დასათვალიერებლათ და გასაცნობათ ამჟამად ბათუმში წარმოგზავნილ ცენტრის წარმომადგენელს ამხ. ჩხეტიას და განათლების სახკომისარიატის პროფგანათლების გამგეს ამხ. ბოჭორიშვილს მიეცეთ სათანადო მანდატები, რაც ეთხოვოს სახკომსაბჭოს“ (ასსცსა, ფონდი №რ-5; საქმე №36; ფურც. 4).

შ. ჩხეტიას 1924 წ. 1 დეკემბრის წერილის საფუძველზე, 1924 წ. 13 დეკემბერს შემოწმდა ბათუმში, სტალინის ქუჩა 2-ში განთავსებული საბაჟოს არქივი - განათლების სახალხო კომისარიატის განათლების განყოფილების გამგის ბოჭორიშვილის, ბათუმის საბაჟოს გამგის თანაშემწის დგებუადის და თბილისის ცენტრალური სამეცნიერო არქივის რწმუნებულის შ. ჩხეტიას მონაწილეობით. შემოწმებით დადგინდა, რომ დოკუმენტების ნაწილი ბათუმიდან გაუტანიათ, მაგრამ მისი ადგილსამყოფელი ვერ დაუდგენიათ. დოკუმენტში ვკითხულობთ: „არქივი შეიცავს ნიკოლოზის დროის კანონ-დებულებათა ყდიან წიგნებს 300 ყუთამდე. არქივი გადარჩეული არ არის. ნაწილი თაროებზე აწყვია, ნაწილი კი იატაკზე უწესრიგოთ ყრია. აღწერილობა და კლასიფიკაცია არ არის გაკეთე-

ბული. არქივი მოთავსებულია მშრალ და მზიან ოთახში... არქივს განსაკუთრებული თანამშრომელი და მეთვალყურე არ ჰყავს. მისი დაცვა და მოვლა სწარმოებს საერთო წესით. საბაჟოს თანამშრომელთა ცნობით არქივში სხვა საქმეებიც ყოფილა მოთავსებული, მაგრამ 1921 წლის გ. ფურცელაძის ხელმოწერილ მანდატით მაშინ ბათუმში მდგომ სამხედრო ნაწილის (ბაშკირეთის პოლკი) წარმომადგენელს წაუღია. რა ბედი ეწვია შემდგომში ამ არხივს, საბაჟოს თანამშრომლებმა არ იციან“ (სუიცსა, ფ. 335, საქმე 63, ფურც. 147).

სირთულეების მიუხედავად არქივში დაიწყო მძიმე და შრომატევადი მუშაობა დოკუმენტური მასალების გამოვლენის, სხვადასხვა ადგილას გაბნეული მასალების მოძიების, დაკომპლექტებისა და ერთ შენობაში თავმოყრისათვის. ცალკეული ფონდების არქივსაცავებში განთავსების კონკრეტული დეტალები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ცხადია, რომ დოკუმენტების ძირითადი ნაწილი არქივში შემოვიდა 1925 წლამდე. შემდგომისათვის, დოკუმენტების აღმოჩენის შესაბამისად შემოდიოდა მასალები სხვადასხვა ქალაქებიდან და რესპუბლიკებიდან.

ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაარსების პირველ წლებში არქივში დაცული იყო სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის, ბათუმის სათათბიროს, ბათუმის ნავსადგურის პოლიციის სამმართველოს, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს თანაშემწის, ჩაქვის საუფლისწულო მამულის სამმართველოს, სასამართლო ორგანოებისა და სხვა ფონდები (ვრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც.4). არქივის იმუამინდელმა თანამშრომლებმა სათანადო პირობების არარსებობის მიუხედავად გარკვეულწილად შეძლეს არქივის დოკუმენტური მასალებით დაკომპლექტება და დაცვა, შექმნეს საქალაქო და რაიონული არქივების ქსელი,

წესრიგში მოიყვანეს ადგილობრივი მნიშვნელობის დაწესებულება-ორგანიზაციების, სამინისტროების, სხვა საუწყებო არქივების დოკუმენტები, 1930 წლამდე შეძლეს რევოლუციამდელი პერიოდის ყველა დოკუმენტური მასალის თავმოყრა აჭარის ცსა-ში (გრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც.4)

აჭარისტანის ცენტრალური არქივის გამგის ნ. სპილიოტის აქტიური მეცადინეობით აჭარის ტერიტორიაზე არსებული საარქივო მასალის აღმოჩენის, შეგროვების, გადარჩევის და დაცვის მიზნით 1926 წლის 19 დეკემბერის გადაწყვეტილებით სამაზრო აღმასკომებთან ჩამოყალიბდა **სამაზრო საარქივო ბიუროები**, რომლებმაც იარსება 1929 წლამდე (შერვაშიძე ხ., „არხეიონი“ I, 2011:106-107). შესაბამისად, აქტიური მუშაობა დაიწყო დოკუმენტებით ცენტრალური არქივის ფონდების გამდიდრებისათვის. გეგმაზომიერად მიმდინარეობდა დოკუმენტების დაკომპლექტება სხვადასხვა ისტორიული ეპოქის შესაბამისად.

ნ. სპილიოტის მიერ საქართველოს ცენტრალური არქივის დირექტორისადმი 1926 წლის 23 სექტემბერს გაგზავნილ წერილში ნათლად ჩანს საარქივო საქმიანობასთან დაკავშირებული სირთულეები: „ივლისამდე, 1926 წლისა, რაც მე შევუდექი გამგებლობას აჭარისტანის ცენტრალური არქივისა, გეგმიანი მუშაობის წარმოება არქივში იყო შეუძლებელი შენობაში სიბნელის გამო (8 ხ 8 არშინი) და მისი უვარგისობის გამო (სარდაფი, რომელშიც წვიმაში წყალი ჩამოდიოდა). მიხვდებოდა უმთავრესად საქმეების დასველებას გადარჩენა და დასველებულის გაშრობა. მხოლოდ ზამთარში, 1926 წლისა, არქივისათვის მოგვეცა ოთახი პირველ სართულში საკმარისად ფართით (12 ხ 12 არშ.) და მშრალიც, თუმცა ძლიერ ცივი (შენობის ჩრდილოეთი მხრით და ცემენტის იატაკით). სამწუხაროდ, მივიღეთ რა შიშველი კედლები, მოგვიხდა

საქმეების იატაკზე დაწობა, რომელიც ხელს გვიშლიდა მათ სისტემატიურ დამუშავებაში. მხოლოდ ივლისში არქივმა მიიღო თაროების გასაკეთებლად 316 მანეთი“ (სუიცსა, ფ. 335, ან. 1, საქმე 63, ფურც. 150-151).

ცოტა მოგვიანებით, 1926 წლის 10 ნოემბერს, ნ. სპილიოტი კვლავ უგზავნის წერილს საქართველოს ცენტრალური არქივის დირექტორს. წერილის ავტორი უჩივის არქივში დასაქმებულ პირთა სიმცირეს: „ჭარისტანის ცენტრალური არქივის შტატი შესდგება ორი კაცისაგან: არქივის გამგე და დარაჯი“ (სუიცსა, ფ. 335, ან. 1, საქმე 63, ფურც. 152). იმუამად, არქივში განთავსებული ყოფილა შემდეგი ფონდები:

- ა. საპორტო ქ. ბათომის საპოლიციო მმართველობის საქმეები (1887 წლიდან);
- ბ. ბათომის თვითმმართველობის საქმეები;
- გ. ბათომის ოლქის სამხედრო გუბერნატორის საქმეები (საიდუმლო მაგიდის);
- დ. მომრიგებელ მოსამართლეთა დაწესებულების საქმეები;
- ე. ლიკვიდაციაქმნილ სასწავლებლების: ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების ჰუმანიტარულ ტექნიკუმების და ქართულ მეორე (თ. ფ. დოკუმენტში სიტყვა არ იკითხება) სკოლის;
- ვ. საქმეები ზოგიერთ განყოფილებათა ქ. ბათომის კომ. მეურნეობის;
- ზ. საქმეები სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი;
- თ. საქმეები ბათომის სამისამართო მაგიდის;
- ი. ჟანდარმთა საგუბერნიო სამმართველოს საქმეთა ნაშთი“ (სუიცსა, ფ. 335, ან. 1, საქმე 63, ფურც. 152).

1928 წელს არქივი შეივსო ქალაქ ბათუმის „მსოფლიოს განყოფილების“, ბათუმის საბაჟოს ოლქის სამმართველოს, ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერია-პოლიციის

სამმართველოს ბათუმის ოლქის და სხვა საბჭოთა დაწესებულებების დოკუმენტური მასალებით (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 26). შემდგომ პერიოდში, დოკუმენტების აღმოჩენის შესაბამისად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდან შესაბამისი პროფილის საარქივო დოკუმენტები იგზავნებოდა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

1929 წლის იანვრიდან განსახკომის საარქივო განყოფილების ცენტრალური არქივი დაექვემდებარა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. 1921 (1923)-1931 წლებში აჭარის საარქივო დაწესებულებას ხელმძღვანელობდნენ: გიორგი ფურცელაძე (1921-1922; 1923-1924 წწ.) და ნიკოლოზ სპილიოტი (1924-1931 წწ.).

ბ. არქივარიუსების თანამდებობების შემოღება და საარქივო განყოფილებების ფორმირება. ფონდების მოწესრიგებასთან დაკავშირებული სირთულეები

საარქივო დარგის შემდგომი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა 1930-იან წლებში მიღებულმა გადაწყვეტილებებმა. 1930-1935 წლებში მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონულ აღმასკომებთან შემოღებული იქნა არქივარიუსის თანამდებობები. 1936 წლიდან აღმასკომებთან შეიქმნა საარქივო განყოფილებები. რაიონების სახელმწიფო არქივების ბრძანების წიგნებიდან ირკვევა, რომ წარმოება-დაწესებულებებში უკვე 1937 წლიდან არსებობდა საუწყებო არქივები, ხოლო მოგვიანებით, რაიონებში და მსხვილ უწყებებში გაერთიანებული საუწყებო არქივები (შერვაშიძე ხ., „არხეონი“ I, 2011:107).

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი სხვადასხვა დროს სხვადასხვა უწყებების დაქვემდებარებაში იმყოფებოდა. როგორც ზემოთ აღინიშნა, 1929 წლის იანვრიდან განსაკომის საარქივო განყოფილების ცენტრალური არქივი დაქვემდებარა აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. 1939 წლის 9 თებერვლის N 14 ბრძანებულებით საარქივო განყოფილება გადადის აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის გამგებლობაში, რომელიც ხელმძღვანელობს ცენტრალურ საქალაქო და რაიონულ სახელმწიფო არქივებს (ასსცსა, ფ. 89, ან 1, საქმე 50, ფურც 55. ასევე: საქმე 45 ა, ფურც. 3). 1939 წლიდან სხვადასხვა არქივებში დაცული რევოლუციამდელი პერიოდის მასალები გაერთიანდა ერთ - ცენტრალურ სახელმწიფო ისტორიულ არქივში (ა. კარასევა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი. სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961, გვ. 1. (რუსულად) ასსცსა, ფონდი რ-89, ან.1. საქმე 138, ფურც. 1, 2). გაიზარდა საარქივო სამმართველოს პირადი შემადგენლობაც. საარქივო ფონდებში დაცული დოკუმენტური მასალები შესაძლებლობას იძლევა ავგადგინოთ საარქივო სამმართველოს სტრუქტურა და პირადი შემადგენლობა 1939 წლისათვის. დოკუმენტებში დაფიქსირებულია საშტატო განრიგი, თანამშრომელთა სახელი, გვარი, თანამდებობა, განათლება, საცხოვრებელი ადგილი და ეროვნება. მკითხველს უცვლელად ვთავაზობთ ამ დოკუმენტს:

„აჭარის ცენტრალური საარქივო სამმართველოს მმართველი-ოსმან ახმედის ძე ხალვაში, ბოლშევიკური პარტიის წევრი, ქართველი/აჭარელი. უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული, მცხოვრები ორჯონიკიძის ქუჩა N 10 (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 68. ან 1. ფურც. 19.)

1. **ვასილ სალომატინი ივანეს ძე**, ცენტრალური არქივის დირექტორი, ბოლშევიკური პარტიის წევრი, რუსი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული, ცხოვრობს ლუქსემბურგის 34;

2. **ნიკოლოზ მიხეილისძე სპილიოტი**, უფროსი მეცნიერ თანამშრომელი - უპარტიო, უკრაინელი. უმაღლესი განათლებით, დაოჯახებული. ცხოვრობს გოროდოკში, პროლეტარის გზატკეცილი 33;
3. **ვასილ იოსების ძე გოგელია**, უფროსი ინსპექტორი, ალკა-ს წევრი, ქართველი, საშუალო ტექნიკური განათლებით, დასაოჯახებელი. ცხოვრობს ქუთაისის ქ. 25;
4. **პრუცენკო კონსტანტინე ათანასეს ძე**, ინსპექტორი, უპარტიო, რუსი, დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, დაოჯახებული. ცხოვრობს ბარცხანის მოსე 6;
5. **თამარა ტიკარაძე ედიშერის ასული**, უფროსი ტექნიკური მუშაკი, ალკა-ს წევრი, ქართველი, უმაღლესი განათლებით, გათხოვილი, ცხოვრობს ჯაფარიძის ქ. 38;
6. **მარია გიორგის ასული გორდეზიანი**, უმცროსი ტექნიკური თანამშრომელი, უპარტიო, ქართველი, საშუალო განათლებით, გათხოვილი, ცხოვრობს ენგელსის ქ.4;
7. **ნადეჟდა ანტონის ასული გარტი**, საქმეთა მმართველი, მემანქანე, უპარტიო, ქართველი, საშუალო განათლებით, ქვრივი, ცხოვრობს კიროვის ქ. 34
8. **გიორგაძე გიორგი გრიგორისძე**, კომენდანტი, ალკა-ს წევრი, ქართველი, სწავლობს, დასაოჯახებელი. ცხოვრობს პუშკინის ქ. 100;
9. **ჭანუყვაძე დიომიდე ილარიონის ძე**, კომენდანტი, უპარტიო ქართველი, დაუმთავრებელი საშუალო განათლებით, დასაოჯახებელი, ცხოვრობს პუშკინის ქ. 60;
10. **ელიავა ალექსანდრა ალექსანდრეს ასული**, ბუხალტერი, უპარტიო, ქართველი, საშუალო განათლებით, დაოჯახებული. ცხოვრობს კიროვის ქ. 20;

11. **პაპუნაშვილი ამირან კალენიკეს ძე, კურიერი,** უპარტიო, ქართველი, მოსწავლე, დასაოჯახებელი, ცხოვრობს პუშკინის ქ. 57;
12. **შერიფ ზადე სადიე,** დამლაგებელი, უპარტიო, თურქი, განათლების არმქონე, ქვრივი. ცხოვრობს ლიბკნესტის ქ. 44.“

დოკუმენტს ხელს აწერს სამმართველოს უფროსი ოსმან ხალვაში (ასსცსა, ფ. რ. 89, ან 1, საქმე 35, ფურც 62). იმავე საქმის 61-ე გვერდზე საარქივო სამმართველოს თანამშრომლებს შორის ფიგურირებს აგრეთვე **დავით ილარიონის ძე ქილიფთარის სახელი,** რომელიც მუშაობდა საქმეთა მმართველის თანამდებობაზე (ასსცსა, ფ. რ. 89, ან 1, საქმე 35, ფურც 61).

ამავე საქმეში წარმოდგენილია ქალაქის არქივის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები 1938 წლისათვის:

1. არქივის გამგე - ხელფასი 450 მანეთი
2. უფროსი არქივარიუსი - 350 მანეთი
3. არქივის ტექნიკური თანამშრომელი - 250 მანეთი
4. მბეჭდავ - მემანქანე - 200 მანეთი
5. კურიერ-დამლაგებელი - 120 მანეთი (ასსცსა, ფ. რ. 89, ან 1, საქმე 68, ფურც 75).

იმავე, 1938 წლისათვის რაიონული არქივები წარმოდგენილი იყო ორ-ორი საშტატო ერთეულით: არქივის გამგე (ხელფასი 400 მანეთი) და არქივის ტექნიკური თანამშრომელი (ხელფასი 250 მანეთი) (ასსცსა, ფ. რ. 89, ან 1, საქმე 35, ფურც 75). საქმეში დაცულია 1939 წლისათვის კურიერის თანამდებობაზე მომუშავე **მარია გიორგის ასული ფესენკოს** ანკეტა (ასსცსა, ფ. რ-89, საქმე 35, ფურც. 10).

დოკუმენტებით დაკომპლექტება მიმდინარეობდა თანდათანობით, მაგრამ 1940 წლამდე ვერ ხერხდებოდა ფონდების მოწესრიგება. არ არსებობდა დოკუმენტური მასალების დაცვისა და შენახვის არანაირი პირობა. დაწესე-

ბულებები არქივს დოკუმენტებს აბარებდნენ დაუშუშავებელი, ხშირად გროვების სახით. არქივისტები იძულებულნი იყვნენ მიეღოთ ეს დოკუმენტები, რათა არ დაკარგულიყო ისინი, შემდეგ კი ცდილობდნენ მათ წესრიგში მოეყვანათ.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1941 წლის 29 მარტის გადაწყვეტილებით საარქივო დარგის მუშაკებს მიეცათ ადგილზე არსებული დოკუმენტების დამუშავებისათვის მეთოდური ხელმძღვანელობისა და კონტროლის უფლება (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 26).

საბჭოთა პერიოდის საარქივო მასალებმა აჭარის ცენტრალურ არქივში შემოსვლა დაიწყო 1928-1930-იანი წლებიდან, თუმცა 1928-1947 წლებში შემოსული დოკუმენტების რაოდენობის წარმოდგენა არაა შესაძლებელი, რადგან დოკუმენტების შემოსვლის აღრიცხვის ჟურნალი შემოიღეს მხოლოდ 1948 წლის იანვრიდან (ასსცსა, ფონდი რ-89, „КНИГА УЧЕТА ПОСТУПЛЕНИЙ ДОК. МАТЕРИАЛОВ»). ამდენად, გაურკვეველი რჩება 1948 წლამდე არსებული საქმეთა ერთეულების რაოდენობა, რადგან სათანადო დონეზე არ იდგა აღრიცხვიანობა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის საქმიანობა (გრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც.5).

დოკუმენტების მიღება 1948 წლამდე ხდებოდა მიღება-ჩაბარების აქტებით, თუმცა ეს აქტები არ შემონახულა. 1936 წლამდე მიღებული დოკუმენტები არც წლიურ ანგარიშებშია ასახული (შემონახული არაა ყოველწლიური ანგარიშებიც).

დოკუმენტური მასალებით ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაკომპლექტების სურათის აღდგენა ნაწილობრივ შესაძლებელია 1936-1947 წლების დაკომპლექტე-

ბის გეგმების მიხედვით, თუმცა ეს მონაცემები არაა ზუსტი. ყოველთვის ვერ ხერხდებოდა გეგმიური დავალებების შესრულება.

შედარებით უფრო ზუსტი მონაცემების წარმოდგენა შესაძლებელია 1940-იანი წლების მეორე ნახევრიდან. საარქივო მასალები იძლევიან ინფორმაციას 1948 წლის შემდგომ პერიოდში შემოსული დოკუმენტების რაოდენობის შესახებ (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 27,28)

დოკუმენტების მიღების წლები	ახალი ფონდების რ-ბა	ფონდების ნაწილის რაოდენობა	შესანახი ერთეულების რ-ბა
1948	127	2	8 026
1949	33	18	54194
1950	60	16	17844
1951	177	10	2 841
1952	70	14	5 805
1953	15	9	2747
1954	21	25	16 986
1955	46	42	6 616
1956	34	27	7 728
1957	2	10	2 650
1958	1	1	1 363
1959	4	21	5464
1960	-	6	384
1961	3	2	511
1962	1	9	2070
1963	77	77	27 276
1964	6	10	4553
1965	24	24	6440
1966	27	8	2557

ეს მონაცემები რამდენადმე განსხვავდება ა. კარასე-
ვას მიერ მოტანილი სტატისტიკისაგან. ეს სხვაობა დოკუ-
მენტების არასრულყოფილი აღრიცხვიანობის შედეგია.
კარასევას მიხედვით 1950-1960 წლებში შემოსულია შემ-
დეგი რაოდენობის დოკუმენტები (ა. კარასევი, „აჭარის
ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო
ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 27):

წლები	შემოვიდა ს/ერთეული	ახალი ფონ- დები
1950	11 942	15
1951	2 649	6
1952	5 539	10
1953	3 196	8
1954	9 884	10
1955	6681	12
1956	7 937	10
1957	6 938	8
1958	5930	5
1959	4 620	8
1960	3908	5

როგორც ვხედავთ, 1950 წელთან შედარებით, შემო-
სული დოკუმენტების რაოდენობა 1960 წლისათვის შემცი-
რებულია. ეს განპირობებული იყო საკავშირო ხელისუფ-
ლების შესაბამისი გადაწყვეტილებით, რომლის მიხედვით
არქივს უნდა მიეღო მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი ხა-
სიათის დოკუმენტები (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენ-
ტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი.
ბათუმი 1961. გვ. 27).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით,
1958 წლიდან საარქივო მასალები გაიყო ორ ჯგუფად:

- ა. სამეცნიერო მნიშვნელობის საარქივო დოკუმენტები

ბ. საცნობარო ხასიათის მასალები

ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ არქივსაცავებში განთავსდებოდა სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტები, ხოლო დაწესებულებებში თავს მოიყრიდა საცნობარო ხასიათის მასალები (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 29). ამ გადაწყვეტილებამ ბოლო მოუღო საცნობარო ხასიათის მასალების შემოსვლას ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში. ამავე დროს აჭარის სახელმწიფო არქივმა დაიწყო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის პირადი შემადგენლობისა და საცნობარო დოკუმენტების უკან დაბრუნება (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 28). ამ ღონისძიებით ვარაუდობდნენ არქივისტების განტვირთვას საცნობარო ხასიათის სამუშაოებისაგან, რათა მათ ხელი მოეკიდათ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 28)



არქივის თანამშრომლები (1958 წელი)

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დოკუმენტური მასალები შემოდიოდა არა მარტო ადგილობრი-

ვი ორგანიზაციებიდან, არამედ საქართველოსა და სსრ კავშირის სხვადასხვა ქალაქებიდანაც. მაგ. 1952 წელს როსტოვის საოლქო არქივიდან აჭარის ცენტრალურ არქივში შემოვიდა ბათუმის ფაბრიკა-ქარხნების უფროსი ინსპექტორის მასალები. 1957 წელს კი საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო-ისტორიული არქივიდან შემოვიდა ჟანდარმერიის პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების საარქივო დოკუმენტები (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 25, 26).

დოკუმენტების დაკომპლექტებასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა **სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების მქონე დოკუმენტების ექსპერტიზას**. დოკუმენტების ზუსტი შერჩევა ხელს უწყობდა სამუშაოთა შესრულების რაოდენობისა და ხარისხის ამაღლებას, უსარგებლო დოკუმენტებისაგან ფონდსაცავების განტიერთვას.

გააქტიურდა დოკუმენტების ექსპერტიზასთან დაკავშირებული საქმიანობა აჭარის ცსა-ში. 1940-იან წლებამდე არქივისტები დაკავებული იყვნენ ექსპერტიზით და დოკუმენტების მოწესრიგებითი სამუშაოებით (ასსცსა, ფონდი რ-89, ს. 13, ფურც.7), 1950-60-იანი წლებიდან კი განსაკუთრებული ყურადღება მიექცა **ფონდების გადამუშავებას, აღწერების სრულყოფას, მათი ისტორიული და სამეცნიერო ღირებულების განსაზღვრას და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებას**.

ყველა ეს სამუშაოები შესრულდა საარქივო დაწესებულების იმჟამინდელი ხელმძღვანელების: **სერგო ყუფარაძის (1932-1937 წწ.), ოსმან ხალვაშის (1937-1939 წწ.), ვასილ სოლომოტინის (1939-1941 წწ.), აღექსანდრე პროტოპოვის (1941-1942 წწ.), კასიანე ბაბილოძის (1942-1943 წწ.), გალინა ივანოვას (1943-1946 წწ.), ვლადიმერ ოდიშარიას**

(1946-1947 წწ.) და ტატიანა ნეფედოვას (1947-1961 წწ.) მმართველობის პერიოდში.

ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ამ პერიოდში ხელმძღვანელობდნენ: ვასილ სოლომიტინი (1938-1939 წწ.), გალინა ივანოვა (1941-1942 წწ.), ე. შლეიპოვი (1942), ქეთო ცეცხლაძე (1942-1943; 1944-1949 წწ.) წწ.), ელენე დომოპოლოვა (1943-1944 წწ.), მარია ხარკოვა (1944), ჯულიეტა ბესელია (1950-1952 წწ.), იაკინთე ცისკარიძე (1952-1955), სერგო ტაბაღუა (1955-1962 წწ.).

გ. რეორგანიზაცია და სტრუქტურული ცვლილებები, დოკუმენტების კატალოგიზაცია, დოკუმენტური მასალების ერთიანი კლასიფიკაციის სქემა

1960-იანი წლებიდან საარქივო დაწესებულებამ რამოდენიმეჯერ შეიცვალა დაქვემდებარება და განიცადა სტრუქტურული რეორგანიზაცია. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 26 აპრილის №296 დადგენილებით აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილება გარდაიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო განყოფილებად. ცენტრალური სახელმწიფო არქივი კი აჭარის არ მინისტრთა საბჭოს 1960 წ. 29 ივლისის დადგენილებით გადავიდა აჭარის არ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს გამგებლობაში შემდეგი სტრუქტურული ერთეულებით:

1. ისტორიული განყოფილება;
2. ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის განყოფილება;
3. ქალაქის ფონდების განყოფილება (ასსცსა, ფ. რ. 89, ან 1, საქმე 429, ფურც 3. ასევე: საქმე 45 ა, ფურც. 3).

ორიოდე წლის შემდეგ საარქივო დაწესებულებაში კვლავ განხორციელდა რეორგანიზაცია და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო განყოფილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 აგვისტოს № 547 დადგენილებით გარდაიქმნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოდ. 1964 წლის მონაცემებით ცენტრალურ სახელმწიფო არქივში იყო ორი განყოფილება:

1. რევოლუციამდელი ფონდების განყოფილება;
2. ოქტომბრის რევოლუციისა და სოციალისტური მშენებლობის განყოფილება (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 45 ა, ან. 1. ფურც. 4).

არქივისტები თავდაუზოგავად შრომობდნენ საარქივო დოკუმენტების დაკომპლექტების, მოწესრიგებისა და შენახვა-დაცვისათვის.



თ. შეყილაძე (ფონდის უფროსი მცველი), შ. თოღაძე, ღ. კაღანდარიშვილი, დ. ჭელიძე (უფრ. მეცნიერ-მუშაკები) საუწყებო არქივიდან დოკუმენტების მიღების დროს (კათოლიკური ეკლესია, 1962 წელი)

არქივისტების სამუშაო კვირა განისაზღვრებოდა 6 დღიანი სამუშაო კვირით (ორშაბათიდან პარასკევის ჩათ-

ვლით - 7 საათიანი, შაბათს კი 6 საათიანი სამუშაო დღე) (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 487, ფურც. 3). საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელის 1967 წ. 19 დეკემბრის ბრძანებით საარქივო დაწესებულებების თანამშრომლები გადავიდნენ 5 დღიან სამუშაო კვირაზე (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 487, ფურც 1). ეს გადაწყვეტილება უფრო ადრე იყო მიღებული, მაგრამ მისი აღსრულება 1967 წ. 9 ოქტომბრის ბრძანების შესაბამისად დროებით იქნა შეჩერებული (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 487, ფურც. 3). 5 დღიან სამუშაო კვირაზე გადასვლა განხორციელდა 1967 წლის 1 აგვისტოდან, საქართველოს საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელის 1967 წლის 25 ივლისის N 17 ბრძანებულებით (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 487, ფურც. 12).

აჭარის ცენტრალურმა სახელმწიფო არქივმა დააგროვა უზარმაზარი გამოცდილება საარქივო საქმიანობის სფეროში. ამ თვალსაზრისით ხაზგასასმელია სახალხო მეურნეობის განვითარების ინტერესების ამსახველი დოკუმენტების გამოყენების ორგანიზაცია. ამ მიზნით აჭარის **ცსა-ში შეიქმნა სამეცნიერო-საცნობარო აპარატი**, რომელმაც გამოავლინა დოკუმენტების შინაარსი, სხვადასხვა მოვლენების ამსახველი ფაქტები. შედგენილი იქნა შესაბამისი ანაწერები, თემატური ნუსხები, კატალოგები, ფონდების სიები, გზამკვლევი და ა. შ. დიდი ყურადღება ექცეოდა ფონდების მიმოხილვას. 1970-იანი წლები-სათვის არქივს უკვე გააჩნდა ფონდების **სისტემატური, სახელობითი, ანბანური და თემატური კატალოგები** (ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 388, ფურც. 1).

დოკუმენტების კატალოგიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოები აჭარის სახელმწიფო არქივში ძირითადად დაიწყო 1961 წლიდან (ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 388, ფურც. 1), თუმცა მაშინ ეს საქმიანობა არ ატარებდა გეგმიურ ხასიათს. არ არსებობდა ფონდების

დამუშავების გეგმა, რის გამოც ბარათების შემდგენლები საკუთარი შეხედულების მიხედვით არჩევდნენ ფონდებს და საქმეებს. ამ მიზეზის გამო ფონდები ვერ დაექვემდებარა სრულ კატალოგიზაციას. არ არსებობდა ბარათების შედგენის მეთოდური მითითებები, არ იყო კლასიფიკატორი (ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 388), ფურც. 1). შესაბამისად ბევრი ბარათი არასრულფასოვნად იყო შედგენილი, რის გამოც მოგვიანებით ისინი მაკულატურაში ჩასაბარებლად იქნა გამოყოფილი.

1964 წელს შემუშავდა „**დოკუმენტური მასალების ერთიანი კლასიფიკაციის სქემა**“, რის შემდეგაც ფონდების კატალოგიზაციამ მიიღო სისტემური და გეგმაზომიერი ხასიათი. 1964-1966 წლების სამუშაო გეგმით ყოველწლიურად გათვალისწინებული იყო 3000 ბარათის შედგენა. კატალოგიზაციისათვის გამოიყო ერთი თანამშრომელი. შემდგომი წლებისათვის კატალოგიზაციის გეგმა გაიზარდა 5000 ბარათამდე, 1971 წლისათვის კი 7500-მდე. შესაბამისად გაიზარდა ამ საქმით დაკავებული თანამშრომლების რაოდენობა სამ ერთეულამდე (ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 388), ფურც. 3).

მუშაობა გააქტიურდა დოკუმენტების ექსპერტიზის თვალსაზრისითაც. ცენტრალური სახელმწიფო არქივის კვალიფიციური თანამშრომლებისაგან **შეიქმნა საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია**, რომელმაც აქტიურად დაიწყო ფუნქციონირება საარქივო კანონმდებლობისა და ინსტრუქციების შესაბამისად. ყოველთვიურად, საექსპერტო შემმოწმებელი კომისიის სხდომებზე განიხილებოდა ახლადმიღებული ან გადამუშავებული საქმეების ანაწერები. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა დოკუმენტების დამუშავების სრულყოფასა და ხარისხს. ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შემდეგ სხდომა ამტკიცებდა ანაწერებს. აღნიშნული პრაქტიკა მეტად ეფექტური აღმოჩნდა. იგი წარმატებულად გამოიყენება თანამედროვე პერიოდშიც.

საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია ეფექტურად მუშაობდა ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტური მასალებით დაკომპლექტების თვალსაზრისითაც.

საექსპერტო-შემმოწმებელმა კომისიამ დიდი მუშაობა გასწია ფონდების რევიზიის თვალსაზრისით. ეს საქმიანობა განსაკუთრების გააქტიურდა 1961 წლიდან. ჩატარდა შრომატევადი სამუშაოები ისტორიული და სამეცნიერო მნიშვნელობის დოკუმენტების ექსპერტიზის თვალსაზრისით. „ქობულეთის, უჩამბის, სარიჩაირის, საბუოს“ და ზოგიერთი სხვა ფონდი გამოიყო განადგურებისათვის, „რადგან ისინი იმეორებდნენ ბათუმის ოლქის საბაჟოს შინაარსს“ (ასს, ცსა, ფ. რ-89, ან. 1, ს. 396, ფურც. 7).

გაადვილდა საარქივო დოკუმენტების დაკომპლექტების საკითხი. 1962 წლიდან დამტკიცდა წამყვანი წყარო-დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების სია. იმ ორგანიზაციების დოკუმენტური მასალები, რომლებიც არ იყო აღნიშნულ ჩამონათვალში, რჩებოდა შესაბამის უწყებებში და ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შენახვას არ ექვემდებარებოდა (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 30). ამ დონისძიებით სახელმწიფო არქივი განიტვირთა სამეცნიერო და ისტორიული ღირებულების არმქონე დოკუმენტებისაგან.

მეცნიერულ საწყისებზე დაფუძნებული დოკუმენტური მასალების დაკომპლექტება, შენახვა და გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ დოკუმენტური მასალების მაღალ დონეზე დაყენებული აღრიცხვის პირობებში. აღრიცხვის სწორი ორგანიზაცია შესაძლებლობას იძლეოდა გადაჭრილიყო რიგი საკითხები, რომლებიც იდგა საარქივო დაწესებულებების წინაშე. კერძოდ:

1. დოკუმენტური მასალების შენახვის უზრუნველყოფა;
2. სახელმწიფო არქივების დაკომპლექტების მეცნიერულ საწყისებზე დაფუძნებული ორგანიზაცია;

3. დოკუმენტური მასალების ყოველმხრივი გამოყენების ორგანიზაცია.

დოკუმენტური მასალების აღრიცხვიანობისათვის სა-
მუშაოები დაიწყო 1947 წლიდან. ამ წელს პირველად შე-
მოიღეს **ფონდების აღრიცხვის ფურცლები**, 1948 წლიდან
კი **აღრიცხვის წიგნი** (ასს ცსა, ფ. რ-89, ან. 1, ს. 112,
ფურც. 9). ცსა-ში დოკუმენტური მასალების მიღება მომ-
დევნო წლებში აღრიცხებოდა შემოსვლის წიგნში, ფონ-
დების სიაში, ანაწერებში. ყველა განყოფილებაში შემო-
ღებული იყო ფონდების სია, ფონდის ფურცლები, ანაწე-
რები, ფონდის პირადი საქმეები და ა. შ. სხვადასხვა ეპო-
ქის ფონდების ნომერაცია ცალკეულ განყოფილებებში
იყო დამოუკიდებელი. რევოლუციამდელი პერიოდის ფონ-
დების ნომრის წინ სვამდნენ ინდექსს „ი“, ხოლო ოქტომ-
ბრის გადატრიალებისა და სოციალიზმის პერიოდის ფონ-
დების წინ ინდექსს „რ“.

ფონდებისათვის შესაბამისი ნომრის მინიჭებისა და
ფონდების სისტემატიზაციის მიზნით არქივში შედგენილი
იყო ფონდების სია, რომლის საფუძველზე ყველა ახლად
შემოსულ ფონდს ენიჭებოდა მუდმივი ნომერი. სხვა ორ-
განიზაციაზე გადაცემის ან დაკარგვის შემთხვევაში მი-
სი ნომერი სხვა ფონდს არ მიენიჭებოდა.

ფონდების სია არქივში პირველად 1958 წელს შე-
მოიღეს, თუმცა მას ჰქონდა გარკვეული ნაკლოვანებები:
ზოგჯერ ერთ ფონდს ენიჭებოდა ორი ნომერი, ფიქსირდე-
ბოდა უზუსტობები ორგანიზაციათა დასახელებაში, კი-
დურ თარიღებში და საქმეთა ერთეულების რაოდენობაში
(ასსცსა, ფ. რ-89, ს. 315, ფურც.17). ამ ნაკლოვანებათა გა-
მო დღის წესრიგში დადგა არსებული ფონდების სიების
ხელახალი შედგენის საკითხი, რაც გააკეთდა კიდევ 1960
წელს. 1966 წლისათვის ფონდების სიაში ირიცხებოდა
ფონდების 1037 ნომერი. ფაქტობრივად იყო 686 ფონდი.
ასეთი სხვაობა აიხსნება იმით, რომ არაერთი ფონდი,

რომლებიც აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის პროფილს არ შეესაბამებოდა, გადაეცა შესაბამისი პროფილის არქივებს (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 34). ამასთან, 1958 და 1965 წლებში მოხდა ფონდების გაერთიანება. ცალკეული ფონდების სხვა ორგანიზაციებზე გადაცემის შედეგად მივიღეთ თავისუფალი 351 ნომერი. ამიტომაც გაჩნდა საარქივო ფონდების გადანომრვისა და ფონდების სიის ხელახალი შედგენის აუციულებლობის საკითხი (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 34). განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა საქმეთა ანაწერების შედგანას, რადგან ანაწერები წარმოადგენს ძირითად სააღრიცხვო დოკუმენტს და მისი შედგენისას დაშვებული ყველა შეცდომა მეორდება სხვა სააღრიცხვო დოკუმენტებში (ფონდების ფურცლები, არქივის პასპორტი, ფონდების ბარათები).

თითოეული ფონდის ისტორიის, ყველა დოკუმენტის ერთ ადგილას თავმოყრისათვის აჭარის ცსა-ში შემოდებული იქნა ფონდის საქმეები, რომელშიც შედიოდა ისტორიული ცნობები ფონდწარმოქმნის შესახებ, სამუშაო ინსტრუქცია, ფონდის დოკუმენტური მასალების მიღების აქტები, დოკუმენტების შემოწმებისა და შედგენის აქტები, შერჩევითი სიები, ცნობები და გამოსმაურებები დოკუმენტების გამოყენებისა და ფონდებისათვის სახელის გადარქმევის შესახებ.

დოკუმენტური მასალების აღრიცხვიანობის საქმე ყოველწლიურად უმჯჯებესდებოდა. თანდათან სწორდებოდა ადრეულ წლებში დოკუმენტების შედგენისას დაშვებული შეცდომები. გამოსწორდა სხვა ნაკლოვანებებიც, თუმცა კვლავ მოუგვარებელი რჩებოდა ნოტიო კლიმატის პირობებში საარქივო დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის საკითხი. არქივისტებმა ამასთან დაკავშირებით

არაერთხელ ჩამოკრეს განგაშის ზარები. არქივის უმცროსი მეცნიერ-თანამშრომელი მ. ძნელაძე 1979 წელს წერდა: „დოკუმენტები სწრაფად ნადგურდება ღია ჰაერზე სინათლის, ჰაერის, ატმოსფერული ნალექების, ტემპერატურის ცვლილებების ჯამური მოქმედების შედეგად. განსაზღვრულ კლიმატურ პირობებში ვითარდება საარქივო დოკუმენტების ბიოდაავადება. რეალური სურათის დასადგენად, კლიმატის ცვლილებებისა და დოკუმენტების სინოტივის სპეციფიკის შესასწავლად არაფერი გაკეთებულა, რადგან დოკუმენტები ინახება მჭიდროდ ყუთებში, შენახვის სხვადასხვა ფორმებში (შეხვეულები, პაპკები, საქმეები, ყუთები, სეიფები...)“.

არარეგულირებადი კლიმატის პირობებში დოკუმენტების მდგომარეობის შესწავლის მიზნით არქივსაცავებში 1978 წლის აპრილიდან მოყოლებული მიმდინარეობდა დაკვირვებები. დაკვირვების მონაცემები ერთი წლის მანძილზე ყოველთვიურად იგზავნებოდა სათავო დაწესებულებებში (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 531, ფურც. 1, 2), მაგრამ პრობლემები მაინც მოუგვარებელი რჩებოდა. ტემპერატურული რეჟიმის დაცვის საკითხი დღესაც აქტუალურია და მოითხოვს გადაუდებელი ღონისძიებების გატარებას.

აღნიშნული ნაკლოვანებებისა და ხელისშემშლელი ფაქტორების მიუხედავად საარქივო საქმე აჭარაში წარმატებით ვითარდებოდა, რაც არქივისტთა თავდადებული შრომით იქნა მიღწეული. იმ პერიოდში აჭარის საარქივო დაწესებულებას ხელმძღვანელობდნენ: **ლევან კალანდარიშვილი** (1962-1963 წწ.), **ნაზი ნოღაიდელი** (1963-1989 წწ.) და **შალვა აბაშიძე** (1989-2002 წწ.), ხოლო ცენტრალურ სახელმწიფო არქივს სათავეში ედგნენ: **გრიშა ჩაგანავა** (1962-1985) და **სერგო ტაბაღუა** (1985-1997 წწ.).

თაზი II

აჭარის არქივი დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში

§1. სტრუქტურული რეორგანიზაცია. სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“

1990-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს საარქივო დაწესებულებებს ახალ პირობებში მოუხდათ მუშაობა. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. შესაბამისად, აჭარის საარქივო მმართველობითმა რგოლმა განიცადა რეორგანიზაცია. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 29 ივნისის №109 დადგენილებით მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველო გარდაიქმნა **სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“** (ასსცსა, ფ. რ-1041, აღწერა 1, ს. 1512, ფურც.1. ასევე, ფონდი რ-89, ან. 1 საქმე 759 ა, ფურც. 1). იგი წარმოადგენდა დოკუმენტურ ძეგლთა დაცვის სპეციალურად უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს რეგიონში.

„მემატიანემ“ თავისი საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებად აქცია დოკუმენტებით არქივის დაკომპლექტება, დაცვისა და გამოყენების ორგანიზაცია, სამეცნიერო და მეთოდური საქმიანობის გააქტიურება, სამამულო და უცხოეთის არქივების გამოცდილებათა გაზიარება და დაწერვა (ასსცსა, ფ. 1041, ან. 1, საქმე 1512, ფურც. 2,3).

1991 წლისათვის სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“ სტრუქტურული თვალსაზრისით შედგებოდა შემდეგი ქვედანაყოფებისაგან:

1. სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“-ს თავმჯდომარე;

2. დაგეგმარებისა და ორგანიზაციულ-მეთოდური განყოფილება;
3. მთავარი სპეციალისტი;
4. პირველი კატეგორიის სპეციალისტი;
5. მეორე კატეგორიის სპეციალისტი.

ცენტრალური სახელმწიფო არქივი აერთიენებდა:

1. არქივის დირექტორი;
2. ფონდების მთავარი მცველი;
3. მთავარი არქივისტი;
4. პირველი კატეგორიის არქივისტები;
5. ფონდების უფროსი მცველები.

რაიონული არქივები წარმოდგენილი იყო ორ-ორი თანამშრომლით:

1. დირექტორი;
2. ფონდების მცველი (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 1525, ფურც. 9).

აჭარის არ სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთანება „მემატიანე“-ს 1991 წლის 21 აგვისტოს ბრძანებით ძალადაკარგულად ჩაითვალა აჭარის არ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს 1985 წლის 20 იანვრის N 2 ა ბრძანება (აჭარის არ მინისტრთა საბჭოს 1985 წ. 15 იანვრის 12 დადგენილების შესაბამისად) „აჭარის არ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს კოლეგიის შექმნის შესახებ“ და „სამეცნიერო, მეთოდური, საწარმოო და არქივების მუშაობის სხვადასხვა უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაწყვეტად“ სახელმწიფო სამეცნიერო საწარმოო გაერთანება „მემატიანესთან“ შეიქმნა 15 კაციანი საბჭო (ასსცსა, ფონდი რ- 1041, ან 1, საქმე 1529, ფურც. 19).

საარქივო დაწესებულებამ 1992 წელს ბინა დაიღო ახალ შენობაში. სარდაფში განთავსებული სხვადასხვადასხვა ნაღვარ-მოწყობილობების მოვლა-პატრონობისა და ექ-

სპლოატაციის, სანტექნიკური და ელექტროგაყვანილობის მოწესრიგებისა და შენობის ტექნიკური მომსახურების მიზნით აუცილებელი გახდა სამეურნეო სამსახურის ფორმირება. აჭარის არ სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“-ს 1993 წ. 1 მარტის N 6 ბრძანებით შეიქმნა „მემატიანე“-სა და ცენტრალური სახელმწიფო არქივის ერთიანი სამეურნეო სამსახური (ას-სცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 795).

ახალ შენობაში გადასვლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა არქივისტთა სამუშაო პირობები. შესაბამისად, გააქტიურდა საარქივო საქმიანობაც. უხელფასობის, უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციისა და მწვევე სოციალური ფონის მიუხედავად არქივისტებმა მოახერხეს საარქივო დოკუმენტების შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფა, არქივსაცავების ახალ-ახალი დოკუმენტური მასალებით გამდიდრება.



არქივსაცავი - ნანა კუჭაშვილი, ლიანა ვანიძე 1993 წ.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო **სხვადასხვა ორგანიზაციებში საქმის წარმოების შესწავლას**. სისტემატურად იხილებოდა სახელმწიფო და საუწყებო არქივებში

სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცულობის საზოგადოებრივი დათვალიერების შედეგები (მაგ. 1991 წ. 25 ოქტომბერი) (ასსცსა, ფ. 1041, ს. 1559, ფურც. 1). სპეციალური სხდომები მიეძღვნა კომისიის მუშაობის შედეგების განხილვას და საარქივო საქმის მდგომარეობას, დოკუმენტების დაცვისა და საქმისწარმოების საკითხებს - იუსტიციის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ უწყებებში (1993 წლის 30 აპრილი), მრეწველობის სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებულ უწყებებში (1993 წ. 26 მარტი), (ფ. რ-89, საქმე - 794, ფურც 25. 32), აჭარის არ არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსა და მის საქვეუწყებო დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში (ასსცსა, ფონდი რ- 1041, ან 1, საქმე 1514, ფურც. 21). გაზეთების: „აჭარისა“ და „აღუარისა“ რედაქციებში (1999 წ. 24 სექტემბერი) და ა. შ.

საკადრო საკითხი ყოველთვის იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა როგორც საბჭოთა პერიოდში, ისე დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის პირობებში. არქივის დაარსების პირველ ათწლეულებში საკადრო საკითხებთან დაკავშირებული დონისძიებების ამსახველი მასალა არ შემონახულა. ეს არცაა გასაკვირი. არქივის დაარსების მიუხედავად დიდხანს ვერ გადაიჭრა საარქივო დოკუმენტების განთავსების პრობლემაც კი. ომისა და ომისშემდგომი პერიოდის პირველ წლებში ქვეყანას უფრო მნიშვნელოვანი პრობლემები ჰქონდა მოსაგვარებელი, თუმცა დროდადრო მაინც განიხილებოდა ახალგაზრდობის პროფესიული დაოსტატების საკითხები, ტარდებოდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი სემინარები, რომელთა თემატიკა შეტანილი იყო იყო წლიურ და პერსპექტიულ სამუშაო გეგმებში (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871, ფურც. 299-300). აღნიშნული მიმართულებით მუშაობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1990-იანი წლებიდან.

კადრებთან მუშაობის ფორმების და მეთოდების შემდგომი დახვეწის, ახალგაზრდა არქივისტთა პროფესიული აღზრდა-დაოსტატებისა და კვალიფიკაციის ამაღლების, ღვაწლმოსილ არქივისტთა ხსოვნის უკვდავოფის, ვეტერან არქივისტთა ამაგის დაფასებისა და მათი გამოცდილების გაზიარების ღონისძიებათა განსახორციელებლად, სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“-ს საბჭოს 1993 წ. 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით გაერთიანება „მემატიანესთან“ შეიქმნა **„ვეტერან არქივისტთა საკონსულტაციო სამუშაო ჯგუფი“** გამოცდილი არქივისტის **ლილი ოთიაშვილის ხელმძღვანელობით** (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე - 794, ფურც 88).

კადრების შერჩევისა და განაწილების, კვალიფიკაციის ღონის შემოწმების, საარქივო საქმის განვითარების საქმეში თითოეული არქივისტის პირადი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით „აჭარის არ სახელმწიფო სამეცნიერო - საწარმოო გაერთიანება „მემატიანეს“ საბჭომ 1994 წ. 25 მაისის N 25 გადაწყვეტილების საფუძველზე გამოსცა სპეციალური ბრძანება საარქივო დაწესებულების მუშაკთა ატესტაციის ჩატარების შესახებ (1995 აპრილ-მაისში). შეიქმნა საატესტაციო კომისია შალვა აბაშიძის, **ლილი ოთიაშვილის**, სერგო ტაბაღუას, ვლადიმერ მკერვალიშვილის და ეთერ გოგიშვილის შემადგენლობით (ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1, საქმე 1761 ფურც. 8, 9). არქივისტებმა ატესტირებისას გამოავლინეს საარქივო საქმის შესანიშნავი ცოდნა და შესაშური უნარ-ჩვევები.

პროფესიული დაოსტატების და საქმიანი კვალიფიკაციის ასამაღლებლად **ტარდებოდა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები**, რომლებიც შეტანილი იყო შესაბამისი წლის სამუშაო გეგმებში (ასსცსა, ფ. რ-89, საქმე 359ა. ფურც 1,2,3.). აჭარის საარქივო დეპარტამენტის კოლეგიის 1996 წ. 28 თებერვლის სხდომის გადაწყვეტილების შესაბამისად ტარდებოდა მუდმივმოქმედი სემინარები,

განიხილებოდა და მტკიცდებოდა სემინარის გეგმები (ას-სცსა, ფონდი რ- 1041, ან 1, საქმე 1773. ფურც. 1). მუდმივ-მოქმედ სემინარზე წარმოდგენილი იყო ისეთი საკითხები, როგორცაა: „ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონი, ეროვნული საარქივო ფონდის და-კომპლექტება, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შენახვა, დამუშავება და აღრიცხვა, მშრომელთა სა-ჩივრების, წერილების, განცხადებების მიღება, რეგისტრაცია, განხილვა, კონტროლი შესრულებაზე და ა. შ. (ას-სცსა, ფონდი რ- 1041, ან 1, საქმე 1773. ფურც. 4,5,6).

კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა **საორგანიზაციო და სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის საკითხებს**. იგი სისტე-მატურად განიხილებოდა სხდომებზე. აღნიშნული საჭი-როებიდან გამომდინარე, ადგილობრივი მთავრობის 1998 წლის 27 მაისის N 100 დადგენილების საფუძველზე, სა-არქივო დეპარტამენტის 1999 წ. 1 იანვრის N 3 ბრძანებით ჩამოყალიბდა აჭარის არ **საარქივო დეპარტამენტის სა-ორგანიზაციო, სამეცნიერო-მეთოდური და კადრებთან მუშაობის განყოფილება**, ხოლო 1999 წ. 12 იანვრის მე-2 ბრძანებით საარქივო დეპარტამენტის საორგანიზაციო, სამეცნიერო-მეთოდურ და კადრებთან მუშაობის განყოფი-ლების მეთოდკუთხის ბაზაზე შეიქმნა **დეპარტამენტის საცნობარო-საინფორმაციო ფონდი** (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871 ფურც. 8). განსაზღვრული იყო **ტელეოპერატორის და პირველი კატეგორიის ფოტოგრაფის საშტატო ერთეუ-ლები** (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1, საქმე 1883, ფურც. 40).

საარქივო დაწესებულების ახალ შენობაში გადას-ვლის დროისათვის აჭარაში იყო 5 სახელმწიფო და 526 საუწყებო არქივი, სადაც ინახებოდა 250 ათასი მმართვე-ლობითი, 1500-მდე ხელნაწერი, 2500 ფოტო, 15 ათასი ტექ-ნიკური დოკუმენტი (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე - 794, ფურც 19).

**§2. აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი.
დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების
რესპუბლიკური ლაბორატორია**

1990-იანი წლების შუახანებში აჭარის საარქივო დაწესებულებამ კვლავ განიცადა სტრუქტურული რეორგანიზაცია. აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1995 წლის 7 სექტემბრის ბრძანებულებით **შეიქმნა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტი**, ხოლო 1996 წლის 23 იანვარის ბრძანებულებით იგი **გარდაიქმნა სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტად** (ასსცსა, ფონდი რ- 1041, ან 1, საქმე 1742. ფურც. 3). 1996 წ. 2 აპრილის N 33 დადგენილებით დაბტკიცდა აჭარის არ სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის კოლეგია შალვა აბაშიძის (დეპარტამენტის თავმჯდომარე), ლილი ოთიაშვილის (თავმჯდომარის მოადგილე), სერგო ტაბაღუას (ცსა-ის დირექტორი), ვლადიმერ მკერვალიშვილის, ავთანდილ ლეონიძის, ჯამილა მამუჭაძის, მანანა მიქელაძის შემადგენლობით (ასსცსა, ფონდი რ- 1041, ან 1, საქმე 1742. ფურც. 18-19).

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საუწყებო დაწესებულებების აღდგენა-შექმნასთან დაკავშირებით მიღებული სამთავრობო გადაწყვეტილება. საარქივო დარგის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. 18 აგვისტოს N 382 განკარგულების საფუძველზე აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1998 წ. 22 იანვრის სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება. მასში პირდაპირ ჩაიწერა უმთავრესი მოთხოვნა: „1998 წლიდან **აღადგინონ, ხოლო სადაც არ იყო შექმნილი - შექმნან გაერთიანებული საუწყებო არქივები სათანადო შტატითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით**“ (ასსცსა, ფონდი რ- 1041, ან 1, საქმე 1883, ფურც. 85).

განხორციელებული რეორგანიზაციის შედეგად, 1998 წლისათვის აჭარის საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტში გაჩნდა შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. დეპარტამენტის თავმჯდომარე;
2. საორგანიზაციო, სამეცნიერო-მეთოდოლოგიური და კადრებთან მუშაობის განყოფილება;
3. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება.

1998 წლის თებერვალში „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილებას“ გადაერქვა სახელი და ეწოდა: ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის განყოფილება (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1. საქმე 1826. ფურც. 45).

ამავე დადგენილებით შეიქმნა აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილება. გამგის ხელფასი განისაზღვრა 116 ლარით (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1. საქმე 1826. ფურც. 196.. ასევე, ფ. 1041, ან.1, ს. 1871, ფურც. 6)



თამრიკო შეყილაძე, ფონდების უფროსი მცველი

საკუთრივ საარქივო დეპარტამენტი წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრუქტურული ერთეულებით:

1. საქმისწარმოების, საუწყებო არქივებისა და ეროვნული საარქივო ფონდის დაკომპლექტების განყოფილება;
2. საფინანსო განყოფილება;
3. მთავარი სპეციალისტი;
4. წამყვანი სპეციალისტი;
5. მძღოლი;
6. დამლაგებელი (სულ 11 საშტატო ერთეული) (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1. საქმე 1826, ფურც. 12).

აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი-სადმი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებად რჩებოდა აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი და რაიონული (ქობულეთის, შუახევის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს) არქივები.



ელგუჯა ჩავანავა, სერგო ტაბაღუა, ნატო ნადარეიშვილი, ციური ქათამაძე, თალიკო შეყილაძე (1997 წელი)

აჭარის არ მინისტრთა საბჭოს 1998 წ. 16 სექტემბრის N 186 დადგენილებით აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის

განყოფილება გარდაიქმნა აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის **დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკურ ლაბორატორიად**. ლაბორატორიაში დასაქმებულ პირთა რაოდენობა განისაზღვრა 14 საშტატო ერთეულით:

1. დირექტორი;
2. მოადგილე;
3. ინჟინერი;
4. მიკროფილმირების ჯგუფი: ოპერატორი, ლაბორანტი;
5. რესტავრაციის ჯგუფი: რესტავრატორი, ლაბორანტი;
6. მკინძავთა ჯგუფი: მუშა-ტექნიკოსი, მდივან მემანქანე;
7. დამლაგებელი (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1, საქმე 1871, ფურც. 1,2).

ლაბორატორიის ჩამოყალიბებისთანავე საარქივო დეპარტამენტმა დაიწყო აქტიური მუშაობა ლაბორატორიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის. საარქივო მასალების მიხედვით, ლაბორატორია უნდა მოეწყოთ მსოფლიო სტანდარტების დონეზე. ლაბორატორიისათვის შეუძენიათ კიდევ ტექსტების აღმდგენი აპარატი, ორი კომპიუტერი, გასამრავლებელი აპარატი, ვიდეო, ტელე და ფოტოაპარატურა (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1, საქმე 1883, ფურც. 56). ცენტრალური არქივის გათბობის სისტემის მოწყობისათვის 1998 წელს 35 ათასი ლარი გაიხარჯა. ამ დოკუმენტის მიხედვით, აჭარის არქივი იმუშავდეს იყო ერთადერთი საარქივო დაწესებულება, სადაც გამართულად მუშაობდა ვენტილაციის სისტემა და დაცული იყო დოკუმენტების დაცვის ტემპერატურული რეჟიმი (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1, საქმე 1883, ფურც. 56). ვფიქრობთ, რომ ამ დოკუმენტში გაზვიადებულია ინფორმაცია დოკუმენტების დაცვა-შენახვის სისტემის გამართული მუშაობის შესახებ, რადგან იგი კვლავაც რჩებოდა ერთ-ერთი მოუგვარებელი პრობლემად მომდევნო წლების განმავლობაში. ეს საკითხი დღესაც გადაუდებელ გადაწყვეტას მოითხოვს.

ლაბორატორიის შექმნისთანავე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო არქივისტების შრომის პირობების დაცვას და ჯამრთელობისათვის მავნე პირობების შესაბამისად მათთვის გარკვეული შეღავათების დაწესებას. აჭარის არ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სანიტარული ზედამხედველობის დეპარტამენტის თავმჯდომარის თ. ამალალობელისადმი გაგზავნილ წერილში დეპარტამენტის თავმჯდომარე შ. აბაშიძე და პროფკავშირის თავმჯდომარე გ. პატარიძე ითხოვენ დასკვნას, რათა ჯამრთელობისათვის მავნე სამუშაოზე დასაქმებულებს დაუწესდეთ შეღავათები კანონმდებლობის ფარგლებში. წერილში ვკითხულობთ: „1999 წ. 1 იანვრიდან ფუნქციონირება დაიწყო აჭარის არ დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკურმა ლაბორატორიამ. ლაბორატორიაში დოკუმენტების ჰიგიენური დასუფთავება ხდება ქიმიური ნივთიერებების გამოყენებით. არქივსაცავის შესასვლელში კეთდება დეზობარიერი, რომელიც გაჟღენთილია ფორმალინის ხსნარით. ხშირ შემთხვევაში საქმეებს უკეთდება დეზინფექცია.

სარესტავრაციო და საამკინძაო სამუშაოების წარმოების პროცესში გამოიყენება ისეთი ქიმიური ნივთიერებები, როგორცაა: ფორმალინი, სკიპიტარი და სხვა ანტისეპტიკები. ასეთი სახის სამუშაოებზე დასაქმებული პირები არ სარგებლობენ არავითარი შეღავათებით...“ სწორედ ამის გამო ითხოვენ დასკვნას ზემოთდასახელებული უწყებისაგან შრომის მავნე პირობებიან სამუშაოზე დასაქმებული არქივისტებისათვის შეღავათების დაწესების მიზნით (ასსცსა, ფონდი 1041, ან.1, საქმე 1883, ფურც. 118).

ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მომხდარმა ცვლილებებმა, საარქივო ფონდების რაოდენობრივმა ზრამ დღის წესრიგში დააყენა არქივის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მესამე ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადაყვანის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით დეპარტამენტის თავმჯდომარის 1997 წლის 7 იანვრის ბრძანების

პრეამბულაში აღნიშნულია: „არქივში დაცული დოკუმენტები 224837 შესანახი ერთეულიდან გაიზარდა 502689 შესანახ ერთეულამდე. შეიქმნა პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების განყოფილება, საგრძობლად გაიზარდა პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებული დაცვისა და გამოყენების საქმიანობა“. სწორედ ამიტომ დადგა დღის წესრიგში ცენტრალური სახელმწიფო არქივისათვის მეორე კატეგორიის არქივის სტატუსის მინიჭების საკითხი. საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარის მიერ აჭარის არ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისადმი გაგზავნილ მოხსენებით ბარათში დასაბუთებულია აღნიშნული საკითხის გადაჭრის აუცილებლობა. მოხსენებითი ბარათის მიხედვით „ცენტრალურ სახელმწიფო არქივში საქმეთა ერთეულების ნახევარ მილიონზე მეტი რაოდენობით დაგროვებამ შეგვიქმნა საფუძველი საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის წინაშე დაგვესვა საკითხი არქივისათვის მეორე კატეგორიის სტატუსის შესახებ“ (ასსცსა, ფ. 1041, ან. 1, საქმე 1883, ფურც. 62, 63). აღნიშნული საკითხი საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დადებითად იქნა გადაწყვეტილი, რამაც განაპირობა ცვლილებების შეტანა სტრუქტურასა და საშტატო განრიგში.

აჭარის სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის კოლექციის 1997 წლის 30 მაისის გადაწყვეტილებით **აჭარის არ ცენტრალური სახელმწიფო არქივი გადაყვანილი იქნა მეორე კატეგორიაზე**. იმავე გადაწყვეტილებით დამტკიცდა ცენტრალური სახელმწიფო არქივის სტრუქტურა:

1. აჭარის ცსა-ს მართვის აპარატი;
2. დაგეგმარებისა და საორგანიზაციო-მეთოდური მუშაობის განყოფილება;
3. ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის უზრუნველყოფის, სახელმწიფო აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატის განყოფილება;

4. დაკომპლექტებისა და საუწყებო არქივებთან მუშაობის გამყოფილება;
5. დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილება;
6. პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციის საარქივო დოკუმენტების განყოფილება;
7. დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის ლაბორატორია;
8. პირადი შემადგენლობის დოკუმენტების ცენტრალიზებული დაცვის და გამოყენების განყოფილება;
9. საარქივო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილება (ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 849, ფურც. 45,46).

სტრუქტურული ცვლილებები ამ ღონისძიებებით არ დამთავრებულა. აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1999 წ. 27 მაისის N 106 და მინისტრთა საბჭოს 2001 წლის 23 ივლისის N 70 დადგენილებით შეიქმნა აჭარის **კონოფოტოლოგური დოკუმენტების სახელმწიფო არქივი** (ფურც. 2), ხოლო 2002 წლის 4 იანვრის N 1 დადგენილებით დეპარტამენტის დაქვემდებარებაში შეიქმნა **კინოვიდეოფოტოფონო დოკუმენტების არქივი** (ასსცსა, ფ. 1041, საქმე 1976, ფურც.56). ცვლილებები შეესო სამეურნეო სფეროსაც. 2002 წლის 1 თებერვლიდან არსებული საშტატო თანამდებობების ბაზაზე შეიქმნა **ერთიანი სამეურნეო სამსახური** (ასსცსა, ფ. 1041, ან. 1, საქმე 1976, ფურც.56)

ასე, რომ 2002 წლისათვის საარქივო დეპარტამენტის უშუალო დაქვემდებარებაში იყო:

1. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი;
2. კინოვიდეოფოტოფონო დოკუმენტების არქივი;
3. დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორია;
4. უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუ-

შავების სამსახური;

5. ერთიანი სამეურნეო სამსახური;

6. რაიონული არქივები (ასსცსა, ფ. 1041, ან. 1,საქმე 1976, ფურც.57).

აჭარის ფინანსთა სამინისტროს 2002 წლის 9 ივლისის წერილის საფუძველზე კვლავ შევიდა ცვლილება საარქივო დეპარტამენტის სტრუქტურაში და „ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციისა და საერთაშორისო ურთიერთობათა განყოფილების“ უფროსი სპეციალისტის თანამდებობას ეწოდა „**საუწყებო არქივის გამგე**“ (ასსცსა, ფ. 1041, საქმე 1976, ფურც.71).

დაუსრულებელი რეორგანიზაციებისა და სტრუქტურული ცვლილებების მიუხედავად არქივისტები წარმატებით ართმევდნენ თავს მათზე დაკისრებულ მოვალეობას. აქტიური მუშაობა დაიწყო განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოვლენის, აღრიცხვისა და სადაზღვევო ფონდის შესაქმნელად. გააქტიურდა დოკუმენტების სარესტავრაციო და პროფილაქტიკური დამუშავების სამუშაოები. სისტემატურად ხორციელდებოდა დოკუმენტების პუბლიკაციისა და მეგზურ-ცნობარის მომზადება, რაც ხელს უწყობდა არქივში დაცული დოკუმენტების სამეცნიერო ბრუნვაში მიმოქცევას. შესაბამისად, არქივის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების მესამე ჯგუფიდან მეორე ჯგუფში გადაყვანისათვის არსებობდა ყველა წინაპირობა, რამაც უზრუნველყო საკითხის დადებითად გადაწყვეტა (ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 848, ფურც. 1,2,3,4).

საარქივო საქმიანობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფა. ეს საკითხები არქივის დაარსების დროიდან იყო არქივისტების ზრუნვის საგანი. შესაბამისად ყოველწლიურად ხდებოდა ამ საკითხების წინა პლანზე წამოწევა. მთავრობის 1998 წლის 27 მაისის N 100 დადგენილების საფუძველზე შეიქმნა „**ეროვნული საარქივო ფონდის დო-**

კუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციისა და საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილება. 1999 წ. 15 იანვრის 3 ბრძანებით დამტკიცდა ამ განყოფილების დებულება (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871, ფურც. 82). ამავე დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბდა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის საქმის წარმოების, საუწყებო არქივებისა და ეროვნული საარქივო ფონდის დაკომპლექტების ორგანიზაციის განყოფილება (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871, ფურც. 89).

არქივის თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად 2000 წლის ბოლოსათვის ერთ ცენტრალურ და 5 რაიონულ არქივში დოკუმენტების რაოდენობა გაიზარდა 554 069 შესანახ ერთეულამდე. სახელმწიფო შენახვაზე იყო 12588 ფოტოდოკუმენტი, 11444 კინოფირი და 7880 სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტი (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 1976, ან. ფ. 44).

§3 აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება -საარქივო სამმართველო

XXI საუკუნის დასაწყისი აჭარის საარქივო დაწესებულებაში აღინიშნა მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებით. აჭარის არ 2004 წ. 17 აგვისტოს N 18 დადგენილებით საარქივო დეპარტამენტს შეეცვალა სახელი და ეწოდა „აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო“. საჯარო მოხელეთა რაოდენობა განისაზღვრა 102 საშტატო ერთეულით, მათ შორის ცენტრალური აპარატის საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა 74 ს/ერთეულით (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 10. ან 1, ფურც. 1). შესაბამისად, ძალადაკარგულად ჩაითვა 2004 წლის 16 ივნისის N 53 დადგენილება „აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფლებამოსილების განსაზ-

ღვრისა და სამმართველოს საქმიანობის დროებითი დებულებების დამტკიცების შესახებ“ (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 10. ან 1, ფურც. 1).

მოგვიანებით, ადგილობრივი მთავრობის 2005 წლის 29 ნოემბრის N 113 დადგენილებით საარქივო სამმართველოში კვლავ განხორციელდა რეორგანიზაცია და ჩამოყალიბდა შემდეგი სტრუქტურის სახით:

1. სამმართველოს უფროსი;
2. სამმართველოს სისტემა, რომელიც აერთიანებდა:
 - ა. სამმართველოს ცენტრალური აპარატს;
 - ბ. სამმართველოს ტერიტორიული ორგანოებს.

სამმართველოს ცენტრალური აპარატი წარმოდგენილი იყო შემდეგი სტრუქტურული ერთეულებით:

1. სამმართველოს აპარატის უფროსი;
2. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი;
3. დოკუმენტების დამუშავებისა და საუწყებო არქივებთან ურთიერთობის სამსახური;
4. საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშსწორების სამსახური;
5. მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახური.

სამმართველოს ტერიტორიული ორგანოები აერთიანებდა: ქობულეთის, ქედის, ხელვაჩაურის, შუახევის და ხულოს რაიონულ სახელმწიფო არქივებს (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 10. ან 1, ფურც. 4).

ადგილობრივი მთავრობის 2008 წლის 6 მარტის დადგენილებით სამმართველოს სტრუქტურაში შევიდა ცვლილებები, რომლის მიხედვით სამმართველოს სისტემამ თავის თავში გააერთიანა **სამმართველოს სტრუქტურული ერთეულები და სამმართველოს ტერიტორიული ორგანოები.**

სამმართველოს სტრუქტურული ერთეულები აერთიანებდა შემდეგ ქვედანაყოფებს:

1. სამმართველოს ადმინისტრაცია;

2. საქმისწარმოების სამსახური;
3. ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 46, ან 1, ფურც. 3).

ამავე გადაწყვეტილებით, სამმართველოს საშტატო განრიგს დაემატა ჯერ ორი, ცოტა მოგვიანებით კი 3 მოადგილის თანამდებობა.

სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდა 2010 წელსაც. აჭარის არ მთავრობის 2010 წლის 17 ივნისის N 22 დადგენილებით საარქივო სამმართველოს საჯარო მოსამსახურეთა რაოდენობა განისაზღვრა 75 საშტატო ერთეულით. აღნიშნული დადგენილების მიხედვით შეიქმნა ახალი სტრუქტურული ერთეულებიც. 2010 წლის რეორგანიზაციის შედეგად საარქივო სამმართველოს სტრუქტურა შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

- ა. სამმართველოს უფროსი;
- ბ. სამმართველოს უფროსის მოადგილეები (ორი, მოგვიანებით სამი მოადგილე);
- გ. სამმართველოს ცენტრალური აპარატი:
 1. კანცელარია;
 2. საფინანსო-ეკონომიკური და სამეურნეო განყოფილება;
 3. იურიდიული და საკადრო საქმეთა განყოფილება;
 4. ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის და დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება;
 5. საზოგადოებასთან, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება;
 6. მიკროფილმირების და რესტავრაციის განყოფილება;
 7. ცენტრალური არქივის სამსახური;
 8. დაცვის, აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება;

9. პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილება.

ადგილობრივი ხელისუფლების 2012 წ. 10 აპრილის გადაწყვეტილებით კვლავ შევიდა ცვლილებები ზემოთდასახელებულ დადგენილებაში, რომლის მიხედვით „საზოგადოებასთან, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილებისა“ და „პუბლიკაციისა და გამოყენების განყოფილების გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბდა „საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილება“. საფინანსო-ეკონომიკური და სამეურნეო განყოფილების ბაზაზე ჩამოყალიბდა „საფინანსო-საბუღალტრო“ და „სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილებები“. ცალკე სტრუქტურული ერთეულების სახით წარმოდგა „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილება,, და „ეროვნული საარქივო ფონდის აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება“. აღნიშნული დადგენილების საფუძველზე ჩამოყალიბდა ახალი - „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება“.

დაუსრულებელი სტრუქტურული ცვლილებები და რეორგანიზაციები ქმნიდა ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, ამკვიდრებდა არასტაბილურობის განცდას, რაც უარყოფითად მოქმედებდა საარქივო დარგის განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, სამმართველოს არ შეუჩერებია მუშაობა საარქივო საქმის მართვის, საქმისწარმოების სრულყოფის და საარქივო დარგის განვითარებისათვის. ყოველწლიურად იზრდება საქმეთა ყდაში ჩასმა-ჩაკერების, მარტივი რესტავრაციის, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტის გამოვლენის, დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების, დოკუმენტების საინფორმაციო საძიებო სისტემის შექმნის, დოკუმენტების ანაწერების გადამუშავების, მიზნობრივი ექსპერტიზის, მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავების, დოკუმენტების გამოყენების, დიგიტა-

ლიზაციისა და სხვა სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები. 2015 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, ფონდების საქმეთა დიგიტალიზაციისათვის მომზადების აუცილებლობიდან გამომდინარე, მარტივი რესტავრაცია ჩაუტარდა 11921 ფურცელს (ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 7494 ფურცლისა, აიკინბა და ყდაში ჩაისვა 4672 ს/ე.

საარქივო სამმართველოში შემოვიდა ახალი ფონდებიც. 2011 წლის 6 იანვარს ფონდსაცავებს შეემატა ცნობილი ფოლკლორისტის **ჯემალ ნოღაიდელის პირადი ფონდი**. აღნიშნულთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას ესწრებოდნენ მეცნიერის შთამომავლები: პროფ. ნანული ნოღაიდელი და პროფ. თამილა ლომთათიძე.

საარქივო ფონდების გამრავალფეროვნებისა და გაზიარების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი იყო 2010 წლის პირველი ნახევარი, როცა საარქივო სამმართველოს XVIII ს. მეორე ნახევრის უმნიშვნელოვანესი ხელნაწერი შეემატა. პროფ. რამაზ სურმანიძემ მის მიერ მიერ შუახევის რაიონის სოფელ ჭალაში, გულაფერ ჭალაღიძის ოჯახში **1987 წელს აღმოჩენილი ქართული კარაბადინის აჭარული ვარიანტის „ფემბასეული ნუსხა“** უსასყიდლოდ გადასცა ცენტრალურ სახელმწიფო არქივს. აღნიშნული ხელნაწერი ყველაზე ძველია აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული წერილობით დოკუმენტებს (ორიგინალებს) შორის.

საარქივო სამმართველოს პრიორიტეტულ მიმართულებად კვლავაც რჩებოდა არქივისტების პროფესიული კვალიფიკაციის ასამაღლებელი ღონისძიებები. ამ მიზნით, 2013 წ. ზაფხულში სოფიის (ბუღგარეთი) არქივში სტაჟირებაზე გაიგზავნა არქივისტი თამაზ ფუტკარაძე.



**თამაზ ფუტყარაძე სტაჟირებისას სოფიის არქივის
ლაბორატორიის თანამშრომლებთან ერთად**

ამავე მიზანს ემსახურება არქივისტების რამდენიმე დღიანი მივლინებები საქართველოს ეროვნულ არქივში, ასევე ეროვნული არქივის თანამშრომლების მიერ აჭარის საარქივო სამმართველოში ჩატარებული საარქივო კურსები. 2014 წლის 7-11 ივლისს საქართველოს ეროვნული არქივის თანამშრომლებმა: ეროვნული საარქივო ფონდის ფორმირებისა და საქმისწარმოების განყოფილების უფროსმა დალი ეჯიბიამ და ამავე განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა თინათინ ნერგაძემ აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს თანამშრომლებისათვის გეგმა-გრაფიკის შესაბამისად ჩაატარეს საარქივო საქმის სალექციო კურსი (ტრენინგი), რომლის დასრულების შემდეგ მონაწილეებს გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

სამწუხაროდ, 21-ე საუკუნის დასაწყისში არამდგრადი სოციალურ-პოლიტიკური სიტუაციის პირობებში გასაქანი მიეცა სუბიექტური ვნებების აღორძინებას, რასაც არაერთი პროფესიონალი არქივისტის გათავისუფლება მოყვა შედეგად.

საარქივო სამმართველოს ისტორიისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო **ლოგოს შემუშავება და დამტკიცება**. საარქივო სამმართველოს უფროსის 2014 წლის 31 იანვრის №10 ბრძანებით დამტკიცდა **გიორგი გოგიბერიძის** მიერ შესრულებული ლოგო - ვერძისგამოსახულებიანი გეომეტრიული ფიგურა - ოქროს საწმისისა და ოქროს მოპოვების წესის სიმბოლო.



მთლიანობაში ლოგო აღიქმება, როგორც მზე და ზღვის ტალღები - (აჭარის და ზოგადად დასავლეთ საქართველოს სიმბოლო) და წარმოადგენს ძველისა და ახლის, აბსტრაქტულისა და რეალურის, მითოსისა და სიმანდილის სინთეზს. გეომეტრიული ფიგურის ქვემოთ ამოტვიფრულია წარწერა „აჭარის საარქივო სამმართველო“. ლოგო გადაწყვეტილია მუქ, ოქროსფერ და ლურჯ ფერებში.

ქვეყანაში მიმდინარე არასტაბილურმა პოლიტიკურმა სიტუაციამ ასახვა კპოვა საარქივო სამმართველოს საქმიანობაშიც. 2002 - 2014 წლებში 10-ჯერ შეიცვალა სამმართველოს უფროსი. ასეთ ცვლილებებს თითქმის ყოველწლიურად ჰქონდა ადგილი ბოლო 6 წლის განმავლობაში (2008 წლიდან დღემდე), რაც უარყოფით გავლენას ახდენდა დარგის შემდგომ განვითარებაზე. აღ-

ნიშნულ პერიოდში საარქივო დაწესებულებას სათავეში ედგნენ: შალვა აბაშიძე (1989-2002 წწ.), ნუგზარ ზოსიძე (2002-2003 წწ.), მარიკა ჭელიძე (2003-2004 წწ.), იმედა ხაჯიშვილი (2004-2008 წწ.), ტარიელ აბულაძე (2008-2010 წწ.), კახაბერ სურგულაძე (2010-2011 წწ.), თენგიზ ცინცქილაძე (2011-2012 წწ.), გურამ სალაძე (2012-2014 წწ.), თენგიზ ცინცქილაძე (2014). ამჟამად, საარქივო სამმართველოს ხელმძღვანელობს მაია ივანიშვილი (მოადგილეები: თენგიზ ცინცქილაძე, თენგიზ სალუქვაძე, ჯაბა ბერიძე; აპარატის უფროსი ელგუჯა ჩაგანავა; თანაშემწე (აუდიტი)- ზურაბ დარჩიძე).



ცენტრში: მაია ივანიშვილი (საარქივო სამმართველოს უფროსი); თენგიზ სალუქვაძე, ელგუჯა ჩაგანავა, ელგუჯა გოგიბერიძე, თამაზ ფურტკარაძე, ზურაბ დარჩიძე, ჯაბა ბერიძე, თენგიზ ცინცქილაძე.

ამავე პერიოდში ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ხელმძღვანელობდნენ: სერგო ტაბაღუა (1985-1997), მარიკა ჭელიძე (1997-2004), ხათუნა შერვაშიძე (2004-2013). ამჟამად ცენტრალური არქივის სამსახურს სათავეში უდგას ელგუჯა გოგიბერიძე.

დღეისათვის, აჭარის საარქივო სამმართველო უმნიშვნელოვანესი დოკუმენტაცია და სამეცნიერო დაწესებულებაა საქართველოში, სადაც დაცულია დაცულია ნახევარ მილიონზე მეტი დოკუმენტი. 2015 წლის 1 იანვრის მდგომარეობით საარქივო სამმართველოს, ცენტრალურ და ტერიტორიულ არქივებში დაცულია შემდეგი რაოდენობის ფონდები და საქმეთა ერთეულები:

ფონდებისა და საქმეთა ერთეულების რაოდენობა აჭარის არ საარქივო სამმართველოში (რაიონული არქივების ჩათვლით) 2015 წ. 1 იანვრის მდგომარეობით: (ნაერთი)

მარჩინაპალი	საულ შეს. პროც.	მათ შორის								პირაპირ შეხარბუნება
		მხარეთმ ლოგიითი შეს. პროც.	პირაპირ წარმოქმ ბის შეს. პროც.	სამხმთმ რთ. ტაქსიკარ ო შეს. პროც.	ძიებო		ფოტო შეს. პროც.	ფონო		
					შეს. პროც.	საარბო თხ. პროც.		შეს. პროც.	საარბო თხ. პროც.	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
დოკუმენტების რაოდენობა	670 222	626 668	2 826	18 279	9 171	2 075	6589	6689	5 707	237 509
ფონდების რაოდენობა	2 356	2 300	53	3	---	---	---	---		1 327

საკუთრივ, ცენტრალურ სახელმწიფო არქივში აღნიშნული მონაცემები ცხრილის სახით შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
დოკუმენტების რაოდენობა	566 529	528 699	2 576	14 616	9 171	2 075	4 778	6 689	5 707	81 884
ფონდების რაოდენობა	1 675	1 634	38	3	---	---	---	---	---	475
გ/ღირებული	19 536	18 649	278	---	12	---	597	---	---	---

საარქივო საქმის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის საქმეს ემსახურება სამმართველოს აპარატის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები:

1. ცენტრალური აპარატი (უფროსი - ელგუჯა ჩაგანავა,

თანამშრომლები - ეთერი მიქელაძე, მარინა კუცია, თენგიზ ირემაძე);



ცენტრში: ელგუჯა ჩაგანავა, თენგიზ ირემაძე, ეთერი მიქელაძე, მარინა კუცია.

2. საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილება (განყოფილების უფროსი - თამაზ ფუტკარაძე; თანამშრომლები - ფრიდონ ქარდავა, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე, ციცი ცინცაძე, ნატო ქიქავა);

ეს განყოფილება ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა სტრუქტურული ერთეულია საარქივო სამმართველოში. იგი ჩამოყალიბდა მთავრობის 2010 წელს 17 ივნისის დადგენილების საფუძველზე და ეწოდა „საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება“, ხოლო მთავრობის 2012 წ. 10 აპრილის დადგენილებით „პუბლიკაციისა და დოკუმენტების გამოყენების განყოფილებასთან“ (რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სახით არსებობდა 1990-იანი წლებიდან) გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა „საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების პუბლიკაციის და გამოყენების

განყოფილება“. უნდა ითქვას, რომ საერთაშორისო ურთიერთობების დამყარებას ადრეც ექცეოდა გარკვეული მნიშვნელობა, რაც დასტურდება საისტორიო საბუთებით. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით 1998 წლისათვის არქივის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილება“, თუმცა მალე აღნიშნულ განყოფილებას ჩამოშორდა საერთაშორისო ურთიერთობების ფუნქცია და ეწოდა „ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის განყოფილება (ას-სცსა, ფონდი 1041, ან. 1. საქმე 1826. ფურც. 45).



თამაზ ფუტყარაძე (განყოფილების უფროსი), ნატო ქიქავა, ფრიდონ ქარდავა, ციცი ცინცაძე, ნინო გოგიტიძე, მზია სურმანიძე

3. დოკუმენტების რესტავრაციის და მიკროფილმირების განყოფილება (განყოფილების უფროსი - მზექალა გირიხიდი; თანამშრომლები - ეკა კაკაბაძე, ზაურ ქარცივაძე, ნარგიზ გვარისვილი, ინგა ფაცურეისვილი, ნათია ვერძაძე);



მზექალა გირიხიდი (განყოფილების უფროსი), ნარგიზ გვარიშვილი, ეკა კაკაბაძე, ნათია ვერძაძე

4. ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობის და დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილება (განყოფილების უფროსი - ნაზი შარაშიძე; თანამშრომლები - ნატო ჟვანია, ნინო მარდალუიშვილი, ნონა გოგრაჭაძე, გულნარა ქათამაძე, ასლან აბაშიძე, ჯულიეტა პატარიძე).



ნაზი შარაშიძე (განყოფილების უფროსი), ნინო მარდალაიშვილი, გულნარა ქათამაძე, ჯულიეტა პატარიძე, ნონა გოგრაჭაძე, ასლან აბაშიძე

5.. ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის, ინფორმაციისა და გამოყენების განყოფილება (განყოფილების უფროსი - ქეთევან მიქელაძე, თანამშრომლები: ნათია ბერიძე, ეთერ ნათელაძე, იამზე ზოიძე, ცირა თავართქილაძე, ნინო ჯაბნიძე, ზეინაბ ასანიძე, სვეილი კაკაბაძე, გუგული პატარიძე, შუჟუნა დუმბაძე, ნინო მიქელაძე, თამარ ნამგალაძე-ჯორბენაძე, მაია მელაძე, დოდო შუშანიძე, ნაზი ნაგერვაძე, მედეა გორგილაძე, ქეთევან იაკობაძე, ნინო შავაძე, ინგა პატარიძე)



ქეთევან მიქელაძე (განყოფილების უფროსი), დოდო შუშანიძე, მელვა გორგილაძე, ნინო ჯაბნიძე, ნათია ბერიძე, ჟუჟუნა დუმბაძე, ინგა პატარძიძე, იამზე ზოიძე, გუგული პატარძიძე, სვეილი კაკაბაძე, მაია მელაძე, ნაზი ნაგერვაძე, ეთერ ნათელაძე, ნინო მიქელაძე, ნინო შავაძე, ცირა თავართქილაძე

ნ.ეროვნული საარქივო ფონდის აღრიცხვის და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილება (განყოფილების უფროსი - მაია რურუა; თანამშრომლები - ნათია კუტაღაძე, ჯილ და ვერულიძე);



*ნათია კუტალაძე, მათა რურუა (განყოფილების უფროსი),
ჯილდა ვერულიძე*

6. იურიდიული და საკადრო საქმეთა განყოფილება (განყოფილების უფროსი - ინგა ხალვაში, თანამშრომლები - ლუიზა კონცელიძე, მერი ცენტერაძე)



*ინგა ხალვაში (განყოფილების უფროსი), ლუიზა კონცელიძე,
მერი ცენტერაძე*

7. სამეურნეო და ურბანულ საკითხთა განყოფილება (განყოფილების უფროსი - ავთანდილ ჩახვაძე, თანამშრომლები – ამირან გაგუა, გელა გუგუშვილი, გენადი კახაილიში, მურმან ბერიძე, ნათელა კირკიტაძე, სულხან კიკნაძე, ირინა კახაილიში);



ამირან გაგუა, გენადი კახაილიში, სულხან კიკნაძე, გელა გუგუშვილი, ავთანდილ ჩახვაძე (განყოფილების უფროსი), ნათელა კირკიტაძე, მურმან ბერიძე

8. საფინანსო-საბუღალტრო განყოფილება (განყოფილების უფროსი – ირმა ჯორბენაძე, თანამშრომელი - იზა ბაუჟაძე)



იზა ბაუჟაძე, ირმა ჯორბენაძე (განყოფილების უფროსი)

9. კანცელარია (განყოფილების უფროსი - ლელა ხიტორი, თანამშრომლები - მარინა ბოლქვაძე, ეკა ლომთათიძე)



ეკა ლომთათიძე, მარინა ბოლქვაძე

საქართველოს ეროვნულმა არქივმა შეიმუშავა პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საცავებში დაცული დოკუმენტების, კინო, ფონო, ფოტო, ვიდეო მასალების, რუკების, სამშენებლო პროექტების, ისტორიული მნიშვნელობის ძეგლების დიგიტალიზაციას. ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე, მთავრობის 2010 წლის 17 ივნისის 22-ე დადგენილებაში 2012 წლის 10 აპრილს შევიდა ცვლილება (მე-17 დადგენილება) და საარქივო სამმართველოში ჩამოყალიბდა „საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და დიგიტალიზაციის განყოფილება“, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა მადონა ცხადაძე. დღეისათვის განყოფილებაში დასაქმებულია 14 თანამშრომელი (დავით ხალვაში, ქეთევან ხალვაში, მზია ჯღარკავა, ირმა ჭყოიძე, დიანა დღონტი, ნათია ბერიძე, ინგა ხუჭუა, ნაირა ქიქავა, მაია ბლადაძე, ხათუნა დიასამიძე, ნათელა ჯაფარიძე, თამილა ხალვაში, ანაიდა კარაპეტციანი, ნათია კახიძე).



ინგა ხუჭუა, ხათუნა დიასამიძე, ნათია ბერიძე, მაია ბლადაძე, ნათია კახიძე, ნათელა ჯაფარიძე, მადონა ცხადაძე (განყოფილების უფროსი), ირმა ჭყოიძე, მზია ჯღარკაია, დავით ხალვაში, ქეთევან ხალვაში, თამილა ხალვაში, დიანა ღლონტი

ეს განყოფილება ყველაზე ახალგაზრდა სტრუქტურული ერთეულია საარქივო სამმართველოში. ამიტომ მის შესახებ შედარებით ვრცლად ვისაუბრებთ.

განყოფილება მასზე დაკისრებულ საქმიანობას ახორციელებს USAID-ის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული დემოკრატიული ჩართულობის ცენტრი საქართველოში ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროგრამული ბიუჯეტირების პროექტს. ამ მიზნით 2013 წლის 3 სექტემბერს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება – საარქივო სამმართველოში შედგა შეხვედრა არქივის თანამშრობლებსა და საკონსულტაციო კომპანიის ექსპერტებს შორის. შეხვედრაზე განხილული იქნა 2014 წლის არქივის პროგრამული ბიუჯეტის პროექტი, რომლის განხორციელების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებოდა საარქივო

დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა დაჩქარებულ ვადებში.

აღნიშნული მოთხოვნების შესაბამისად, განყოფილებამ მიზნად დაისახა ხშირი გამოყენებისაგან გაცრეცილი და დაზიანებული დოკუმენტების დაცვა, სარეზერვო ფონდის შექმნა და სწრაფი ინტერნეტმომსახურება. მცირე დროის მიუხედავად განყოფილებამ უკვე შეძლო მუდმივ შენახვას დაქვემდებარებული (გარდა პირადი ინფორმაციის შემცველი საიდუმლო დოკუმენტებისა) დოკუმენტების (რელიგიური, მმართველობითი და ა. შ.) დიგიტალიზაცია. 2015 წლის იანვრიდან 4 ივნისის ჩათვლით დასკანერებულია: 512 441 ფაილი, დარედაქტირებულია: 508734 ფაილი, პროგრამაში ატვირთულია 4 ფონდის 7 აღწერა და 5635 საქმეთა ერთეული. ელექტრონული ფაილები თავს იყრის და ინახება არქივების საერთაშორისო საბჭოს (ICA) მიერ შემუშავებულ სპეციალურ პროგრამაში (ATOM) და სრულიად შეესაბამება აღწერის საერთაშორისო სტანდარტებს. თითოეულ დოკუმენტს თან ერთვის აღწერილობა, ტექნიკური მახასიათებლები (შექმნის თარიღი, ქალაქის სახეობა და სხვ.) და მოკლე შინაარსი.

პროგრამა უზრუნველყოფს აღნიშნული მახასიათებლების მიხედვით დოკუმენტის მოძიებას უმოკლეს დროში. პერსპექტივაში, ნებისმიერ მოქალაქეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შესაძლებლობა ექნება სპეციალური საძიებო კატალოგის გამოყენებით სახლიდან გაუსვლელად მოიძიოს მისთვის საინტერესო დოკუმენტი, გაეცნოს მის აღწერილობას, სწრაფად და ხარისხიანად მიიღოს დოკუმენტების ციფრული ასლები როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.



არქივის თანამშრომლები (2015 წელი)

ტერიტორიული არქივები

აჭარის საარქივო სისტემა წარმოადგენს ცენტრალური და ტერიტორიული არქივების ერთობლიობას, რომელთა მუშაობასაც ხელმძღვანელობს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო. საარქივო სამმართველოს შემადგენლობაში შედის ხუთი მუნიციპალური არქივი: ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, შუახევისა და ხულოს ტერიტორიული არქივები.

ტერიტორიული//რაიონული (ქობულეთის, ბათუმის (ახლანდელი ხელვაჩაური), ქედისა და ხულოს რაიონები) არქივები შეიქმნა 1936 წელს, აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით. ხოლო 1955 წლიდან ჩამოყალიბდა შუახევის რაიონული სახელმწიფო არქივიც. ჩამოყალიბების დღიდან, ტერიტორიულ არქივებში მიმდინარეობს ნაყოფიერი, შრომატევადი და საპასუხისმგებლო საარქივო საქმიანობა.

ქობულეთის ტერიტორიული არქივი. ქობულეთის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის პრეზიდიუმმა 1936 წლის 25 იანვარს განიხილა საკითხი ქობულეთში რაიონული არქივის მოწყობის შესახებ (ასსცსა, რ-4; აღწ.1; საქ.952; ფურც.40). ახალშექმნილ

რაიონულ არქივს სათავეში ჩაუდგა **შუქრი გუგუნავა**. სხვადასხვა წლებში ქობულეთის რაიონულ არქივს ხელმძღვანელობდნენ: **სერგო შანიძე** (1937-1938წწ), **ელისო მექვაბიშვილი** (1938-1940წწ), **თინა შურღაია** (1940-1941წწ), **ნინა ტულუში** (1941-1942წწ), **ჰენრი გეგელია** (1942-1957წწ), **ჰენრი გოგავა** (1957-1968 წწ), **ჟუჟუნა რომანაძე**. ამჟამად ქობულეთის ტერიტორიულ არქივს სათავეში უდგას **ნოდარ ზაქარიაძე** (თანამშრომლები - **მზია კეკელიშვილი**, **ლია მჟავანაძე**).



*ნოდარ ზაქარიაძე (უფროსი), ლია მჟავანაძე,
მზია კეკელიშვილი*

ხელვაჩაურის ტერიტორიული არქივი. ხელვაჩაურის რაიონული არქივი დაარსდა 1936 წელს. მისი პირველი ხელმძღვანელი **ალექსანდრე ჩხაიძე** (1936) იყო. 1936-1937 წწ. არქივს **შალვა ხომერიკი** ედგა სათავეში, 1937- 1940 წწ. **ნიკოლოზ გურჩუშელიძე**, 1941-1945 წლებში - **ლუბა ჩხიკეიშვილი**, 1945 წ. **გუგული ანანიძე**, 1946-1965 წწ. - **ელენე ქორიძე**, 1965-1979 წწ. **ელენე ზაქარაიშვილი**, 1979-1993 წწ. **ვლადიმერ მკერვალიშვილი**. ამჟამად არქივს სა-

თავეში უდგას ავთანდილ ლეონიძე (თანამშრომლები - შორენა ფარტენაძე, თენგიზ პარმაქსიზიშვილი);



*შორენა ფარტენაძე, თენგიზ პარმაქსიზიშვილი,
ავთანდილ ლეონიძე (უფროსი)*

ქედის ტერიტორიული არქივი. 1937 წლის აპრილში ჩამოყალიბდა ქედის რაიონული საარქივო განყოფილება, რომელიც 5 ორგანიზაციის 222 შერთეულით დაკომპლექტდა. რაიონების წარმოება-დაწესებულებების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი საარქივო დოკუმენტების ერთ ადგილზე თავმოყრის და მათი შემდგომი გამოყენების აუცილებლობა გახდა ერთ-ერთი წინაპირობა აჭარის რაიონებში საარქივო განყოფილებების შექმნისა. არქივის პირველი ხელმძღვანელი **პლატონ ანთაძე** იყო (1936-1938). მომდევნო წლებში არქივს ხელმძღვანელობდნენ: **შუქრი ბერიძე** (1939), **ლია დიასამიძე** (1949-1972), **გურამ გორგილაძე** (1973-1975. 1980), **დავით დავითაძე** (1980-1995), **უშანგი დუმბაძე** (1995-1996), **გურამ ბარამიძე**, **ალექსანდრე ბეჟანი-**

ბე. ამუამად არქივს ხელმძღვანელობს ბადრი შერვაშიძე
(თანამშრომლები - ირა ცინცაძე, შორენა ბაჯელიძე)



*ბადრი შერვაშიძე (უფროსი), ირა ცინცაძე,
შორენა ბაჯელიძე*

ხულოს ტერიტორიული არქივი. 1936 წელს აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა ხულოს რაიონული არქივი. არქივის პირველი გამგე იყო ისმაილ ცივაძე (1936), რომელმაც ბევრი გააკეთა საარქივო დოკუმენტების თავმოყრისა და შენახვისათვის, მაგრამ მას ამ თანამდებობაზე დიდხანს არ მოუწია მუშაობა. 1937 წელს იგი შეცვალა ა. ჯიქიძემ. მან ამ თანამდებობაზე იმუშავა 1938 წლამდე. 1938-1939 წლებში არქივის გამგედ მუშაობდა კოსტა სამსონია, შემდეგ კი რეჯებ მახარაძე (1940-1941 წწ.). 1941 წლიდან 1989 წლამდე - სხვადასხვა დროს ხულოს რაიონულ არქივს ხელმძღვანელობდნენ: აბდულ რიევაძე (1941-1950), ოსმან აბულაძე (1951-1956), მერი მეგრელიძე (1956-1961) და

დიმიტრი ბოლქვაძე (1961-1989). 1986 წელს არქივს სათავეში ჩაუდგა თემურ ჯორბენაძე.

საბჭოთა იმპერია სულს ღაფავდა. პოლიტიკური ცვლილებები შეეხო საარქივო დაწესებულებებსაც. თემურ ჯორბენაძეს ჩაენაცვლა ჯამბულ თავართქილაძე (1991-1993), მოგვიანებით კი სელმან აბულაძე (1993-2010). ამჟამად ხულოს ტერიტორიულ არქივს ხელმძღვანელობს თემურ ბერიძე (თანამშრომლები - თინათინ ქონიაძე, ლევან ბოლქვაძე)



თემურ ბერიძე (უფროსი), ლევან ბოლქვაძე,
თინათინ ქონიაძე

შუახევის ტერიტორიული არქივი. აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1952 წლის 17 დეკემბრის ბრძანებულებით ხულოს რაიონს გამოეყო შუახევის, სხალთის, შუბნის, უჩამბის, დღვანის, ოლადაურის, ჭვანის, წყლისაყრისა და ბარათაულის სასოფლო საბჭოები და შეიქმნა შუახევის რაიონი, ცენტრით სოფ. შუახევიში (ასსცსა, ფ. რ-332; აღწ.1; საქ.226).

ახალშექმნილ რაიონში დაიწყო სახელმწიფო დაწესებულებების ჩამოყალიბება და ორგანიზება. დღის წესრიგში დადგა შუახევის რაიონული არქივის დაარსებაც. აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს საარქივო განყოფილების 1955 წლის 22 სექტემბრის ბრძანებით შუახევის ახლადშექმნილი რაიონული არქივის გამგედ დაინიშნა **ქაზიმ დუმბაძე** (1956-1979) (ასსცსა, ფ. რ-1041; აღწ.1; საქ.161; ფურც.3).

1962 წელს შუახევის რაიონი ისევ შეუერთეს ხულოს რაიონს. გაერთიანდა ხულოსა და შუახევის რაიონული არქივებიც. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1964 წლის 4 ნოემბრის ბრძანებულებით, შუახევის რაიონი კვლავ გამოეყო ხულოს რაიონს. შესაბამისად, 1966 წლის 1 იანვრისათვის არქივი ისევ შუახევეში გადაიტანეს და განათავსეს რაიონის ცენტრში არსებულ ერთ-ერთ შენობაში. რაიარქივს სათავეში კვლავ ქაზიმ დუმბაძე ჩაუდგა. 1980-1994 წლებში არქივს ხელმძღვანელობდა **მაცვალა წულუკიძე**, 1995-2010 წწ. **ნაზი ხიმშიაშვილი**, 2010-2012 წწ. **თემურ დავითაძე**, 2012-2013 წწ. **მარინა გოგიტიძე**. ამჟამად არქივს განაგებს **კახა დავითაძე** (თანამშრომლები - **მარინა გოგიტიძე**, **ირაკლი დიასამიძე**)



**ირაკლი დიასამიძე, კახა დავითაძე (უფროსი),
მარინა გოგიტიძე**

როგორც აღინიშნა, ამჟამად საარქივო სამმართველოში დაცულიაა ნახევარ მილიონზე მეტი დოკუმენტი, მათ შორის: ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის, ბათუმის საქალაქო სათათბიროსა და საქალაქო მმართველობის, წოდებრივ დაწესებულებათა ორგანოების, პოლიციის, ჟანდარმერიისა და ოხრანკის, სამეურნეო-ეკონომიკური, სასწავლო და კულტურულ-საგანმანათლებლო ორგანოების, საქველმოქმედო, რელიგიური, სამართალდამცავი, კომუნალური, ჯანმრთელობის დაცვის და სხვა დაწესებულებათა ფონდები. არქივში წარმოდგენილია აგრეთვე პირადი ფონდები, დოკუმენტების კოლექციები, კინო-ფოტო დოკუმენტები.

თაზი III

საარქივო დოკუმენტების ბანთაშსების პრობლემა

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი (ცსა) ჩამოყალიბდა ქალაქის მმართველობის არქივის ბაზაზე. იმ დროიდან მოყოლებული სისტემატურად იკრიბებოდა სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების, წარმოება-დაწესებულებების, უწყებების დოკუმენტური მასალები. „საარქივო აპარატის შექმნის გეგმა“ ითვალისწინებდა საარქივო დოკუმენტების თავმოყრას ერთ დაწესებულებაში (აცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). გააქტიურდა მანამდე არსებული დოკუმენტების მოძიების პროცესი. გადაწყდა „სხვადასხვა ადგილებში მყოფი არქივების ერთ არქივში მოგროვება“. დადგინდა გაფანტული დოკუმენტების ადგილმდებარეობა და წონა: „დაახლოებით ყველა ბათომის დაწესებულებაში მყოფი არქივები იქნება წონით: ა) კომუნალურ მეურნეობაში - არანაკლებ 600 ფუთი; ბ) ცენტროსოიუხის სარდაფში - 500 ფუთი; ვ) სახალხო ბანკის სარდაფში - 400 ფუთი; გ) მე-2 ქალ. საავადმყოფოში - 15 ფუთი; დ) ბათომის საბაჟოში - 400 ფუთი; ე) მუშათა და გლეხთა ინსპექციაში - 50 ფუთი; ჟ) ბურუნტაბიის საწყობში - 100 ფუთი; სულ 2200 ფუთამდე. ამის გადატანას მოუწდება 40-45 - მდე ერთი ცხენი დროვი და ოთხი მუშა (7-8 დღე მუშაობა. დღეში 1 ლირა თითო მუშას), სულ არქივის გადატანას დაჭირდება 100 ლირამდე (ასსცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). გეგმა ითვალისწინებდა არქივისათვის „ერთ დიდ ოთახს საწყობისათვის არანაკლებ 15X15 არშ., ერთ პატარა ოთახს 5X5 არშ. კანცელარიისა და სამუშაოებისათვის“, ასევე 4-იარუსიან თაროებს, რომელთა საერთო სიგრძე უნდა ყოფილიყო არანაკლებ 100 მეტრი (ასსცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 163). 1921 წ. ქალაქის საბჭოს სარდაფში აღმოაჩინეს დოკუმენტების გროვა. ასეთივე გროვა აღმოჩნდა მომდევნო წლებ-

შიც (ასსცსა, ფ. 89, ან. (7)1, ს. (72 Б) 253. მ. თავაძის სა-
დიპლომო ნაშრომი)




*ქალაქის საბჭოს სარდაფში აღმოჩენილი
დოკუმენტების გროვა 1923 წ.*

აუცილებელი გახდა საარქივო დოკუმენტების გან-
თავსება არქივსაცავში. ქალაქის სამმართველოს საარ-
ქივო მასალა პირველად განთავსდა **კომუნალური მეურ-
ნეობის შენობის** (ყოფილი გამგეობის შენობა) ერთ ოთახ-
ში. ამავე შენობაში იყო **საბუნებისმეტყველო მუზეუმი**,
რომელიც მამაშვილი **გომენების** თაოსნობით შექმნილა
(სუიცა ფ.335, ან.1, საქ.7, ფურც.129).

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა, მაგრამ მალე
ბათუმის არქივში გარკვეული სირთულეები შეიქმნა, რაც
კარგად ჩანს საარქივო სამმართველოს გამგისადმი გ.
ფურცელაძის მიერ მიწერილ მოხსენებით ბარათში (სუიცა,
ფ.335, ან.1, საქ.11, ფურც. 23). 1921 წელს ბათუმში საცხოვ-
რებლად ჩამოვიდა რუსი სკულპტორი სტეფან ერზია (ნე-
ფიოდოვი). აჭარის ადგილობრივი ხელისუფლების გადაწ-
ყვეტილებით **არქივისთვის განკუთვნილი შენობა 1921**

წლის სექტემბრისათვის უნდა გადაეცათ ერზიასთვის, ხოლო საარქივო დოკუმენტაცია უნდა განეთავსებინათ იმავე შენობის სხვენში, რასაც გიორგი ფურცელაძის პროტესტი მოჰყა. ბათუმის კომუნალური მეურნეობის გამგის პეცოვის ბრძანებით არქივი ჩაიტანეს ქვედა ნესტიან სარდაფში, რომელიც საარქივო დოკუმენტების შესანახად არ გამოდგებოდა. „ასე რომ მთელი საარქივო საქმეები უწესრიგოდ აწყვია ნესტიან სარდაფში, სადაც მუშაობა ყოველად შეუძლებელია. ამრიგად, ჩვენი წელიწადნახევრის მუშაობა ერთბაშად დაიდუბა შეუფერებელი ბრძანებით“, - წერდა გ. ფურცელაძე (სუიცა, ფ.335, ან.1, საქ.11, ფურც. 23).

რწმუნებულ გიორგი ფურცელაძის უანგარო, უხელფასო მუშაობის მიუხედავად აჭარაში კვლავ მოუგვარებელი რჩებოდა საარქივო დოკუმენტების განთავსების საკითხი, რაზეც თავისი პროტესტი გამოთქვა საარქივო მმართველობის მთავარმა გამგემ ს. კაკაბაძემ.



სარგის კაკაბაძე

მისი წერილიდან ჩანს, რომ კომუნალური მეურნეობის გამგეს „დოკუმენტებისათვის გამოყოფილი ერთი

ოთახიც კი დაუცლევინებია“ და საარქივო საქმეები გადაუტანიათ სარდაფში (ასსცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). მკითხველს ვთავაზობთ ს. კაკაბაძის წერილის სრულ ვერსიას:

„ს.ს.ს.რ. მთავარი საარქივო სამმართველო ყოველთვის დიდს ყურადღებას აქცევდა საარქივო საქმეს ქ. ბათომში და საზოგადოთ აჭარაში, მაგრამ აქამდის, ცენტრალურ დაწესებულებებში მუშაობის სირთულის გამო, მას არ ჰქონდა საშუალება აქტიურად ჩარეულიყო ბათომისა და აჭარის საარქივო საქმის მოწყობაში. მაინც საარქივო სამმართველოს ჰყავდა ბათომში თავისი რწმუნებული – ამხ. გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძე, რომელიც აქამდის თავგამოდებით და უანგაროდ (რადგან ამხ. ფურცელაძეს საარქივო სამმართველო გასამრჯელოსაც ვერ აძლევდა) ასრულებდა თავის მოვალეობას, ადევნებდა თვალყურს ადგილობრივ არქივებს და კერძოდ ალაგებდა და აწესრიგებდა კომუნალურ მეურნეობის სამმართველოში მოთავსებულ ყოფილ საგუბერნიო სამმართველოს საქმეებს. აჭარის ავტონომიური მთავრობა აქამდის ალბად ვერ იცლიდა საარქივო საქმისათვის ჯეროვან ყურადღების მისაპყრობად და ამით ალბად აიხსნება, რომ საარქივო მმართველი აპარატიც ბათომში აქამდის ვერ მოეწყო და ბოლოს საქმე მივიდა იქამდის, რომ თვით ის ერთი ოთახიც, სადაც მოთავსებული იყო ყოფ. საგუბერნიო სამმართველოს საქმეები კომუნალურ მეურნეობის გამგემ დააცლევინა ამხ. ფურცელაძეს და საარქივო საქმეები მოთავსებულ იქმნენ სარდაფში, სადაც მუშაობის გაგრძელება ყოვლად შეუძლებელია...

ძლიერ სასურველია, რომ აჭარიაშიც საარქივო საქმე ისეთივე ყურადღებით სარგებლობდეს, როგორც ეს რუსეთის არა თუ ცენტრში, არამედ თვით შორეულ პროვინციაშიაც არის, სადაც ადგილობრივ საარქივო სამმართველოებს, როგორც მე ეს პირადად დავრწმუნდი ს.ს.ს.რ.

მთავრობის მიერ სამსახურის საქმეების გამო ჩრდ. კავკასიაში მივლინების დროს, დათმობილი აქვს, მაგ. ქ. კრასნოდარსა, სტავროპოლსა და პიატიგორსკში ამ სამსახურ საგუბერნიო ქალაქებში, კარგი შენობები, ქალაქის მთავარ ქუჩებზე და საბჭოთა ხელისუფლება ყველგან ცდილობს საარქივო მმართველ აპარატს კონტროლთან ერთად, ჯეროვანი დახმარებაც აღმოუჩინოს.

ამისა და მიხედვით ვშუამდგომლობთ, გასცეთ განკარგულება, რათა საარქივო სამმართველოს ბათომში მიეცეს შესაფერისი ბინა და თუ ეს ამ მოკლე ხანში შეუძლებელია, საჩქაროდ დაბრუნდეს მის წინანდელი კომუნალურ მეურნეობის შენობაში – მომავალში კი მოპოვებულ იქნეს უფრო ფართო ბინა; შექმნილ იქნას მცირე მაინც საარქივო აპარატი ადგილობრივ პირობების მიხედვით, მანამდის კიდევ ყოველგვარი დახმარება გაეწიოს სამსახურის ვალდებულებათა ასრულების დროს მთავრ საარქივო სამმართველოს რწმუნებულს ქ. ბათომში ამხ. გიორგი მიხეილის ძე ფურცელაძეს“ (ასსცსა, ფონდი №რ-2; საქმე №23; ფურც. 166).

საარქივო მმართველობის მთავარი გამგე აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს თხოვდა ზომების მიღებას, რათა „საარქივო საქმეს ბათომსა და აჭარაში არ ეძლეოდეს ზიანი, რომლის გამოსწორება, თუ მას საქმეების დაღუპვა მოყვა, მომავალში შეუძლებელი იქნებოდა“. ს. კაკაბაძე აჭარის ასსრ - ის სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს თხოვდა დახმარებას, რათა საარქივო დოკუმენტებისათვის ბათუმში გამოყოფილიყო „შესაფერისი ბინა და თუ ეს მოკლე ხანში შეუძლებელი იყო, საჩქაროდ დაბრუნებოდა მას ფართი წინანდელი კომუნალური მეურნეობის შენობაში, მომავალში კი მოპოვებულიყო უფრო ფართე ბინა“ (ასსცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166).

ამავე პრობლემას ეხება გ. ფურცელაძის წერილი, რომელიც გაუგზავნა საქართველოს მთავარ საარქივო სამმართველოს გამგეს 1922 წლის 15 დეკემბერს. გ. ფურცელაძე აღნიშნავს, რომ იგი აქტიურად მუშაობს კატალოგების შესადგენად, რაშიც მას ეხმარება სმირნოვი, მაგრამ კომუნალური მეურნეობის გამგის პეცოვის ბრძანებით დააცლევინეს ის ოთახი, სადაც ინახებოდა დოკუმენტები. ისინი იძულებულნი გახდნენ დოკუმენტები გადაეტანათ ნესტიან სარდაფში, რასაც დაჭირდა ოთხი დარაჯის ხუთდღიანი მუშაობა. „ნესტის გამო ქაღალდები გამწვანებულა. გ. ფურცელაძეს მოუძებნია და მოუნახავს ახალი ბინა, მაგრამ საჭირო გამხდარა აჭარისტანის სახალხო კომისარიატის მოწერილობა (სუიცსა, ფ. 335, ან. 1, ს. 63, ფურც. 22), აჭარის სახკომსაბჭოს კი მიუღია აბსურდული გადაწყვეტილება: „მიუხედავად იმისა, რომ ბათომში იმყოფება მრავალი სხვადასხვა არქივები, აჭარისტანისათვის არ არის საჭირო არსებობდეს ბათომში სპეციალური საარქივო განყოფილება. ყველა არქივები დარჩეს იმ დაწესებულებებში, რომლებშიც ინახებიან ამჟამად“ (სუიცსა, ფ. 335, ან. 1, ს. 63, ფურც. 22). აღნიშნულის გამო გულდაწყვეტილი გ. ფურცელაძე, რომელიც თვეების განმავლობაში არავითარ ჯამაგირს არ იღებდა და მუდმივი სიდუხჭირის პირობებში ცხოვრობდა, წერს: „წელიწადნახევარი, 1921 წლის ივლისიდან დღემდის ვმუშაობ, რაც ზნეობრივად ჩემ სინდისის წინ მართლად ვგრძნობ ჩემს თავს, რადგან მე მეტის გაკეთება არ შემიძლია, მაგრამ ჩემი მუშაობა არ დაფასდა არც ნივთიერად, არც ზნეობრივად... ჩემ მიერ აღრიცხულია მთელი არქივი, რომელიც მოვალე ვარ ვიმუშავო და თვალყური ვადევნო... ძალა არ მიქს არც ზნეობრივად და არც იურიდიულად დავსტოვო საარქივო საქმეები და შევიდე სხვა სამსახურში, არა და როდემდე ვიქნე ამ გამოურკვეველ მდგომარეობაში? არ ვიცი, აჭარის უმაღლესი სახალხო კომისართა

საბჭო ერთ რომელიმე წევრის „კაპრიზის“ გამო სრულე-
ბით არ აფასებს საარქივო საქმეს, რომელიც დიდ განძს
შეადგენს სახელმწიფოს და ხალხისთვის“ (სუიცსა, ფ.
335, ან. 1, ს. 63, ფურც. 23). გ. ფურცელაძე თხოვს მთავა-
რი საარქივო სამმართველოს გამგეს დახმარებას, რათა
არავის ჰქონდეს უფლება „ასეთი კულტურული დაუფასე-
ბელი მასალა გარეთ გაყაროს“ (სუიცსა, ფ. 335, ან. 1, ს.
63, ფურც. 22).

ბათუმში - მთავარი საარქივო სამმართველოს
რწმუნებულის გიორგი ფურცელაძის 1923 წ. 9 მარტის
მოსხენებიდან ირკვევა, რომ საარქივო დოკუმენტები მი-
მობნეული იყო ქალაქის სხვადასხვა დაწესებულებებში,
კერძოდ: „1: ბათუმის სამხედრო გუბერნატორის, საპოლი-
ციო, ქალაქ ბათუმის თვითმმართველობის, ტრაპეზონის
და ბაქოს სამხედრო რეინის გზების, - მოთავსებულია
კომუნალური მეურნეობის შენობაში, ქვედა სარდაფში; 2:
სასამართლოს პალატის და ოლქის სასამართლოსი, რო-
მელნიც თბილისიდან აქ არის ჩამოტანილი, მოთავსებუ-
ლია „ცენტროსოიუზის“ შენობაში, ქვედა სარდაფში. 3.
დანარჩენი ამიერკავკასიის, რუსეთ-აზიის და კავკასიის
ბანკების - მოთავსებულია ეხლანდელი სახალხო ბანკის
შენობაში, ქვედა სარდაფში 4. ბათუმის საბაჟოს არქივი
მოთავსებულია ბათუმის საბაჟოს საკუთარ შენობაში, პა-
ტარა ოთახში 5. ამის გარდა არის მცირე არქივი სასანი-
ტარო დაწესებულებების, რომელიც მოთავსებულია მე-2
ქალ. საავადმყოფოში 6. ციხესიმაგრის საინჟინერო არქი-
ვი - ინახება ფოსტ. „ბურუნტაბის“ საწყობში“ (ასსცსა,
ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166). რწმუნებული შემოთავსებულია
იმის გამო, რომ ყველა ზემოთაღნიშნულ დაწესებულება-
ში დგება წყალი, „ქაღალდები დანოტვილი და გამწვანე-
ბულია“ და თუ შესაფერისი ფართი არ გამოინახა დოკუ-
მენტებისათვის, ისინი „სრულეებით გამოუსადეგარი იქნება
არქივის მასალათ“ (ასსცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 166).

ასეთ შემთხვევაში გიორგი ფურცელაძე მიზანშეწონილად მიიჩნევდა „გადარჩეულიყო საქმეები და ცენტრში გადაგზავნილიყო“, რათა შესაძლებელი ყოფილიყო „დაღუპვის გზას მყოფი მთელი საარქივო მასალის“ გადარჩენა (ასსცსა, ფ. რ-2, ს. 23, ფურც. 167).

წერილის ავტორი წუხს, რომ მის მცდელობას აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად შედეგი არ მოჰყოლია: პრობლემის მოსაგვარებლად „ვრცელი მოხსენება გაუკეთე განათლების კომისარს და მთავარ საარქივო სამმართველოს, მაგრამ საქმის კარგ შედეგამდე დაყენება დღემდე არ მოხერხდა. ამის გამო უმორჩილესად გთხოვთ შეხვიდეთ საარქივო საქმეების ასეთ უმწეო მდგომარეობაში და ამისათვის გამოყოფილ იქმნას შესაფერი შტატები: - ერთი გამგე, ერთი ან ორი თანამშრომელი, და ერთი დარაჯი (იგივე შიკრიკი), რომელნიც დაემორჩილოს ან განათლების კომისარიატს, ან თვით თქვენ საბჭოს, როგორც ეს საბჭოთა რუსეთში ესკა იმყოფება (იხ. „Правда“ 1922წ. 25 აგვისტო) და მოგვეცეს შესაფერისი ბინა სათანადო მოწყობილობით, სადაც შეიძლებოდეს მუშაობა და მოთავსება ყველა ცალკე-ცალკე დაბნეულ საქმეების. **თუ ყოველ შემთხვევაში ასეთის მოწყობა ადგილობრივ არ მოხერხდა, იმ შემთხვევაში დროებით მაინც გადაირჩეს საქმეები და გადაიგზავნოს ცენტრში, რომ ამნაირათ გადავარჩინოთ დაღუპვის გზას მთელი საარქივო მასალა“** (ასსცსა, ფონდი №რ-2; საქმე №23; ფურც. 167).

მაღე, არქივისათვის მართლაც გამოიყო სათავსო ქალაქის საბჭოს შენობაში, თუმცა იგი იყო ბნელი, ნესტიანი. ნადგურდებოდა დოკუმენტები. ამ სარდაფებში დოკუმენტების გვერდით აწყობდნენ შეშას. წვიმის დროს სარდაფები ივსებოდა წყლით. ხდებოდა შეშის დასველება-დანოტივება, რაც უარყოფით გავლენას ახდენდა დოკუმენტების მდგომარეობაზე. მართალია სარდაფში გა-

ნათავსეს ორი სტელაუი, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი და დოკუმენტების დიდი ნაწილი კვლავ იატაკზე ეყარა. ძლიერი წვიმების დროს სარდაფში წყალი ივსებოდა. თანამშრომლები იძულებულნი იყვნენ დასველებული დოკუმენტები მზეზე გაეშროთ - ქალაქის საბჭოს ეზოში (ა. კარასევა, „ჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 17).

სარდაფი სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა დოკუმენტების შენახვისათვის საჭირო ელემენტარულ პირობებს. აუცილებელი გახდა სხვა შენობის მოძიება, რასაც რამდენიმე წელი დაჭირდა. **გადაწყდა საარქივო დოკუმენტების განთავსება ლიკვიდირებული ლომბარდის შენობაში**, სადაც გამოყოფილი იქნა 3 ოთახი და ერთი დერეფანი, თუმცა, შემდეგში მხოლოდ ერთი ოთახი დაუტოვეს. ქალაქის არქიტექტორმა უფლება არ მისცა საცავში განეთავსებინათ ორ სტელაუზე მეტი, რადგან შენობის იატაკი მეტ სიმძიმეს ვერ გაუძლებდა. ამიტომ **დოკუმენტების ნაწილი ისევ სარდაფში განთავსეს**. ცხადია, ვერც აღნიშნული შენობა აკმაყოფილებდა დოკუმენტსაცავისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. მოულოდნელად არქივში გამოჩენილა მტვிரთავეების ბრიგადა სატვირთო მანქანასთან ერთად, რომლებსაც გადაუციათ სასკომსაბჭოს თავმჯდომარის აბდიბას მოთხოვნა სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში არქივის ევაკუაციის შესახებ, მაგრამ ის ნომერი დოკუმენტების განთავსებისათვის არ იყო საკმარისი. განკარგულება შეიცვალა მას შემდეგ, როცა არქივის გამგემ პირადად განუცხადა პროტესტი სასკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს, მაგრამ მაინც მოუწიათ **საარქივო დოკუმენტების გადატანა ქალაქის საბჭოს ორ პატარა ოთახში**. საქმეები დაყრილი იყო ოთახების ჭერამდე (ა. კარასევა, „ჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 18). არქივის გამგეს პირობა მიცეს, რომ დოკუმენტების შენახვი-

სათვის გამოუყოფდნენ შედარებით უკეთეს შენობას. განათლების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის ს. რეშიდის მიერ კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობის სახელზე გაგზავნილ წერილში კვლავ დაისვა არქივისათვის შენობის შეღავათიან პირობებში გადაცემის საკითხი. აღნიშნულთან დაკავშირებით საარქივო დოკუმენტებში დაცულია აჭარის ასსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის 1923 წ. 30 ივნისის სხდომის N 16 ოქმი. მკითხველს სრულად ვთავაზობთ ამონაწერს ამ ოქმიდან:

ოქმი N 16

„დაესწრენ წევრები: ბახტაძე (შინ. საქ. სახკომისარი) ბ. აბღიბა (რესპუბლიკის მილიციის უფროსის მოადგილე), მ. კაიკაციშვილი კოლეგიის წევრი.

მოსმინეს: კომ. მეურნეობის მომართვა ქალაქის თვითმმართველობის არქივის განათლების სახკომისარიტიდან გადმოტანის და კომუნალურ მეურნეობაში გადატანის შესახებ.

დაადგინეს: ქალაქის თვითმმართველობის არქივი, ვინაიდან იგი წარმოადგენს აუცილებელ საჭიროებას კომუნალური მეურნეობისათვის მოწესრიგებულ იქნეს, რისთვისაც თუ ამას საჭიროთ დაინახავს კომუნალური მეურნეობა, მიჩნეული იქნეს ცალკე შენობა შესაფერ ადგილზე - საერთოდ კი ხსენებული არქივი ითვლებოდეს განათლების კომისარიატის საარქივო სამმართველოს გამგებლობაში“.

შინ. საქმეთა სახ. კომისარი ნ. ბახტაძე
საქმეთა მმართველი მამფორია“ (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 1, ფურც. 6)

აღნიშნული წერილის შემდეგ აღიძრა შუამდგომლობა პატრიული კომიტეტის წინაშე არქივისათვის შესაფერისი

შენობის გამოყოფის შესახებ. საქმეებში დაცულია მიმოწერები აჭარის შინაგან საქმეთა საქალხო კომისარიატსა და პარტიულ კომიტეტს შორის. მიმოწერებში ჩაერთო კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობაც. 1923 წლის ერთ-ერთ წერილში ვკითხულობთ: „აჭარისტანის განათლების სახ. კომისარიატმა აღძრა შუამდგომლობა კომუნალური მეურნეობის წინაშე არქივისათვის შესაბამისი შენობის გადაცემის შესახებ. კომუნალური მეურნეობა თქვენს ყურადღებას მიაქცევს საარქივო საქმის საერთო მდგომარეობაზე. საკუთრივ კომუნალური მეურნეობის მეტად ფასეულ არქივზე, რომელიც დაურეგულირების გამო კარგავს თავის მნიშვნელობას. კომუნალური მეურნეობა ვარაუდობს ყველა არქივის თავმოყრას ერთ შენობაში...

ყველაზე შესაფერის შენობად ამ საქმისათვის მიგვაჩნია **სამხედრო უწყების ყოფილი ტაძარი**. ამიტომ გთხოვთ გადასცეთ ეს შენობა კომუნალურ მეურნეობას საარქივო საქმის ორგანიზაციისათვის. კომუნალური მეურნეობის გამგე ჩაზმა“ (ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 1. ფურც.2,3).

აღმოჩნდა, რომ „სამხედრო სობოროში“ განთავსებული იყო კომკავშირელთა კლუბი, რომელმაც შენობის დაცლის სანაცვლოდ მოითხოვა ყოფილი სინაგოგის შენობის გადაცემა, რაც ფაქტობრივად შეუძლებელი იყო. შენობის საკითხი კვალავ ღიად რჩებოდა. ამას დაემატა განათლების სახალხო კომისარის სედაი რეშადის სიტყვიერი ბრძანება საარქივო განყოფილების დაშლის შესახებ. გიორგი ფურცელაძემ საქმის გასარკვევად მიმართა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს, კერძოდ ს. ჟორჟოლიანს, რომელმაც დაგმო განათლების სახკომის გადაწყვეტილება: „ეს არის ყოველად დაუშვებელი, რომ სედაი რეშადმა გააუქმოს სახალხო კომისართა საბჭოს პლენუმის დადგენილება; რომ საარქივო განყოფილება აუცილებლად უნდა დაარსდეს“ (ნ.

მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:51; ფ. .335, ან.1 საქ.11, გვ.39).

სედაი რეშადი დაიბარეს აჭარის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარესთან თ. ხიმშიაშვილთან. ს. რეშადმა განმარტა, რომ მისი „ხარჯთაღრიცხვიდან საარქივო განყოფილების ხარჯთაღრიცხვა ამოღებული იქნა იმ მოტივით, რომ განათლების სახალხო კომისარიატთან არავითარი საარქივო განყოფილება არ უნდა არსებობდესო“. საბოლოოდ, გაუგებრობა გაირკვა და სახალხო კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განკომს, აღძრულიყო შუამდგომლობა 1 ივლისიდან საარქივო განყოფილების ხელახლი შექმნის შესახებ (ნ. მირიანაშვილი, მ. იტრიაშვილი, 2012:49).



ლიკვიდირებული ლომბარდი



სამხედრო ტაძარი

სამხედრო ტაძრის შენობა არქივს გადაეცა 1928 წ. 15 ოქტომბერს, მაგრამ იმ დროისათვის ტაძარში განთავსებული იყო სამხარეო მუზეუმი. ქალაქის ინჟინერმა მოითხოვა ტაძრის მუზეუმისაგან გათავისუფლებამდე **დოკუმენტები განეთავსებინათ ტაძრის სამრეკლოში. ცხადია,** ვერც ეს პროექტი განხორციელდებოდა, რადგან სამრეკლო სრულიად გამოუსადეგარი იყო ამ ფუნქციისათვის.

„სამხედრო სობოროში“ დოკუმენტების განთავსების პროექტი ვერ განხორციელდა. როგორც ჩანს მაშინვე მტკიცედ იყო გადაწყვეტილი მისი დანგრევა. არქივის მმართველის პროფესორ სპილიოტისადმი აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის 1928 წ. 13 ოქტომბრის წერილში აღნიშნულია, რომ „სობორის გათავისუფლებამდე არქივი გადაეტანათ ოთახებში, სადაც ადრე მოთავსებული იყო განათლების სახალხო კომისარიატი“.

ქალაქის ინჟინერმა წინადადება მისცა არქივის მმართველს დოკუმენტები განეთავსებინათ პიონერისა და ორჯონიკიძის ქუჩების კვეთაში მდებარე შენობის სარდაფში. სარდაფი ნამდვილად იყო დიდი და ფართო, მაგრამ ჭერი იყო ქუჩის დონეზე დაბლა. შესაბამისად ცუდი იყო განათებაც. არქივის გამგის პროტესტზე ქალაქის არქიტექტორმა უპასუხა, რომ იმ „სარდაფში ადრე განთავსებული იყო პირველი კლასის რესტორანი“ და არქივის უფროსს არ აქვს საფუძველი უარი თქვას ამ შენობაზეო (ა. კარასევა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1961, გვ. 19. იხ. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 138, ფურც. 19). არქივის გამგემ მოითხოვა, რომ დასახელებულ სარდაფში გადავიდოდა იმ შემთხვევაში, თუ კი მოხდებოდა ცემენტის კედლის ამოშენება, რათა განცალკევებულიყო იქ განთავსებული სააფთიაქო საწყობისაგან, სადაც ინახებოდა ბენზინი, ზეთი და სხვა აალებადი სითხეები. ასევე საჭირო იყო ელექტროსახლების დამონტაჟება და სხვა სამუშაოების ჩატარება. გარკვეული სამუშაოები მართლაც იქნა ჩატარებული: გაიყვანეს ელექტროსახები, დაიდგა 5 სტელაჟი და ა. შ. ამ სამუშაოების ჩატარების შემდეგ ქალაქის საბჭოს შენობიდან ერთ დღეში გადმოიტანეს დოკუმენტები და დროებით განათავსეს ორჯონიკიძის და პიონერის ქუჩების კვეთაში მდებარე ახალ შენობაში.



ვერც ამ შენობის სარდაფი გამოდგა შესაფერისი დოკუმენტების შენახვისათვის. ძლიერი წვიმების გამო სარდაფები აივსო 1 მ. სიმაღლის წყლით, რომლის ამოქაჩვა ვერ მოხერხდა. საქმეები, რომლებიც ვერ დაეცია სტელაჟებზე, დასველდა. (ა. კარასევა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1961, გვ. 20. იხ. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 138, ფურც. 20). დოკუმენტების ნაწილი განადგურდა.

საარქივო დოკუმენტების შენახვისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა ამის შემდეგ გამოყოფილი სათავსოც. უძვირფასესი დოკუმენტები გადადიოდა შენობიდან შენობაში. **17 წლის განმავლობაში არქივმა 10-ჯერ შეიცვალა ადგილი.** საარქივო მასალების გადატანისას არაერთი დოკუმენტი განადგურდა. კომისია თავის 1932 წლის 20 აგვისტოს დირექტივაში აღნიშნავდა, რომ დოკუმენტები იყო „ქაოტურ მდგომარეობაში“, რომ „არაა გაკეთებული „ანაწერები“ რომ უახლოეს პერიოდში, არსებული საშტატო ერთეულის (იყო 2 ს/ე) პირობებში შეუძლებელია არქივის მოწესრიგება. კომისია წინადადებას იძლეოდა არქივისათვის დამატებით გადასცემოდა შენობა, გაეზარდათ თანამშრომელთა რაოდენობა 8 კაცამდე, რომლებიც საორიენტაციოდ 4 თვეში არქივს მოიყვანდნენ

წესრიგში (ა. კარასევა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1961, გვ. 20. იხ. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 138, ფურც. 20).

1936 წლიდან არქივმა ბინა დაიდო ლიბკენცის (ახლ. მაზნიაშვილის) ქ. N44-ში მდებარე ბინიატ ოფლის ყოფილ სახლში, არქიტექტორთა კავშირის ყოფილ სასტუმროში (ე. წ. სოკოს შენობა) (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 68, ფურც. 116), მაგრამ მალე ეს შენობა გადასცეს აეროკლუბს, არქივისათვის კი დატოვეს 2 ოთახი. მთელი დოკუმენტაცია და ბიბლიოთეკა განთავსდა სხვენში. ასეთ პირობებში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო საარქივო დოკუმენტების შემდგომი კონცენტრაცია.

1938 წ. 14 დეკემბრის N 32 გადაწყვეტილებით არქივს გადაეცა ყოფილი ქართული კათოლიკური ეკლესია (ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1. საქმე 10, ფურც. 36. ასევე - საქმე 45ა, ფურც. 3), სადაც დოკუმენტები განთავსებული იყო 1965 წლის 30 ივლისამდე (გრ. ჩაგანავა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია. მოხსენება. ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 279, ფურც.5). ეს შენობა მანამდე არსებულ სათავსოებთან შედარებით იძლეოდა საარქივო საქმიანობის შესაძლებლობას.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდში საფრთხე დაეუფლა კავკასიას, მათ შორის საქართველოსაც. ამიტომ საარქივო დოკუმენტების დიდი ნაწილი გადაიტანეს შუა აზიაში, რომლებიც ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა აჭარის სახელმწიფო არქივს (ა. კარასევა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1961, გვ. 21. იხ. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 138, ფურც. 21).

ომის შემდეგ დაიწყო კათოლიკურ ეკლესიაში განთავსებული არქივის მოწესრიგება. გაკეთდა სამუშაო კაბინეტები, ორი არქივსაცავი შესაბამისი სტელაჟებით, დაიდგა კარადები. საიდუმლო დოკუმენტებისათვის, ფო-

ტო და სარესტავრაციო ლაბორატორიისათვის გამოიყო ცალკე სათავსოები (ა. კარასევა, აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1961, გვ. 22. იხ. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 138, ფურც. 22). მიუხედავად ამისა, ამ შენობასაც ჰქონდა თავისი ნაკლოვანი მხარეები. მასში არ იყო ცენტრალური გათბობა და ვენტილაცია, რის გამოც შეუძლებელი იყო არქივსაცავებში ნორმალური ტემპერატურისა და ტენიანობის შენარჩუნება. ბათუმში არსებული კლიმატური პირობების შესაბამისად ყოველთვის მაღალი იყო ტენიანობის მაჩვენებელი. ასეთივე მძიმე მდგომარეობა იყო შემინულ ოთახებშიც, რადგანაც შემინვის ვერც ერთმა სპეციალისტმა ვერ გაბედა ემუშავა დიდ სიმაღლეზე (ე. ი. ბოლომდე ვერ შეიძინა შენობის სიმაღლის გამო), რის გამოც საცავებში აღწევდა მტვერი და კვამლი იქვე ახლოს არსებული პურის ქარხნიდან. დოკუმენტების მოვლისა და დაცვისათვის მთელი კოლექტივი ყოველთვიურად ასრულებდა დიდ და შრომატევად სამუშაოს (შემინულ პირობებში).

უფრო მძიმე იყო მდგომარეობა ცუდი ამინდის პირობებში. არქივის შენობა იყო ყველაზე მაღალი ნაგებობა ქალაქში და ჭექა-ქუხილის დროს იქმნებოდა მეხის დაცემის საშიშროება. 1962 წელს არქივსაცავში გაჩნდა ხანძარი. მართალია მოხერხდა დოკუმენტების გადარჩენა (დაზიანდა „კულტურის სახლის“ რამოდენიმე საქმეთა ერთეული), მაგრამ საშიშროება კვლავაც არსებობდა (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 19).



სოკოს სახლი



კათოლიკური ეკლესია

1962 წელს გადაწყდა არქივისათვის სპეციალური შენობის აშენება. შესაბამისად, გამოუყეს მიწა გორკის, (ეხლ. გორგილაძის) ქუჩის ბოლოში, შემუშავდა შესაბამისი პროექტი, რომლის საფუძველზეც აშენებული იქნა არქივის სამსართულიანი შენობა. იგი ექსპლოატაციაში შევიდა 1965 წელს.



შენობა უზრუნველყოფილი იყო ცენტრალური გათბობითა და ვენტილაციით. ცალ-ცალკე გამოიყო სადუბინფექციო სათავსო, „ფოტოლაბორატორიისა“ და „სარესტავრაციო სახელოსნოს“ კაბინეტები. მიუხედავად ამისა,

კვლავაც რჩებოდა მოუგვარებელი პრობლემები, არ არსებობდა სადუხინფექციო კამერა, ვერ ხერხდებოდა საქმეთა დუხინფექცია, არა და მწვავედ იგრძნობოდა დუხინფექციის აუცილებელი საჭიროება დოკუმენტებზე განხილვილი სოკოვანი დაავადებების გამო. გარდა ამისა, შენობა არ იყო გათვლილი დოკუმენტების კონცენტრაციისა და პერსპექტივაში საარქივო ფონდებით შევსებისათვის. ორიოდე წლის შემდეგ შეუძლებელი იქნებოდა ახალი დოკუმენტების განთავსება შესაბამისი ფართისა და სტელაჟების არარსებობის გამო (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 22).



დოკუმენტების მიღება

დასახელებულ და სხვა პრობლემათა გამო გადაწყდა ახალი შენობის აშენება. **1968 წ. დაიწყო საარქივო დაწესებულებისათვის ახალი, 6 სართულიანი შენობის მშენებლობა.** საარქივო ფონდებში ინახება არქივის ახალი შენობისათვის მიწის გამოყოფის შესახებ ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს 1968 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება:

1. „გამოეყოს მიწის ნაკვეთი აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის მშენებლობისათვის 91 კვარტალში სანდასუფთავების სპეც. ავტომეურნეობის ტრესტის ამჟამად არსებულ გარაჟების ადგილზე;

2. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს უფროსი (ნ. ნოლაიდელი) მშენებლობას შეუდგეს ქალაქის მთავარ არქიტექტორთან შეთანხმებული პროექტით და ათვისებაში მომხდარ ორგანიზაციას აუშენოს სანაცვლო სათავსოები.“

გადაწყვეტილებას ხელს აწერს ბათუმის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ზ. ვარშანიძე. ამ დანიშნულებით გამოიყო 333 251 მანეთი (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 809, ფურც. 3,4).

აღნიშნული გადაწყვეტილების მიუხედავად არქივის მშენებლობა დროში გაიწელა. არქივისტები შიშობდნენ, რომ საფრთხე ექმნებოდა არქივის მშენებლობისათვის მიწის გამოყოფის შესახებ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის გურამ ემირიძისადმი საარქივო სამმართველოს უფროსის ნ. ნოლაიდელის 1976 წლის 12 თებერვლის წერილში აღნიშნულია: „1968 წლიდან დგას არქივის მშენებლობის საკითხი. გამოიყო შესაბამისი ადგილი სანდასუფთავების ტრესტის გარაჟების ტერიტორიაზე. 4-ჯერ აღიძრა შუამდგომლობა აჭარის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობის წინაშე ამ ობიექტის 1971-1975 წლების კაპიტალური მშენებლობის ნუსხაში შესატანად, რასაც შედეგი არ მოჰყოლია. ახალი შუამდგომლობით მოთხოვნილ იქნა 1976 წლის მშენებლობის სატიტულო სიაში შესატანად, თუმცა გვაცნობეს, რომ არქივის მშენებლობა განხორციელდება 1977 წლისათვის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებული სხვადასხვა ხარჯების ხარჯზე.“

რადგან აჭარის საარქივო საქმე სერიოზულ საფრთხეშია, არქივისტების გადატვირთვის გამო განჩნდა სოკოვანი დაავადება, დანესტიანდა და საბოლოოდ წაიშალა მილიონობით მნიშვნელოვანი დოკუმენტი, გთხოვთ, ვიდრე მშენებლობა პრაქტიკულად არ განხორციელდება, ძალაში დატოვოთ გადაწყვეტილება სანდასუფთავების ტერიტორიის გამოყოფის შესახებ“ (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 809, ფურც. 1,2).

როგორც იქნა, მიღებული იქნა გადაწყვეტილება ახალი დოკუმენტსაცავის მშენებლობის შესახებ.



სამშენებლო სამუშაოები

არქივის ახალი შენობა ექსპლოატაციაში შევიდა 1992 წელს. 18 წელი დასჭირდა მის აშენებას. არქივის არსებობის 75-ე წლისთავზე მოხერხდა არქივისათვის ტიპიური შენობის აგება, სადაც შესაძლებელი გახდა 800 ათასამდე საქმეთა ერთეულის შენახვა (ასსცსა, ფ. 1041. ან. 1, საქმე 1826, ფურც. 184).



სახელმწიფო არქივის ახალი შენობა (1990 წ.)

ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებით გარკვეული ღონისძიებები გატარდა საჭირო ინვენტარმოწყობილობის შესაძენად. აღნიშნული ობიექტის დამკვეთი აჭარის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოდან უსასყიდლოდ იქნა შემოზიდული 12 621 მანეთის ინვენტარი. 7302 მანეთის ინვენტარ-მოწყობილობა საარქივო დოკუმენტებთან ერთად შემოტანილი იქნა ყოფილი პარტარქივიდანაც. ამ ღონისძიებების შედეგად მეტ-ნაკლებად გადაწყდა „მემატიანეს“ და ცსა-ის სათანადო ინვენტარით აღჭურვის საკითხი.

ცენტრალური სახელმწიფო არქივის შენობის ექსპლოატაციაში შესვლამ დღის წესრიგში დააყენა ბევრი ახალი საკითხი. პროექტით არ იყო გათვალისწინებული დაცვითი სიგნალიზაციის მოწყობა, რისთვისაც საჭირო იყო 400 000 მანეთი. პრობლემად იქცა დაცვის მუშაკთა შენახვა. ვერც საპოლიციო დაცვაზე გადაყვანა მოხერხდა (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე - 794, ფურც 4-5), თუმ-

ცა მოგვიანებით აღნიშნული პრობლემა დადებითად გადაწყდა.

საარქივო დაწესებულება დღეისათვის სწორედ ამ შენობაშია განთავსებული. 2011 წლის სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე საარქივო სამმართველოს ადმინისტრაციული შენობა ქალაქის უსახურ ნაგებობათა რიცხვს განეკუთვნებოდა:



საარქივო სამმართველო სარემონტო სამუშაოების დაწყებამდე (2010 წელი)

2011 წლის პრიორიტეტების შესაბამისად, კაპიტალურად შეკეთდა საარქივო სამმართველოს შენობა. შესაბამისად, საარქივო დოკუმენტების უსაფრთხოდ შენახვის და დაცვისათვის, მოქალაქეთა უფრო მარტივი და კომფორტული მომსახურებისათვის შეიქმნა შესაფერისი პირობები. გაიოლდა ინფორმაციის მოძიების სისტემა, საცავები და განყოფილებები აღიჭურვა თანამედროვე ავეჯით და კომპიუტერული ტექნიკით.



საარქივო სამმართველო სარემონტო სამუშაოების დასრულების შემდეგ (2012 წ.)

შეკეთდა და კეთილმოეწყო სამუშაო ოთახები, კანცელარია და სამკითხველო დარბაზი.



სამკითხველო დარბაზი

რთული მდგომარეობა იყო რაიონულ არქივებშიც. დოკუმენტები განთავსებული იყო არქივისათვის შეუფერებელ შენობებში. ყოფილი საბჭოთა კავშირის მესაზღვრეთა ყაზარმის შენობაში განთავსებული **ხელვაჩაურის რაიონის არქივი** იყო ავარიულ მდგომარეობაში, ჩაცვენილი იყო იატაკი. საცავები შეღწევადი იყო ქვეწარმავლებისა და მღრღნელებისათვის.



ხელვაჩაურის რაიონული არქივი 1970-2012 წლებში

2011 წელს არქივისათვის გამოიყო აჭარკოლოპკავშირის რაიონული განყოფილების შენობის ნაწილი, რომელიც კაპიტალურად შეკეთდა და აღიჭურვა ახალი საოფისე ავეჯითა და ტექნიკით.



ხელვაჩაურის არქივი 2012 წლიდან

მსგავსი სიტუაცია იყო ქედის არქივში. არქივის შენობის უკანა კედელზე მიყრილი იყო მეწყერის შედეგად ჩამოწოლილი ნიადაგი, რის გამოც კედლებში უვნებდა გრუნტის წყალი.



ქედის რაიონული არქივის ფონდსაცავი (2010 წელი)

ზოგიერთი საცავი განთავსებული იყო მიწურ იატაკზე, არ იყო სახანძრო-საგანგაშო აღჭურვილობა, ასევე სიგნალიზაცია. შენობა სრულიად შეუსაბამო იყო არქივისათვის. 2011 წ. რაიონული არქივისათვის გამოიყო სამხედრო კომისარიატის ყოფილი შენობა, რომელსაც ჩაუტარდა სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები და აღიჭურვა ახალი კომპიუტერული ტექნიკითა და საოფისე ავეჯით.



ქედის რაიონული არქივი სარემონტო სამუშაოების შემდეგ

არასტანდარტულ, შეუფერებელ ორსართულიან შენობაში იყო განთავსებული **შუახევის რაიონული არქივიც**. სხვა რაიონული არქივების მსგავსად, შუახევის დოკუმენტსაცავიც მოსახლეობისათვის მოუხერხებელ, მივარდნილ ადგილას მდებარეობდა. დღეისათვის რაიონული არქივებმა გადმოინაცვლა ცენტრებში, სადაც მდებარეობს რაიონის ყველა ინფრასტრუქტურა. შუახევის მუნიციპალური არქივისათვის რაიონის ცენტრში, გამგეობასთან ახლოს გამოიყო ყოფილი დაცვის პოლიციის შენობა, რომელსაც ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი.



შუახევის რაიონული არქივის ძველი და ახალი შენობები

ახლადაშენებული რაიონული ბიბლიოთეკის შენობაში გადმოინაცვლა მოსახლეობისათვის ადრე მოუხერხებელ ადგილას მდებარე **ხულოს რაიონულმა არქივმა**, რომელიც ასევე დოკუმენტების შენახვისათვის შეუფერებელ,

არასტანდარტულ შენობაში იყო განთავსებული. ადრე იქ იყო საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები. ამჟამად, ხულოს არქივმა გადმოინაცვლა რაიონის ცენტრში მდებარე ორსართულიან შენობაში, რომელიც სარემონტო სამუშაოების ჩატარების შემდეგ იქცა რაიონის ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ ნაგებობად.



ხულოს რაიონული არქივის ძველი და ახალი შენობები

პიონერთა სახლის ერთ-ერთ ოთახში იყო განთავსებული საარქივო დოკუმენტები **ქობულეთის რაიონულ არქივშიც (1957 წლამდე)**. რაიადმასკომის იმდროინდელი თავმჯდომარის ფატუშა დუმბაძის დახმარებით 1958 წლი-

დან არქივს გამოეყო ოთახები (ერთი დიდი ოთახი საცავისათვის და მომცრო ოთახი თანამშრომლებისათვის) რაიადმასკომის შენობის პირველ სართულზე. 1973 წელს არქივმა გადაინაცვლა ფიტოპათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებისათვის აშენებული საცხოვრებელი სახლის პირველ სართულზე (რუსთაველის ქ. 140). თავდაპირველად იგი მუზეუმისათვის ყოფილა განკუთვნილი, მაგრამ საარქივო ცნობებისადმი მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნების გამო მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული ფართის არქივისათვის გადაცემა. 1990-იანი წლებიდან ამ შენობაში არქივის ფუნქციონირება შეუძლებელი გახდა. საკანალიზაციო და წყლის სისტემების სიძველისა და გაუმართაობის გამო შენობის ზედა სართულებიდან საცავეებში მუდმივად ხდებოდა წყლის ჩამოჟონვა, ზიანდებოდა და ნადგურდებოდა საარქივო დოკუმენტები. 2012 წლიდან არქივი გადავიდა ქალაქის ცენტრში, ავტოსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, ყოფილი აჭარკოოპკავშირის შენობაში.



ქობულეთის რაიონული არქივის ძველი და ახალი შენობები

დღეისათვის საარქივო სამმართველოსა და მისი ტერიტორიული ორგანოების (მუნიციპალური არქივების) შენობები ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე, ლამაზი და კეთილმოწყობილი საარქივო დაწესებულებებია საქართველოში, სადაც ინტენსიურად მიმდინარეობს საარქივო, სამეცნიერო, საგამომცემლო საქმიანობა.

თაზი IV

საარქივო დოკუმენტებით უზრუნველყოფა და აღრიცხვა

§ 1. დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და დაკომპლექტება

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის შექმნისთანავე (იმ დროისათვის არქივი აერთიანებდა 72 ფონდის 11481 შესანახ ერთეულს) ჩამოყალიბდა უწყებათა დოკუმენტური მასალების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ჯგუფი, რომელმაც დაიწყო აქტიური მუშაობა წყარო-დაწესებულებებიდან დოკუმენტებით არქივის სისტემატური შევსების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სამუშაოები ხორციელდებოდა დაკომპლექტების წყაროების, მისაღები დოკუმენტების შემადგენლობის განსაზღვრისა და არქივში დოკუმენტების ჩაბარებასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მოგვარების პარალელურად.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება ეროვნული საარქივო ფონდის დაკომპლექტების იმ წყარო-დაწესებულებების შემადგენლობის სწორად განსაზღვრას, რომლებიც ქმნიან ეროვნული ფონდის შემადგენელ - კუთვნილ დოკუმენტებს.

საქართველოს კანონით „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ეროვნული საარქივო ფონდი ივსებოდა იმ დოკუმენტებით, რომლებიც იქმნებოდა: სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის, პოლიტიკური ორგანიზაციების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის პროცესში; გადაეცემოდა სახელმწი-

ფოს სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე; გადასული იყო სახელმწიფო საკუთრებაში ჩუქების, ანდერძით გადაცემის, ნასყიდობის ან სხვა კანონიერ საფუძველზე; წარმოადგენდა ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებას. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა მიმდინარეობს თანამედროვე პირობებშიც.

არქივის დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებების კონკრეტული სიების შემუშავება ხდება სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის 2009 წლის 16 ნოემბრის N 66 ბრძანებით შემუშავებული „ადგილობრივი არქივების დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა სანიმუშო სიების შესახებ“ საფუძველზე. დრო და დრო (5 წელიწადში ერთხელ) ხდება დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა სიების განახლება, რომელიც მტკიცდება საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მიერ.

1943 წლამდე ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დოკუმენტების დაკომპლექტების შესახებ მასალები მეტად მწირია, თუმცა ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ამ კუთხით მუშაობა ყოველწლიურად წარმოებდა. საშტატო განრიგში ფიქსირდება საუწყებო არქივის ინსპექტორი, რომელსაც ევალებოდა დაკომპლექტების საქმიანობის წარმართვა (ასსცსა, ფონდი რ-1041, ანაწერი 1, საქმე 206, ფურც. 2). აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოს (ასსცსა, ფონდი რ-1041) ანაწერებიდან ჩანს, რომ 1967-1990 წლებში საქმისწარმოების სწორად წარმართვისათვის დაწესებულებათა საუწყებო არქივების კონტროლს ახორციელებდა ინსპექტორთა ჯგუფი. 1991 წლიდან ინსპექტორთა ჯგუფი ჩამოყალიბდა განყოფილებად და საქმისწარმოების სწორი ორგანიზაციის, საუწყებო არქივებთან მუშაობის და დაკომპლექტების განყოფილების სახით ხელმძღვანელობდა აღნიშნულ საქმიანობას. განყოფილებამ ამ ფორმით იმუშავა 1999 წლამდე.

აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის 1999 წლის 1 თებერვლის N12 ბრძანებით შეიქმნა საქმისწარმოების, საუწყებო არქივების და ეროვნული საარქივო ფონდის დაკომპლექტების ორგანიზაციის განყოფილება (ასსცსა, ფონდი რ-1041, ანაწერი 1, საქმე 1882, ფურცელი 13).

2004 წლის 17 აგვისტოს აჭარის არ მთავრობის N18 დადგენილებით შეიქმნა დოკუმენტების დამუშავებისა და საუწყებო არქივებთან ურთიერთობის სამსახური, რომელიც გადაკეთდა ჯერ დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილებად (მთავრობის 2008 წლის 6 მარტის 12 დადგენილების საფუძველზე), ხოლო მოგვიანებით კი (2010 წლის 17 ივნისის 22 დადგენილებით) ტერიტორიულ ორგანოებთან მუშაობისა და დაკომპლექტება-დამუშავების განყოფილებად.

1937 წლის პირველი ნახევრისთვის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში თავმოყრილი იყო 144 ფონდის 17038 შესანახი ერთეული (ასსცსა, ფონდი რ-89, ანაწერი 1, საქმე 17, ფურცელი 23).

1996 წელს აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ინახებოდა 1878-1995 წლების 1749 ფონდის 520 ათასზე მეტი საქმე.

2001 წლის 1 იანვრისათვის აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალურ და რაიონულ სახელმწიფო არქივებში ინახებოდა 539 493 მუდმივად შესანახი დოკუმენტი, 2001 წლის ბოლოსთვის ამ ციფრმა შეადგინა 554 069 საქმეთა ერთეული (ასსცსა, ფონდი 1041, ანაწერი 1, საქმე 2009, ფურცელი 5).

2000 წლამდე მოქმედი დაკომპლექტების, ეროვნული ფონდის შემქნელ წყარო-დაწესებულებების სიაში შეტანილი იყო 447, 2002 წლისათვის კი 400 წყარო - დაწესებულება. მათ რიცხვში შევიდა ტექნიკური დოკუმენტაციის წარ-

მომქმნელი დაწესებულებების წყარო-ორგანიზაციები (ას-სცსა, ფონდი 1041, ანაწერი 1, საქმე 2009, ფურცელი 34).

2015 წლის 1 იანვრის სტატისტიკური მონაცემებით სამმართველოში დაცულია 2356 ფონდის მუდმივად შესანახი **670 222 საქმეთა ერთეული და პირადი შემადგენლობის 1327 ფონდის 237 509 შ/ე.** მათ შორის:

ა. საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში - 1675 ფონდის მუდმივად შესანახი 566 529 საქმეთა ერთეული და პირადი შემადგენლობის 475 ფონდის 81 884 საქმეთა ერთეული;

ბ. ტერიტორიული ორგანო ქობულეთის არქივში - 191 ფონდის მუდმივად შესანახი 30 850 საქმეთა ერთეული და პირადი შემადგენლობის 255 ფონდის 42 381 საქმეთა ერთეული;

გ. ტერიტორიული ორგანო ხელვაჩაურის არქივში - 175 ფონდის მუდმივად შესანახი 28 232 საქმეთა ერთეული და პირადი შემადგენლობის 209 ფონდის 46 264 საქმეთა ერთეული;

დ. ტერიტორიული ორგანო ქედის არქივში - 120 ფონდი მუდმივად შესანახი 15 056 საქმეთა ერთეული და პირადი შემადგენლობის 124 ფონდის 26 420 საქმეთა ერთეული;

ე. ტერიტორიული ორგანო შუახევის არქივში - 129 ფონდი მუდმივად შესანახი 17 361 საქმეთა ერთეული და პირადი შემადგენლობის 128 ფონდის 16 864 საქმეთა ერთეული;

ვ. ტერიტორიული ორგანო ხულო არქივში - 66 ფონდი მუდმივად შესანახი 12 194 და პირადი შემადგენლობის 136 ფონდის 23 696 საქმეთა ერთეული.

ეროვნული საარქივო ფონდის ხარისხიანი დაკომპლექტებისათვის უნდა გაძლიერდეს სამინისტროებისა და აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოების საარქივო საქმის და საქმისწარმოების მდგომარეობის,

დოკუმენტების სახელმწიფო შენახვისათვის შერჩევის საქმეში სახელმწიფო და საუწყებო არქივების მუშაობის კონტროლი. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ეროვნული ფონდის შემქნელ ორგანიზაცია-დაწესებულებებში სახელმწიფო შენახვაზე გადასაცემი საქმეების სწორად ფორმირებას და დაცვას.

დოკუმენტების შემადგენლობა, რომლებიც ექვემდებარება სახელმწიფო შენახვას, განისაზღვრება დოკუმენტების ღირებულების ექსპერტიზის საფუძველზე. დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა არის დოკუმენტების შესწავლა მათი ღირებულების კრიტერიუმების საფუძველზე დოკუმენტების შენახვის ვადების განსაზღვრისა და მუდმივი შენახვისათვის შესარჩევად.

დაწესებულების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის, ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების შერჩევისა და მუდმივი შენახვისათვის გადასაცემად მომზადების სამუშაოების ორგანიზაციის საქმეთა მეცნიერულ კონტროლს ახორციელებს დაკომპლექტება.

დოკუმენტების გადაცემა საარქივო სამმართველოში ხორციელდება ყოველწლიურად, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად. დოკუმენტების მიღება ფორმდება მიღება - გადაცემის აქტით. დაკომპლექტების განყოფილებაში ყველა წყარო დაწესებულებებზე იქმნება პირადი საქმე, სადაც თავსდება, ყველა მონაცემები აღნიშნულ ორგანიზაციის საარქივო საქმეთა მდგომარეობაზე (პასპორტი, აქტები, არსებული მდგომარეობა, საქმეთა ჩაბარებისა და ადგილზე არსებული რაოდენობა და სხვა).

დაკომპლექტების საქმიანობასთან უშუალოდ კავშირშია დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება. ამ მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 19 თებერვლის N 99 დადგენილებით აჭარის ასსრ სახელმწიფო არქივთან 1966 წლის 1 იანვრიდან

შეიქმნა სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების დოკუმენტური მასალების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფი 7 კაცის შემადგენლობით. ჯგუფის ფუნქცია იყო დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება, შემდგომში მათი გადაცემა სახელმწიფო შენახვაზე.

საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის კოლეგიის 1996 წლის 29 თებერვლის გადაწყვეტილების და მე-6 ბრძანების საფუძველზე, აჭარის არ სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტთან შეიქმნა უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახური. შესაბამისად, გაუქმდა (1997 წლის 1 აგვისტოდან) ცენტრალური სახელმწიფო არქივის უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების განყოფილება (ასსცსა, ფონდი რ-497, ანაწერი 1, საქმე 4, ფურცელი 1).

უწყებათა დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამსახური ახორციელებს სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოების დოკუმენტთა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებას, რომლებიც დადგენილი ვადის შემდეგ ბარდება არქივს. ამ სამსახურის თანამშრომლებს დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ. სწორედ მათ პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული, თუ როგორი ხარისხის და მნიშვნელობის დოკუმენტი დაიდებს ბინას საარქივო დაწესებულებებში.

§ 2. საექსპერტო - შემმოწმებელი კომისია

სახელმწიფოს სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად, იცვლებოდა არქივებთან მუშაობის

ფორმები და მეთოდები. უცვლელი რჩებოდა მხოლოდ არქივებში ისტორიული, სამეცნიერო მნიშვნელობის დოკუმენტების მოზიდვისა და მათი დაცვის ორგანიზაცია. ბოლო წლებში მომხდარმა პოლიტიკურმა ცვლილებებმა გააღებინა მოახდინა საარქივო დარგის მუშაობაზე: ერთის მხრივ, მრავალი წლის მანძილზე არსებული არქივების დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა რეორგანიზაცია-ლიკვიდაციამ, დაწესებულებათა ფუნქციის შეცვლამ, ხოლო მეორეს მხრივ - სახელმწიფო ორგანიზაციებისა და უწყებების ფინანსურმა პრობლემებმა აუცილებელი გახადა საარქივო დარგისთვის იურიდიული საფუძვლის შექმნა. 1995 წელს მიღებული საქართველოს კანონი „ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის შესახებ“ წარმოადგენს სწორად ამ საკანონმდებლო ბაზას.

დოკუმენტების დაცვას, მოწესრიგებას და დადგენილ ვადაში სახელმწიფო შენახვაზე გადაცემას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული საარქივო ფონდის დაკომპლექტების საქმეში, რაშიც ძირითად როლს **ასრულებს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია**. ამ კომისიის უპირველეს მიზანს შეადგენს დოკუმენტური მასალების სამეცნიერო, პოლიტიკური და პრაქტიკული ღირებულებისა და შენახვის ვადების განსაზღვრა, დოკუმენტური მასალების შერჩევა მუდმივ და ხანგრძლივ შესანახად, იმ დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფა, რომლებმაც დაკარგეს სამეცნიერო, საცნობარო და ისტორიული მნიშვნელობა.

1920 წლიდან აჭარის არქივების ისტორიაში ახალი ხანა იწყება. დროებითმა მთავრობამ დიდი მუშაობა გასწია სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში, ოჯახებში მიმობნეული საარქივო დოკუმენტების შეგროვებისა და აღწერა-კლასიფიკაციისათვის, მაგრამ არქივებისა და კანცელარიების მუშაკები მოკლებული იყვნენ ელემენტარულ

ლი წესების დაცვის შესაძლებლობას და პრაქტიკული თვალსაზრისით წყვეტდნენ დოკუმენტთა ამა თუ იმ კატეგორიის მოსპობის თუ შენახვის საკითხს, რაც აბსოლუტურად გამორიცხავდა დოკუმენტური მასალების ისტორიული მნიშვნელობის მეცნიერულ ექსპერტიზას.

აჭარის საარქივო დაწესებულებაში პირველად კონცენტრირებული იყო შემდეგი ფონდები: ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის, საპორტო ქალაქ ბათუმის საპოლიციო სამმართველოს უფროსის მოადგილის, სასამართლო დაწესებულებების, ქუთაისის გუბერნიის უანდარმერიის, ჩაქვის საუფლისწულო მამულის, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების მშენებლობისა და სხვა ფონდები (ასსცსა, ფონდი რ-1041, აღწერა 1, საქმე 3, ფურცელი 1-15).

საარქივო საქმის გაუმჯობესების მიზნით აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილებით სახალხო კომისარიატებს, ცენტრალურ დაწესებულებებსა და ადგილობრივ ორგანიზაციებს, მათი პროფილის შესაბამისად, დაევალოთ 1937 წლის 1 მარტამდე შეემუშავებინათ საქმეთა და მასაღათა ნუსხა, რომლებიც ექვემდებარებოდა საარქივო საქმეთა არქივში შენახვას. ცენტრალურ საარქივო სამმართველოსთან შეთანხმებით მათვე უნდა შეემუშავებინათ და დამტკიცებინათ ინსტრუქციები და ნუსხები მთელი სისტემისათვის, განესაზღვრათ დოკუმენტთა შენახვის ვადა.

ამ პერიოდიდან საარქივო მასაღებში ჩნდება შემომოწმებელი კომისიები, რომლებიც ნუსხების მიხედვით ახდენდნენ დოკუმენტების გადარჩევას. პირველი ოქმი დათარიღებულია 1940 წლის 18 სექტემბერით (ასსცსა, ფონდი რ-1041, აღწერა 1, საქმე 3, ფურცელი 1). 1940 წლის ბოლოსათვის ჩატარებული იყო შემომოწმებელი კომისიის 200-მდე სხდომა, რომლებზეც განხილული იყო 450 აღწე-

რა 150 ათასი შესანახი ერთეულით (ასსცსა, ფონდი რ-1041, აღწერა 1, საქმე 3, ფურცელი 1).

1941 წლის აქტებზე უკვე ჩნდება ბეჭდური წარწერა: „**გამტკიცებ**“, **საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია**, ხოლო 1942 წლიდან კი შემოღებულია შტამპი: „**გამტკიცებ**“, **საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია**. 1948 წლიდან დაცულია არა მარტო აქტები, არამედ აჭარის ასსრ საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის სხდომის ოქმები. 1948 წლის 28 თებერვლის ოქმიდან ჩანს კომისიის მთელი შემადგენლობა. კომისიას ხელმძღვანელობდა სამმართველოს უფროსი **ტატიანა ნეფედოვა (მდივანი კარაბაშიძე, წევრები: გ. პინიანცი, ქ. ცეცხლაძე, თოძე)**. 1949-1990 წლებში საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიას ხელმძღვანელობდა სამმართველოს უფროსის მოადგილე **გრიგოლ პინიანცი**, რომელსაც **2000 წელს** მიენიჭა „**საუკუნის არქივისტი**“-ს წოდება (ასსცსა, ფონდი რ-1041, აღწერა 1, საქმე 45, ფურცელი 1). მომდევნო წლებში საექსპერტო შემმოწმებელ კომისიას ხელმძღვანელობდნენ: **შ. აბაშიძე, თ. ქობულაძე, მ. ჭელიძე, ნ. ზაქარიაძე, ს. ბერიძე**.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 ივლისის №505 დადგენილებით დამტკიცდა „**აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო განყოფილების საექსპერტო შემმოწმებელი კომისიის დებულება**“, სადაც ჩამოყალიბებული იყო უწყებების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების დოკუმენტური მასალების სამეცნიერო-ისტორიული და პრაქტიკული ღირებულებების ექსპერტიზისა და ამ მასალებით სახელმწიფო არქივებისა და მათი ფილიალების საარქივო ფონდის დაკომპლექტების შემდგომი გაუმჯობესების საკითხები.

შემდგომ წლებში კიდევ უფრო დაიხვეწა საარქივო დარგისადმი წაყენებული მოთხოვნები, იცვლებოდა მათი

შენახვის ვადები, რაც მეტ-ნაკლებად ცვლიდა საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მუშაობის მეთოდებს და ფორმებს, იცვლებოდა და იხვეწებოდა მისი დებულებაც, მაგრამ უცვლელი დარჩა საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის, როგორც დოკუმენტების დაცულობის ერთ-ერთი გარანტის ფუნქცია და მნიშვნელობა.

საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიას არ დაუკარგავს მნიშვნელობა 1990-იან წლებში განვითარებული მოვლენების შემდეგაც, როდესაც შეიცვალა საზოგადოებრივი ფორმაცია. ცვლილება განიცადა საარქივო დარგის მმართველობის ფორმამ, გაუქმდა საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტთან არსებული დეპარტამენტის საბჭო, მაგრამ უცვლელი დარჩა საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის, როგორც ერთადერთი სათათბირო ორგანოს ფუნქცია და არსებობის აუცილებლობა.

მარტო 2000-2014 წლებში ცენტრალური არქივის ფონდები გაიზარდა 102 338 მუდმივად შესანახი საქმეთა ერთეულით, საცნობარო ხასიათის დოკუმენტები - 14986 საქმეთა ერთეულით. სახელმწიფო შენახვაზე შემოტანილი იქნა გაუქმებული კომკავშირულ-პარტიული ორგანიზაციების 116 245 საქმეთა ერთეული. დროული კონტროლის შედეგად 2000-2014 წლებში შენარჩუნებული იქნა და სახელმწიფო შენახვაზე ჩაბარდა ლიკვიდირებული და რეორგანიზებული 13 ორგანიზაციის 21 999 საქმეთა ერთეული, რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს უწყებათა საექსპერტო კომისიებმა და სამმართველოსთან არსებულმა საექსპერტო-შემმოწმებელმა კომისიამ.

დღეისათვის საარქივო სამმართველოს საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის მუშაობის მთავარ ამოცანას შეადგენს: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებების, საარქივო დაწესებულებათა საექსპერტო კომისიების საქმიანობისადმი სამეცნიერო-მეთოდური ხელმძღვანელობა და კონტროლი. მისი მიზანია ადგი-

ლობრივი და საუწყებო არქივების როლის ამაღლება, არქივების დაკომპლექტების წყარო-დაწესებულებათა სახეობებისა და საარქივო ფონდის დოკუმენტების შემადგენლობის განსაზღვრა, დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზის, დაწესებულებების და კერძო არქივების დაკომპლექტების საპრობლემო საკითხების განხილვა, დაწესებულებათა და კერძო არქივების, მუზეუმების, ბიბლიოთეკების, სხვა დაწესებულებებისა და ორგანიზაციების სამეცნიერო-მეთოდური საქმიანობის კოორდინაცია პირადი წარმოშობის დოკუმენტური ძეგლების გამოვლენისა და სახელმწიფო შენახვისათვის გადაცემა. დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუდმივად შესანახი დოკუმენტური მასალების აღწერების, საქმეთა ნომენკლატურების განხილვა-დამტკიცება, შენახვის ვადაგასული დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფის აქტების განხილვა, საკითხების სწორად გადაჭრისათვის სამეცნიერო-მეთოდური სახელმძღვანელოების შექმნა, განხილვა და დამტკიცება.

საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია დაკისრებული ამოცანების შესაბამისად განიხილავს ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სიებს, რომლებიც წარმოადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს და ადგილობრივი არქივების დაკომპლექტების წყაროს, მათ შორის ისეთი ორგანიზაციებისა, რომლებიც ქმნიან ფოტოფონო და სხვა სპეციფიკურ დოკუმენტაციას. ასევე, დოკუმენტების ნუსხებს, რომლებიც ექვემდებარებიან სახელმწიფო შენახვას, სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების ნუსხებს, რომელთა მიხედვით ხდება დოკუმენტთა გადაცემა სახელმწიფო შენახვაზე, არქივებში ჩატარებული დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებისა და ანაწერების გადამუშავების შედეგად მიღებული მუდმივად შესანახი საქმეების ანაწერებს, არქივების ფონდებიდან

დოკუმენტების გასანადგურებლად გამოყოფის აქტებს და ა. შ. საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია უფლებამოსილია მოითხოვოს ორგანიზაციების საექსპერტო კომისიებისაგან საარქივო საქმეთა სახელმწიფო შენახვაზე გადაცემის (მიღების) დადგენილი წესების შესრულება, მუდმივად შესანახი დოკუმენტების ანაწერების განხილვისას მოითხოვოს ორგანიზაციებიდან ამ მასალების დამუშავების დროს დოკუმენტთა მაკულატურაში გამოყოფის აქტი, რეკომენდაცია მისცეს დაწესებულებებს ორგანიზება გაუწიონ მუდმივად შესანახი, პირადი შემაღვენლობის გაბნეული საქმეების დაქვანას, მოითხოვოს წერილობითი განმარტებები დოკუმენტების გაბნევის ან უკანონო განადგურების მიზეზების შესახებ, საარქივო სმმართველოს წინაშე დააყენოს იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთაც ბრალი ედებათ დოკუმენტების დებულების დარღვევით შენახვისა და გამოყენების საქმეში, არასრულფასოვანი დოკუმენტი დაუბრუნოს ფონდშემქმნელს გადასამუშავებლად.

ამჟამად საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიას ხელმძღვანელობს სამმართველოს უფროსის მოადგილე **თენგიზ სალუქვაძე**, კომისია დაკომპლექტებულია კვალიფიციური კადრებით (**თ. ცინცქილაძე**, **ე. ჩაგანავა**, **მ. რურუა**, **ე. ნათელაძე**, **დ. შუშანიძე**, **ნ. შარაშიძე**, **ნ. ნაგერვაძე** და **თ. ნამგალაძე-ჯორბენაძე**, **ქ. მიქელაძე**), რომელთა მუშაობა გათვალისწინებულია მათი ძირითადი საქმიანობის სამუშაო გეგმაში და დამატებით ანაზრაურებას არ ექვემდებარება. ეს საკმაოდ შრომატევადი სამუშაოა. ზოგჯერ ერთ სხდომაზე ექსპერტს უწევს 6-8 შესწავლილ საკითხზე დასკვნის მომზადება.



**საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის შემადგენლობა
(2015 წელი)**

დოდო შუშანიძე, თენგიზ ცინცილაძე, ნაზი შარაშიძე, თამარ ნამგალაძე, ეთერ ნათელაძე, ნაზი ნაგერვაძე, მაია რურუა, ელგუჯა ჩაგანავა, თენგიზ სალუქვაძე (თავმჯდომარე)

2010-2014 წლებში ჩატარდა საექსპერტო-შემმოწმებელი კომისიის 44 სხდომა, რომლებზეც განხილული იქნა 759 საკითხი, მათ შორის განხილული და მოწონებული იქნა 233 ორგანიზაციის საქმეთა ნომენკლატურა, დამტკიცდა ანაწერები 32192 მუდმივად შესანახ, 26 714 ხანგრძლივად შესანახ საქმეებზე და 1148 ფოტოდოკუმენტზე. შეთანხმდა აქტები 96 136 შენახვის ვადაგასულ დოკუმენტზე, ჩამოიწერა 14 ფონდის გაბნეული 60 საქმეთა ერთეული.

სხვა ძირითად საქმიანობასთან ერთად საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიაზე ბოლო ათწლეულში განხილულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ამსახველი ოსმალური დოკუმენტების ქსეროასლების ანაწერები, რომლებიც დაცულია სოფის (ბულგარეთი) კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტში დაცული VII-XI საუკუნეების ქართული ხელნაწერების (ჰიუგო შუხარტის კო-

ლექცია) და პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის ქსეროასლების ანაწერები, კულტურის, მეცნიერების, განათლების სფეროს დამსახურებული მუშაკების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეების, პოეტების, მწერლების პირადი ფონდების ანაწერები, კინოფოტოფონო და ტექნიკური დოკუმენტების ანაწერები.

გვაქვს გარკვეული პრობლემებიც: ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილ ანაწერებში ხშირად არ არის სრულყოფილი მასალები. დღეისათვის მოქმედი დებულებით საექსპერტო-შემმოწმებელ კომისიას არა აქვს უფლება მკაცრად მოითხოვოს დაწესებულებებიდან პასუხი დაკარგული, გაბნეული საქმეების ან არასრულყოფილად წარმოდგენილი ანაწერის შესახებ. საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია მხოლოდ დაწესებულებებიდან მიღებული ცნობით კმაყოფილდება. ეს ეხება როგორც მუდმივ, ასევე ხანგრძლივად შესანახ საქმეებს, კერძოდ ცნობებს მოქალაქეთა მუშაობის, სწავლისა და სხვა სოციალურ-სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით. პირადი შემადგენლობის დოკუმენტებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად ათობით, ხშირად ასობით ადამიანი, რომლებსაც მთელი სიცოცხლე პატიოსნად უმუშავიათ, ვერ პოულობენ დამსახურებული პენსიისათვის სათანადო დოკუმენტაციას, რაც არქივს ბევრჯერ აყენებს უხერხულ მდგომარეობაში. ამიტომაცაა აუცილებელი თანამედროვე სტანდარტების დანერგვა ყველა ორგანიზაციის საქმისწარმოებაში რათა, საუწყებო არქივებიდან მიღებული დოკუმენტური მასალების მდგომარეობა შეესაბამებოდეს ინსტრუქციით გათვალისწინებულ წესებს.

§ 3. სამეცნიერო-საცნობარო აპარატი

საარქივო დოკუმენტების მრავალმხრივი გამოყენება უშუალო კავშირშია სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემის შექმნასა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საკითხებთან. იგი აადვილებს დოკუმენტური წყაროების გამოვლენას, უზრუნველყოფს არქივში დაცულ დოკუმენტთა შემადგენლობის და შინაარსის გახსნას, ხელს უწყობს საინფორმაციო ცნობების სწრაფად მოძებნას და მათ დროულად გამოყენებას. საცნობარო აპარატი უნდა მოიცავდეს არქივის ყველა ფონდს, ითვალისწინებდეს დაინტერესებულ მკვლევართა და დაწესებულებათა მოთხოვნებს, რათა დაუბრკოლებლად შეეძლოთ არქივში დაცული მასალების გამოყენება. სწორედ ამ მოთხოვნების შესაბამისად მიმდინარეობს მუშაობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.

სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემაში შედის საარქივო ცნობარები, კერძოდ: **საარქივო აღწერები, ფონდების სია, კატალოგები, მეგზურები, საძიებლები, დოკუმენტთა მიმოხილვები, თემატური ნუსხები** და ა. შ. (სახელმწიფო არქივის მუშაობის ძირითადი წესები, 1988:100).

აჭარაში საარქივო დაწესებულების ჩამოყალიბების პირველ წლებში ძნელი წარმოსადგენი იყო სამეცნიერო-საცნობარო აპარატის, როგორც მეცნიერული საინფორმაციო სისტემის შექმნა, რადგან არქივის მუშაკებს მოკლე დროში სრულ ტექნიკურ წესრიგში უნდა მოეყვანათ ქალაქის საკრებულოს, სათათბიროს, ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოს და მეფისდროინდელი რუსეთის სხვადასხვა დაწესებულებებში შექმნილი და იმჟამად ქალსურ მდგომარეობაში მიმოფანტული საარქივო დოკუმენტები.

სირთულეების მიუხედავად, აჭარის არქივისტთა მცირე ჯგუფმა ჯერ კიდევ 1940 წლამდე შეძლო აჭარის ცენტრალურ არქივში ისტორიული და საბჭოთა პერიო-

დის დოკუმენტური მასალების თავმოყრა და მათი პირველადი ტექნიკური დამუშავება. 1939-1951 წლებში შედგა ფონდების სიები, აღწერები და გასარჩევი სიები, აღწერათა რეესტრები, საარქივო ფონდების სარეგისტრაციო ბარათები, ისტორიული ცნობები (ასსცსა, ფონდი რ-89; აღწ.1; საქ.50; 51; 63), რითაც შემდგომში **საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნას**. მართალია, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის, როგორც საარქივო საქმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულების ჩამოყალიბების ზუსტი თარიღი ვერ დგინდება, მაგრამ უკვე 1951 წლიდან ცენტრალური არქივის სტრუქტურაში სხვა სტრუქტურულ ერთეულებთან ერთად ჩნდება ახალი დანაყოფი „**სამეცნიერო-საცნობარო აპარატი**“ (ასსცსა, ფონდი რ-89; აღწ.1; საქმ.74). 1959 წელს სამეცნიერო-საცნობარო აპარატს დაემატა სახელმწიფო აღრიცხვა და სტრუქტურულმა ერთეულმა მიიღო „**სახელმწიფო აღრიცხვა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი-ს**“ სახელწოდება (ასსცსა, ფონდი რ-89; აღწ.1; საქ.117), თუმცა ორივე ეს მიმართულება წარმოადგენდა დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს და ჰყავდა თავისი ხელმძღვანელები. 1997 წელს ცენტრალური არქივის კატეგორიის შეცვლის და ახალი სტრუქტურის დამტკიცების შემდეგ (ასსცსა, ფონდი რ-89; აღწ.1; საქ.849; ფურც.45) **სახელმწიფო აღრიცხვა და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი ჩამოყალიბდა განყოფილებად** და ასეთი სახით ფუნქციონირებს დღემდე.

1950 წლიდან მნიშვნელოვნად გააუმჯობესდა სამეცნიერო-საცნობარო აპარატი, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს მეთოდურმა წერილმა „**სახელმწიფო არქივების სამეცნიერო-საცნობარო აპარატის ერთიანი სისტემის შესახებ**“ (1962 წელი).

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 25 ივლისის დადგენილებით გადაწყდა **საცნობარო აპარატის მეცნიერულად დასაბუთებული სისტემის შექმნა**, რომელიც შეი-

ლებდა ამომწურავი ინფორმაციის ეფექტური მიწოდების უზრუნველყოფას საარქივო დოკუმენტების შემადგენლობასა და შინაარსზე. ამ დადგენილებისა და რეკომენდაციების საფუძველზე აჭარის საარქივო დაწესებულებებმა გარკვეული მუშაობა ჩაატარეს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნისა და გაუმჯობესების თვალსაზრისით. პერსპექტიულ სამუშაო გეგმებში მეტი ყურადღება დაეთმო ფონდების აღწერების, კატალოგების, მიმოხილვების, ნუსხების სრულყოფას.

აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 8 თებერვალს № 51 დადგენილებით დამტკიცდა აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივის დებულება, რომელშიც **გათვალისწინებული იქნა სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნა**, რაც თავის მხრივ გულისხმობდა დოკუმენტების და საქმეთა ერთეულების აღრიცხვას, სამეცნიერო აღრიცხვასა და კატალოგიზაციას(ასსცსა, ფ.რ-89; აღწ.1; საქ.221). შესაბამისად, შემუშავდა სამეცნიერო-საცნობარო აპარატის განვითარების პერსპექტიული გეგმა, რომლის საფუძველზეც, 1970 წლიდან დაიწყო **I და II კატეგორიის ფონდების გაუმჯობესება** (30 ფონდის 12034 ს/ე)(ასსცსა, ფ. რ-89; აღწ.1; საქ.849; ფურც.45). 1980 წლისათვის უკვე გაუმჯობესებული იყო 25000 ს/ე და შედგენილ იქნა 45000 თემატური ბარათი. მომზადდა მიმოხილვები, თემატური ნუსხები, გამოიცა ცენტრალური სახელმწიფო არქივის „მეგზური“, შედგა ფონდების სრულყოფილი სია როგორც ისტორიულ, ასევე საბჭოთა პერიოდზე დაიწყო სახელობითი (გამოჩენილ პიროვნებათა) კატალოგის შედგენა.

ისტორიული ფონდებიდან წესრიგში იქნა მოყვანილი: ი-1 – სამხედრო გუბერნატორის კანცელარია; ი-6 – ბათუმის საქალაქო თვითმმართველობა, ი-7 – ბათუმის საქალაქო სათათბირო; რევოლუციის შემდგომი პერიოდის ფონდებიდან: რ-1 – რევოლუციური კომიტეტი; რ-2 –

აჭარის ასსრ სახალხო კომისართა საბჭო; რ-4 – ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა.შ. ამ ფონდებში თავმოყრილი დოკუმენტები აქტიურ გამოყენებაშია და დიდ სამსახურს უწევს ფართო საზოგადოებასა და სამეცნიერო დაწესებულებებს.

სამეცნიერო-საცნობარო აპარატის საფუძველს აღწერები წარმოადგენს. 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში დაცული 1660 ფონდისათვის შედგენილია 3073 აღწერა(თითოეულ ფონდზე არანაკლებ 2 ეგზემპლიარი). ყველა ფონდს აქვს ისტორიული ცნობა ან ფონდის წინასიტყვაობა, შედგენილია ფონდის ფურცელი და ფონდის ბარათი.

თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა შესაძლებლობას იძლევა კიდევ უფრო ეფექტური გახდეს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის დანიშნულება, რაც უპირველესად გულისხმობს დოკუმენტთა აღწერილობების მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნას.

„ეროვნული საარქივო ფონდისა და ეროვნული არქივის“ შესახებ საქართველოს კანონის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, **ორგანიზაცია-დაწესებულებები ვალდებული არიან ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტები არქივს გადასცენ, როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური მატარებლების სახით.** რაც შეეხება ცენტრალურ არქივში უკვე არსებულ ანაწერებს, მათი ელექტრონული დამუშავება დაიწყო 2005 წლიდან. ექსპერტიზის შემდეგ, დარჩენილ საქმეებზე დგება ახალი აღწერები, ისტორიული ცნობები, აქტები, გადასაცემი ცხრილები. 2008-2014 წლებში გაუმჯობესდა და ახალი ელექტრონული აღწერები შედგა 163 ფონდის 12 485 შესანახ ერთეულზე.

სამეცნიერო-საცნობარო აპარატის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია **თემატური კატალოგი.** იგი ინფორმაცი-

ის მოძებნის ძირითადი ცნობარია და მას ბარათული სახე აქვს. კატალოგში დაჯგუფებულია ინფორმაცია არქივის დოკუმენტთა შინაარსის შესახებ საქმის შესაბამისი თემებისა და დარგების მიხედვით. ამიტომ კატალოგების გამოყენების ეფექტი დიდია, მკვლევარს საქმეთა გადასინჯვის გარეშე შეუძლია მიიღოს მისთვის საინტერესო ცნობები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ წლების განმავლობაში ხდებოდა არასწორი დაგეგმვა, რამაც გამოიწვია ნაკლებად ღირებული ინფორმაციის აყვანათემატურ ბარათზე, რითაც დაიკარგა მისი პრაქტიკული გამოყენება-მნიშვნელობა. ამ ხარვეზის გამოსწორების მიზნით განყოფილება გეგმავს ბარათების ექსპერტიზას, გადათვალიერებას და გასანადგურებლად შერჩევას, რის შემდეგაც სახეზე გვექნება ღირებული და პრაქტიკულად გამოსაყენებელი ბარათების საკატალოგო სისტემა და მათი კომპიუტერული ვერსიები. თუმცა აქ ერთ სიძნელეს ვაწყდებით. სახელმძღვანელო წიგნები, რომლის საშუალებითაც ხდება დოკუმენტური ინფორმაციის ერთიანი, სისტემური კატალოგიზაცია, მოძველებულია. იგი რუსულ ენაზე გამოცემული 1978 წელს (იმდროინდელი, საბჭოური იდეოლოგიური შტამების შესაბამისად). ასალი მეთოდური ლიტერატურა კი პრაქტიკულად არ გაგვაჩნია. **დღეისათვის ცენტრალურ არქივში აღრიცხვაზეა 131 063 ბარათი.**

„მეგზური“ არქივის ცნობარია, რომელიც შეიცავს მონაცემებს არქივის დოკუმენტთა ძირითადი ფონდების შესახებ. იგი არქივის ფონდების სახელწოდებათა სისტემატიზირებული ნუსხაა.

ცენტრალურ სახელმწიფო არქივის „მეგზური“-ს მაკეტი 1948 წელს დამზადდა, პირველი „მეგზური“ გამოიცა 1959 წელს, შემდგომ 1974 და 2003 წლებში. მეგზურში შესულია არქივში არსებული ძირითადი ფონდების მოკლე დახასიათებები.

ბოლო პერიოდში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შედეგად მოხდა რიგი დაწესებულებების ლიკვიდაცია, რეორგანიზაცია-რესტრუქტურისაცია, რამაც დღის წესრიგში დააყენა ეროვნულ საარქივო ფონდს მიკუთვნებული დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და ვადაზე ადრე არქივებში დაბინავება. ამ ფონდების შემადგენლობაში მომხდარი სხვა ცვლილებების გამო არქივის ამჟამად არსებული „მეგზური“-ც საჭიროებს განახლებას. ამ სამუშაოების შესასრულებლად დაწესებულია მოსამზადებელი სამუშაოები.

სამეცნიერო-საცნობარო აპარატს განეკუთვნება აგრეთვე **დოკუმენტა მიმოხილვები**. არქივში ამ მხრივაც ჩატარებულია სერიოზული სამუშაოები, დამუშავებულია მამია ვარშანიძის, იუსუფ კობალაძის, რამაზ სურმანიძის, ჯემალ ნოღაიდელის, ფრიდონ ხალვაშის, გრიგოლ პინიანცის, ალი სამსონიას და სხვათა პირადი ფონდები და გაკეთებულია მათი მიმოხილვები. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ როგორც მათ შრომებსა და სტატიებს, ისე ბიოგრაფიული ხასიათის დოკუმენტებსაც. არქივში დაცული დოკუმენტების მიხედვით 1978 წელს შედგა თემატური მიმოხილვა – **„ქალაქმშენებლობის და არქიტექტურის, ისტორიული და კულტურის ძეგლთა დაცვის შესახებ“** (ასსცსა, ფონდი რ-89; აღწ.1; საქ.498; დურც.1-3; 8; 19). მიმოხილვაში შესულია ის დოკუმენტები, რომლებშიც წარმოდგენილია **ქალაქმშენებელი ინჟინერის სვიშჩევსკის** მიერ 1927 წელს შედგენილი **ბათუმის რეკონსტრუქციის და განაშენიანების პროექტი**, რომლის სამოქმედო ვადა 25-30 წელს შეადგენდა. მიმოხილვაში წარმოდგენილია ძეგლთა დაცვის შესახებ დაცული დოკუმენტური მასალები (გონიოს, ციხისძირის, თამარის ციხეები, ხუცუბნის სასაფლაოები, 1878 წლის რუსეთ-ოსმალეთის ომში დაღუპული მეზრძოლების საფლავები და სხვა).

სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სახეობათა შორის, არქივის პრაქტიკულ მუშაობაში სულ უფრო მეტად გამოიყენება **თემატური ნუსხები**, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას დოკუმენტების შინაარსსა და შემადგენლობაზე. ცენტრალურ არქივში დაცული მასალების მიხედვით შედგენილია თემატური ნუსხები სხვადასხვა ქვეყნებთან ურთიერთობის, ილია ჭავჭავაძისა და მემედ აბაშიძის ცხოვრება-მოღვაწეობის, მე-20 საუკუნის დასაწყისში აჭარაში მოქმედი საკონსულოების, რელიგიური დაწესებულებების, მრეწველობის განვითარების, ბათუმის განაშენიანების და სხვა საკითხების შესახებ.

ამ საკითხის შესახებ საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით იმ ადამიანთა სახელებს, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სამეცნიერო-საცნობარო აპარატის და ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების სახელმწიფო აღრიცხვასთან დაკავშირებული სამუშაოების შესრულებაში. ამ სამუშაოების შესრულება დიდ პროფესიონალიზმს და საკითხის ღრმა ცოდნას მოითხოვს. სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სრულყოფის სამუშაოებს 1962 წლიდან უფროსი მეცნიერ-თანამშრომლები ასრულებდნენ, მოგვიანებით (1985 წლიდან) უფროსი არქივისტები. განყოფილებების შექმნის შემდეგ (1996 წლიდან) ამ სამუშაოებს ასრულებენ განყოფილების უფროსები, მთავარი არქივისტები.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში წლების განმავლობაში ამ რთულ საქმეს ხელმძღვანელობდნენ: **გ. მოსიძე, გ. ანდღულაძე, ე. გოგეშვილი, ნ. სელიმიძე, მ. თურმანიძე, ნ. სკამოჩაიშვილი**. მათ სახელს უკავშირდება ათობით გადამუშავებული და გაუჯობესებული ფონდი, სრულყოფილი, რედაქტირებული და დახვეწილი ანაწერები, ფონდების ისტორიული ცნობები, თემატური ბარათები და ნუსხები, სამუშაო ინსტრუქციები, რეკომენდაციები.

აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის სახელმწიფო აღრიცხვისა და სამეცნიერო-საცნობარო განყოფილებამ (დასაქმებულია 3 თანამშრომელი: **მ. რურუა, ნ. კუტალაძე და ჯ. ვერულიძე**) ბოლო 4 წლის განმავლობაში **115 ფონდის 13 391 შესანახ ერთეულს ჩაუტარა გადამუშავება-გაუმჯობესება**, გასანადგურებლად შეარჩია შენახვისვადაგასული და სამეცნიერო-პრაქტიკულ ღირებულებას მოკლებული **3883 შესანახი ერთეული**, გაიმიჯნა და შედგა №I და II აღწერები მუდმივ და ხანგრძლივშესანახ საქმეებზე, ასევე ტექნიკური ხასიათის დოკუმენტებზე. თითოეულ ფონდს გაუკეთდა გადასაყვანი ცხრილები, დაიწერა ისტორიული ცნობები.

დასახელებული სამუშაოების შესრულების პარალელურად მიმდინარეობს აქტიური მუშაობა სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შევსებისა და კომპიუტერული წესით დამუშავებისათვის, რათა შესაძლებელი გახდეს ინფორმაციის „ინტერნეტქსელში“ ჩართვა, საარქივო დოკუმენტური მასალების ფართო საზოგადოების ინტერესების სამსახურში ჩაყენება.

თაზი V

დოკუმენტური მასალების შემადგენლობა და შინაარსი. დოკუმენტების გამოყენება

§ 1. ისტორიული ფონდები

საარქივო სამართველოს ცენტრალური არქივის საცავებში დაცულ ფონდებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია **რევოლუციამდელი ანუ ისტორიული ფონდების** განყოფილებას. ფონდებში თავმოყრილია პირველხარისხოვანი ისტორიული დოკუმენტები ყოფილი ბათუმის ოლქის ტერიტორიაზე არსებული რუსეთის იმპერიის დროინდელი დაწესებულებების, ორგანიზაციების და საწარმოების, საზოგადოებრივი და წოდებრივი დაწესებულებების ისტორიისა და საქმიანობის შესახებ. ფონდებში ინახება ასევე საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის (1918-1921წწ.) დაწესებულებების, თურქეთისა და ინგლისის საოკუპაციო პერიოდის მასალები. ისტორიული ფონდები პერიოდულად ივსება საზღვრებს გარეთ სხვადასხვა ქვეყნების არქივებში დაცული ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამსახველი ელექტრონული არქივებით.

2015 წლის იანვრის მდგომარეობით ისტორიულ ფონდსაცავში **დაცულია 82 ფონდის 13 256 საქმეთა ერთეული**. ეს ფონდები საკმაოდ კარგად არის განხილული ცენტრალური სახელმწიფო არქივის „მეგზურში“. მასში წარმოდგენილმა მასალებმა ჩვენც გაგვიწია დახმარება წინამდებარე საკითხის დამუშავების დროს.

საარქივო სამართველოს ისტორიულ ფონდებს შორის მნიშვნელოვანია **ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის, ბათუმის ქალაქის მმართველობის, ბათუმის საქალაქო სათათბიროს, ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის საჟანდარმო-საპოლიციო სამმართველოს ბათუმის განყოფილების, ბათუმის საბაჟოს, ბა-**

თუმის საგაჭრო პორტის სამმართველოს, ქალაქ ბათუმის და ბათუმის ოლქის მართვის საბჭოს, ჩაქვის საუფლისწულო მამულის და სხვა საოლქო მნიშვნელობის დაწესებულებების დოკუმენტური მასალების ფონდები, რომლებიც წარმოაჩენენ ბათუმის და ბათუმის ოლქის ისტორიის ძირითად ეტაპებს, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, მრეწველობის, ვაჭრობის, სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის კანცელარიის (1893-1920 წწ), ამიერკავკასიის რეინიგზის უანდარმერისა და პოლიციის სამმართველოს ბათუმის განყოფილების (1883-1917 წწ), საპორტო ქალაქ ბათუმის პოლიციის სამმართველოს (1878-1917წწ.) ფონდებში დაცულია დოკუმენტური მასალები ბათუმის და ყარსის ოლქების დაარსების და მმართველობის, ბათუმის ოლქში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების, რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად სამხედრო ნაწილების მივლინებისა და გადაადგილების შესახებ, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრთა დაპატიმრების და ციხებში გადასახლების, ცეცხლსასროლი იარაღის ტარების აკრძალვის, გაფიცვებში მონაწილე მუშებზე ფარული მეთვალყურეობის დაწესების, სოფლებში ეგზეკუციებისა და რეპრესიების, რევოლუციურ მოძრაობაში შემჩნეული პირების ძებნის, ადგილობრივ მოსახლეობასთან და მუშათა რევოლუციურ მოძრაობასთან საბრძოლველად პოლიციის, უანდარმერის, საბაჟოს თანამშრომლებისა და სხვა დამსჯელი სამხედრო ნაწილების უფლებების გაფართოების შესახებ.

ფონდებში ასევე დაცულია პოლიცმეისტერის მოხსენებითი ბარათები, ანგარიშები და პატაკები სამხედრო გუბერნატორისადმი გაფიცვებისა და შეკრებების შესახებ. აქვეა ცნობები სიდერიდისის, მანთაშევის, ბინიათ-ოღლის და როტმილდის ქარხნებში რუსეთის სოციალ-დემოკრა-

ტიული მუშათა პარტიის ბათუმის კომიტეტის ხელმძღვანელობით ორგანიზებული მუშათა რევოლუციური გამოსვლების და სამხედრო ნაწილებთან შეიარაღებული შეტაკების, 1904 წლის მიტინგების, გაფიცვებისა და შეიარაღებული შეტაკებების მონაწილეთა დაპატიმრების და ოლქიდან გასახლების, ბათუმის გარნიზონის ჯარისკაცთა და მეზღვაურთა შორის რევოლუციური აგიტაცია-პროპაგანდის, პროკლამაციათა გავრცელების (ასსცსა, ფ. ი-1, ს.ა.ქ.115,140,141), ბათუმის მუშათა რაიონებში განლაგებული ჯარის ნაწილების 1906-1907 წლების რევოლუციური გამოსვლების (ასსცსა, ფ. ი-1, ს.ა.ქ. 205,242), 1910 წ. აჯანყებული მუშების მიმართ მთავრობის რეპრესიების პასუხად ბათუმის ციხის პოლიტპატიმართა შიმშილობის და გამოსვლების (ასსცსა, ფ. ი-1, ს.ა.ქ. 462), ბათუმის მოსწავლეთა რევოლუციური მოძრაობის (1912წ) (ასსცსა, ფ. ი-1, ს.ა.ქ.557.) და სხვა მოვლენების შესახებ. აქვეა ლ. ტოლსტოის გარდაცვალებასთან დაკავშირებით პოლიციის დეპარტამენტის 1910 წლის ცირკულარული წერილი სამგლოვიარო მიტინგების და შეკრებების აკრძალვის თაობაზე (ასსცსა, ფ. ი-1, ს.ა.ქ. 480), ცნობები მეფის მთავრობის მიერ 1907 წ. ხელოვნურად პროვოცირებული ურთიერთდაპირისპირების შესახებ სომხურ და მუსლიმანურ მოსახლეობას შორის (ასსცსა, ფ. ი-1, ს.ა.ქ.275). ფონდებში გვხვდება ბათუმის სამრეწველო საწარმოების სიები, რომლებშიც ტარდებოდა რსდმპ ბათუმის კომიტეტის წევრთა მუშაობა, აქვეა წარმოდგენილი მიმოწერები პოლიციის დეპარტამენტთან - კერძო პირებისგან და სახელმწიფო ორგანიზაციებისგან მიწის ნაკვეთების შეძენის თაობაზე, ბათუმში რკინიგზის, სამგზავრო სადგურის, საპორტო ნაგებობების, ნავთობის ქარხნის, საქალაქო ბაღის, ბულვარის, სახელმწიფო ბანკის, საქალაქო ციხის აშენებასთან დაკავშირებული მასალები (ასსცსა, ფ. ი-5, აღწ.1). ფონდებში დაცულია იმ მუშებისა და მოსამსახურე

რეების სიები, რომლებიც ამიერკავკასიის რკინიგზაზე გაფიცვების შემთხვევაში ექვემდებარებოდნენ დაპატიმრებას (ასსცსა, ფ. ი-2, აღწ.1).

ბათუმის და ბათუმის ოლქის ისტორიის ამსახველი მასალები თავმოყრილია ბათუმის ოლქის მართვის საბჭოს, ბათუმის საქალაქო სათათბიროს (1888-1919წწ), ბათუმის საქალაქო მმართველობის (1888-1921წწ), ნავთობის სააქციო სამმართველოს (1892-1920წწ) და სხვა ფონდებში. ფონდების დოკუმენტურ მასალებში ინახება ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის დადგენილებები, ბრძანებები და განკარგულებები მიტინგების, შეკრებების, თავისუფალი სიტყვის და ბეჭდვის აკრძალვის, გაზეთის რედაქციაზე, ტიპოგრაფიასა და კერძო მიმღწერაზე ცენზურის დაწესების, ცეცხლსასროლი და ცივი იარაღის ხელისუფლებისათვის ჩაბარების, კომენდანტის საათის შემოღების, შრომის ბირჟის გახსნის, მუშებსა და მეწარმებს შორის უთანხმოების მოგვარების მიზნით ე.წ. „შესარიგებელი კამერის“ შექმნის, ქალაქის სათათბიროს და თვითმმართველობის გადარჩევის (1919 წ.), ბათუმის ოლქის საბჭოს დათხოვის და მისი ფუნქციების ბრიტანეთის სამხედრო ხელისუფლებისათვის გადაცემის შესახებ. ფონდში დაცულია აგრეთვე ცირკულარული განკარგულებები საზოგადოებრივი მმართველობის და სათათბიროს არჩევნების, ქალაქის კეთილმოწყობის, გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფის, ბათუმში იმპერატორის მისაღებად მოსამზადებელი კომიტეტის შექმნის (ასსცსა, ფ. ი-6, საქ.13), გზების შეკეთების, ნავთობის, მინერალური ზეთების შენახვისა და გადატანის წესების შესახებ. აქვეა ბათუმის და მისი ოლქის მმართველობის საბჭოს სხდომის ოქმები მილიციის შექმნის, ბათუმის ოლქში სასურსათო კრიზისის, სათათბირო სისტემის შემოღების, ერთ სულ მოსახლეზე პურის ნორმის შემცირების, თურქეთის საოკუპაციო ხელისუფლების მიერ მოწვეული მეჯ-

ლისის დათხოვის, ოფიცრებისა და მოხალისე თეთრგვარდიელებისათვის ეკონომიკური დახმარების გაწევის და სხვათა შესახებ (ასსცსა, ფ. ი-6, ი-7).

ბათუმის საქალაქო სათათბიროს და საქალაქო მმართველობის ფონდებში თავმოყრილია მასალები საზოგადოებრივი მმართველობის მოწესრიგების, გადასახადებისა და მოსაკრებლების აკრეფის, საქალაქო მეურნეობის მშენებლობის და დაცვის, ქალაქის შემოსავალ-გასავლის დამტკიცების, ქუჩების დაპროექტების, ქალაქში მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემის, ქალაქის უძრავი საკუთრებიდან შემოსავლების რაოდენობის შესახებ. აქვეა ქალაქის სათათბიროს მუშაობის ანგარიშები, კომისიათა მოხსენებები სახალხო განათლების, საფინანსო და საადგილმამულო იურიდიული საქმიანობის, სკოლების გახსნის, გზატკეცილების, შენობათა მშენებლობის, სახაზინო დაწესებულებების მშენებლობისათვის გადასაცემი მიწების შემფასებელ სამთავრობო კომისიაში ქალაქის წარმომადგენლის არჩევის, სასურსათო მაღაზიების მაკონტროლებელი კომისიის შექმნის, ქალაქის წყალგაყვანილობის მოწყობის და ჭაობების დაშრობის კომისიის წევრების არჩევის თაობაზე (ასსცსა, ფ. ი-7). ბათუმის საქალაქო სათათბიროს ფონდში დაცულია ასევე საყურადღებო ცნობები ქალაქისა და პორტის წყალმომარაგების, პოლიციისა და სახანძრო დაცვის შენახვის ხარჯების, მუშა-მოსამსახურეთა 1905 წ. გაფიცვის შესახებ. აქვეა მასალები ბიბლიოთეკების გახსნის, ქალაქში სასულიერო სასწავლებლის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის, თავშესაფარის საავადმყოფოდ გარდაქმნასთან დაკავშირებით. მეტად საინტერესოა გეგმები და სქემები „ბურუნთაბიეს“ გასწვრივ ახლომდებარე დაჭაობებული ადგილების ამოშრობის, ხიდების მოწყობის, ქალაქის გარშემო არსებული ტყეების დაცვის, ყოროლისწყლის მიმდებარე ველზე ნავთობსადენის გადატანის, ნური-გე-

ლის ტბის გაღრმავების და სხვა საკითხების შესახებ (ასსცსა, ფ.ი-6).

სამეურნეო-ეკონომიკური დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების ისტორიულ ფონდებში დაცულ მასალებში დაწვრილებით არის დახასიათებული ბათუმის ოლქის და შავიზღვისპირა აჭარის სანაპიროების საზღვრები, ნიადაგი და მცენარეული საფარი, სატყეო აგარაკები. ჩაქვის საუფლისწულო მამულის სამმართველოს ფონდში (ასსცსა, ფ.ი-22. 1894-1917 წწ) დაცულია მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების სამინისტროს და სამმართველოს ჩაქვის საუფლისწულო მამულის ბრძანებები და ცირკულარები ჩაის პლანტაციებისათვის მიწის ნაკვეთების გაფართოების, ჩაის პლანტაციების მდგომარეობის, საუფლისწულო მამულში შრომის ორგანიზაციის, სატყეო სამუშაოების წარმოების წესის, ქონებისა და ტყეების აღწერის, მიწების გამოიჯნვის, გლეხებისათვის სახაზინო მიწების ნაკვეთების სატყეო სივრცეებიდან გამოყოფის შესახებ. აქვეა ცნობები ჩაქვის საუფლისწულო მამულში მეტეოროლოგიური დაკვირვების ჩატარების, 1894-1913 წლების ანგარიშები საქართველოს საუფლისწულო მამულებში ჩატარებული სამუშაოების თაობაზე. ფონდში დაცულია მოხსენებები და პატაკები მიწათმოყობის სამუშაოების, მამულში სამომხმარებლო საზოგადოების შექმნის, მამულისათვის თურქი ოკუპანტების მიერ მიყენებული ზარალის შესახებ. მამულის ფონდებიდან ხე-ტყის მასალების გაცემის, გზატკეცილების გაყვანის, მიწების გაყოფის და გაცვლის, პეტერბურგის 1913 წ. გამოფენაში მონაწილეობის, მამულის მოოქროვილი ვერცხლის ჩამხით დაჯილდოების შესახებ. აქვეა ხელშეკრულებები და მომოწერები ჩინეთის და იაპონიის წარმომადგენლებთან ჩაქვში ჩაის კულტურის მოშენებასთან დაკავშირებით. ბათუმის ოლქის მეტყვევთა კორპუსის ისტორიულ ფონდებში (ასსცსა, ფ.ი-42) დაცუ-

ლია მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონების ქუთაისის სამმართველოს ცირკულარები და განკარგულებები ტყეების გამგებლობის, ტყეების გაჩეხვის წესის და თვითნებური გაჩეხვისათვის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. აქვეა სატყეო კომისიის ოქმები მიწის ნაკვეთების მიღების, ხე-ტყის მასალების დამზადებისა და მათი გადაამუშავება-ტრანსპორტირების ამსახველი დოკუმენტური მასალები.

როგორც ცნობილია, XX საუკუნის დამდეგსათვის ბათუმი წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს საპორტო-სანავსადგურო ქალაქს. აქ შემოდიოდა უამრავი უცხოური გემი, მათ შორის სავაჭრო დანიშნულებითაც. ბათუმის ნავთობის საწარმოებში იქმნებოდა მუშათა ორგანიზაციები, რომლებიც გარკვეულ როლს ასრულებდნენ ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ნავსადგურების მოწყობის და საპორტო სამუშაოების შესახებ საყურადღებო ცნობებია თავმოყრილი არქივში დაცულ **ბათუმის სავაჭრო ნავსადგურის, ბათუმის, ფოთის და სოხუმის ნავსადგურების სამმართველოს ფონდებში**. ფონდებში გვხვდება მასალები ნავსადგურის ტერიტორიისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის, ნავსადგურთან მისასვლელი გზების მოწყობის, ფსკერის გასაღრმავებელი სამუშაოების ჩატარების შესახებ. აქვეა მონაცემები ბათუმის ნავსადგურში 1895-1911 წწ. ტვირთბრუნვის, შესასრულებელი სააღმშენებლო და სარემონტო სამუშაოების (ასსცსა, ფ. ი-16, საქ.118), ნავსადგურის მუშების 1905 წლის გაფიცვის შესახებ. ფონდებში წარმოდგენილია ბრძანებები და ცირკულარები სავაჭრო ზღვაოსნობის წესების, სანავსადგურო საქმეების სამართლებრივი კომიტეტის თათბირის ოქმები - შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან მცურავი მცირე გემების მფლობელთათვის უფლებების შენარჩუნების შესახებ, ჩამოთვლილია ბათუმის ნავსადგურისადმი მიწერილი გემები. სასაზღვრო ზოლის დაცვის, საზღვარზე

კონტრაბანდული საქონლის და ტყვია-წამლის დაკავების შემთხვევების შესახებ დოკუმენტური მასალები დაცულია **ბათუმის საბაჟოს ფონდებში**. აქვეა მასალები საზღვარგარეთიდან შემოტანილ საქონელზე ზედამხედველობის გაძლიერების, თურქეთის და ინგლისის საოკუპაციო ჯარების მიერ ბათუმის საბაჟოსათვის 1918-1920 წლებში მიყენებული ზარალის შესახებ (ასსცსა, ფ.ი-48, ი-13, 14, 15).

სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებაზე მოგვითხრობენ **ვაჟთა და ქაღთა გიმნაზიების, სახელოსნო და სხვა სასწავლო დაწესებულებების მასალები**. ფონდებში დაცულია დირექტორების, მასწავლებლების და საკლასო ზედამხედველების ანგარიშები, მოხსენებები და მოხსენებითი ბარათები ვაჟთა გიმნაზიის დაარსების, გიმნაზიის საქმიანობის (ასსცსა, ფ.ი-10, საქ.41), ვაჟთა გიმნაზიის ბიბლიოთეკის და მეტეოროლოგიური სადგურის გახსნის (1913 წ.) თაობაზე. აქვეა სტატისტიკური ანგარიშები 1898-1913 წწ. გიმნაზიის შენახვის და სწავლის ქირის საკითხებთან დაკავშირებით. ფონდებში დაცულია კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისა და ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორის მიმოწერები 1901-1907 წწ. მუშათა რევოლუციულ გამოსვლებში გიმნაზიელთა მონაწილეობის წინააღმდეგ სათანადო ზომების გატარების თაობაზე (ასსცსა, ფ.ი-10, საქ.47). მკვლევართა ინტერესს იწვევს მასწავლებლების მიერ მოსწავლეებისათვის 1910 წელს ჩამორთმეული ხელწერილები, რომ ისინი არ მიეკუთვნებიან მთავრობისადმი მტრულად განწყობილ საიდუმლო კავშირებსა და პოლიტიკურ პარტიებს (ასსცსა, ი-30, საქ.12). აქვეა სახალხო განათლების სამინისტროს, კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულარები პოლიტიკური ლიტერატურის შენახვის აკრძალვის, 1909 წლისათვის დიდი რუსი მწერლის ნ.გოგოლისა და პოეტ ა. კოლცოვის, ხოლო 1914

წლისათვის მ. ლერმონტოვის იუბილეების აღნიშვნის შესახებ (ასსცსა, ფ.ი-11).

ისტორიულ ფონდებში დაცულ დოკუმენტებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რელიგიური (ქრისტიანული (მართლმადიდებლური, კათოლიკური), სომხურ-გრიგორიანული, მუსლიმური დაწესებულებების შესახებ არსებული დოკუმენტაცია, რომელთაც ენიჭებათ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აჭარაში მიმდინარე ეროვნული თუ რელიგიური საკითხების შესასწავლად.

წმინდა საქალაქო ტაძრის (1884-1903 წწ), ბათუმის მართლმადიდებლური ტაძრის მოწყობის კომიტეტის (1882-1910 წწ), იმერეთ-სამეგრელოს ეპარქიის წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესიის (1900-1912 წწ), გურია-სამეგრელოს ეპარქიის წმ. ნიკოლოზის სახელობის ბერძნული ეკლესიის (1888-1915 წწ), ალექსანდრე ნეველის ტაძრის (1895-1910 წწ), სომხური კათოლიკური ეკლესიის (1908-1911 წწ), რომის კათოლიკური ეკლესიის (1908-1911 წწ), ყუბანის პლასტუნების ბატალიონის ეკლესიის (1904-1912 წწ) ფონდებში დაცულია მასალები ბათუმის ეკლესიების მშენებლობის, გადაკეთების, ეკლესიის შეკეთების და სამრეკლოს აშენებაზე გაწეული სამუშაოების ხარჯთარიცხვების შესახებ. აქვეა ცნობები სასულიერო სემინარიის ასაშენებლად შემოწირულობათა შეგროვების თაობაზე. ფონდებში დაცულია განცხადება იუდეველთა მიერ ქრისტიანული რწმენის მიღების, ქორწინებისა და ნათლობის რაოდენობის შესახებ 1894-1900 წლებში. აქვეა წარმოდგენილი საინტერესო მიმოწერები ბათუმის სასულიერო სკოლის აღსაზრდელთა გარიცხვის (რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობისათვის), ქრისტიანული რელიგიის გასაგრძელებლად სახსრების შეგროვების, რომაულ-კათოლიკური ეკლესიის აგების, სამხედრო მღვდლების მოწვევის, სასულიერო სკოლების შენახვის და სხვა საკითხების შესახებ.

მეტად ღირებულია „**ბათუმის ოლქში მოქმედი ეკლესიების გაერთიანებული საარქივო ფონდი**“, სადაც დაცულია რუსულ-ქართული, ბერძნული, სომხური ეკლესიების და ებრაული სინაგოგის მასალები მოქალაქეთა დაბადების, ნათლობის, ჯვრისწერის და გარდაცვალების რეგისტრაციის შესახებ (1799-1923 წწ).

ბათუმის და ართვინის ოლქების 1874-1920 წლების პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარების ამსახველი საყურადღებო და მნიშვნელოვანი ცნობებია თავმოყრილი **საქართველოსცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო და ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში დაცულ დოკუმენტებში**, რომელთა ასლებიც კოლექციის სახით ინახება საარქივო სამმართველოს ისტორიულ ფონდსაცავში.

აღნიშნულ კოლექციებში დაცულია მასალები ბათუმისა და ართვინის ოლქების სახელმწიფო მმართველობითი მოწყობისა და ბათუმის სავაყუფო მიწების შესახებ, თავმოყრილია დებულებები და ინსტრუქციები ბათუმის ოლქის მმართველობის, სასამართლო მოწყობის, ბათუმისა და ყარსის ოლქების სამხედრო გუბერნატორების უფლება-მოვალეობების, მიწათმომწიფობი კომისიების დანიშნულების თაობაზე (ასსცსა, ფ.ი-81, საქ.1). აქვეა დაცული ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოხსენებითი ბარათი ქუთაისის გუბერნიიდან ბათუმის ოლქის გამოყოფის და დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბების (ასსცსა, ფ.ი-81, საქ.2) შესახებ. ფონდებში წარმოდგენილია ბათუმში არსებული სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებების სიები, სანოტარო ჩანაწერები და ხელშეკრულებები. ფონდებში დაცულ მასალებში გვხვდება საინტერესო ისტორიული ცნობები აჭარის შესახებ, რომლებშიც დახასიათებულია გეოგრაფიული მდებარეობა, ბუნებრივკლიმატური პირობები, ფლორა და ფაუნა. აქვეა ცნობები მოსახლეობის, ვაჭრობისა და მრეწველობის, სოფლის მე-

ურნეობის, ხელოსნობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სახალხო განათლების განვითარების შესახებ (ასსცსა, ფ.ი-82, საქ. 4). ფონდებში საყურადღებო ცნობებია თავმოყრილი საქართველოს ეროვნული საბჭოს საქმიანობის საკითხებზე. აქვეა მიმოწერები ეროვნულ საბჭოსთან სამუსლიმანო საქართველოს ეკონომიკური საქმეების მოწესრიგების, სამაჰმადიანო საქართველოს ყრილობის მოსაწვევად თანხის გამოყოფის და ბათუმში ქართულ-თურქულ ენებზე გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ გამოცემის (ასსცსა, ფ.ი-82, საქ.18) საკითხებზე. მეტად მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოს ეროვნული საბჭოს კრებისა და საქართველოს პარლამენტის სხდომის 1917-1919 წწ. ოქმები, ასევე მასალები პარლამენტის წევრთა შემადგენლობის, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის, ქართული ენის სხელმწიფო ენად გამოცხადების საკითხებზე (ასსცსა, ფ.ი-82, საქ.20).

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული, აჭარასთან დაკავშირებული დოკუმენტების ასლები, რომლებშიც დაცულია 1921-1922 წლების მასალები ახალი წითელი მეჯლისის დაარსების, ბათუმის საექსპედიციო საბაჟოს შექმნის, აჭარაში სომეხ ლტოლვილთა ჩამოსახლების შესახებ (ასსცსა, ფ.ი-82, საქ.33). აქვეა მიმოწერები და დოკუმენტური მასალები გერმანიის განათლების ყოფილი მინისტრის ოტტო შმიდტის ბათუმში ჩამოსვლასთან, ოზურგეთის მაზრის სოფელ ქორბუდეში აჭარლების ჩასახლების საკითხებთან დაკავშირებით (ასსცსა, ფ.ი-82, საქ.34).

საარქივო სამმართველოს ისტორიულ ფონდსაცავს ამდიდრებს **საქართველოს შესახებ ბრიტანეთის არქივში დაცული დოკუმენტების ქსეროასლები**, რომლის კიდური თარიღი მოიცავს 1830-1941 წლებს. დოკუმენტები საარქი-

ვო წესების შესაბამისად დამუშავდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და პუბლიკაციის განყოფილების მიერ 2009-2010 წლებში, აიკინბა საქმეებად, გაუკეთდა აღწერილობითი სიები და მიეცა ფონდის სახე. ფონდი დაყოფილია ოთხ ტომად. I ტომში შესული დოკუმენტების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1830-1921 წლებს და აერთიანებს სამ საქმეთა ერთეულს:

პირველ საქმეს ეწოდება „აჭარა და ოსმალეთის იმპერია“ საქმის პირველი ნაწილი მოიცავს თურქეთის მიერ აჭარის ოკუპაციის პერიოდს 1830 წლიდან 1878 წლამდე. საქმეში შესულია მოხსენებები და წერილები ბრიტანეთის საგარეო საქმეთა ოფისთან, აქვეა ბათუმში პირველი ბრიტანელი კონსულის ბრანდის მოხსენებები. მეორე ნაწილი მოიცავს 1840-1853 წლებს და აღწერილია ბათუმის ცხოვრება, პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. მესამე ნაწილი მოიცავს 1853-1877 წლების პერიოდს და ეხება ყირიმის ომის შედეგებს. აქვეა სამხედრო სტრატეგიული ხასიათის მოხსენებები, ბაღდადის კონსულისა და თურქეთის პოლიტიკური აგენტის ჰ.ქ. რაულისონის, ასევე აქეთგარდის, სიმონის და პალგრევის მოხსენებები, სადაც მიმოხილულია ბათუმისა და აჭარის იმდროინდელი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობა. მეოთხე ნაწილი მოიცავს 1877-1878 წლებს და ეხება რუსეთ-თურქეთის ომს. საქმეშია სან-სტეფანოს ხელშეკრულებისა და ბერლინის კონგრესის მასალები(ას-სცსა, ი-83, ტ.I,საქ.1).

მეორე საქმე „აჭარა და რუსეთის იმპერია“ მოიცავს 1878-1917 წლებს. საქმის პირველი ნაწილი არის 1878-1886 წლების დოკუმენტაცია და ეხება ბათუმის თავისუფალ პორტს, აქვეა ტრაპიზონში ბრიტანეთის ვიცე კონსულის ბილიოტის კორესპოდენციები; ბათუმში ბრიტანე-

თის საკონსულოს ხელნაწერი დოკუმენტები; ბათუმის ვიცე კონსულ პიქოქის წერილები ბათუმის სავაჭრო და ეკონომიკურ საკითხებზე. კონსულ სტივენსის მოხსენებები; დაცულია ასევე პაგეტის, ედვარდ თორნთონის, სევილ ლუმდეტის, რობილანტისა და ჩარლზ სკოტის წერილები. მეორე ნაწილი მოიცავს პერიოდს 1886 წლიდან 1913 წლამდე და ძირითადი ადგილი უჭირავს კონსულ სტივენსის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის მოხსენებებს. მესამე ნაწილი მოიცავს 1914 -1917 წლების ამსახველ პოლიტიკურ მოვლენებს, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის საკითხებს. საქმეშია ასევე კონსულ სტივენსის მოხსენებები (ასსცსა, ფ. ი-83, ტ. I, ს. 12).

მესამე საქმე „აჭარა და ბრიტანეთის იმპერია“ აერთიანებს 1918-1921 წლებში განვითარებული მოვლენების ამსახველ დოკუმენტებს. პირველი ნაწილი მოიცავს 1917-1920 წლების მიმოხილვას, აქვეა ვ. ჯ. ჩაილდსისა და ა. ე. მაკდონელის მოხსენება და ფ. მილნის სტატია „ლონდონის გაზეთიდან“. მეორე ნაწილი მოიცავს 1919-1920 წლებს. მასში წარმოდგენილია ბრიტანული მმართველობის პერიოდი ბათუმში. აქვეა სტივენსის მოხსენებები, გუბერნატორ კუკ-კოლისისა და სამხედრო მდივან ვ. ვინსტელნის წერილები, ბრიტანული ადმინისტრაციის დოკუმენტები, ეკონომიკური ხასიათის მასალები. ცალკეა გამოყოფილი „ქართულ საჩივრებად“ წოდებული ევგენი გეგეჭკორის, პრინც მელიქოვის და ბრიტანელი ადმინისტრაციის მოხელეების მიმართეები. მესამე ნაწილი მოიცავს 1919-1920 წლებს. აქ თავმოყრილია ბრიტანეთის საგარეო ოფისის მემორანდუმები, სახელმწიფო ნოტები, ბრიტანეთის მთავრობისა და ბათუმის ადმინისტრაციის მიმოწერები და დადგენილებები, შეთანხმებები საქართველო -

ბრიტანეთსა და აზეირბაიჯანს შორის ბათუმის თავისუფალ სარგებლობასთან დაკავშირებით. საქმეშია ასევე 1919-1920 წლების დოკუმენტები, რომლებიც ეხება პატრიოტ ქართველთა მოღვაწეობას ერთიანი საქართველოსათვის ბრძოლის საქმეში. მეოთხე ნაწილი მოიცავს 1920-1921 წლებს. საქმეში დაცულია აჭარის საქართველოსთვის დაბრუნების ამსახველი დოკუმენტები. ცალკეა გამოყოფილი ბათუმის თავისუფალი პორტის სტატუსთან, ასევე ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის ამსახველი საარქივო მონაცემები (ასსცსა, ფ. ი-83, ტ. I, საქ. 3).

ბრიტანული მასალების მომდევნო ტომებში შესულია აჭარის ოკუპაციის თურქული (1830-1878 წლები, 597 საქმეთა ერთეული, II ტომი) და რუსული (1878-1918 წწ. 982 საქმე) პერიოდების ამსახველი საარქივო მონაცემები. 1918-1941 წლებში განვითარებული მოვლენების ამსახველი ბრიტანული მასალები (750 საქმეთა ერთეული) წარმოდგენილია IV-ე ტომში.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები დაცულია ფონდში „**საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1919-1920 წწ.**“ მასში თავმოყრილია ცნობები საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ. აქვეა დამფუძნებელი კრების ოქმები, მასალები, მიმართვები მოკავშირე სახელმწიფოების პარლამენტების მიმართ, ასევე საქართველოს რეგიონების რწმუნებულთა, სამხედრო, შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროების ხელმძღვანელებისა და მთავრობის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათები (ასსცსა, ფ. ი-84, საქ. 3), 1920 წლის 7 მაისის საზავო ხელშეკრულება, რუსეთში საქართველოს წარმომადგენლის გრიგოლ ურატაძის და საქართვე-

ლოს საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის, ასევე, ე. გეგეჭკორისა და გიორგი ჩიხერინის მიმღწერები (ასსცსა, ფ. ი-84, საქ.1). აქვეა მემორანდუმები და მიმართვები ფრანგულ ენაზე, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიმღწერები, დეპეშები, ამიერკავკასიის სემის დადგენილებები, საქართველო-თურქეთს შორის 1918 წლისათვის არსებული საომარი მდგომარეობის ამსახველი მასალები (ასსცსა, ფ. ი-84, საქ.13), ამიერკავკასიის სამშვიდობო დელეგაციის სხდომის ოქმები, ამონაწერები რუსეთის სამშვიდობო დელეგაციის დეკლარაციიდან და სხვა.

ფონდსაცავში გამორჩეული ადგილი უჭურავს თურქეთის არქივებში საქართველოს (აჭარის) შესახებ დაცული დოკუმენტების ასლებს. ამ თვალსაზრისით საინტერესოა თურქული ოკუპაციის პერიოდის ამსახველი დოკუმენტების ასლები, აჭარის მუშათა და გლეხთა „წითელი რევოლუციის“ მეთაურების შესახებ არსებული ცნობები (ასსცსა, ფ. ი-85, საქმე 9), ოფიციალური უწყებების საქმიანობის, აჭარის მოსახლეობის დემოგრაფიულ მდგომარეობის და სხვა საინტერესო ისტორიული მოვლენების ამსახველი დოკუმენტები (ასსცსა, ფ. ი-85, საქ.14,15). აქვეა აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა სია (ასსცსა, ფ. ი-85, საქ.10);

ისტორიული ფონდი შეივსო და გამდიდრდა ქვეყნის საზღვრებს გარეთ, უცხოეთის არქივებში დაცული დოკუმენტების ასლებით. სარქივო სამმართველოს საზოგადოებასთან, საზღვარგარეთთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების ინიციატივით სხვადასხვა ქვეყნების (ავსტრიის, ბულგარეთის, უკრაინის) არქივებიდან ჩამოტანილი იქნა მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლები, რომლებიც შე-

საძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მკვლევარს ადგილზე გაეცნოს და შეისწავლოს უცხოური დოკუმენტები ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ. ამ საკითხების შესახებ აქ საუბარს აღარ გავაგრძელებთ, რადგან იგი წარმოდგენილია ნაშრომის სხვა პარაგრაფში.

საარქივო სამმართველო აგრძელებს თანამშრომლობას სხვადასხვა ქვეყნების არქივებთან, რათა კვლავ შეივსოს ფონდსაცავები ჩვენი ქვეყნის ისტორიის ამსახველი მნიშვნელოვანი დოკუმენტებით.

§ 2. პარტიული ფონდები

საბჭოთა პერიოდის ისტორიის საკითხების კვლევა შეუძლებელია შესაბამისი ეპოქის პარტიული ფონდების შესწავლისა და ანალიზის გარეშე. საარქივო სამმართველოში დაცულ საისტორიო საბუთებს შორის **პარტიულ ფონდებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.**

ცნობილია, რომ 1989-1991 წლებში საქართველოში მოხდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ცვლილებები. ქვეყანამ აღიდგინა დაკარგული დამოუკიდებლობა. 1991 წლის 26 აგვისტოს გამოიცა საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ბრძანებულება - **საქართველოში კომუნისტური პარტიის მოქმედების შეჩერების შესახებ.** კომუნისტური პარტიის 70 წლიანი მმართველობა დასრულდა. საქართველოს კომუნისტური პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის შენობაში განთავსებულ პარტიულ დოკუმენტებს შეექმნა განადგურების საშიშროება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაშინდელი ხელისუფლების გადაწყვეტილებით **1992 წლის 13 მაისს პარტიული არქივი მუდმივ შესანახად გადმოტანილ იქნა აჭარის ცენტრ-**

ღურ სახელმწიფო არქივში, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1993 წლის 28 დეკემბრის დადგენილებით აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში შეიქმნა **პარტიებისა და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციების განყოფილება**. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ 2005 წლის 29 ნოემბერს მიიღო № 113 დადგენილება - „საარქივო სამმართველოს აპარატის, სამმართველოს დაქვემდებარებული ორგანიზაციების რეორგანიზაციის შესახებ“. ამ დადგენილების საფუძველზე გაუქმდა **პარტიების საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების განყოფილება** (ას-სცსა, ფ. რ-1041, აღწ.1, საქმე N 21, ფურც.2) და ცენტრალური არქივების სტრუქტურაში შევიდა ფონდსაცავის სახით.

2014 წლის მდგომარეობით საბჭოთა პერიოდის დოკუმენტები წარმოდგენილია **550 ფონდის 150 854 შესანახი ერთეულით**, მათ შორის თავისი მნიშვნელობით გამოირჩევა 15 ფონდი.

პარტიულ დოკუმენტებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფონდია საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ფონდი (პ-1). ამ ფონდის 1921-1950 - იანი წლების მასალებში ძირითადად წარმოდგენილია აჭარაში საბჭოთა წყობილების დამყარების, რევოლუციამდელი სახელმწიფო მმართველობითი აპარატის სისტემის ლიკვიდაციის, ახალი საბჭოური დაწესებულებების შექმნის, ცენტრალური და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოების ჩამოყალიბების, ანტისაბჭოთა გამოსვლების წინააღმდეგ ბრძოლის ამსახველი უნიკალური დოკუმენტები.

საარქივო ფონდებში დაცულია აგრეთვე: სსრკ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის და პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის დადგენილებები,

პლენუმების, კონფერენციებისა და ბიუროს სხდომების ოქმები, ნომენკლატურული მუშაკების დამტკიცების, ბათუმის საოლქო რევოლუციური კომიტეტის მოღვაწეობის, კომუნისტური უჯრედების დაარსების, ბათუმის ოლქში გასაბჭოების მიმდინარეობის, აჭარაში მცხოვრები ბეგების წინააღმდეგ ბრძოლის, მემედ აბაშიძისა და ხიმშიაშვილების პოლიტიკური ორიენტაციის, მათი აჭარაში დაბრუნებაზე ნებართვის მიცემის, შარიათის სასამართლოს ორგანიზაციისა და დებულების დამტკიცების, ადგილობრივ სახალხო მასწავლებელთა კურსების გახსნის, ქართული, რუსული, ბერძნული, სომხური და თურქული გაზეთების გამოცემის, აჭარისტანის მუსულმან მწერალთა საზოგადოების, ფუხარა აჭარელთა კავშირის, წითელი ჯვრის კომიტეტის, ბათუმის რევოლუციური თეატრის, თურქეთ-კავკასიის საზღვრის დამდგენი კომისიის, რადიომუშაველობის სახელმწიფო კომიტეტის, პარტკომების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების, მაზრებისა და გლეხკომების შექმნის მასალები.

პარტიულ დოკუმენტებში უხვადაა წარმოდგენილი ბათუმის რევოლუციის მუხეუმის, ორწლიანი პედაგოგიური ინსტიტუტის გახსნის, აეროდრომის მოწყობის, მორწმუნე მრევლისათვის ეკლესიების დაბრუნების, კერძო აგარაკების ნაციონალიზაციის, ჩაქვის სახალხო მამულის სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის, საოლქო სასამართლოს უმაღლეს სასამართლოდ გარდაქმნის, აჭარის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის, ბათუმის საოპერო თეატრის ლიკვიდაციის, განათლების სახალხო კომისარიატის რეორგანიზაციის, ბათუმის საქალაქო საბჭოსა და ჭოროხის მაზრის გაერთიანების, სახელმწიფო ბიბლიოთეკისა და ქალაქის აღმასკომის დაარსების შესახებ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფონდში დაცული მასალები მუსლიმან მამაკაცთა შორის მრავალცოლიანობის აკრძალვის, აჭარისტანის ტელეფონიზაციის, ინვა-

ლიდთა კოოპერაციის დაარსების, ჩადრის ახდის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გატარების, აჭარაში მცხოვრებ ქალთა ყრილობის მოწვევის, საყოველთაო დაწვებითი სწავლების შემოღების, კინემატოგრაფიის სტუდიის გახსნის, მაზრების და რაიონების, რკინიგზის სადგურისა და ციტრუსკომბინატის მშენებლობის, ბათუმის ქუჩების დაგეგმარებისა და საესკიზო პროექტების დამტკიცების, აჭარის სახალხო მეურნეობის საომარ ყაიდაზე გარდაქმნის შესახებ.

ლოკუმენტების სიმრავლით და მნიშვნელობით გამოირჩევა ამავე ფონდის 1960-1980- იანი წლების საისტორიო საბუთები, რომლებიც მოგვითხრობენ აჭარაში სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ, სახელდობრ: სამშენებლო ობიექტების ექსპლუატაციაში გაშვებას, კურორტების კეთილმოწყობას, ტურიზმის განვითარებას, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის სადამოს დასწრებული ფაკულტეტის დღისა და საღამოს სწავლების ფაკულტეტთა გარდაქმნას, ბათუმის რაიონის რეორგანიზაციას, კულტურის, სპორტის, ჯანდაცვისა და განათლების განვითარებას, საპატიო წოდებების დაწესებას და მინიჭებას, ნარკომანიის, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, სამოქალაქო რიტუალების შესრულებაში წესრიგის დამყარების ღონისძიებებს, მაღალმთიანი რაიონებიდან სტიქიური უბედურების შედეგად სხვა რაიონებში ჩასახლებას, მიწის კანონებისა და მიწათსარგებლობის წესების დაცვას, 1941-1945 წლების ომის ინვალიდებისა და ომში დაღუპულ სამხედრო მომსახურეთა ოჯახებისათვის მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, მატერიალური კულტურის ძეგლების დაცვას, კერძო მესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას, მოსახლეობის საბინაო პირო-

ბების გაუმჯობესებას, მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმების კომპლექსების მშენებლობას და სხვა.

ფონდებში ინახება ნომენკლატურულ პირთა, პარტიის წევრთა, სკკპ რიგებში მიღებულთა და გარიცხულთა სიები, პირადი საქმეები, საადრიცხვო ბარათები, სტატისტიკური, ფინანსური ანგარიშები, სამუშაო გეგმები და ხელფასის უწყისები.

კომპარტიის 70 წლიანი ისტორიის შესწავლისათვის მნიშვნელოვანი საქართველოს კომპარტიის ბათუმის საქალაქო და ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედის, ხულოს და შუახევის რაიონული კომიტეტების ფონდები, რომლებშიც ძირითადად დაცულია პარტიული კონფერენციების, პლენუმების მასალები, ბიუროს სხდომის ოქმები, დადგენილებები, მიმოწერები ზემდგომ პარტიულ ორგანიზაციებთან, აჭარის ეკონომიკური და სოციალური განვითარების, სახელმწიფო გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულების, სკკპ წევრთა რიგებში კანდიდატთა მიღების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების შექმნის, იდეოლოგიური და პოლიტიკურ - აღმზრდელითი მუშაობის გაუმჯობესების, ნეგატიურ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დამრღვევთა პასუხისგებაში მიცემის, საზღვრისპირა რაიონების დაცვის, მშრომელთა ათვისტური აღზრდის, სოციალისტური შეჯიბრებების ფართოდ დანერგვის და სხვა საკითხების შესახებ.

საბჭოთა ეპოქის ისტორიის შესწავლისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს ალკკ აჭარის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების ფონდებს, რომელთა პლენუმების კონფერენციების, კომიტეტების, ბიუროების და საერთო კრების ოქმებსა და დადგენილებებში ფართოდ არის გაშუქებული ახალგაზრდობის პოლიტიკური და ორგანიზაციული მუშაობა, სახალხო მეურნეობის დარგების განვითარება, სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის ზოგადსაგანამანათლებლო, პროფე-

სიული და კულტურულ-ტექნიკური ცოდნის დონის ამაღლება, პირველადი პარტიული ორგანიზაციების საქმიანობა, ბავშვთა უმეტეადყოფრობასა და უპატრონობასთან ბრძოლა, კომკავშირელთა რიგების ზრდის მდგომარეობა, კომკავშირული მოძრაობების ვეტერანთა და პიონერთა საბჭოების მუშაობა, მოსხენებითი ბარათები და მიმღწრები ზემდგომ პარტიულ და კომკავშირულ ორგანოებთან - კადრებთან და შიდაკომკავშირული მუშაობის, პიონერთა ბანაკების მოწყობის, კომკავშირული საგზურებით ახალგაზრდობის მშენებლობებზე გაგზავნის საკითხებზე, ასევე კომკავშირელთა სიები, სამუშაო გეგმები, სტატისტიკური, ფინანსური ანგარიშები და ხელფასის უწყისები.

პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ფონდებში ინახება კომიტეტების, ბიუროების და საერთო კრების ოქმები: შიდაპარტიული და კომკავშირული, პროპაგანდისტთა, ლექტორთა ჯგუფების და ვეტერანთა საბჭოების მუშაობის, მუდმივმოქმედი სემინარების ჩატარების, პარტიის წევრთა და კომკავშირელთა რიგების ზრდის, სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ დანერგვის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლებისათვის ზრუნვის, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ფართოდ დანერგვის, ბიუროკრატის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა საკითხების ამსახველი საარქივო დუკუმენტები.

2004 წელს საარქივო სამმართველოში სახელმწიფო აღრიცხვაზე მიღებული იქნა საქართველოს კომპარტიის აჭარის რესპუბლიკური ორგანიზაციის (პ-23), დემოკრატიული აღორძინების კავშირის (პ-3) და დემოკრატიული აღორძინების კავშირის ბათუმის საქალაქო ორგანიზაციის (პ-4) საქმიანობის ამსახველი დოკუმენტები.

დემოკრატიული აღორძინების კავშირის (1991-1999 წწ.) და დემოკრატიული აღორძინების კავშირის ბათუმის

საქალაქო საბჭოს (1992-2000 წწ.) ფონდებში ინახება კავშირის დამფუძნებელი კრების ოქმები, საინიციატივო ჯგუფის, ყრილობის, საანგარიშო-საარჩევნო კონფერენციის, კავშირის პროგრამის, დროშისა და ემბლემის, კავშირის რეგისტრაციაში გატარების, სახელწოდებათა ცვლილებების ამსახველი მასალები. დოკუმენტები შეიცავენ ცნობებს საქართველოს აღორძინების კავშირის აჭარის რესპუბლიკური საბჭოს ახალგაზრდული ორგანიზაციის, კავშირის თბილისის, ადიგენის, ბოლნისის, ლანჩხუთის, გარდაბნის, მცხეთის, გურჯაანის, საგარეჯოს, მარნეულის რაიონული ორგანიზაციების შექმნის შესახებ; მიმოწერები და მოხსენებითი ბარათები აჭარის არ უზენაეს საბჭოსთან და აჭარის არ იუსტიციის სამინისტროსთან საქართველოს აღორძინების კავშირის, საინფორმაციო სააგენტო „აღორძინების“ რეგისტრაციაში გატარების თაობაზე. აქვეა დაცული კავშირის წესდება, პროგრამა, არჩევნებთან დაკავშირებით გამოცემული სააგიტაციო ფურცლები, დეპუტატთა ავტობიოგრაფიები, წინასაარჩევნო პროგრამის საკითხები და სხვა მასალები.

ფონდი 3-1 დან (აჭარის საოლქო კომიტეტი) გამოვლენილია განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტები, შედგენილია თემატური ბარათები და თემატური ნუსხები, რომლებშიც ასახულია ცნობები აჭარაში ჩაის სააქციო საზოგადოების, ქალაქის აღმასკომის, კომუნალური ბანკის, მუსიკალური სასწავლებლის, ბათუმში ფოტომოყვარულთა არტელის, პოლიგრაფიული მრეწველობის, საუწყებო მილიციის, მუშა-ახალგაზრდობის თეატრის, კულტურისა და რელიგიის ისტორიის მუზეუმის, ინვალიდთა კოოპერატივის დაარსების, აჭარისტანის ვაჭრობა-მრეწველობის საწარმოთა გაერთიანების და სახელწოდების შეცვლის, ჩაქვის სახალხო მამულიდან ქურთების გადასახლების, ქალაქის საბჭოსა და ჭოროხის მაზრის გაერ-

თიანების, გაზეთ „წითელი აჭარისტანის“ გამოცემის, ბათუმის საზღვაო-სავაჭრო პორტის ახალი საზღვრების დადგენის, საეკლესიო ქონების დენაციონალიზაციის, ბათუმის ქუჩების დაგეგმარებისა და საესკიზო პროექტების განსაზღვრის, გაზეთ „ფუხარას“ სახელის შეცვლის, რუსულ სკოლებში აისორების, ლეკებისა და იეზიდებისათვის სპეციალური ჯგუფების გახსნის, ბათუმის აგრონომიული ტექნიკუმის სუბტროპიკული მეურნეობის ტექნიკურ სასწავლებლად გადაკეთების, ბერძნების მასობრივი ემიგრაციის, აჭარისტანში „კინომხანაგობის“ დაარსების, ბათუმის რაიონის ცენტრის ბათუმიდან დაბა ხელვაჩაურში გადატანის, საქართველო-საბერძნეთის, საქართველო - რუმინეთის მეგობრობის და სხვა საკითხების შესახებ.

საარქივო სამმართველოს პარტიული ფონდები პერიოდულად ივსება ახალი დოკუმენტებით. შესაბამისად, ფონდსაცავში ტარდება მნიშვნელოვანი ღონისძიებები სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნისა და განვითარებისათვის. ამ თვალსაზრისით 15 ძირითად ფონდზე დაიწერა ისტორიული ცნობა. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო-საცნობარო აპარატის სისტემის სრულყოფისათვის კვლავაც ბევრი სამუშაოა ჩასატარებელი. პარტიული ფონდების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯერ კიდევ შესასწავლია. მათ გაუთვალისწინებლად შეუძლებელია მე-20 საუკუნის ისტორიის, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ასპექტების გაშუქება. საარქივო სამმართველოს პარტიულ ფონდებში დაცული მასალები არსებითად ამდიდრებენ ჩვენი ისტორიის შესახებ არსებულ მონაცემებს, ხელს უწყობენ საზოგადოებისა და სახელმწიფო ცხოვრების ობიექტური სურათის აღდგენას. საისტორიო საბუთებში სათანადოდაა ასახული ჩვენი თანამემამულეების ცხოვრება, შრომითი და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა.

§ 3. პირადი შემადგენლობის ფონდები

საარქივო სამმართველო ყოველთვის აქცევდა განსაკუთრებულ ყურადღებას პირადი ფონდებით ცენტრალური სახელმწიფო არქივის გამდიდრებას. არქივის ხელმძღვანელების მიერ სხვადასხვა ორგანიზაციებისა და სახელმწიფო დაწესებულებებისადმი პერიოდულად იგზავნებოდა შემდეგი შინაარსის წერილები:

„ძვირფასო თანამემუღენო!

აჭარის არ ცხა ჩვენი დიდებული წარსულის განმსაცავია. აქ შემონახულია ისტორიული მნიშვნელობის ფაქტები, ცნობილ მამულიშიელთა ცხოვრებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები.

წლების მანძილზე არქივის ღვაწლმოსილი მუშაკები მოიძიებდნენ, აგროვებდნენ და სათუთად უნახავდნენ შთამომავლობას იმ ძვირფას დოკუმენტებს, რაც უკვე საქართველოს, მისი ძირძველი კუთხის-აჭარის მემატიენედ ქცეულა. ამ საქმეში თავისი წვლილი შეიტანეს ჩვენმა სასიქადულო მამულიშიელებმა თავიანთი პირადი არქივების სახელმწიფო შენახვაზე გადმოცემით.

ძვირფასო თანამემამუღენო! გთხოვთ არქივის მუშაკებს გაგვიწიოთ თანადგომა, იმოღვაწეოთ ჩვენთან ერთად საქართველოს მატინეს გასამდიდრებლად, მოიძიეთ თქვენს ახლობლებში ჩვენი კუთხის, მთლიანად საქართველოს ისტორიის ამსახველი პირადი დოკუმენტები და ისინი ერის, ფართო საზოგადოების კუთვნილებად აქციეთ.

ჩვენი ერი სათანადოდ დააფასებს თქვენს მცდელობას. ამასთან ერთად გპირდებით, რომ პირადი არქივის მფლობელს ჩვენს მადლობასთან ერთად ექნება დოკუმენტების დაცვის სრული გარანტია“ (ასსცსა, ფონდი რ-1041; ადწ. 1; საქ. 1513; ფ. 12).

არქივისტთა მცდელობას უკვალოდ არ ჩაუვლია. სა-
არქივო ფონდები გამდიდრდა პირადი წარმოშობის დოკუ-
მენტებით. ცენტრალურ არქივში სახელმწიფო შენახვაზე
შემოვიდა გამოჩენილ პიროვნებათა, კულტურის, მეცნიე-
რების, განათლების, ჯანმრთელობის სფეროს დამსახურე-
ბული მუშაკების, საზოგადო თუ სახელმწიფო მოღვაწე-
ების პირადი ფონდები. ამ საქმეში გამოჩენილი აქტიურო-
ბისათვის მწერლისა და და საზოგადო მოღვაწის **რამაზ
სურმანიძის „ქართული კარაბადინი“ (18-ე საუკუნე), სა-
არქივო სახელმწიფო დეპარტამენტმა წარადგინა აბუსე-
რისძე ტბელის სახელობის პრემიაზე** (ასსცსა, ფონდი
1041; აღწ. 1; საქ. 1883; ფ. 3).

დღეისათვის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ
სახელმწიფო არქივში დაცულია 36 პიროვნების პირადი
საქმე. მათ შორისაა ცნობილი მწერლების, პოეტების მეც-
ნიერების ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგე-
ნელთა: **ალექსანდრე სამსონიას** (ფონდი რ- 610; საქ.
ერთ. 9), **ნესტორ მაღაზონიას** (ფონდი რ-1120; საქ.90),
ჯემალ ჯაყელის (ფონდი რ-602; საქმეთა ერთეული 40);
გენრიეტა ქუთათელაძის (ფონდი რ-503; საქმეთა ერთეუ-
ლი 38); **ჯემალ ნოღაიდელის** (ფონდი რ-614; საქმეთა ერ-
თეული 140); **აბელ სურგულაძის** (ფონდი რ-615; საქ. ერთ.
66), **იური ბიბილეიშვილის** (ფონდი რ-623; საქ. ერთ.
56), **ნანი გუგუნავას** (ფონდი რ- 400, საქ. ერთ. 56), **ნო-
დარ ცეცხლაძის** (ფონდი რ-600; საქმეთა ერთეული 81),
არამ ტონოიანის (ფონდი რ-396; საქმეთა ერთეული 32),
იუსუფ კობალაძის (ფონდი რ-1011, საქ. ერთ. 56), **მაყვა-
ლა ჯინჭარაძის** (ფონდი რ-1012; საქ. ერთ. 39), **ფრიდონ
ხალვაშის** (ფონდი რ-406; საქ.ერთ. 63), **მამია ვარშანიძის**
(ფონდი რ-1010; საქ. ერთ. 159), **რამაზ სურმანიძის** (ფონ-
დი რ- 571; საქ. 313), **იური თავბერიძის** (ფონდი რ-519;

საქ.98), ვარლამ ბარამიძის (ფონდი რ-567; საქ. ერთ. 4), ვლადიმერ პოშელჟუნის (ფონდი რ-566; საქ. ერთ. 11), ალექსანდრე თხილაიშვილის (ფონდი რ-520; საქ. ერთ. 13), ნიკოლოზ ბელიხის (ფონდი რ-474; საქ. 102), მიხეილ ეკიზაშვილის (ფონდი რ- 413, საქ. ერთ. 19), ქსენია ბახტაძის (ფონდი რ- 20, საქ. ერთ. 88), პარმენ ლორიას (ფონდი რ- 61, საქ. ერთ. 125), ამირან შერვაშიძის (ფონდი რ-59, საქ. ერთ. 114), გულნარა ნოლაიდელის (ფონდი რ- 110, საქ. ერთ. 16), გიორგი ხეჩინაიშვილის (ფონდი რ- 203, საქ. ერთ. 44), ანგელინა გურგენიძის (ფონდი რ- 345, საქ. ერთ. 26), ელენე ქორიძის (ფონდი რ- 344, საქ. ერთ. 7), პარმენ პატარაიას (ფონდი რ- 403, საქ. ერთ. 53), პეტრე სულაბერიძის (ფონდი რ- 335, საქ. ერთ.65), ირაიდა ალანიას (ფონდი რ-333, საქ. ერთ. 13) პირადი ფონდები. 2015 წლის იანვარში პირადი შემადგენლობის დოკუმენტებს შეემატა გულო კაიკაციშვილის ფონდი.

პირად ფონდებში დაცულია ფონდშემქმნელის ბიოგრაფიები, სამეცნიერო, კვლევითი თუ ლიტერატურული მოღვაწეობის ამსახველი მიმოწერები, მილოცვები, დაჯილდოების მასალები, ფოტოები, საზოგადოებრივი და შრომითი საქმიანობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები, ავტორეფერატები, დისერტაციები, სადისერტაციო საბჭოს საჯარო სხდომის სტენოგრაფიული ანგარიშები, რეცენზიები, სტატიები, წერილები, გამოსხმურებები, მისალოცი ბარათები, დეპეშები, ფოტოსურათები, კადრების აღრიცხვის ფურცლები, დახასიათებები, ავტობიოგრაფიები, საპატიო სიგელები და დიპლომები.

ცენტრალური სახელმწიფო არქივი სათუთად ინახავს საარქივო სფეროში მოღვაწე არქივისტების, ომის ვეტერანის გრიგოლ პინიანცისა (ასსცსა, ფონდი რ- 27, საქ. ერთ. 99) და ისტორიკოს-არქივისტის ვლადიმერ

მკერვალიშვილის (ასსცსა, ფონდი რ- 402, საქ. ერთ. 25) მოღვაწეობის ამსახველ მასალებს. აქვე ინახება საარქივო სამმართველოს უფროსის **ნაზი ნოღაიდელისა** (ასსცსა, ფონდი რ-57, საქ. ერთ. 40) და საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის **შალვა აბაშიძის** (ასსცსა, ფონდი რ- 500; საქმეთა ერთეული 71) შრომითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

პირადი წარმოშობის დოკუმენტებით საარქივო ფონდების გამდიდრება არქივისტთა ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად რჩება თანამედროვე პირობებშიც. მიმდინარეობს მუშაობა და მოლაპარაკებები ცნობილი მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეების: დავით ხახუტაიშვილის, ასლან ინაიშვილის, მამია ხარაზის, დურსუნ ბალაძის, იუსუფ ფაღავას პირადი ფონდების მოზიდვისა და არქივში განთავსებისათვის. პირადი ფონდების მოძიება და დამუშავება მოითხოვს ყოველდღიურ ძალისხმევას. ვიმედოვნებთ, რომ საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდსაცავები კვლავაც გამდიდრდება პირადი წარმოშობის ფონდებით.

§ 4. ფოტოდოკუმენტები

ისტორიული პროცესებისა და მოვლენების შესწავლის საქმეში წერილობით მონაცემებთან ერთად განსაკუთრებულმნიშვნელობა ენიჭება **აუდიოვიზუალურ (კინო, ფოტო, ვიდეო, ფონო) დოკუმენტებს**.

XIX საუკუნის II ნახევრიდან საზოგადოებრივი აზროვნება შემეცნების სრულიად ახალ წყაროს ეყრდნობა. ადამიანი ინფორმაციას დებულობს ფოტოდოკუმენტების

სახით. მეცნიერ-მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომებში დიდი ადგილი დაიჭირა ფოტოდოკუმენტებმა.

ფოტოდოკუმენტების მოზიდვასა და მუდმივ შესანახად მომზადებას აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებში 1950-იან წლებიდან ჩაეყარა საფუძველი. არქივის ფოტოფონდი მოიცავს 1870 წლის შემდგომ პერიოდს. ფოტოდოკუმენტების მოძიება-დაცვა-შენახვაში უდიდესი წვლილი მიუძღვით არქივის ვეტერან მუშაკებს: სერგო ტაბაღუას, გრიგოლ პინიანცს, შოთა გაბრუშიძეს, თარ ზოიძეს, დავით მაისურაძეს. 1870-1950-იანი წლების ფოტო დოკუმენტების მოძიება-შენახვის საქმეში განსაკუთრებულია თარ ზოიძის, გრიგოლ პინიანცისა და შოთა გაბრუშიძის დვაწლი, ხოლო მამა-შვილმა დავით და მეველუდ მაისურაძეებმა წლების განმავლობაში თავად შექმნეს და შეაგროვეს 1970-2004 წლებში მიმდინარე პროცესების ამსახველი ფოტომასალა.

მათ კვალს ღირსეულად აგრძელებს ახალგაზრდა არქივისტი დავით ხალვაში, რომლის ფოტო ობიექტივში ჩვენს ქალაქში მიმდინარე უმთავრესი პოლიტიკური, კულტურული, ყოფითი მოვლენების ამსახველი ფოტო დოკუმენტებია თავმოყრილი. საარქივო სამმართველოში დაცულმა უნიკალურმა ფოტოკადრებმა აჭარის სოციალ-ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა პერიოდი შემოგვინახა. XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ბათუმის ეთნოგრაფიულ-ყოფითი ცხოვრების ამსახველი ფოტოკადრები წერილობით დოკუმენტებთან ერთად სრულყოფილ წარმოდგენას გვიქმნის ბათუმში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის ყოფასა და კულტურაზე, ჩაცმულობასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. ყურადღებას იმსახურებს ლაზების და აჭარლების ტიპაჟი, ნავსადგურის მუშა, სპარსი მოლა, ჩინელი დედა-შვილი, წყლის წისქვილი და მრავალი ფოტო, რომელიც ჩვენი კუთხის მცხოვრებთა ყოველდღიურ ყოფაზე მოგვითხრობს.

განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის ამსახველი ფოტოკადრები. ფონდსაცავში წარმოდგენილია **ციხისძირთან ბრძოლის კადრები, მეზრძოლები, დაჭრილ-დასახინჩრებული მეომრები, ლაზარეთი, ბრძოლის ცაღკეული ეპიზოდები**. მნიშვნელოვანია აგრეთვე 1900-1920-იანი წლების აჭარაში განვითარებული სოციალურ-პოლიტიკურ ვითარების ამსახველი ფოტოდოკუმენტები. მართალია აღნიშნული ფონდი არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით, მაგრამ მაინც იძლევა გარკვეულ წარმოდგენას XX საუკუნის დასაწყისის სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების, ასევე ბათუმისა და მისი შემოგარენის შესახებ. ფონდში წარმოდგენილი საზღვაო ნავსადგურის ხედები, ასევე სხვა მრავალი ფოტოდოკუმენტი უტყუარ ცნობებს იძლევა 1877-2000 წლებში აჭარის საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის შესახებ. ფოტოდოკუმენტებში ნათლად ჩანს, თუ როგორი იყო ბათუმის საზღვაო ნავსადგური 1878-1900-იან წლებში, როგორ დაიწყო მისი მშენებლობა, თანდათანობით როგორ იცვალა სახე. ფოტოდოკუმენტებში წარმოდგენილია თანამედროვე ნავსადგურის საქმიანობის ამსახველი მონაცემებიც. ფონდში შეგვიძლია ვნახოთ ბათუმის ყურეში მდგომი პატარა იალქნისანი და მცირეტირთამწეობის გემების ფოტოსურათები, რომლებიც ახლო წარსულში შეცვალა ტანკერებმა და სამგზავრო ლაინერებმა. აქვეა დაცული ფოტომასალები: **ბათუმის საზღვაო ნავსადგური, ძველი საბაჟოს შენობა (1878 წელი)** და ა.შ.

ჩვენს ყურადღებას იქცევს XX საუკუნის დასაწყისში ბათუმში არსებული **სასტუმროების, საკონსულოების და კინოთეატრების ფოტოკადრები**. კინოთეატრ “აპოლოს” შენობის რეკონსტრუქცია აღნიშნული ფოტოდოკუმენტების საფუძველზე განხორციელდა.

ფოტოდოკუმენტებმა შემოგვინახეს 1919-1989 წლების აჭარის ისტორიის ამსახველი კადრები კერძოდ: ინგლისელთა ჯარის შემოსვლა ბათუმში, II ინტერნაციონალის დელეგაციის სტუმრობა, ქართველ მაჰმადიან ქალთა I ყრილობა (1929 წ.), აჭარის გასაბჭოების 15 წლისთავი, ჰესის მშენებლობის პროცესი მდ. აჭარისწყალზე, ბოტანიკური ბაღის ფლორისა და ფაუნის უნიკალური კადრები, აჭარის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა თბილისში, უკრაინის ინტელიგენციის სტუმრობა ბათუმში, ბათუმის ქუჩებისა და მიმდებარე ტერიტორიების კადრები, 1911, 1983-1985 და 2005 წლების დიდთოვლობა აჭარაში და მისგან გამოწვეული ზიანი და ა.შ.

პირველი ფოტოდოკუმენტი, რომელმაც არქივში ბინა დაიდო, არის 1921-1923 წლებში ქალაქ ბათუმის საბჭოს შენობის ნესტიან სარდაფში გროვად დაყრილი დოკუმენტები. ეს ფოტოები ფოტოფონდების შექმნის ერთგვარი მატრიანეა.

საარქივო სამმართველოს ფოტოსაცავში საარქივო საქმის განვითარებასთან დაკავშირებით უამრავი ფოტომასალა წარმოდგენილი, რაც ტ. ნეფედოვას, ნ. ნოღაიდელის, ს. ტაბაღუას, გ. ჩაგანავას ლ. ქორიძის, ლ. ოთიაშვილის, გ. ანდღულაძის, თ. მაღრაძის, თ. შეყილაძის, ლ. ვანიძის, ლ. რუხაძის, რ. გოგიტაურის, ნ. დევაძის, მ. გოგუაძის, ნ. კუჭაშვილის, მ. ჯიშკარიანის, შ. აბაშიძის და სხვათა თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ფონდებს ამშვენებს მათი და მრავალი სხვა დამსახურებული მუშაკის ფოტოები.

აჭარის საარქივო სამმართველოში გამოჩენილ და ცნობილ ადამიანთა მონაწილეობით ხშირად იმართება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები და სხვა სახის ღონისძიებები („არქივი 75“; ”იჭაფჭავაძე-160“; ”ჰაბაშიძე-100“; “ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“; ”თურქეთის სახელმწიფოს არქივის გენერალური დირექტორის სტუმრობა აჭარაში“, “შეხვედრა ბათუმის ბავშვთა საოპერო

სპექტაკლ „ტურანდოტის“ მონაწილეებთან; “ფრიდონ ხალვაში”; “ზურაბ გორგილაძე”; “მემედ აბაშიძე” და ა.შ.). ფოტოსტენდებმა და ფოტოალბომებმა შემოგვინახეს მათი სახეები, ამ ღონისძიებათა ამსახველი მონაცემები.

ყველასათვის ცნობილია საქართველოს ძირძველი კუთხის - ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე არსებული ტაძრების, როგორც ისტორიული ძეგლების მნიშვნელობა, რომლებიც ყოველდღიურად ზიანდება და კარგავენ პირვანდელ სახეს. საარქივო სამმართველოში დაცულია ფოტოკოლექცია, რომელიც დამთვალიერებელს ნათელ წარმოდგენას შეუქმნის იმის შესახებ, თუ რა მდიდარი ისტორიული წარსულის მქონეა ქართველი ერი. ფოტოდოკუმენტები გადაღებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა 1995-1996 წლების ექსპედიციის დროს. ფოტოებზე აღბეჭდილია: **ოშკი, ოპიზა, არტანუჯი, დოლისყანა, ურთა, ოგდემი, პარეხი, ენირაბათი, კოლა, ნუკა, დორთქილისა, სახული, იშხანი, ხანძთა, პარხალი, ესბექი** და სხვა ისტორიული მნიშვნელობის ეკლესია-მონასტრები.

სპეციალისტთა ინტერესს იწვევს 1920-1950-იან წლებში აჭარაში გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების, კომუნისტური პარტიის მესვეურების, აჭარის მთავრობის (ზექერია ლორთქიფანიძის მეთაურობით), მეორე მსოფლიო ომის მონაწილეების, XX საუკუნის II ნახევრის შრომის გმირების, 1921-1925-იანი წლების პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი ფოტოდოკუმენტები და სხვა მრავალი უნიკალური ფოტოკადრი.

საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებს ამშვენებს ბათუმის ბოტანიკური ბაღის, ბათუმის ზღვისპირა ბულვარის, ძველი და ახალი ბათუმის უნიკალური კადრები, რის საფუძველზეც საქართველოს ეროვნული არქივის ინიციატივით და ჩვენი მონაწილეობით გაიმართა მოძრავი ფოტოგამოფენა თემაზე **“ძველი და ახალი ბათუმი”**. აქვეა

დაცული ბათუმის და მისი შემოგარენის ხედები, ეროვნული მოძრაობის ამსახველი კადრები, ნავსადგური, ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა და მრავალი სხვა ფოტოდოკუმენტი.

ფოტო დოკუმენტებმა შეუღამაზებლად შემოგვინახა აჭარაში განათლებისა და კულტურის განვითარების ამსახველი ფოტოკადრები, რომლებზეც აღბეჭდილია როგორც უცხოელი, ასევე საქართველოს სახალხო არტისტების, მხატვრების, პოეტების, მწერლების, პედაგოგების, პოლიტიკოსების, საზოგადო მოღვაწეების და სხვადასხვა პროფესიის ადამიანთა სახეები, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის და ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის (ყოფილი პიონერთა) პარკის ფოტოალბომები, იახტკლუბის და დელფინარიუმის, ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ “გაზაფხულის“ მოღვაწეობის ამსახველი კადრები.

1989-1990-იანი წლების საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების ფერხულში აჭარის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ჩართული. ფოტოდოკუმენტებზე აღბეჭდილი არიან: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია II, მამა დავითი, ზ. გამსახურდია, მ. კოსტავა, ნ. იმნაძე, ჩვენს ქალაქის მკვიდრნი: ჟ. ხაჯიშვილი, ვ. ღლონტი, თ. დიასამიძე, მ. სიორიძე, მ. დუმბაძე, ბ. თევზაძე, უ. ოქროპირიძე, ა. სურგულაძე, ნ. ჯაფარიძე და მრავალი სხვა.

ჩვენს ყურადღებას იქცევს ლენინის ძეგლის დემონტაჟის, ქართველ იუნკერთა საფლავების გათხრის და მათი ღირსეული დაკრძალვის ცერემონიალის და სხვა პროცესების ამსახველი მასალები.

საარქივო სამმართველოში დაცულია **დღევანდელის ამსახველი ფოტოკადრებიც**. ჩვენს ფოტოფონდში უხვადაა 1990-2004 წლების ფოტოდოკუმენტები, რომელშიც ჩანს აჭარაში მწყობრიდან გამოსული, უფუნქციოდ დარჩენილი ფაბრიკა-ქარხნების, დასასვენებელი და საცხოვრებელი სახლების, სასტუმროების უსახური შენობები. აქვეა

ფოტომასალა, რომელიც ასახავს 2004 წლის შემდგომ ნათელ ფერებში რესტავრირებულ ან ახლად აშენებულ თანამედროვე ტიპის შენობა-ნაგებობებს.

ჩვენს ხელთ არის ცნობილი ფოტოკოლექციონერის ბიძინა აფხაზავას ფოტო კოლექციის ციფრული ვერსია, რომელიც საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ აჭარაში ფოტო ხელოვნების განვითარების ისტორიას. ჩვენთან ინახება ბათუმში მოქმედი ფოტო სახელოსნოების ფოტოები, რომელთა ლოგოზე ამოტვიფრულია ფოტოგრაფთა გვარები. ერთ-ერთი ფოტოსახელოსნო განთავსებული ყოფილა მარინეს (ეხლ. მემედ აბაშიძის პროსპექტი) ქუჩა N 20-ში, სადაც მოღვაწეობდნენ ცნობილი ფოტოგრაფები: **უ. ფეტვაჟდიანი, მ. გლაუდანი, ა. კუშნერსკი, გოლფენზოვა** დასხვები.



ბერძენი ფოტოგრაფი **დ. ანტონოპულო** მოღვაწეობდა ფოსტის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ფრანციის“ ახლოს, კაკულიძის სახლთან. ამ ტიპის კერძო ფოტოსახელოსნოები ბათუმში ფუნქციონირებდა 1922 წლამდე.



საარქივო სამმართველოში ფოტო პოზიტივების გვერდით ინახება ათასობით ფოტონეგატივი, რომლებიც მოიცავენ 1960-2004 წლებს. წლების განმავლობაში ამ ნეგატივების გამოყენება შეუძლებელი იყო, რადგან არქივს არ გააჩნდა ფოტო ლაბორატორია. ამჟამად შექმნილია ფოტოსკანერი, რომლის საშუალებითაც მიმდინარეობს ფოტონეგატივებისა და პოზიტივების სკანირება. მზადდება ფოტოს ციფრული ვერსია, რომელიც უამრავ კადრს დაუბრუნებს სიცოცხლეს და დაინტერესებულ პირებს მიაწოდებს მრავალ საინტერესო ინფორმაციას. ამ დროისათვის მომზადებულია 3000 ფოტოპოზიტივის ციფრული ვერსია. პარალელურად მიმდინარეობს ნეგატივების სკანირება. დღეისათვის ფოტო საცაეში ახალი ტექნოლოგიები ინერგება, რომელიც მეცნიერ-მკვლევართა და საზოგადოების ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომს გახდის აქ დაცულ ფოტო დოკუმენტებს. ფონდსაცაეებში დაცული ფოტო დოკუმენტები ნათლად წარმოგიდგენს საზოგადო მოღვაწეების, მწერლების, პოლიტიკოსების, სხვადასხვა დარგის მუშაკთა სახეებს და მათი ცხოვრების

წესს. ფოტოები ჩვენს წინაშე წარმოაჩენს ძველი დროის კოშკებს, მშობლიური ქალაქის ქუჩებს, ძველებურ სახლებს, პრიმიტიულ ტექნიკას. ეს დოკუმენტები არის არამარტო საილუსტრაციო მასალა, არამედ დამოუკიდებელი წყარო ჩვენი სამშობლოს ისტორიის შესწავლისათვის. ფოტოდოკუმენტები ფართოდ გამოიყენება სხვადასხვა გამოფენებისათვის.

ფოტოდოკუმენტების რაოდენობრივმა ზრდამ დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბების საკითხი. აჭარის მინისტრთა საბჭოს 2001 წ. 23 ივლისის დადგენილებით შეიქმნა **კინოვიდეოფოტოფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივი** (6 საშტატო ერთეულით). ცენტრალურ სახელმწიფო არქივს დაემატა **სამეცნიერო-ტექნიკური დოკუმენტების განყოფილება** (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 1976, ან . ფ. 44). კინოს არქივის მოსაწყობად გამოიყო 7509 ლარი, აჭარის თემატიკაზე შექმნილი კინოფოტოფონო დოკუმენტური მასალების გადაღებისა და თბილისიდან შემოტანისათვის ბიუჯეტიდან 12 838 ლარი იქნა გამოყოფილი (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 1976, ან . ფ. 47), მაგრამ მალე თავი იჩინა ახალმა პრობლემებმა. გაუქმდა კინოვიდეოფოტოფონო დოკუმენტების სახელმწიფო არქივი. ვერც აღნიშნული დოკუმენტების შენახვისათვის საჭირო პირობების შექმნა მოხერხდა. საარქივო დაწესებულების ხელმძღვანელობა ზემოთდასახელებული პრობლემების მოსაგვარებლად მუდმივად სვამდა საკითხს ზემდგომი ორგანოების წინაშე, მოითხოვდა ორი კონდიციონერის (9000 ლარის ღირებულების), კინოგამშვების, ხმის სამონტაჟო მაგიდის (ღირებულება 9000 ლარი), სადარბაზო კინოგამშვები აპარატის კომპლექტის შეძენას, ლაბორატორიის აღჭურვას შესაბამისი დანადგარ-მოწყობილობებით (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 1976, ან . ფ. 47, 48), მაგრამ იმჟამად მათი გადაწ-

ყვეტა ვერ მოხერხდა. დასახელებული პრობლემების ნაწილი დღესაც გადაუჭრელია.

აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, საარქივო სამმართველოში მუდმივად მიმდინარეობს ფოტოდოკუმენტებით საარქივო ფონდის გამდიდრების პროცესი. შესაბამისად გაიზარდა მეცნიერ-მკვლევართა და არქივისტთა ინტერესი ფოტოდოკუმენტების მოძიების, გამოყენებისა და სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანისათვის.

**საარქივო სამმართველოში დაცული უნიკალური
ფოტოლოკუმენტები**



აჭარის პირველი მეჯლისი 1880 წ.

მარცხნიდან II რიგში მეოთხე გენერალ გუბერნატორი კომაროვი კ.ბ.
მესუთე: მუფთი ხასან სურმანიძე III რიგში მეშვიდე: გულო-ალა კაიკა-
ციშვილი, მარჯვნიდან III რიგში, მეორე: რამაზ ბეგ სურმანიძე



**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლები
(1920-ნი წლები)**



სასტუმრო „ბელ-ვიუ“



სასტუმრო „დე ფრანცი“




კინოთეატრი „თბილისი“




მწვანე კონცხი




ჰიდროელექტროსადგური მდინარე აჭარისწყალზე
(1934 წელი)





მისაღოცი ბარათები




№ 130 ბათუმს, მარიინსკი პროსექტი.
 Рекомендациямъ администраціи Зема, Января 1911 г.
 Batum, Remarque pri la frostoj de 1911.

დიდოვლობა ბათუმში (1911 წელი)



ბათუმის პორტი (1910 წელი)



ბათუმის საზღვაო სადგური



ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გახსნის საზეიმო ცერემონიალი (1929 წელი)



ქარხნის საერთო ხედი (1929 წ.)



6 მაისის (ყოფილი პიონერთა) პარკის შესასვლელი



6 მაისის (ყოფილი პიონერთა) პარკი



დედფინარიუმი



რესტორანი „სალხინო“ (1980-იანი წლები)



აქტივობებმა შეზღვედნა მოყრეუვს სსრ კავშირის სხარისთი მოქმენს ექვი ვისაქს
 რა ქუთაისის რესპაქელი აფიქის ზოლოდენს.

აქტივისტების შეხვედრასახალხო არტისტ აკაკი ვასაძესთან და ქუთაისის დრამატული თეატრის კოლექტივთან



საქართველოს პატრიარქი ბათუმში,
 6 მაისის (ყოფილ პიონერთა) პარკში (1989 წელი)

§ 5. განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტები. სადაზღვევო ფონდი

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცულ ნახევარ მილიონზე მეტ დოკუმენტს შორის გამორჩეულია **განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტები**. მათგან არაერთი დოკუმენტი იშვიათი, ერთადერთია და თავისი ღირებულებით უნიკალურ ფასეულობას განეკუთვნება. საარქივო სამმართველოში სისტემატურად მიმდინარეობს ასეთი დოკუმენტების გამოვლენა, ორიგინალების დაცვის ღონისძიებები, დოკუმენტებიდან გადაღებული პირების კომპლექტაცია. შესაბამისად, **განსაზღვრულია უნიკალური დოკუმენტების გამოვლენის ზოგადი კრიტერიუმები** (ფონდშემქმნელის მნიშვნელობა, დოკუმენტების ავტორობა, დოკუმენტების შექმნის დრო, დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის ღირებულება, დოკუმენტის იურიდიული ძალა, ნამდვილობა და ა. შ.). განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების გამოვლენა მიმდინარეობს წინასწარ შედგენილი მნიშვნელოვანი ფონდების ჩამონათვალის, სისტემისა და აღწერის მიხედვით. საქმეთა **შერჩევის პრინციპად მიღებულია დოკუმენტების ინფორმაციულობის ხარისხი და მნიშვნელობა**.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში **განსაკუთრებული ღირებულების დოკუმენტების გამოვლენა დაიწყო 1981 წლიდან**. 2014 წლის მდგომარეობით, გამოვლენილია განსაკუთრებულად ღირებული **19422 საქმეთა ერთეული**, მათ შორის: მმართველობითი ხასიათის – 18 535 საქმე, პირადი წარმოშობის – 278 საქმე, კინო – 12 საქმე, ფოტოდოკუმენტი 597 საქმეთა ერთეული. გამოვლენილი დოკუმენტები აღწერილი და დამტკიცებულია საარქივო სამმართველოს საექსპერტო შემმოწმებელი კომიის

სხდომებზე. გამოვლენილ საქმეთა რაოდენობა შეტანილია არქივის პასპორტში

განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტებში წარმოდგენილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ყველა მნიშვნელოვანი პერიოდი და მოვლენა. ერთ-ერთ ასეთ დოკუმენტს განეკუთვნება ბათუმის საკრებულოს 1896 წლის გადაწყვეტილება ქალაქში ელექტროტრამვაის ღიანდაგების დაგებისა და ახალი სატრანსპორტო საშუალების შემოყვანის თაობაზე, რაც სამწუხაროდ არ განხორციელებულა (ასსცსა, ფონდი №7, აღწ-1, საქ.-249, ფ-45). დოკუმენტებში დაცულია აგრეთვე ბათუმის მმართველობის მოხსენება საცხენო-სარკინიგზო გზის მშენებლობის შესახებაც.

ასევე საინტერესო მასალებია დაცული ბათუმის თვითმმართველობის ფონდში. საქალაქო თვითმმართველობისადმი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მოწერილობიდან ირკვევა, რომ 1899 წელს ბათუმის „ნურიე გელის“ ტბის სანაპიროზე გათვალისწინებული იყო სამხედრო ხომალდების ნავსადგურის მშენებლობა და შედგენილი იყო შესაბამისი ნახაზები „ნურიე გელის“ ტბის ზღვასთან მიერთების თაობაზე (ასს ცსა, ფონდი ი-6, აღწ.1, საქ.-199, ფ. 1-94).

ყურადღებას იპყრობს ინჟინერ სვიშევსკის წინადადებები ზღვის სანაპიროს გამაგრების (ასსცსა, ფონდი ი-7, აღწ.-1, საქ. 524, ფ-2), ბათუმ-ყარსის რკინიგზის მშენებლობის (1916 წლისათვის) (ასს ცსა, ფ. ი-7, აღწ.-1, საქ.633, ფ-7), ბათუმის რაიონის სოფელ კაპანდიში საჰაერო გზის მშენებლობის (1927 წლისათვის. დაცულია პროექტი) (ასსცსა, ფონდი-170, აღწ.1, საქ.-133, ფ. 88), რეგიონის სასარგებლო წიაღისეულის (1926 წლის მასალებში) (ასს ცსა, ფ. 170, ან. 1, საქ. 546, ფურც. 33), სოფელ მერისის წიაღისეული სიმდიდრის (1931 წლის მასალებში)

(ასს ცსა, ფ. 170, ან. 1, საქ. 220, ფურც. 323) და სხვა საკითხების შესახებ. სოფლის მეურნეობის სამინისტროს 1951 წლის მასალებში დაცულია მევენახეობის განვითარების ისტორიის საკითხები აჭარაში (ასს ცსა, ფ. 84, ან. 1, საქ. 1272, ფურც. 55).

მეტად მრავალფეროვან და საყურადღებო მასალებს შეიცავს აჭარის მწერალთა კავშირის ფონდში დაცული დოკუმენტები. მათ შორისაა მასალები მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის აჭარის მუდმივმოქმედი კომიტეტის დაარსების შესახებ (ასს ცსა, ფ. 982, ან. 1, საქ. 3, ფურც. 65).

განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების რიგს განეკუთვნება პირადი წარმოშობის ფონდები, ბათუმისა და მისი ოლქის მმართველობის საბჭოს ყოფილი თავმჯდომარის, კადეტ მასლოვის მოგონება „ბათუმი 1917-1920 წლებში“ (ასს ცსა, ფონდი ი-67, აღწ.-1, საქ.13,14,15 –სამ ტომად), სახკომსაბჭოს ფონდში დაცული ის მასალები, რომლებიც შეეხება აჭარაში სახალხო განათლების პრობლემებსა და პერსპექტივებს. 1924 წლის მასალებში დაცულია აჭარის განათლების სახალხო კომისარიატის შუამდგომლობა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატისადმი, რათა მომდერალი დავით ანდლულაძე გაიგზავნოს იტალიაში მუსიკალური განათლების მისაღებად და დაენიშნოს ვანო სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდია (ასს, ცსა, ფონდი-5, აღწ.1, საქ.-49, ფ. 1-14).

მკვლევართა და სპეციალისტთათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რეკომის პირველი სხდომის ოქმები, ანგარიშები, მოხსენებები, საქართველოსა და აჭარის რეკომების დეკრეტები, ბრძანებები (აჭარის რევოლუციური კომიტეტის (რ-1, 1921-1922წ), ცაკის (რ-4, 1921-1938წ.), უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (რ-322, 1938-1990), მინისტრთა საბჭოს (რ-2, 1921-1990 წ.), განათლების სახალხო კომისარიატის (რ-5, 1921-1983წ.) და სხვა ფონდებში დაცუ-

ლი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალები, რომლებშიც ასახულია ჩადრის ახდის, მიწის ნაციონალიზაციის, ქობულეთის კურორტად გამოცხადების, დრამატული თეატრის გახსნისა და მოძრავი კინოების მოწოდების, პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების, სტადიონის მოწოდების, მეორე მსოფლიო ომში აჭარის მშრომელების მიერ ფრონტისათვის გაწეული დახმარების, ნავთობზე სახელმწიფო მონოპოლიის დაწესების, ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადებისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები.

განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტები გამოვსენელინია აჭარის მინისტრთა საბჭოს 1988-1995 წლების მასალებიდანაც. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს პეტრა-ციხისძირის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ნაკრძალად გამოცხადების, სელიმ ხიმშიაშვილის ფონდის დაარსებისა და საქმიანობის, ფიჭვნარის ნაქალაქარის სამაროვნების დაზიანების და მისი გამოსწორების ზეგების, დაბა ხულოში სასულიერო სასწავლებლის გახსნის და სხვა საკითხების შესახებ არსებული დოკუმენტები.

საარქივო სამმართველოში სხვა განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტებიცაა, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანია მათი დაცვის უზრუნველყოფისა და სადაზღვევო ფონდის შექმნის აუცილებლობა. 2012 წლიდან საარქივო სამმართველოში დაიწყო მუშაობა განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების ციფრულ მატარებელზე გადასატანად, რომელიც საბოლოოდ უზრუნველყოფს არქივში დაცული დოკუმენტების საიმედო დაცულობას. თუმცა ჯერ კიდევ დახვეწას საჭიროებს განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტთა განსაზღვრის კრიტერიუმები.

სადაზღვევო პირის გადაღებას ექვემდებარება განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტები, მათ შორის უნი-

კალური დოკუმენტები და იმ ფონდის ყველა აღწერა, რომლებშიც განსაკუთრებული ღირებულების საქმეებია.

აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში გამახვილებულია ყურადღება განსაკუთრებული ღირებულების მქონე საქმეთა ერთეულების და მათი ორიგინალების დაცვასა და დოკუმენტებიდან გადაღებული პირების კომპლექტებზე. განსაზღვრულია გამოვლენის ზოგადი კრიტერიუმები, კერძოდ: ფონდშემქმნელის მნიშვნელობა, დოკუმენტების ავტორობა, დოკუმენტების შექმნის დრო, დოკუმენტებში არსებული ინფორმაციის ღირებულება, დოკუმენტის იურიდიული ძალა, ნამდვილობა.

საარქივო სამმართველოს არქივისტები სწორედ ამ კრიტერიუმების, წინასწარ შედგენილი მნიშვნელოვანი ფონდების, სისტემისა და აღწერის საფუძველზე ახდენენ განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოვლენას. შერჩევის ძირითად პრინციპად მიღებულია დოკუმენტების ინფორმაციული მდგომარეობა – შემადგენლობის, მონაცემებისა თუ მხარის მნიშვნელოვანი სოციალ-ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოვლენების ამსახველი ფაქტების კონტექსტში.

§ 6. ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა, როგორც სამეცნიერო - საგანმანათლებლო დაწესებულება, ყოველთვის, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ქართული კულტურისა და მეცნიერების განვითარების საქმეში. ამიტომაც იყო, რომ წიგნსაცავების ჩამოყალიბება და წიგნადი ფონდის დაცვა უძველესი დროიდან წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგანს.


წიგნების სამეცნიერო მუშაობაში გამოყენების აუცილებლობამ განაპირობა სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიო-

თეკის, როგორც არქივის დამხმარე აპარატის შექმნის აუცილებლობა. მისი აღმოცენება უკავშირდება ცენტრალური სახელმწიფო არქივის დაარსების პერიოდს.

სამეცნიერო დაწესებულებათა შორის, თავისი დანიშნულებისა და ფუნქციების მიხედვით, ყველაზე ახლოს დგას არქივი და ბიბლიოთეკა, მაგრამ, ის ფაქტი, რომ თითოეულ ამ დაწესებულებას წარსულის ძეგლების მხოლოდ განსაზღვრული კატეგორიის პატრონობა აქვს დაკისრებული, აუცილებელს ხდის მათ შორის ერთგვარი ხაზის გავლებას და მათი ძირითადი ფუნქციების გამოიწვევას.

აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივის წიგნსაცავი არის დახურული ტიპის ბიბლიოთეკა, რომელსაც აქვს **სპეციალიზებული წიგნსაცავი არქივმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის პროფილით**. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლიათ როგორც არქივებისა და ამ სისტემის ყველა საუწყებო დაწესებულების თანამშრომლებს, ასევე სხვა დაწესებულებებიდან მოსულ მკვლევარებს (ასსცსა, ფონდი რ-89, საქ. 162, ფ. 1). დოკუმენტური წყაროების კონცენტრაციასა და მათ დაცვა-შენახვასთან ერთად ყოველწლიურად ივსებოდა და მდიდრდებოდა წიგნადი ფონდიც.

არქივმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის ამ სახველი პუბლიკაციების გარდა ცსა-ის ბიბლიოთეკაში თავმოყრილია თემატურად და დარგობრივად მრავალფეროვანი ლიტერატურა. მათ შორისაა რუსეთის იმპერიის კანონთა კრებულები, მდიდარი საცნობარო **ლიტერატურა; 1881-1917 წლების კავკასიის კალენდარი, სახალხო კომისართა საბჭოსა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებები, დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის 46 ტომი, ბროკჰაუზისა და ეფრონის ენციკლოპედიური ლექსიკონები, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, სამედიცინო, სასოფლო-სამეურნეო, სასულიერო და სხვა სახის ლიტერატურა.**



ბიბლიოთეკაში დაცულია იურიდიული, პოლიტიკური, დიდაქტიკური ხასიათის ჟურნალები, ადგილობრივი და რაიონული გაზეთების კომპლექტები. ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა აგრეთვე ბოლო პერიოდში საქართველოს საისტორიო და ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივებიდან შემოტანილი გაზეთების („დროება“, „ივერია“, „ერთობა“, „სამუსლიმანო საქართველო“) ქსეროასლებმა.

საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკაში დაცული წიგნების უმეტესობა ქართულ და რუსულენოვანია, თუმცა გვხვდება ლათინური და ფრანგული წიგნებიც.

სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით შევსება მიმდინარეობდა სხვადასხვა გზით. ნაწილი წიგნებისა, საარქივო ფონდებთან ერთად, შემოვიდა რეკოლუციის შემდგომ გაუქმებული დაწესებულებებიდან. ბევრიც შემოტანილია შესყიდვის, შემოწირულობების, გამოწერის საშუალებით. წიგნების ნაწილი არქივის ბიბლიოთეკას სა-

ჩუქრად გადასცეს სხვადასხვა პერიოდში მოღვაწე მეცნიერებმა, მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა.

სამმართველოს ბიბლიოთეკაში დაცულია საარქივო მეთოდური ლიტერატურა, სამეცნიერო-საცნობარო სახელმძღვანელოები, რომლებიც დიდ დახმარებას უწევენ როგორც არქივისტებს, ისე სამეცნიერო დაწესებულებებსა და ცალკეულ მკვლევარებს. საარქივო საქმის თეორიისა და მეთოდის საკითხები პერიოდულად შექდებოდა საქართველოს საარქივო სამმართველოს **„სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენში“**. ამავე ბიულეტენში დაიბეჭდა უნიკალური დოკუმენტებისა და პირადი ფონდების მიმოხილვები.

სამეცნიერო - საინფორმაციო ბიულეტენმა დიდი როლი შეასრულა საარქივო საქმის განვითარებისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების საქმეში, ნათელი მოჰფინა არქივში დაცულ ბევრ უნიკალურ ფონდსა თუ კოლექციას. იგი დღესაც საკმაოდ პოპულარული საარქივო მეთოდური გამოცემაა და დახმარებას უწევს საარქივო მუშაკებს.

საარქივო სისტემაში ასევე მნიშვნელოვან სახელმძღვანელოდ ითვლება საქართველოს ეროვნული არქივის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი **„საისტორიო მონაშენი“**. რესპუბლიკაში იგი ერთადერთია, რომელიც თავისი მრავალფეროვანი პუბლიკაციებით საშუალებას აძლევს მკვლევარებსა და ისტორიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველებს მოკლე დროში გაეცნონ მეტად საინტერესო საარქივო საბუთებს საზოგადოებრივ - ეკონომიკური თუ პოლიტიკური ცხოვრების მრავალი სფეროს შესახებ. თავისი არსებობის სამი ათეული წლის მანძილზე ჟურნალმა ბევრი საყურადღებო, სრულიად შუსწავლელი საისტორიო საბუთი გამოაქვეყნა და ამით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პრობლემის სრულყოფილად და ახლებურად გაშუ-

ქებასა და დაზუსტებაში (სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, N 27-28, თბ. 1975 წ. ფ. 150).

მნიშვნელოვან მეთოდურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის N 414 ბრძანებულებით დამტკიცებული **„საქმისწარმოების ერთიანი წესები“**, ასევე საქართველოს ცენტრალური არქივის ჟურნალი **„საქართველოს არქივი“**. ამ გამოცემებმაც დაიდეს ბინა აჭარის საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკაში.

არქივისტებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ 2000 წელს გამოცემული ცნობარს - **„საქართველოს არქივები“**. იგი აქტიურად დაეხმარება როგორც საარქივო დარგის, ასევე საქმისწარმოებაში დასაქმებულ სხვა მუშაკებს, ისტორიკოს-მკვლევარებს.

არქივის ბიბლიოთეკაში ინახება **„ქართულ ხელნაწერთა კოლექციის აღწერილობა“** (ტ. 1), რომელიც საქართველოს ცენტრალურმა სახელმწიფო საისტორიო არქივმა გამოსცა 1949 წელს კორნელი კეკელიძის რედაქტორობით.

აქვეა დაცული ყოფილი საბჭოთა კავშირის ცენტრალური სახელმწიფო სამხედრო-საისტორიო არქივის მიერ 1952 წელს გამოცემული გენერალისიმუსისა და რუსული სამხედრო ხელოვნების ფუძემდებლის **ა. ვ. სუვოროვის საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების აღწერილობა**, რომელიც შედგება სუვოროვის პირადი დოკუმენტებისა და მის პიროვნებასთან დაკავშირებული სხვა სახის მასალებისაგან.

როგორც უკვე აღინიშნა, არქივის ბიბლიოთეკაში არქივთმცოდნეობისა და დოკუმენტმცოდნეობის ამსახველი ლიტერატურის გარდა ინახება ბევრი სხვა უნიკალური წიგნი, რომელსაც გააჩნია მეცნიერული და კულტურული

ღირებულება. ეს გამოცემები შეიძლება ითქვას, ბიბლიოთეკის სიმდიდრეს წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი ნაშრომია ცნობილი ისტორიკოსის თედო ჟორდანიას გამოკვლევა **„ქრონიკები და სხვა მასალები საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა“**. წიგნის ქრონოლოგიური ჩარხო მოიცავს პერიოდს 1700 წლიდან XIX ს-ის 60-იან წლებამდე. მასში წმინდა ისტორიულ პრობლემატიკასთან ერთად მოცემულია ცნობები თედო ჟორდანიას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, კრიტიკულადაა განხილული „ ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილი.

არქივის ბიბლიოთეკაში ინახება **„ატენის სიონის მოხატულობა“**, რომელიც გვაწვდის ცნობებს XVII ს-ის ერთ-ერთი ულამაზესი ტაძრის ატენის სიონის ისტორიის, არქიტექტურის, აგებულების, ფრესკული მხატვრობისა და ძველ წარწერათა ნაშთების შესახებ. წიგნში შეტანილია ატენის სიონის მოხატულობანი. ნაშრომი ძვირფასია ისტორიისა და ხელოვნების საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის, ასევე მკვლევარებისათვის.


არქივის ბიბლიოთეკაში დაიდო ბინა **მამია დუმბაძის ნაშრომმა „ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე“**, რომელიც ასახავს ცნობილი ისტორიკოსის, დიდი მეცნიერისა და ქართული კულტურის მოამაგის დიმიტრი ბაქრაძის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, მოგვითხრობს მის დიდ ღვაწლზე საქართველოს ისტორიის შესწავლისა და განვითარების, ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეში.

ბიბლიოთეკაში დაცულია ქართული ნუმიზმატიკის, ჟურნალისტიკის, ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის ამსახველი არაერთი საინტერესო გამოცემა (დ. კაპანაძე, **„ქართული ნუმიზმატიკა“**; ჰ. აბაშიძე, **„წერილები“**, შ. ფუტკარაძის **„ ჩვენებურების ქართული“**, მაყვალა ბე

რიანიძის კრებული „აჭარის ისტორია ბაეშეებისათვის“, ოლიგო ფენტიის „ბათუმი კინოში“ და სხვა).

ქართული გამოცემების გვერდით ინახება რუსულ ენაზე შექმნილი სხვადასხვა სახელმძღვანელოები (მსოფლიო ისტორიის რემოდენიმე ტომი, XV ს-ის რუსეთის ჟამთა აღწერილობა) რუსულენოვანი ლიტერატურა და სამეცნიერო ხასიათის ჟურნალები («Церковныя ведомости», «Русское богатство», «Русская школа», «Русская мысль», «Народное просвещение», «Современный мир» და მრავალი სხვა), რომლებიც გამოცემულია წიგნების სახით და ძვირფას მასალებს შეიცავენ რუსეთის ისტორიისა და ლიტერატურის შესწავლისათვის.

რელიგიური ხასიათის წიგნებიდან უნდა აღინიშნოს ლათინურ ენაზე დაწერილი ოქროსფრად მოვარაყებული რამდენიმე წიგნი, რომლებშიც წარმოდგენილია რომის პაპების ისტორიის საკითხები. რელიგიურ თემატიკაზეა აგრეთვე პარიზში გამოცემული ფრანგული “CATACHISME”, რომელიც წარმოადგენს ქრისტიანული ღვთისმეტყველების სახელმძღვანელოს და განეკუთვნება არქივის ბიბლიოთეკის ოქროს ფონდს. რელიგიური ხასიათის გამო ეს წიგნები წლების განმავლობაში ტაბუდადებული იყო. დღეს, ისინი ხელმისაწვდომია რელიგიის ისტორიით დაინტერესებული ნებისმიერი მკითხველისათვის.



ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება მუდმივად განახლებადი პროცესია. შესაბამისად, საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკა ყოველწლიურად ივსება და მდიდრდება ახალი ლიტერატურით. ბოლო 5-6 წლის მანძილზე ბიბლიოთეკას შეემატა თემატურად მრავალფეროვანი არაერთი წიგნი, კრებული, პერიოდული გამოცემები, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, ისტორიული, სასულიერო და სხვა სახის ლიტერატურა. ყველა მათგანის განხილვა შეუძლებელია, თუმცა ზოგიერთ გამოცემაზე ღირს ყურადღების გამახვილება. ერთ-ერთი ასეთი მონოგრაფიაა „შავშეთი“ (ავტორთა კოლექტივის ერთობლივი გამოცემა), რომელშიც გადმოცემულია სამხრეთ საქართველოს ერთ-ერთი უმშვენიერესი კუთხის

- შავშეთის ისტორია, მატერიალური კულტურის ძეგლები, ეთნოგრაფიული ყოფა, ფოლკლორი, დიალექტი. ეს წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ისტორიული სამხრეთ საქართველოს საკითხებით დაინტერესებულ ნებისმიერ მკითხველსა თუ მკვლევარს.

საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი მუდმივად მდიდრდება პერიოდული გამოცემებით. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **საქართველოს კათოლიკეთა ყოველთვიური მაცნე „საბა“**, თბილისის უნივერსიტეტის პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი **„აღმაშენებელი“**, ისტორიულ-შემეცნებითი ხასიათის ჟურნალი **„ისტორიანი“** და სხვა.

საარქივო სამმართველოს სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსებაში დიდი წვლილი მიუძღვით ისტორიკოსებსა დამკვლევარებს: **თამაზ ფუტყარაძეს, ოთარ გოგოლიშივს, რამაზ სურმანიძეს, ბიჭიკო დიასამიძეს, უზა ოქროპირიძეს, მალხაზ სიორიძეს**. მათი შრომები ძვირფას მასალას წარმოადგენს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიით დაინტერესებული მკითხველისათვის.

ბოლო წლებში საარქივო სამმართველოში გააქტიურდა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, რომელიც სისტემატურად შუქდება **პერიოდულ ორგანო ჟურნალ „არხეიონში“**. ჟურნალის დამაარსებელი და რედაქტორია თამაზ ფუტყარაძე. საარქივო სამმართველოს თავისი არსებობის თითქმის ნახევარსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად არ გააჩნდა პერიოდული გამოცემა. 2011 წელს გამოვიდა ჟურნალის პირველი ნომერი. დღემდე „არხეიონი“-ს რვა ნომერია გამოცემული. მასში წარმოდგენილია როგორც აჭარის, ასევე სრულიად საქართველოს საარქივო დაწესებულებების თანამშრომელთა ნაშრომები, საარქივო სამმართველოს ისტორიის საკითხები, საქართველოსა და

საზღვარგარეთის არქივებში დაცული დოკუმენტების მიმოხილვები და ა. შ.

არქივის სამეცნიერო ბიბლიოთეკას რამოდენიმე ახალი საარქივო დოკუმენტების კრებულიც შეემატა. მათ შორის აღსანიშნავია თამაზ ფუტკარაძის რედაქტორობით გამოცემული **„რელიგიური დაწესებულებები აჭარაში“ თბ. 2010**, **„რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950-იან წლებში“**, თბ. 2013. კრებულებში მკითხველი გაეცნობა აჭარაში არსებული რელიგიური დაწესებულებების შესახებ არქივში დაცულ საარქივო დოკუმენტებს, გურია-სამეგრელოს ეპარქიისა და იმპერიის ხელისუფლების სხვადასხვა ოფიციალურ პირებს შორის მიმოწერებს, ბათუმში მოქმედი ქრისტიანული ეკლესიების აღწერილობებს, მათ საკუთრებაში არსებული ქონების ნუსხას, რელიგიური კულტების საბჭოს ანგარიშებს და ა. შ.

ბოლო პერიოდში ტრადიციად დამკვიდრდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის ჩატარება, რომლის მუშაობაში მონაწილეობენ ავსტრიის, რუსეთის, სომხეთის, ბულგარეთის, თურქეთის საარქივო დაწესებულებების, სასწავლო საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრების, ასევე სამუზეუმო გაერთიანების წარმომადგენლები. არქივის ბიბლიოთეკაში დაცულია კრებულების სახით გამოცემული კონფერენციის მასალები (**„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტესტში“**, ბათ. 2009 , **ქორწილი იმერხევში“**, ბათ. 2010, **„აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში“** ბათ. 2010, **„სამხრეთ-დასავლეთ საქართველო: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია“**, II, III, IV , თბ. 2013, 2013, 2014 და სხვა).

საარქივო სამმართველოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი დამუშავებული და აღწერილია საბიბლიოთეკო წესით, შედგენილია კატალოგები. საჭიროების შემთხვევაში

წიგნებს უტარდება რესტავრაცია და სხვა აღდგენითი სამუშაოები.

ბიბლიოთეკის საცავში დაცული ფონდებით სარგებლობა შეუძლიათ როგორც არქივის თანამშრომლებს, ასევე ისტორიის თუ კულტურის საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებს. საარქივო სამმართველოს სამკითხველო დარბაზში შექმნილია საუკეთესო პირობები ნაყოფიერი კვლევა-ძიებისათვის. მკითხველს შეუძლია ბიბლიოთეკაში დაცული წიგნადი ფონდების ასლების გადაღება და სკანირება.

§ 7. დოკუმენტების გამოყენება. საარქივო პირველწყაროები მკვლევართა შრომებში

საარქივო დაწესებულებები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი ცენტრებია, სადაც მიმდინარეობს ქვეყნის წარსულის, მის მიერ განვლილი გზის, სულიერი და კულტურული მემკვიდრეობის სრულყოფილი შესწავლა.

აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოში დაცულია დოკუმენტები, რომლებშიც ასახულია 1878 წლის შემდგომი პერიოდის ისტორია, მანამდე არსებული დოკუმენტების ნაწილი ცნობილი პოლიტიკური მოვლენების გამო აღმოჩნდა თურქეთის არქივებში. ამ მიზეზით არის განპირობებული ოსმალობამდელი წყაროების სიმწირე, რამაც შეუძლებელი გახადა საქართველოს ამ უძველესი რეგიონის ისტორიის შესახებ სრულყოფილი ნაშრომის შექმნა, თუმცა აღნიშვნის ღირსია ის ფაქტი, რომ ბოლო წლებში რეგიონის სამეცნიერო დაწესებულებებში გაძლიერდა ინტერესი აჭარის ისტორიის სრულყოფილი შეწავლის მიზნით, რამაც 1990-იან წლებში დაბადა „აჭარის ისტორიის ნარკვევების“ შექმნის

იდეა. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, არქეოლოგიური მუზეუმის, ნიკო ბერძენიშვილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად დაიწერა ოთხტომეული.

„აჭარის ისტორიის ნარკვევები“-ს მესამე და მეოთხე ტომებში უხვადაა წარმოდგენილი როგორც ეროვნულ, ისე აჭარის არ არქივში დაცული წერილობითი დოკუმენტები. ამ იდეის რეალიზაციაში ფასდაუდებელი წვლილი შეიტანეს აწვანსვენებულმა პროფესორებმა – დავით ხახუტაიშვილმა, აბელ სურგულაძემ, მალხაზ სიორიძემ. ფასდაუდებელია აგრეთვე პროფესორების: ამირან კახიძის, ოთარ თურმანიძის, ნოდარ კახიძის, ბიჭიკო დიასამიძის, რამაზ სურმანიძის და სხვათა ღვაწლი.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტების გამოვლენის, გამოყენებისა და შესწავლის შედეგად დაიწერა არაერთი საკანდიდატო თუ სადოქტორო დისერტაცია, გამოქვეყნდა უამრავი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ნაწილობრივ წარმოდგენილია საარქივო საქმის ცნობილი სპეციალისტის, საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, სახელმწიფო აღრიცხვისა და სამეცნიერო – საცნობარო აპარატის განყოფილების გამგის **ნუნუ სკამპოჩაიშვილის ნაშრონში „არქივის პირველი წყაროები მკვლევართა სამეცნიერო შრომებში“** (ხელნაბეჭდი).

თავისი არსებობის მანძილზე აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივს ასობით მკვლევარი, ასპირანტი, სამეცნიერო ხარისხის მაძიებელი მიუღია, რომელთა მუხლჩაუხრელი შრომით ბევრი მტვერწაყრილი დოკუმენტი გამოვლინდა და მოექცა სამეცნიერო ბრუნვაში. ამ თვალსაზრისით ფასდაუდებელია ისეთი მდიდარი ბიოგრაფიის მქონე მკვლევართა ღვაწლი, როგორებიც არიან: ხარიტონ ახვლედიანი, პარმენ ცქვიტარია, პარმენ პატარაია, ვლადი-

მერ ქემხაძე, ოთარ თურმანიძე, ნოდარ ცეცხლაძე, სერგო დუმბაძე, შოთა ჯაფარიძე, ალექსანდრე ჩავლეიშვილი, ალექსანდრე ბაუჟაძე, მურად ჩავლეიშვილი, ვლადიმერ სიჭინავა, რამაზ სურმანიძე, ეთერ ცივაძე, მერი გოცირიძე, მარიკა ქურიძე, აბელ სურგულაძე, მალხაზ სიორიძე, მერაბ მეგრელიშვილი, ნუგზარ ჩხაიძე, ლევან კალანდარიშვილი, გრიგოლ ბაბილოძე, სულიკო არაქელოვი, შოთა ქურიძე, უჩა ოქროპირიძე, ოთარ გოგოლიშვილი, სერგო გერსამია, ნაზი ნოლაიდელი, გრიგოლ ჩაგანავა, სერგო ტაბაღუა, თეიმურაზ კომახიძე, ნანი გუგუნავა, ნუგზარ ზოსიძე, რევაზ უზუნაძე, შოთა ცეცხლაძე, შოთა თოღაძე, ვახტანგ მაკარაძე, შალვა ვარშანიძე, იოსებ ბექირიშვილი, ირაკლი ბარამიძე, ფრიდონ სიხარულიძე, ჯემალ კარალიძე, ჯემალ მიქელაძე, იოსებ სანიკიძე, ხათუნა მანავაძე, ინგა დიასამიძე, მერი დიასამიძე, ზაურ გოგიტიძე, ომარ მეგრელიშვილი, ვლადიმერ მამულაძე, ნატო ცეცხლაძე, ირინა მაზილკინა, თემურ უსტიაშვილი, ნინო შუშანიძე, გიორგი მახარაშვილი, მერაბ ფუტკარაძე, ნოდარ ბასილაძე, ლაშა ასლანიშვილი, ოლეგ ტეიფი, დავით ტუღუში, ირაკლი მანველიძე, გურამ ჩაგანავა, ალექსანდრე ჯაყელი, ანზორ ციციხვაია, მათეას ჰელკმანსი (ჰოლანდია), მამია ბერძენიშვილი, არჩილ ვარშალომიძე, ლამარა ბოლქვაძე, ერმილე მესხია, სიმონ გოგიტიძე, პირიმზე რურუა, თამაზ ბერაძე, ინეზა ზოიძე, მათა ჭიჭილეიშვილი, ნოდარ კახიძე, ალქსანდრე დაუშვილი, მარიანა პისკოვა, ნურიე მურატოვა, ანასტასია პაშოვა, მილენა ანგელოვა, ქრისტინა პოპოვა (ბულგარეთი) და სხვები. დასახელებულმა და სხვა მკვლევარებმა, წლების მანძილზე თავდაუზოგავი შრომის შედეგად მოიძიეს და გამოავლინეს ათასობით საარქივო დოკუმენტი, რომელთა საფუძველზე შეიქმნა საყურადღებო სამეცნიერო გამოკვლევები. ყველა მათგანის ჩამოთვლა ვერ მოხერხდება, მით უმეტეს ვერ მოხერხდება თითოეული მათგანის ნაშრომებისა და მასში გამოყენებული საარქივო

წყაროების მიმოხილვა. ჩვენ ზოგიერთი მათგანის სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე შევეცდებით წარმოვაჩინოთ საარქივო წყაროების როლი და მნიშვნელობა ქვეყნისა და ჩვენი მხარის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით.

ხარიტონ ახვლედიანი იმ მკვლევართა რიგს ეკუთვნის, რომლებმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შრომასა და გარჯაში გაატარეს. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა აჭარის მხარეთმცოდნეობითი მუზეუმის დირექტორად. მისი ინიციატივითა და მონღოებით მუზეუმი გამდიდრდა არაერთი ექსპონანტით, ხელნაწერთა ფონდი კი შეივსო ახალი დოკუმენტებით. მისი კვლევის სფერო აჭარის ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს შეეხებოდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა **ხარიტონ ახვლედიანის მონოგრაფიამ „ნარკვევები აჭარის ისტორიიდან“**, რომელიც გამოიცა 1944 წელს. ნაშრომში მთავარ საისტორიო საბუთებზე დაყრდნობით გაანალიზებულია აჭარის ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები. ფაქტობრივად ეს იყო სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს - აჭარის ისტორიის პირველი მეცნიერული გამოკვლევა. მოგვიანებით, 1956 წელს, ხ. ახვლედიანმა გამოსცა ასევე მეტად საყურადღებო ნაშრომი **„სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში“**, რომელშიც დასაბუთებულია სახალხო აჯანყების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივები. მდიდარი მონაცემების საფუძველზე ავტორი ასაბუთებს მთიან რეგიონებში ოსმალთა ბატონობის ნომინალურ ხასიათს. ამ მიზნით იშველიებს ერთ-ერთი მთიელის მეტად საგულისხმო გამონათქვამს: „რასა იქს კაცი თვარა, იმ აბდალთათრებს თავს რავა გავაუღეტინებთ, აქ არიან დიდგულისი, დედაგაქუცულები, თვარა აჭარაში, მთაში რავა მოგვეკარებო“ (ხ.ახვლედიანი, 1956:32).

მთლიანად საარქივო მასალებზე დაყრდნობითაა დაწერილი მისივე ნაშრომი „**საბჭოთა ხელისუფლების დამყარება აჭარაში**“ (1917-1921) (ასსცსა, ფონდი ი-81, ი-82, ფ.1). უნდა აღინიშნოს, რომ იმდროინდელი ნაშრომები სრულად ვერ იყო თავისუფალი საბჭოური იდეოლოგიური წნეხისაგან. შესაბამისად, ვერ იქნება გაზიარებული ავტორის ზოგიერთი მოსაზრებაც. აჭარაში მეჯლისის შექმნისა და მისი საქმიანობის ძირითად მიზნად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ავტორისეული ინტერპრეტაცია აშკარად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას. საარქივო მონაცემებიდან ნათლად ჩანს მეჯლისის ერთ-ერთი მიზანი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შემადგენლობაში აჭარის დაბრუნება. ცხადია, ეს ხარვეზი იმ ეპოქის ნაკლია და საბჭოთა იდეოლოგიური დოქტრინის კონტექსტში უნდა იქნას განხილული.

თავისი შეგნებული ცხოვრების ნახევარზე მეტი არქივებში გაატარა და უამრავი ახალი დოკუმენტი გახადა საზოგადოებისათვის ცნობილი გამოჩენილმა ქართველმა ისტორიკოსმა, შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა **პარმენ ცქვიტარიამ**. მისი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები ძირითადად აჭარის ცენტრალურ არქივში მოძიებული და გამოვლენილი დოკუმენტების საფუძველზე შეიქმნა. პ. ცქვიტარიას გამოკვლევების ერთი ნაწილი 1905-1917 წლების რევოლუციის თემას ეხება. მათში გაანალიზებულია XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე აჭარაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, რევოლუციური სიტუაციის წინაპირობები. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მონოგრაფია „**აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890-1914)**“, რომელშიც ორიგინალურადაა გააზრებული აღნიშნული ისტორიული მოვლენა (ასსცსა, ფონდი ი-82, ი-81, რ-1, რ-4). მართალია, ნაშრომს ეტყობა საბჭოური იდეოლოგიური წნეხის კვალი, მაგრამ მასში მოტანილი და გაანა-

ლიზებულია ბევრი ისეთი საყურადღებო დოკუმენტი, რომლებიც საინტერესოდ წარმოაჩენენ იმდროინდელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას. პ. ცქვიტიას შრომებში შედარებით უფრო ობიექტურადაა გაშუქებული ეკონომიკური პროცესები.

პ. ცქვიტიას კალამს ეკუთვნის აგრეთვე მონოგრაფია - „**ჭარის კომუნისტური მოძრაობის ისტორიიდან**“. ნაშრომში გატარებული იდეები შესაძლოა ვინმეს თანამედროეობისათვის შეუსაბამოდ მოეჩვენოს, მაგრამ ჩვენი ისტორიისათვის ერთნაირად მნიშვნელოვანია როგორც წარმატებებისა და წინსვლის ეპოქის, ისე წარუმატებლობის, შეცდომებისა და ღალატის ისტორიის წარმოჩენაც. კომუნისტური რეჟიმი 70 წლის განმავლობაში სათავეში ედგა საბჭოთა იმპერიას და მისი მისი იდეოლოგიური გავლენისგან გათავისუფლება არ იყო ადვილი. ალბათ ეს იყო ნაშრომში გატარებული ზოგიერთი მცდარი შეხედულების ძირითადი მიზეზი. კერძოდ, ავტორი არალეგალურ დისკუსიებში გამარჯვებულად ყოველთვის მიიჩნევდა ბოლშევიკებს, მაშინ როცა საარქივო მონაცემები საპირისპირო მოსაზრების დასაბუთების შესაძლებლობას იძლევა. ასევე მიუღებელია კ. ჩხეიძისა და ი. რამიშვილის მიმართ ავტორის უარყოფითი დამოკიდებულება მხოლოდ იმის გამო, რომ მათ ბოლშევიკებისაგან განსხვავებული პოზიცია ეკავათ. მიუხედავად ამისა, პროფესორ პ. ცქვიტიას ამ ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავთ თავისი მნიშვნელობა.

ქალაქების ისტორიის შესწავლას ქართულ ისტორიოგრაფიაში ყოველთვის ექცეოდა განსაკუთრებული ყურადღება. ეს არცაა გასაკვირი. ქალაქები წარმოადგენენ ეკონომიკური, პილიტიკური და კულტურული ცხოვრების ცენტრებს.

ბათუმის, როგორც საზღვაო კარიბჭის მდიდარი და საინტერესო ისტორიის მეცნიერული შესწავლა დაისახა მიზნად ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა, დოცენტმა

ვლადიმერ სიჭინავამ. ამ საკითხზე (ისევე როგორც სხვა პრობლემებზე) მუშაობისას ავტორი წააწყდა სერიოზულ დაბრკოლებას, რაც ოსმალების მიერ 1878 წელს ბათუმიდან დოკუმენტების გატანას უკავშირდებოდა. ამ სირთულეების მიუხედავად ვლ. სიჭინავამ შეძლო დასახული მიზნის განხორციელება და ხანგრძლივი, დაუღალავი მეცნიერული შრომის შედეგად გამოაქვეყნა შესანიშნავი მონოგრაფია „ბათუმის ისტორიიდან“ (ბათუმი, 1958). ქალაქის ისტორიის წარმოჩენის პარალელურად ავტორი ეხება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებსაც. ნაშრომში საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული ბათუმისათვის მეზობელი სახელმწიფოების ბრძოლის, აჭარის დედამამშობლოსთან დაბრუნების, რუსული მართვა-გამგეობის დამყარების, ცარიზმის აგრარულ-კოლონიური პოლიტიკის, პორტო-ფრანკოს, მუჰაჯირობის, ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, მოსახლეობის რიცხოვნობის, ეროვნული და რელიგიური შემაღგენლობის საკითხებზე. დასახული მიზნის განხორციელებისათვის ავტორს უხვად აქვს გამოყენებული ლენინგრადის (ეხლანდელი პეტერბურგის), საქართველოს ეროვნული, აჭარის ცენტრალური არქივის მონაცემები (ასსცსა, ფ. 6, ფ. 7, ფ.13, ფ. 64, ფ. 13, ფ.1, ფ.3 და ა.შ.). შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: ბათუმის შესახებ ამ პირველი ფუნდამენტალური გამოკვლევით ვლ. სიჭინავამ ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა საქართველოს ქალაქების ისტორიის შესწავლის საქმეში. მონოგრაფიაში წარმოჩენილია ბათუმის მნიშვნელობა როგორც თურქეთის, ისე რუსეთისა და სხვა ქვეყნებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქალაქის გამოყენება იმპერიის კოლონიური მიზნების განხორციელებისათვის. ბათუმში იმპერიისათვის „საიმედო“ ელემენტების ჩამოსახლება იყო გათვალისწინებული. ამას გარდა ქალაქი პორტო-ფრანკოს პირობებში იყო ღია ბაზარი დასავლეთის ქვეყნებისათვის, სადაც შემოსული იაფი საქონელი

იმპერიის ბაზრებისაკენ მიემართებოდა. ეს კი აბრკოლებდა რუსეთის მრეწველობის განვითარებას. ამიტომ რუსეთმა 1886 წელს ცალმხრივად გააუქმა პორტო-ფრანკოს რეჟიმი. მონოგრაფიაში ავტორი ამ საკითხების გაშუქებისას უხვად იყენებს საარქივო დოკუმენტებს.

1960 წელს მკითხველ საზოგადოებას მიეცა შესაძლებლობა გაცნობოდა **სერგო გერსამიას** გამოკვლევას, რომელშიც წარმოჩენილია ქართველი მამულიშვილის **მემედ აბაშიძის ცხოვრება და მოღვაწეობა** (ს. გერსამია, 1960). ავტორს წიგნზე მუშაობისას გამოყენებული აქვს უამრავი დოკუმენტი, მათ შორის სახელმწიფო არქივში, ასევე, თავად მემედ აბაშიძის ოჯახურ არქივში დაცული წერილობითი წყაროები, რომელთა საფუძვლზე წარმოჩენილია ის დიდი წვლილი, რომელიც შეიტანა მემედ აბაშიძემ ქრისტიან და მუსლიმან ქართველთა შორის „ჩატეხილი ხიდის“ გამრთელებისათვის, ეროვნული სიამაყისა და თვითშეგნების ამაღლების, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დოკუმენტი გამოყენებულია არა უშუალოდ საარქივო ფონდებიდან, არამედ პ. ცქვიტარიას მიერ მოპოვებული დოკუმენტებიდან (ნ. სკამპონაიშვილი, დასახ. ხელნაბეჭდი, გვ.7).

ნაყოფიერ სამეცნიერო მუშაობას ეწევა პროფესორი **ოთარ თურმანიძე**, ასაკის მიუხედავად იგი დღესაც მუხლჩაუხრელად აგრძელებს მუშაობას. საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით ო. თურმანიძემ გამოაქვეყნა არაერთი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ომის შემდგომ პერიოდში აჭარის სოციალურ – ეკონომიკური განვითარების საკითხებზე მის მიერ გამოქვეყნებული გამოკვლევა - **აჭარის ასსრ სოციალურ-პოლიტიკური განვითარება ომისშემდგომ პერიოდში**“ (ბათუმი, 1986). ნაშრომში დახასიათებულია აჭარის არ პოლიტიკური სისტემა, მოსახლეობის სოციალური და კლასობრი-

ვი სტრუქტურა, მატერიალური და საყოფაცხოვრებო პირობები, მასების ინიციატივისა და შემოქმედების მეცნიერული სურათი.

აქტუალობით, სამეცნიერო ბრუნვაში ახალი მასალების შემოტანით, ობიექტურობით და მოვლენათა სწორი შეფასებით (მიუხედავად იმისა, რომ ავტორი იძულებული იყო ხარკი გადაეხადა ცენზურისათვის) გამოირჩევა ო. თურმანიძის მეორე ნაშრომი **„გლეხთა მოძრაობა აჭარაში რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში“** (ბათუმი, 1979). ამ საკითხზე მუშაობისას ავტორს უხვად უსარგებლია ი-15, ი-16, ი-22, ი-48 და სხვა ფონდებში დაცული დოკუმენტური მასალებით. მეცნიერული კეთილსინდისიერების, აკადემიურობის, მდიდარი საარქივო და სამეცნიერო-ლიტერატურული მონაცემების შეჯერების საფუძველზე დაწერილი მისი სხვა ნაშრომებიც, განსაკუთრებით ერთ-ერთი ბოლო მონოგრაფია, რომელიც 2005 წელს გამოსცა გამომცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“ (ო. თურმანიძე, 2005)

სახალხო განათლებისა და კულტურის განვითარებაზე მოგვითხრობენ აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული პირველწყაროები – ვაჟთა და ქაღთა გიმნაზიების, სახელოსნო სასწავლებლებისა და სხვათა ფონდები. სწორედ ამ ფონდებს ეფუძნება **ეთერ ცივაძის** ნაშრომი **„ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში“**. ნაშრომში წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარების ცალკეული საკითხები. მდიდარი ლიტერატურული და საარქივო პირველწყაროების გამოყენების, მასალების გამოვლენისა და გაანალიზების, მოწინავე პედაგოგთა გამოცდილების შესწავლის საფუძველზე ავტორი აჩვენებს რეგიონში სახალხო განათლების, სასკოლო ქსელისა და მოსწავლეთა კონტიგენტის ზრდის, წერა-კითხვის უცოდინრობისა და მცირემცოდნეობის ლიკვიდაციის, საყოველთაო-სავალდებულო სწავლე-

ბის განხორციელების რთულ და საინტერესო ისტორიას (ე. ცივაძე, 1970).

ე. ცივაძის ნაშრომი საინტერესოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისითაც. წარსულის გამოცდილების ცოდნა აუცილებელია მომავლის სწორად განჭვრეტისათვის. ნაშრომი საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ავტორს ცალკეულ მოვლენებთან და ფაქტებთან მიმართებაში გამოყენებული აქვს საარქივო პირველწყაროები, რაც ზრდის ნაშრომის მეცნიერულ ღირებულებას (ნ. სკამკოჩაიშვილი, დასახ. ხელნაწერი).

საარქივო პირველწყაროების (ასსცსა, ფ.რ-972, რ-986, რ-880) გამოვლენა-გაანალიზების საფუძველზე მხატვრული სიტყვის განვითარების საკითხებიცაა შესწავლილი. ამ თვალსაზრისით გამოირჩევა ჟურნალისტისა და პუბლიცისტის **შოთა ქურიძის პუბლიკაციები** (შ. ქურიძე, 1970). ავტორი ცალკეული პერიოდების მიხედვით საინტერესოდ წარმოაჩენს აჭარაში ლიტერატურული კადრების აღზრდისა და ფორმირების საკითხებს. ნაშრომში წარმოდგენილი ავტორისეული პერიოდიზაცია ეფუძნება როგორც საარქივო და ლიტერატურული პირველწყაროებს, ისე ავტორის კვალიფიციურ არგუმენტებს. მკვლევარი კარგად ერკვევა დოკუმენტურ პირველწყაროებში, შესანიშნავად ახერხებს საარქივო მასალების გამოყენებასა და კლასიფიკაციას. ეს განსაკუთრებით ვლინდება წიგნის მეორე ნაწილში - **„წინაპართა გახსნება“**, სადაც მიმოიხილაეს პ. ლორიას, მ. ვარშანიძის და სხვათა შემოქმედებას (ასსცსა, ფ. რ-61, რ-1010).

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენამ, არქივების გახსნამ მკვლევარებს მისცა შესაძლებლობა სამეცნიერო მიმოქეცვაში შემოეტანათ ადრე ტაბუდადებული მასალები. ყოველივე ამან განაპირობა ისტორიის არაერთ პრობლემატურ საკითხზე შეხედულებათა კარდინალური შეცვლა. დაიწყო ფაქტებისა და ისტორიული მოვლენების,

პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ცალკეულ პიროვნებათა საქმიანობის ეროვნული პოზიციებიდან შესწავლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ ინტრესს იწვევს პროფესორ **აბელ სურგულაძის** შემოქმედება. მის გამოკვლევებში მეცნიერულადაა გაშუქებული მეორე მსოფლიო ომის, წინააღმდეგობის მოძრაობაში ქართველთა მონაწილეობის, ცალკეული პიროვნებების (დაზი ფაშა თავდგირიძე, ყადირ შრვაშიძე, ჰაიდარ და მემედ აბაშიძეები, სელიმ ხიმშიაშვილი) ღვაწლისა და დამსახურების უმნიშვნელოვანესი საკითხები. საარქივო პირველწყაროების გამოყენების თვალსაზრისით ყურადღებას იმსახურებს **აბელ და კახაბერ სურგულაძეების** წიგნი **„ქართული ლეგიონი თურქეთში“**. საქართველოს ეროვნულ და აჭარის არ არქივებში დაცული მასალების, ასევე მდიდარი ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე ნაშრომში წარმოჩენილია „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის“ (1914-1918) მიერ თურქეთში ჩამოყალიბებული ქართული ლეგიონის ისტორია, რომელიც მანამდე თითქმის უცნობი იყო ქართული საზოგადოებისათვის. უხვადაა საარქივო მონაცემები გამოყენებული აგრეთვე აბ. სურგულაძის სხვა გამოკვლევებშიც. მხედველობაში გვაქვს მისი ნაშრომები: **„ბათუმის ისტორიისათვის“** (აბ. სურგულაძე, 1965) და **„პორტო-ფრანკო ბათუმში“** (აბ. სურგულაძე, მ. სიორიძე, 1996). ეს წიგნი დაიწერა იმ დროს, როცა ძალზე აქტუალური იყო თავისუფალი ეკონომიკური ზონის (თეზ-ი) საკითხი. სამწუხაროდ მაშინ მოხდა საკითხის პოლიტიზირება. ავტორები მდიდარი სამეცნიერო და საარქივო მონაცემების საფუძველზე აშუქებენ რუსეთისა და სხვა მეზობელი ქვეყნების ბათუმის ნავსადგურით დაინტერესების, პორტო – ფრანკოს რეჟიმის არსის, ბათუმისათვის ბრძოლის, ქართული საზოგადოებრივი აზრის საკითხებს, რომლებიც ეფუძნება მე-12,14,16, ფონდებში დაცულ საარქივო მონაცემებს.

ბოლო პერიოდში გაჩნდა მეცნიერული ინტერესი საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის ჩამოყალიბებისა და საქმიანობის შესწავლისათვის. პროფესორმა **მალხაზ სიორიძემ** ამ პრობლემატიკას არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა, მათ შორიც მონოგრაფიაც (მ. სიორიძე, 1998). მისი ინტერესების სფერო შეეხო ისეთ საკითხებსაც, როგორცაა: 1918 წლის მარტის მოვლენები ბათუმში, გერმანია-ოსმალეთის წინააღმდეგობანი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1918 წელს, ბათუმის როლი ნავთობის მსოფლიო ბაზრისათვის ბრძოლაში, ბათუმის საბაჟო და ა.შ. ცალკე მონოგრაფია ეძღვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პოლიტიკური ისტორიის საკითხებს 1914-1918 წლებში (მ. სიორიძე, 2002). მასში კომპლექსურადაა შესწავლილი ისტორიული საქართველოს ცალკეული კუთხეების სოციალური, ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, გაანალიზებულია ომამდელი და ომისდროინდელი პერიოდის საქალაქო ცხოვრება, ჭოროხის აუხის სამთომეტალურგიული მრეწველობა, სოფლის მეურნეობისა და ეკონომიკის სხვა დარგები. ახალი საარქივო მასალების (ფონდები: 1, 3, 6, 7, 16, 67) საფუძველზე წარმოჩენილია ის ცვლილებები და თავისებურებები, რაც გამოიწვია ამ მხარის ომის არენად გადაქცევამ. აღნიშნული საკითხების შესწავლა მეტად აქტუალურია, რადგან „თურქეთის საქართველოს“ პოლიტიკური ისტორიის საკითხები 1914-1918 წლებში მანამდე პრაქტიკულად შეუსწავლელი იყო. ამასთან აღნიშნული ტერიტორიული სივრცე თავისთავად აპირობებს საკითხის შესწავლისადმი განსაკუთრებულ ინტერესს. ნაშრომში საქართველოს არქივებში დაცული მონაცემების საფუძველზე გარკვეულია მეომარ სახლმწიფოთა გეგმებში „სამუსლიმანო საქართველოს“ ადგილი და როლი, ემიგრანტული „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტისა“ და მისი ლეგიონის საქმიანობა, უსამართლოდ რეპრესირებული მაჰმადიანი თანამომკეები-

სადმი ქართული საზოგადოების თანადგომა, გაანალიზებულია 1918 წ. ოსმალური ოკუპაციის მანამდე უცნობი ან ნაკლებადცნობილი ფაქტები, რაც ბუნებრივია შეუძლებელი იყო არქივში დაცული დოკუმენტების გამოვლენისა და მეცნიერული ანალიზის გარეშე.

საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ მკვლევარებს მიეცათ შესაძლებლობა გამოეგლინათ და სამზეოზე გამოეტანათ ადრე ტაბუდადებული საარქივო დოკუმენტები. უპირატესად იგი საბჭოთა პერიოდის რეპრესიებს გულისხმობს. XX ს. 30-40 - 50 –იანი წლების რეპრესიებს აჭარაში ეძღვნება **ლილი ჩიქოვანისა და ნოდარ ცეცხლაძის ნაშრომი „რეაბილიტაცია“**. ლილი ჩიქოვანმა უშუალოდ იწვინა იმ ავადმოსავონარი წლების სისასტიკე, ხოლო ნ. ცეცხლაძის პუბლიკაციაში, რომლის ნაწილი გამოქვეყნდა ჟურნალ „ჭოროხსა“ და გაზ. „სოვეტსკაია ადჟარიაში“, საარქივო დოკუმენტური მასალების საფუძველზე მოთხრობილია ბათუმსა და აჭარის სოფლებში 1937-1938 წლებში დატრიალებული ტრაგედია. წიგნის მეცნიერულ ღირებულებას განსაზღვრავს ნაშრომში გამოყენებული საარქივო მონაცემების სიუხვე. ამასთან სამართლიანობის აღდგენას, პატიოსანი სახელის დაბრუნებას დიდი ზნეობრივი მნიშვნელობა აქვს არა მარტო დაღუპულთა ხსოვნის უკვდავყოფის, არამედ ნათესავების, ახლობლებისა და მთელი საზოგადოების, ასევე ქვეყნის სამართლებრივ სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის (ლ. ჩიქოვანი, ნ. ცეცხლაძე, 1990).

საზოგადოებრივ-პოლიტიკური, სოციალური და ეროვნული მოძრაობის საკითხებს არაერთი სამეცნიერო ნაშრომი მიუძღვნა პროფესორმა **ოთარ გოგოლიშვილმა** (ო. გოგოლიშვილი, 1998, 1999, 2003, 2005). ავტორმა უამრავი საარქივო დოკუმენტი მოიძია და გამოავლინა რუსთისა და საქართველოს არქივებში. ნაშრომში **„სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში“**

გამოყენებული აქვს 150-ზე მეტი საარქივო დოკუმენტი (ფონდები: 1, 6, 7,67 და ა.შ.) რომელთა საფუძველზე შესწავლილია სოციალური და ეროვნული მოძრაობის განვითარებაში ბათუმის ოლქის ახალი სტატუსის მნიშვნელობა, მთავრობის მიერ არასაიმედოდ მიჩნეულ პირთა გასახლეებისა და ამ მიდამოებში უცხოელთა ჩამოსახლების რეალური მიზეზები, მხილებულია ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის მზაკვრული არსი, სოციალური და ეროვნული მოძრაობის ძირითადი მიმართულებები XX ს. დასაწყისში, პირველი მსოფლიო ომის დროს და 1918-1920 წლებში. მის შრომებში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა გლეხთა მოძრაობის საკითხებმა. საარქივო პირველწყაროების გამოყენებით ავტორმა გააანალიზა აგრეთვე XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიის მოპოვებისათვის ბრძოლის საკითხები და იგი მიიჩნია ქვეყნის სრული დამოუკიდებლობისათვის გადადგმულ პირველ ნაბიჯად. თავის 150-მდე სამეცნიერო ნაშრომში ავტორმა საზოგადოებისათვის უცნობი ან ნაკლებადცნობილი უამრავი საარქივო დოკუმენტი შემოიტანა მეცნიერულ მიმოქცევაში, რაც მისი გამოკვლევების დიდ მეცნიერულ მნიშვნელობაზე მეტყველებს.

უამრავი საარქივო დოკუმენტი გამოავლინა და სამეცნიერო ბრუნვაში მოაქცია პროფესორმა **სერგო ღუმბაძემ**. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი 40 წელზე მეტია მუშაობს საქართველოს არქივებსა და წიგნთსაცავებში. მის კალამს ეკუთვნის 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, რომლებშიც წარმონილია მაღალმთიანი აჭარის ისტორიის, მეორე მსოფლიო ომისა და ამ ომში აჭარის მოსახლეობის მონაწილეობის, „საბჭოთა ავღანელების“, გამოჩენილ მამულიშვილთა ღვაწლის ამსახველი სტატიები, ნაშრომები, მონოგრაფიები (ს. ღუმბაძე, 2006, 2007, 2008). ყველა ეს ნაშრომი საარქივო მონაცემების (ფ.რ-584, რ-4, რ-307/ს, რ-1027, რ-911, რ-1013, 1121 და

ა.შ.) ოსტატურად და კვალიფიციურად გამოყენების ნათელი მაგალითია. მისი შრომების ერთი ნაწილი **ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიას** ეხება. საყურადღებოა, რომ აღნიშნული პრობლემის კვლევით პირველად დაინტერესდა **ვლადიმერ ქემხაძე**, რომელმაც პედინსტიტუტის 25 წლისთავთან დაკავშირებით, 1960 წელს გამოაქვეყნა ნაშრომი **„რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის 25 წლისთავი“**. მოგვიანებით 1980 წელს დოც. **პ. პატარაიამ** ამავე საკითხს მიუძღვნა საყურადღებო მონოგრაფია **„ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი“**. პრაქტიკულად ეს იყო პირველი მეცნიერული ბიოგრაფია უმაღლესი განათლების პირველი კერისა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში. 1986 წელს კვლავ გამოქვეყნდა ახალი მონოგრაფია **„უმაღლესი განათლების პირველი კერა აჭარაში“** (ავტორები-პროფესორები: **დ. ბალაძე და შ. ჯაფარიძე**). ს. დუმბაძის მონოგრაფიაც **„წარუშლელი ფურცელი“** ამავე საკითხს ეძღვნება. ნაშრომში მდიდარი საარქივო მონაცემების საფუძველზე წარმოჩენილია სამასწავლებლო ინსტიტუტის გახსნა და მისი პირველი ნაბიჯები, ინსტიტუტი მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში, ფაკულტეტები და კათედრები, სასწავლო აღმზრდელობით და სამცნიერო-კვლევითი მუშაობის ძირითადი საკითხები. 2001 წელს ბათუმის უნივერსიტეტის ისტორიას მიეძღვნა კიდევ ერთი მონოგრაფია (ს. დუმბაძე, 2001)

ენერგიულად და ნაყოფიერად მუშაობს საარქივო და წესებულებაში ნიჭიერი მკვლევარი **რევაზ უზუნაძე**. შესაბამისად პროდუქტიულია მისი სამეცნიერო საქმიანობაც. რ. უზუნაძის მიერ შესწავლილი პრობლემატური საკითხები მაღალაკადემიურობისა და მეცნიერული კეთილსინდისიერების ნათელი მაგალითია. მის გამოკვლევებში მოთხრობილია დღემდე ბურუსით მოცული ოსმალთა ბატონობის დროინდელი ბათუმის ისტორიის ცალკეული მომენტე-

ბი, გაანალიზებულია ბათუმის საქალაქო დასახლების ფორმირების, ზღვაოსნობისა და საქალაქო ცხოვრების განვითარების ძირითადი საკითხები, რომლებშიც მრავლადაა გამოყენებული ჩვენი არქივის ფონდ-6-ში დაცული დოკუმენტები.

რ. უზუნაძემ თავისი მეცნიერული შემოქმედების დიდი ნაწილი მიუძღვნა ზღვაოსნობის ისტორიის შესწავლას ბათუმის ოლქში. მონოგრაფიაში **“ზღვაოსნობა ბათუმის ოლქში”** გამოვლენილი და გაანალიზებულია ნაოსნობის განვითარების, მისგან გამომდინარე სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ასპექტების ამსახველი დოკუმენტები. ნაშრომი ემყარება საქართველოს ეროვნულ და აჭარის არქივებში, ასევე სამუზეუმო გაერთიანების არქივებსა და ფონდებში დაცულ ასეულობით დოკუმენტს, მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის 20-იანი წლების პერიოდის მასალებს, მდიდარ სამეცნიერო ლიტერატურას. ავტორმა მოიძია და გამოავლინა საისტორიო საზოგადოებისათვის მანამდე უცნობი საარქივო მონაცემები.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ქართული კულტურის ისტორიის საკითხებს მიეძღვნა ახალგაზრდა ისტორიკოსის **ერმილე მესხიას** მაღალმეცნიერული ღირებულების არაერთი ნაშრომი, მათ შორის მონოგრაფიებიც (ე. მესხია, 1997, 1999, 2004). მისი გამოკვლევების ძირითადი წყაროა აჭარის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები, ი-1, ი-6, ი-7, ი-57, რ-61, ი-67, 77, 312-ფონდებში დაცული მასალები. აღნიშნულმა დოკუმენტურმა წყაროებმა ავტორს შესაძლებლობა მისცა ობიექტურად გაეანალიზებინა საკვლევი პერიოდის პოლიტიკური პროცესები და გაეკეთებინა ორიგინალური დასკვნები. სწორედ ამიტომ დაიმსახურა ე. მესხიას ნაშრომებმა მაღალი შეფასებები ქართულ საისტორიო საზოგადოებაში.

საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიის, ქართულ-ოსმალური ურთიერთობების პრობლემური საკითხები ახლებურადაა შესწავლილი ახალგაზრდა და ნიჭიერი ისტორიკოსის **ირაკლი ბარამიძის** შრომებში (ი. ბარამიძე, 1996, 2005) ავტორი ობიექტურად აშუქებს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის სოციალურ – პოლიტიკურ პრობლემებს, დღემდე უცნობ მასალებზე დაყრდნობით იკვლევს რეგიონის სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებს XIX ს. I მესამედში. ავტორი კვლევისას ემყარება როგორც აჭარის სახელმწიფო არქივში დაცულ დოკუმენტებს, ისე სტამბოლის ოსმალურ არქივში დაცულ ქართველ მთავარ-დიდებულთა და სხვა დიდმოხელეთა წერილებს, რომლებიც საინტერესო და საყურადღებო პირველწყაროა აღნიშნული პერიოდის ქართულ-რუსულ-ოსმალური ურთიერთობების ისტორიისათვის.

1963 წელს გამოვიდა ცნობილი მკვლევარის, მეცნირებათა დოქტორის **რამაზ სურმანიძის** პირველი წიგნი. დღეისათვის იგი 50-მდე წიგნის და ასეულობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორია. კვლევის პროცესში რ. სურმანიძე ემყარება მდიდარ ლიტერატურულ მონაცემებს, მუზეუმების ხელნაწერთა ფონდებს, ხალხურ გადმოცემებს, მაგრამ იგი ყოველთვის ცდილობდა საარქივო მონაცემებით გაემყარებინა საკუთარი მოსაზრებები. მკვლევარის მეცნიერული აზლოს დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ მის მიერ გამოთქმული ვარაუდი არაერთხელ დადასტურებულა აჭარის სახელმწიფო არქივში მოკვლეული დოკუმენტებით. რ. სურმანიძის ხელში გაიარა 2000-ზე მეტმა საარქივო დოკუმენტმა, მათგან ძირითადი მასალები მოიძია აჭარის სახელმწიფო არქივში. ეს მონაცემები აისახა ზოგადთეორიული ხასიათის ნაშრომებსა თუ დამსახურებულ პიროვნებათა - ყადირ შერვაშიძის, ნიკოლოზ დერუაინის, მუთებერ ვარშანიძის, მურად გუნთაიშვილის, ემრულა მალაყმადის, ესმა ხიმშიაშვილ-ჯაიანის, შუქრი ვარშანიძის, აბდულ

მიქელაძის, ნური ხიმშიაშვილის, ილიას ხილაძის, კოწია ერისთავის, მარკოზ აჭარელის, რეჯებ მუავანაძის, ვახტანგ მჭედლიშვილის და სხვა დეპუტატების ადამიანთა შესახებ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში.

აჭარის სახელმწიფო არქივში დაცულმა დოკუმენტებმა (ფონდი 78) ავტორს საშუალება მისცა დაედგინა ბათუმის ოლქის 300-ზე მეტი მოქალაქის გვარი, წარმომავლობა, წოდებები, იერარქიული აღზევა თუ დაცემა, რაც აგრესორების მიერ ჩვენი რეგიონის დაპყრობასთან იყო დაკავშირებული.

მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია პროფესორ **ნუგზარ ზოსიძის** ნაშრომმა „**პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წლებში**“. ავტორმა ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში მიიღო საარქივო დოკუმენტებზე მუშაობის გამოცდილება. დასახელებულ ნაშრომში განხილულია რთული პოლიტიკური სიტუაცია ბათუმის ოლქში 1918-1920 წლებში. საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით ახსნილია ჯერ ოსმალების, შემდეგ ინგლისელების ექსპანსია და დენიკინელთა საქმიანობის ძირითადი მიზნები. ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები, ქართული ორიენტაციის პოლიტიკური მიმდინარეობების, მეტადრე სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტის მოღვაწეობა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ღონისძიებები აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებისათვის (ნ. ზოსიძე, 1995). საარქივო მასალების გამოყენების საფუძველზე ავტორს სხვა სამეცნიერო სტატიებიც აქვს გამოქვეყნებული.

მაღალმთიანი აჭარის ისტორიის, ისტორიული გეოგრაფიის, განათლების სისტემის საკითხებს ეძღვნება **ვახტანგ მაკარაძის** წიგნი „**გამონათღევის გამონათება**.“ შრომისმოყვარეობით, ენთუზიაზმით და მეცნიერული პასუხის-

მგბლობის გრძნობით გამორჩეული ავტორი თავის წიგნში აღნუსხავს მარეთის ხეობის ისტორიის ფურცლებს, მკითხველს აცნობს მის ლაბირინთებს ერთი კეთილშობილური იდეით – არ იქნას დავიწყებული წარსული, დაფასდეს წინაპართა ღვაწლი. ვ. მაკარაძე დიდხანს მუშაობდა აჭარის ცენტრალურ არქივში, რამაც შესაძლებლობა მისცა გამოეკვლინა და მკითხველი საზოგადოებისათვის, განსაკუთრებით ახაგაზრდობისათვის ხელმისაწვდომი გაეხადა იმ ასეულობით პედაგოგის ღვაწლი და დამსახურება, რომლებიც აჭარაში მოაგვლინეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან და მოსახლეობის სწავლა-განათლებას მოახმარეს თავიანთი შეგნებული ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი (ვ. მაკარაძე, 2006). პრაქტიკულად ეს იყო „პედაგოგიური ლაშქრობა“, რამაც მოგვიანებით შესაძლებელი გახადა ადგილობრივი კადრების მომზადება. წიგნში საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით წარმოდგენილია შუახევის რაიონის თითოეულ სოფელში მოვლენილი მასწავლებლის გვარი, სახელი, სხვა მონაცემები ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. მონოგრაფია მნიშვნელოვან სამსახურს გაუწევს განათლების სისტემის ისტორიით დაინერესებულ მკვლევარებს.

თემსაბჭოების, კოლმეურნეობების, არტელების ჩამოყალიბების საკითხებს მარეთის ხეობაში (შუბნის მაგალითზე) ეძღვნება **შოთა ცეცხლადის წიგნი „შუბანი და შუბნელები“**. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა არქივში განყოფილების გამგის თანამდებობაზე, პარალელურად კრებდა მასალებს აღნიშნულ პრობლემატიკასთან დაკავშირებით. მან თავი მოუყარა უამრავ ფაქტოლოგიურ მასალას, საარქივო დოკუმენტს, ცნობებს, რომელთა შეჯგურებისა და ანალიზის საფუძველზე დაიწერა ეს გამოკვლევა. **მასვე ეკუთვნის ნაშრომი აჭარის ქალაქებისა და დაბების ქუჩების სახელწოდებათა შესახებ** (შ. ცეცხლადე, 2008),

რომელიც მ. ჭელიძის რედაქტორობით გამოიცა 2008 წელს.

აქტიურ სამეცნიერო მოღვაწეობას ეწეოდა პროფესორი **თემურ კომახიძე**. ბოლო 20 წლის განმავლობაში მისი ავტორობით გამოიცა რამდენიმე მონოგრაფია, რომელშიც წარმოდგენილია არა მარტო რეგიონის, არამედ დასახლებული პუნქტების, ქუჩებისა თუ სკვერების, სახალხო მურნეობების ცალკეული დარგების ისტორია, გამოჩენილ ადამიანთა (ზ. ჭიჭინაძე, ივანე ანდრონიკაშვილი და ა.შ.) ღვაწლი და დამსახურება.

მდიდარ საარქივო მონაცემებს ემყარება აგრეთვე **ს. ტაბაღუას, ჯ. კარალიძის, მ. მეგრელიშვილის, ნ. ვარშანიძის, ჯ. ვარდმანიძის, ც. ქათამაძის, ი. მანველიძის, ი. ბეჭერიშვილის, შ. ვარშანიძის** და სხვათა ნაშრომები. **ს. ტაბაღუამ** თავის გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო მეორე მსოფლიო ომის ისტორიას, ქართული ლეგიონის საქმიანობასა და მისი ჭეშმარიტი მიზნების წარმოჩენას, სააშკარაოზე გამოიტანა მანამდე უცნობი ფაქტები და მოვლენები.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ბევრი ცნობილი და გამოჩენილი პიროვნება ეძიებდა დოკუმენტებს, საარქივო პირველწყაროებით ამდიდრებდა ქართულ ისტორიოგრაფიას. ცხადია ვერ მოხერხდება ყველა მათგანის შრომების განხილვა. ეს არცაა ჩვენი მიზანი. ავტორთა ამოცანა იყო წარმოგვეჩინა სამეცნიერო გამოკვლევებში საარქივო პირველწყაროების გამოყენების როლი და მნიშვნელობა. ბოდიშს გუხდით ყველა მკვლევარს, პროფესიონალ მეცნიერსა თუ სამეცნიერო ხარისხის მაძიებელს, რომელთა სახელები ვერ მოხვდა წარმოდგენილ პუბლიკაციაში. გეჯერა, რომ ისინი დიდსულოვნად გვაპატიებენ და კვლავაც საქმის სიყვარულით გააგრძელებენ მუშაობას ახალი საარქივო დოკუმენტების გამოვლენისა და გამოყენების თვალსაზრისით.

თაზი VI

სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური საქმიანობა

§ 1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

საარქივო დაწესებულება არ არის მარტო საცნობარო დანიშნულების ორგანიზაცია. იგი უპირველესად სამეცნიერო ფუნქციის მატარებელია. სამეცნიერო კვლევა-ძიება წმინდა საარქივო საქმიანობის თანმდევი პროცესია, რომლის გარეშე შეუძლებელია საარქივო დარგის განვითარება.

კვლევითი საქმიანობა იგეგმებოდა და იგეგმება იმ პრობლემატიკაზე, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიული, დარგთაშორისი, დარგობრივი თუ ღოკალური სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. აქტიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოებს არქივმცოდნეობის, ლოკუმენტმცოდნეობის, არქეოგრაფიის, სამეცნიერო-საინფორმაციო და ზოგადად ისტორიული კვლევების მიმართულებით. არქივში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს აგრეთვე საინტერესო კვლევები სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ისტორიის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის, წყაროთმცოდნეობისა და დამხმარე საისტორიო დისციპლინების მიმართულებით.

სამეცნიერო კვლევა-ძიების მნიშვნელობის მიუხედავად, აჭარის სახელმწიფო არქივში ეს მიმართულება სტრუქტურული ერთეულის სახით არ იყო ჩამოყალიბებული. მხოლოდ 1998 წელს, ადგილობრივი მთავრობის **27 მაისის N 100** დადგენილების საფუძველზე, საარქივო დეპარტამენტის **1999 წ. 1 იანვრის N 3 ბრძანებით** ჩამოყალიბდა აჭარის არ. საარქივო დეპარტამენტის „საორგა-

ნიზაციო, სამეცნიერო-მეთოდური და კადრებთან მუშაობის განყოფილება“. ამ განყოფილების მეთოდკუთხის ბაზაზე კი 1999 წ. 12 იანვარის N2 ბრძანების შესაბამისად შეიქმნა **დეპარტამენტის საცნობარო-საინფორმაციო ფონდი** (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871 ფურც. 8).

როგორც განყოფილების სახელწოდებიდან ჩანს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამეცნიერო და მეთოდური საქმიანობის გააქტიურებას, რაც სისტემატურად განიხილებოდა შესაბამისი უწყების სხდომებზე, მაგრამ მოგვიანებით, სტრუქტურიდან საერთოდ გაქრა აღნიშნული მიმართულება. **2008 წლის 15 აპრილს**, საარქივო სამმართველოს უფროსის N 17 ბრძანებით „სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის ორგანიზაციის სრულყოფის, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგებისა და საპრობლემო საკითხების შეფასება-განხილვის მიზნით“ შეიქმნა „**საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდური საბჭო**“ (საზოგადოებრივ საწყისებზე), დამტკიცდა საბჭოს დებულება და შემადგენლობა.

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო მიმართულება საარქივო სამმართველოში სტრუქტურული ერთეულის სახით არ იყო წარმოდგენილი, იგი ყოველთვის რჩებოდა ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტულ მიმართულებად.

არქივის ჩამოყალიბების პირველი წლებიდან დიდი ხნის განმავლობაში იდგა საარქივო ფონდების განთავსების პრობლემა. ამას ემატებოდა 1920-50--იანი წლების პოლიტიკური და ეკონომიკური სიძნელეები. ამდენად, მაშინ ამ საკითხზე ფიქრისათვის არავის ეცალა. ამის მიუხედავად, არქივში ყოველთვის მიმდინარეობდა საინტერესო სამეცნიერო მუშაობა. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები არაერთხელ განხილულა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამ-

მართველოში. მიღებული გადაწყვეტილებები არქივისტებს ყოველწლიურად ავალდებულებდა სამეცნიერო ხასიათის ნაშრომების დამუშავებას (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 517, ან. 1, 1,2,3,4,5,6, 7).

სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას ემსახურებოდა საკავშირო ხელისუფლების გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ არქივს უნდა მიეღო მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი ხასიათის დოკუმენტები (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 27). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, 1958 წლიდან საარქივო მასალები გაიყო ორ ჯგუფად:

ა. სამეცნიერო მნიშვნელობის საარქივო დოკუმენტები;

ბ. საცნობარო ხასიათის მასალები.

ამავე დადგენილებით განისაზღვრა, რომ ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში განთავსდებოდა სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტები, ხოლო დაწესებულებებში თავს მოიყრიდა საცნობარო ხასიათის მასალები (ა. კარასევა, „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი. ბათუმი 1961. გვ. 29). ამ გადაწყვეტილებამ ბოლო მოუღო საცნობარო ხასიათის მასალების შემოსვლას ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში. ამავე დროს აჭარის სახელმწიფო არქივმა დაიწყო ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის პირადი შემადგენლობისა და საცნობარო დოკუმენტების უკან დაბრუნება (მ. თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 28). ამ ღონისძიებით ვარაუდობდნენ არქივისტების განტვირთვას საცნობარო საქმიანობისაგან, რათა ხელი მოეკიდათ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის (მ.

თავაძე, აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967, გვ. 28).



I რიგში: დოდო თავაძე, ლიანა ვანიძე, მირა სიხარულიძე;
II რიგში: გალინა მოსიძე, ვახტანგ კომახიძე, გრიშა ჩაგანავა, ლევან ქაჯაია, იბრაიმ აბაშიძე

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა განსაკუთრებით გააქტიურდა 1960-იანი წლებიდან. მაშინ ასე თუ ისე მოგვარებული იყო საარქივო დოკუმენტების განთავსების პრობლემა. ამავე დროს არქივი დაკომპლექტებული იყო კვალიფიციური სპეციალისტებით. აჭარის ცენტრალური არქივის თანამშრომელთა მიერ 1961 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა დოკუმენტების კრებული - „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის აჭარაში“ (რუსულ ენაზე). მართალია მასში დოკუმენტები და საარქივო წყაროები წარმოდგენილია საბჭოთა პერიოდის მოთხოვნათა შესაბამისად (ეს ბუნებრივიცაა), მაგრამ ამ მასალებითაც კრებული ანგარიშგასაწევი პირველწყაროა XX ს. პირვე-

ლი ოცწლეულის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის.



ნაზი ნოღაიდელი, გრიგოლ პინიანცი, ნუნუ სკამოქიაიშვილი, ალექსანდრე ბაჟაძე, ვლადიმერ სიჭინავა

სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის თვალსაზრისით ფასდაუდებელია **ნ. ნოღაიდელის, ს. ტაბაღუას, შ. თოღაძისა და დ. ჭელიძის ღვაწლი**. სწორედ მათი თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1975 წელს გამოქვეყნდა დოკუმენტებისა და მასალების კრებული „**ჭარა საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისა და სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში**“, რომელიც მოიცავს 1921 - 1925 წლებს. კრებულში თავმოყრილია 256 დოკუმენტი ორიგინალის, ასლისა თუ პერიოდიკის სახით. დოკუმენტური მასალები წარმოდგენილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით. კრებულის სრულყოფის მიზნით შემდგენელებს შეუტანიათ ზოგიერთი ადრე გამოქვეყნებული დოკუმენტი, თუმცა მათი უმრავლესობა პირველად მოექცა სამეცნიერ-

რო ბრუნვაში. დოკუმენტს წინ უძღვის ანოტირებული სა-
თაური და დართული აქვს ლეგენდა, რომელშიც გაშიფ-
რულია სახელმწიფო არქივის სახელწოდება, ფონდის,
საქმისა და ფურცლის ნომერი.



გრიგოლ ჩაგანავა, სერგო ტაბაღუა, ვალიკო მკერვალიშვილი, ოთარ
ზოიძე, ელენე კობალეიშვილი ნაზი ნაგერვაძე, თინა მაღრაძე, ნაზი
ნოღაიდელი, მარინა ცქიტიშვილი, ლენა ზაქარაიშვილი,
ლამარა რუხაძე

აჭარის მრეწველობის და სოფლის მეურნეობის გან-
ვითარების ძირითად მომენტებზე მოგვითხრობს დოკუმენ-
ტებისა და მასალების კრებული, რომელიც შეადგინეს
არქივის თანამშრომლებმა: ნ. ნოღაიდელმა, ს. ტაბაღუამ,
გ. ჩაგანავამ. კრებულში ცალკ-ცალკეა წარმოდგენილი
1926-1932 წლებში აჭარაში ინდუსტრიალიზაციისა და
კოლექტივიზაციის, მიწათმოქმედების, მესაქონლეობის,
მებაღეობის, მეფუტკრეობის, სატყეო მეურნეობის, მებარე-
შუმეობის და სხვა დარგების განვითარების, მრეწველო-
ბისა და სოფლის მეურნეობაში გატარებული რეფორმე-
ბის ამსახველი საარქივო დოკუმენტები.

აჭარის საარქივო დაწესებულების სამუშაო გეგმებში ყოველწლიურად იყო გათვალისწინებული საარქივო დოკუმენტების მოძიება, დამუშავება და სამეცნიერო ნაშრომების პუბლიკაცია. აღნიშნული გეგმების შესაბამისად გამოიცა არაერთი ნაშრომი, სახელდობრ:

1. „აჭარა მეორე მსოფლიო ომის წლებში (1939-1945)“;
2. „აჭარა საქართველოს ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის და დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში (1917-1921)“;
3. „აჭარა რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში“;
4. ცნობარი „აჭარის საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების ისტორია (1921-1946) და 1993-2000 წლებში“ (ასსცსა, ფონდი N რ- 1041, ან 1, საქმე 1529. 1991 წელი. ფურც. 7).

არქივის თანამშრომელთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად 1960 - 1980-იან წლებში შეიქმნა ათობით მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია, საარქივო დოკუმენტების კრებული, რომელთაგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი ნაშრომები:

1. მეგობარი შორეთიდან, ბათუმი, 1962;
2. აჭარა ლენინურ დოკუმენტებში, შემდგენლები: ა. სურგულაძე, ს. ტაბაღუა. ბათუმი, 1969;
3. საარქივო საქმის განვითარება აჭარაში, შემდგენელი ნ. ნოღაიდელი, 1970;
4. აჭარის ასსრ საბჭოების ყრილობები (1921-1937), დოკუმენტების კრებული. შემდგენლები: ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, გრ. ჩაგანავა. ბათუმი, 1971;
5. აჭარის ასსრ მშრომელები დიდი სამამულო ომის პერიოდში, შემდგენელი ს. ტაბაღუა, თბ. 1975;
6. მეგობრობა გზად და ხიდად, შემდგენელი ვლ. მკერვალიშვილი, 1975;

7. აჭარის ასსრ სახელმწიფო დაწესებულებების ისტორია (1921-1946), ცნობარი. შემდგენლები: ს. ტაბაღუა, გ. ანდღულაძე, ნ. სკამკოჩაიშვილი;

8. დოკუმენტების და მასალების კრებული - 1921-1925 წწ. შემდგენლები: ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, შ. თოღაძე, დ. ჭელიძე;

9. ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში (1926-1932). შემდგენლები: ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა, გრ. ჩაგანავა. ბათ. 1980;

10. ბრძოლა სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის აჭარაში, 1933-1941 წწ. შემდგენლები: ნ. ნოღაიდელი, ს. ტაბაღუა. ბათუმი, 1986;


აჭარის სახელმწიფო არქივი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საარქივო და სხვა სამეცნიერო (უმაღლესი სასწავლებლები, მეცნიერებათა აკადემია) დაწესებულებებს შორის შემოქმედებით თანამშრომლობას. საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საბჭომ 1984 წლის 10 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება „საქართველოს სსრ საარქივო და აკადემიის დაწესებულებათა შემოქმედებითი თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ“ (ასსცსა, ფ.რ-89, ან. 1, საქმე 629, ფურც. 1). აღნიშნული გადაწყვეტილება გადაეგზავნა აჭარის საარქივო დაწესებულებასაც. გადაწყვეტილებაში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ „აკადემიის დაწესებულებებთან კავშირი დამახასიათებელია არქივების სამეცნიერო მუშაობის მთელი კომპლექსის, სამეცნიერო თემების კვლევის, სამეცნიერო-საორგანიზაციო, სამეცნიერო-საგამომცემლო და სამეცნიერო-საინფორმაციო საქმიანობისათვის“ (ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 629, ფურც. 2). სწორედ ასეთი თანამშრომლობით მომზადდა არაერთი

დოკუმენტური გამოცემა. საარქივო დაწესებულებათა თანამშრომლები ირჩეოდნენ აკადემიური დაწესებულებების სამეცნიერო საბჭოს წევრებად. შესაბამისად, საარქივო დაწესებულებათა სამეცნიერო საბჭოების საქმიანობაში აქტიურად იყვნენ ჩართული აკადემიური დაწესებულებების წარმომადგენლები (ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 629, ფურც. 3). გადაწყვეტილება ავალდებულებდა აკადემიური დაწესებულებების ჰუმანიტარული მიმართულებების თანამშრომლებს საარქივო დაწესებულებათა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას - ხელნაწერთა აღწერილობების, ქართული საარქივო ტერმინოლოგიის ლექსიკონის, სახელმწიფო დაწესებულებათა ისტორიის და სხვა პუბლიკაციების მომზადებასა და გამოცემაში, ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, გამოფენების მოწყობასა და ჩატარებაში (ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 629, ფურც. 4).

საარქივო საქმიანობის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის, მკვლევარებთან მუშაობის ეფექტურობის ამაღლებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სახელმწიფო არქივის „მეგზური“-ს შედგენას. მისი მომზადება უზარმაზარ შრომას მოითხოვდა. არქივისტებმა ეს პრობლემაც წარმატებით გადაჭრეს და **1959 წელს ტატიანა ნეფედოვას რედაქტორობით პირველად გამოიცა სახელმწიფო არქივის „მეგზური“ რუსულ ენაზე** (შემდგენელები: ლ. კალანდარიშვილი, ს. ტაბაღუა, შ. თოდამე).

„მეგზურის“ ახალი, შევსებული ვარიანტი **ნაზი ნოლაიდელის რედაქტორობით გამოიცა აგრეთვე 1974 წელს** (შემდგენელები: გ. მოსიძე, ს. ტაბაღუა, მ. თავაძე, გრ. ჩაგანავა). საარქივო ფონდების ახალი დოკუმენტებით შევსების პარალელურად დროდადრო კვლავ განიხილებოდა გზამკვლევის შევსება-დაზუსტებისა და გამოცემის საკითხი. აჭარის საარქივო დეპარტამენტის საბჭოს 1999 წლის 27

მაისის N 30 ბრძანება ითვალისწინებდა „მეგზურის შევსება-დაზუსტებას და გამოსაცემად მომზადებას“ (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871 ფურც. 160-161). არქივისტებმა ეს ამოცანაც წარმატებით განახორციელეს და გამოსაცემად მოამზადეს (ხელნაბეჭდის სახით) „მეგზურის“ ახალი ვარიანტი, რომელშიც შევიდა დოკუმენტები 2001 წლის ჩათვლით. იმავე წლის გეგმაში გათვალისწინებული იყო „მეგზურის“ ბეჭდური სახით გამოცემა, თუმცა აღნიშნული დანიშნულებით მოთხოვნილი 10 000 ლარის გამოყოფა მაშინ ვერ მოხერხდა (ასსცსა, ფ. 1041, ან. 1, საქმე 1974 ფურც. 18).



„მეგზურის“ ახალი, შევსებული ვარიანტის მომზადება დღესაც რჩება არქივისტების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად. ეს საკითხი სისტემატურად იხილებოდა კიდევ საარქივო სამმართველოში, მაგრამ გაურკვეველი მიზეზების გამო ხდებოდა სამუშაოების დაწყების გადავადება. საარქივო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის


თენგიზ ცინციკლიაძის 2014 წ. 15 ივლისის N 40 ბრძანებით „მეგზურის“ (გზამკვლევის) განახლება-შევსების მიზნით“ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი **მაია რურუას** ხელმძღვანელობით. სამუშაო ჯგუფს დაევალა აღნიშნული სამუშაოების დასრულება 2015 წ. 1 აპრილისათვის.

სამეცნიერო საქმიანობის უდაო წარმატებად უნდა იქნეს მიჩნეული საარქივო სამმართველოს პერიოდული ორგანოს **ჟურნალ „არხეონის“ დაბადება**. ჟურნალის გამოცემის სურვილი ადრეც არსებობდა, მაგრამ ვერ ხერხდებოდა ჩანაფიქრის განხორციელება. **2010 წლის 8 ივლისს**, საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ მიიღო **გადაწყვეტილება არქივის პერიოდული ორგანოს გამოცემის შესახებ**. საბჭოს უნდა გადაეწყვიტა ჟურნალის სახელწოდებაც. იყო სხვადასხვა შემოთავაზება („საარქივო მაცნე“, „არქივი და არქივისტები“ და სხვა), მაგრამ არჩევანი შეჩერდა დოკუმენტსაცავის ძველ ბერძნულ სახელწოდება **„არხეონ“-ზე**, რაც სრულყოფილად გამოხატავდა ჟურნალის არსს, მიზანსა და დანიშნულებას. ეს სახელწოდება სხვა მხრივაც პოულობდა გამართლებას. იგი ესადაგებოდა შავი ზღვის აუზის ქვეყნების რეგიონალური არქივების თანამშრომლობის პერსპექტივასაც. იდეაში იგი აღნიშნული გაერთიანების ორგანოდაც უნდა ქცეულიყო.

„არხეონის“ პირველი ნომერი გამოვიდა 2011 წელს.

დღეისათვის გამოცემულია ჟურნალის 9 ნომერი, რომლებშიც საარქივო საქმიანობის ამსახველი მასალების გარდა იბეჭდება დოკუმენტური წყაროები, სტატიები სხვადასხვა თემატიკაზე, რეცენზიები, საზღვარგარეთის ქვეყნების არქივებთან თანამშრომლობის ამსახველი მასალები და ა. შ. ბოლო სამი წლის განმავლობაში არქივის თანამშრომელთა (თამაზ ფუტკარაძე, ნატო ქიქავა, ფრიდონ ქარდავა, მადონა ცხადაძე, მაია რურუა, ელგუ-

ჯა ჩაგანავა, მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე, ციცი ცინცაძე, გუგული პატარიძე, იზა ბაუჟაძე, ნაზი ნაგერვაძე, ქეთევან იაკობაძე, ეთერი მიქელაძე) ავტორობით დაიბეჭდა ათობით სამეცნიერო სტატია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის, საარქივო დაწესებულებათა ჩამოყალიბების, ტურიზმის, დამსახურებული არქივისტების ღვაწლის და სხვა საკითხების შესახებ. ვფიქრობთ, რომ მართებული იყო სარედაქციო საბჭოს მიდგომა ჟურნალში ამგვარი არქივისტების ცალკე რუბრიკის სახით წარმოდგენის შესახებ.




ჟურნალის სარედაქციო საბჭომ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საარქივო დოკუმენტური წყაროების გამოვლენას, შერჩევასა და გამოქვეყნებას. ჟურნალმა ამ თვალსაზრისითაც თქვა თავისი სიტყვა. მის ფურცლებზე დაიბეჭდა როგორც ჩვენს არქივში, ისე ქუთაისისა და საქართველოს ეროვნულ არქივებში, ასევე ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმში დაცული ათეულობით დოკუმენტი,

რომლებშიც წარმოჩენილია საარქივო დაწესებულებათა ისტორიის, სახკომსაბჭოს საქმიანობის, სვანების უმძიმესი ყოფის, აჭარისწყლის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ისტორიის, XIX საუკუნის ბოლო მეოთხედის ბათუმის მოსახლეობის ეთნორელიგიური შემადგენლობის და სხვა საკითხების შესახებ არსებული პირველხარისხოვანი დოკუმენტები.

საარქივო მასალებს დაეთმო აგრეთვე დოკუმენტების ორი კრებული:

1. რელიგიური დაწესებულებები აჭარაში (დოკუმენტების კრებული), ბათუმი, 2010;
2. რელიგიური თემები და ორგანიზაციები ბათუმში 1940-1950-იან წლებში, თბილისი 2013.




გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ორივე კრებულმა სპეციალისტთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ჩვენთვის ცნობილი მონაცემების საფუძველზე ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულ ნაშრომებსა თუ დოკუმენტების კრებულებს შორის აღნიშნული გამოცემები ერთ-ერთი საუკეთესო გამოცემად ჩაითვალა, რასაც ადასტურებს ციტირების ინდექსი. ამ გამოცემაში გამოქვეყნებული დოკუმენტები უკვე გამოიყენა არაერთმა მკვლევარმა. მისი მნიშვნელობის შესახებ საინტერესო მოსაზრებები გამოითქვა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საარქივო სამმართველოში ჩატარებულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე.

ზემოთდასახელებული გამოცემების გარდა გამოქვეყნდა საარქივო სამმართველოში ჩატარებული ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების რამდენიმე კრებული:

1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, ბათუმი, 2009;
2. აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში. ბათუმი, 2010;
3. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2012;
4. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), მესამე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2013.
5. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), მეოთხე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი, 2014



ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტის ჟურნალის „საისტორიო მაცნე“-ს XX ნომერში (ბათ. 2013) დაიბეჭდა ასევე საარქივო სამმართველოსა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენციის „საქართველობულგარეთი, ისტორიული პარალელები“-ს მასალები.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული კრებულები გამოირჩევა თემატური მრავალფეროვნებითა და სამეცნიერო ბრუნვაში ახალი საარქივო მასალების შემოტანით. კრებულებში წარმოდგენილია ქართველი, რუსი, ბულგარე-

ლი, ავსტრიელი და სომეხი მეცნიერებისა და საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა სამეცნიერო ნაშრომები.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კრებული „**ჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში**“ (გამომც. „ალიონი, ბათუმი, 2010), რომელშიც წარმოდგენილია აჭარისა და მისი უმთავრესი ქალაქის – ბათუმის შესახებ უცხოელ ავტორთა შრომებში დაცული მონაცემები. ნიშანდობლივია, რომ კრებულში ერთად მოიყარა თავი ჩვენი რეგიონის შესახებ უცხოელ ავტორთა ნაშრომებში მიმოხეულმა დოკუმენტებმა. ამიტომაც გამოიწვია მკითხველი საზოგადოების განსაკუთრებული ინტერესი.

ბოლო პერიოდში გამოცემულ ნაშრომებს შორის უნდა აღინიშნოს აგრეთვე თამაზ ფუტკარაძის თანაავტორობით გამოქვეყნებული და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული მონოგრაფია „**ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები**“ და ფრიდონ ქარდავას თანაავტორობით გამოცემული წიგნი „**ბათუმი**“.

არქივისტებმა მოამზადეს აგრეთვე **საარქივო სამმართველოს ბუკლეტი** (ტრიპლეტი), რომელიც ორჯერ გამოიცა. პირველად, 2013 წელს - ქართულ ენაზე, მომდევნო 2014 წელს კი ქართულ და ინგლისურ ენებზე.



აქრის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საარქივო დეპარტამენტი
Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration

აქრის არ მთავრობის საქვეყნო დაწესებულება – საარქივო სამმართველო მთავრობის დოკუმენტების კონსერვაციის, შენახვის, უზრუნველყოფისა და ავტორის რეგისტრაციის განყოფილება.
 Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration is one of the most important depositories of Georgia.

საარქივო სამმართველოს დამატებითი პერიოდული გამოცემა „არქივი“.
 Archives Administration has periodic edition – magazine „Archives“.

სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს უცხოეთის საარქივო დაწესებულებებთან, ევროპის მთავრობისა და რეგიონალური მემორანდუმები შედგენის, უზრუნველყოფისა და ავტორის რეგისტრაციის განყოფილება.
 Administration actively cooperates with the foreign archival institutions. Memorandums of understanding are signed with regional Archives of Sweden, Ukraine, Bulgaria and Austria.

საარქივო სამმართველო
 განყოფილება: თბილისი, ვაჟა-ფშაველას ქ. 126, 4028
 ტელ: 099 422 27 52 59
 ფაქს: 099 422 27 52 59
 ელ: info@archives.gov.ge

Contact information:
 Web site: <http://archives.gov.ge>
 126, Vashagvashvili St. Tbilisi 4028, Georgia
 Tel: 099 422 27 52 59
 Fax: 099 422 27 52 59
 Email: info@archives.gov.ge

საარქივო სამმართველოს დაცულია XIX-XX საუკუნეების 550-მდე უძველესი ქართული, აგრეთვე რუსული, ოსმალური, ინგლისური, ფრანგული, სომხური, უკრაინული და რუსული დოკუმენტი.
 There are more than 550 documents of XIX-XX centuries preserved in Archives Administration. Documents are in Georgian, Arabic, Turkish, Ottoman, English, Armenian, Bulgarian and Russian languages.

საარქივო სამმართველოს ბუკლეტი

საარქივო სამმართველო მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებაა. ამიტომ არა აქვს **სამეცნიერო-საგრანტო პროექტებში მონაწილეობის უფლება**, მაგრამ საარქივო სამმართველოს თანამშრომელი თამაზ ფუტყარაძე სხვადასხვა ფორმით მონაწილეობდა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა თუ ევროკავშირის საგრანტო სამეცნიერო პროექტებში, კერძოდ:

I. ევროკავშირის საგრანტო პროექტი:

1. „პოლიტიკური და კულტურული მემკვიდრეობა და 1877-1878 წწ. რუსეთ-თურქეთის ომი“ (2012-2015 წწ.)

II. შოთა რუსთაველის ეროვნული

სამეცნიერო ფონდი:

1. N 180-08-1-030. „შავშეთი“ (2009-2011 წლები);
2. №4475. ისტორიული ჭანეთის აღმოსავლეთ ნაწილში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (2011-2013 წლები);
3. FR/196/2-105/14. არტაანის ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები (საფორტიფიკაციო, საკულტო, საკო-

მუნიკაციო, საყოფაცხოვრებო არქიტექტურა, ფოლკლორული და ენობრივი მონაცემები) (2015-2018 წლები);

4. 03- tr 3-09. ინდივიდუალური სამოგზაურო საკონფერენციო გრანტი სეგედში (უნგრეთი), 26-29 მაისი, 2009 წელი;

5. № 2013_tr_056. ინდივიდუალური საკონფერენციო-სამოგზაურო გრანტი, ბულგარისტის მესამე საერთაშორისო კონგრესი. სოფია. 2013 წ. 23-26 მაისი;

6. 2013_tr_324. ინდივიდუალური საკონფერენციო-სამოგზაურო გრანტი „ბალკანეთი. ხალხი, ომი და მშვიდობა“. სკოპიე. მაკედონია. 4-5 ნოემბერი, 2013 წელი.

მომზადდა აგრეთვე საკონფერენციო, ინდივიდუალური და სამეცნიერო საგრანტო პროექტები აჭარაში მცხოვრებ ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის საკითხებზე, პეტერბურგის ანთროპოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად; საარქივო სამმართველოსა და ხარიტონ ახელედიანის სახელმწიფო მუზეუმში დაცული უცნობი დოკუმენტების შესახებ, რომლებშიც ჩართული არიან საარქივო სამმართველოს თანამშრომლები თამაზ ფუტკარაძე, ფრიდონ ქარდავა და ნატო ქიქავა.

საარქივო სამმართველოს სამეცნიერო-მეთოდურმა საბჭომ არაერთხელ განიხილა აჭარის **ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორიის მომზადების საკითხი**. ამ თვალსაზრისით ჩატარდა კიდევ გარკვეული სამუშაოები, რაც აისახა „მეგზურის“ 2001 წლის ხელნაბეჭდში. ამავე წლის სამუშაო გეგმა ითვალისწინებდა არქივის ისტორიის ბეჭდური სახით გამოცემას, მაგრამ საკითხი ბოლომდე ვერ იქნა გადაწყვეტილი. ვერ მოხერხდა მეტ-ნაკლებად სრულყოფილი სახით არქივის ისტორიის მომზადება და ბიუჯეტიდან წიგნის გამოცემისათვის საჭირო თანხის (12 ათასი ლარი) გამოყოფა (ფ. 1041, ან. 1, საქმე 1974 ფურც. 18).

2014 წლის 17 ივნისს, საარქივო სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებლის თენგიზ ცინციკი-ლაძის N41 ბრძანებით შეიქმნა „საარქივო სამმართველოს ისტორიის მომზადებისა და გამოცემის სარედაქციო საბჭო“. ბრძანებით დამტკიცდა ასევე მონოგრაფიის გეგმა-პროსპექტი, რომლის საფუძველზეც მომზადდა წინამდებარე მონოგრაფია.

§ 2. სამეცნიერო კონფერენციები

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის საქმიანობაში მეტად მნიშვნელოვანი იყო ადგილობრივი თუ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზება და ჩატარება. ამ თვალსაზრისით არქივისტების დაინტერესება აშკარად იკვეთება 1960-1970-იანი წლებიდან. სამეცნიერო კონფერენციების ორგანიზების საკითხი განხილულა 1965 წლის 15 მარტის სხდომაზე (ასსცსა, ფ. 1041, საქმე 428, ფურც 1).



სამეცნიერო კონფერენცია (1969 წ. 14 თებერვალი)

ფაშიზმზე გამარჯვების 20 და 30 წლისთავს მიეძღვნა სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები 1965 და 1975 წლებში. კონფერენციაზე წარმოდგენილ მოხსენებებში წარმოჩენილი იყო აჭარის, აჭარაში მცხოვრები ქალების ღვაწლი და დამსახურება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში (მომხსენებლები: ს. ტაბაღუა, გ. ანდღუღაძე, მ. ძნელაძე, გ. მოსიძე და სხვები). კონფერენციის ფარგლებში განსაკუთრებული ადგილი ეთმობოდა ომის ვეტერანების (ბაჯელძე, პინიანცი, შონია, ჩხიკვაძე, გირკველიძე, ბარამიძე) მოგონებებს. არქივი ყოველთვის ახერხებდა ომის ვეტერანების დაფასებასა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოებას (ფონდი რ-89, საქმე 407 ფურც. 1).



კონფერენციის მონაწილენი, 1975 წელი

ფაშიზმზე გამარჯვებისადმი მიძღვნილი კონფერენციები მომდევნო წლებშიც არაერთხელ ჩატარებულა.

მათგან შეიძლება დავასახელოთ ფაშიზმის დამარცხების 57 წლისთავთან დაკავშირებული კონფერენცია 2002 წელს (ასსცსა, ფ. 1041, საქმე 1997, ფურც. 123).

სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები მიემდგვნა აგრეთვე: აკაკი წერეთლის დაბადებიდან 160 წლისთავს (2000 წელი), ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის საიუბილეო თარიღს (1997 წელი), საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავს და ა. შ. (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1, საქმე 1883, ფურც. 183).

სამეცნიერო კონფერენციები ემდგნებოდა დედასამშობლოსთან აჭარის დაბრუნების საიუბილეო წლისთავებს. ამ მოვლენის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი არქივისტთა სამეცნიერო კონფერენცია პირველად 1978 წ. 17 ოქტომბერს გაიმართა (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე N 492. ფურც.1,2,3).

2004 წლიდან საარქივო სამმართველოში სრულიად შეწყდა სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, 2008 წლიდან კი აღნიშნულმა ღონისძიებებმა საერთაშორისო მასშტაბები შეიძინა.



ბლაგოვეგრადის უნივერსიტეტის პროფესორი მარიანა პისკოვა

2008-2014 წლების განმავლობაში საარქივო სამმართველოში ჩატარდა ექვსი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია:

1. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში (2008 წ. 11-12 ივნისი);
2. აჭარა უცხოელ ავტორთა შრომებში (2009 წ. 3 ივლისი);
3. საქართველო-ბულგარეთი, ისტორიული პარალელები” (2011 წ. 30-31 მაისი);
4. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), II. (2012 წ. 20-21 სექტემბერი);
5. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) III. (2013 წ. 15-16 აგვისტო)
6. სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) . IV (2014 წ. 17-18 სექტემბერი).



კონფერენციების მუშაობაში მონაწილეობდნენ: სომხეთის არმენოლოგიური კვლევის შირაქის ცენტრის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის, ბლაგოვეგრადის უნივერსიტეტის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის, გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის, ბელორუსიის კულტურის ცენტრის, ბერდიანსკის (უკრაინა) უნივერსიტეტისა და უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის, თურქეთის ქართული კულტურის ცენტრის, ასევე საქართველოს ეროვნული არქივის, ქუთაისის ცენტრალური არქივის, ჩოხატაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და აჭარის საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები.

ამავე პერიოდში ჩატარდა ხუთი **ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენცია**. პირველი კონფერენცია მიემდგნა საბჭოთა ანექსიის საკითხებს („საქართველო საბჭოთა ანექსიის პირისპირ“ (2011 წ. 24 თებერვალი), მეორე კონფერენცია - საარქივო დოკუმენტების გამოყენების საკითხებს („საარქივო პირველწყაროები მკვლევართა შრომებში“, 2010 წლის 29 ივლისი), ხოლო დანარჩენი კონფერენციები არქივისტის

პროფესიულ დღესასწაულს (2011 წ. 2 მარტი, 2012 წ. 4 მარტი, 2013 წ. 1 მარტი)

სამეცნიერო საქმიანობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია **საარქივო ფონდების მიმოხილვა**. გიორგი ხეჩინაშვილის, რამაზ სურმანიძის, ალი სამსონიას, პეტრე სულაბერიძის, გრიგოლ პინიანცის, ჯემალ ნოლაიდელის, ფრიდონ ხალვაშის პირადი ფონდის და ფოტოდოკუმენტების, ასევე ბრიტანეთის არქივში დაცული დოკუმენტების ასლების, ალექსანდრე ნეველის სახელობის ტაძრის, ოდესის (უკრაინა), გრაცის (ავსტრია), სოფიისა და ბლაგოვეგრადის (ბულგარეთი) არქივებიდან შემოტანილი დოკუმენტებისა და ხელნაწერების მიმოხილვებმა ასახვა ჰპოვა ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ფონდების მიმოხილვასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ექცევა **თემატური ნუსხების შედგენას**, სამუშაო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე **დოკუმენტების გამოვლენასა და სხვა სამუშაოების შესრულებას**.

საარქივო სამმართველო საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებზე (2010-2014 წლები)













§ 3. მეთოდური მუშაობა

წმინდა საარქივო საქმიანობასთან ერთად ცსა-ში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს აქტიური მეთოდური საქმიანობა. უპირველესად ეს ეხება დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სრულყოფის საკითხებს, სამეცნიერო ხასიათის დოკუმენტების ექსპერტიზას, პუბლიკაციებისათვის საჭირო მასალების გამოვლენას და გამოყენებას. შემუშავდა სამუშაო ინსტრუქციები, მეთოდური მითითებები. თათბირებზე განიხილება დოკუმენტების ექსპერტიზის საკითხები, ხდება საქართველოს სხვადასხვა საარქივო დაწესებულებების გამოცდილებათა გაზიარება.

მეთოდური საქმიანობის გააქტიურება 1960-იან წლებს უკავშირდება. უპირველესად იგი ეხებოდა საარქივო საქმის პოპულარიზაციის მეთოდების შემუშავებას. 1965 წ. სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განიხილული იქნა

„აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტური მასალების პოპულარიზაციის მეთოდებისა და ფორმების საკითხი“ (ასსცსა, ფ. 1041, საქმე 428, ფურც 3). ამ მიმართულებით არქივისტთა საქმიანობაც მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად წარიმართა.

მეთოდური მუშაობის საკითხებს გარკვეული ყურადღება ექცეოდა მომდევნო წლებშიც. შესაბამისად, შემუშავდა არაერთი წინადადება „დოკუმენტური მასალების მეცნიერული და პრაქტიკული ღირებულების ექსპერტიზის საკითხებზე“ (1991 წელი). საცავებში მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით შემუშავდა დებულება „სახელმწიფო არქივის არქივსაცავებში მუშაობის ძირითადი წესების შესახებ (1992), „სახელმწიფო არქივებში სისტემატური კატალოგის გამოყენების ძირითადი წესების შესახებ“, „არქივსაცავებში პირველადი საადრიცხვო დოკუმენტების შედგენის მეთოდური მითითება“ (ასსცსა, ფონდი რ-89, ან 1, საქმე 674, 48), დამუშავდა საექსკურსიო თემა: „აჭარის ცსა - საარქივო სამსახური - სამეცნიერო დაწესებულება“ (1992) (ასსცსა, ფონდი რ-89, ან 1, საქმე 674, ფურც. 49)

მეთოდური მუშაობის სრულყოფის საკითხებს ემსახურებოდა გაერთიანება „მემატიანესა“ და ცენტრალური სახელმწიფო არქივის ერთიანი მეთოდური კომისიის ფორმირება, რომელიც ჩამოყალიბდა აჭარის არ სახელმწიფო სამეცნიერო გაერთიანება „მემატიანე“-ს საბჭოს 1993 წლის 30 ივნისის N 21ა ბრძანების საფუძველზე. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ გამოცდილი არქივისტები: ლ. ოთიაშვილი, ჯ. მამუჭაძე, გ. ანდღულაძე, ნ. სკამკორიაიშვილი, ვ. მკერვალიშვილი, მ. ძიძიგური, ი. ფაცურაიშვილი. კომისიას ევალებოდა მეთოდური კითხვების შემუშავება, მეთოდლიტერატურისა და საკანონმდებლო დოკუმენტე-

ბის მოძიება-შევსება, მეთოდური მითითებების პრაქტიკაში დანერგვა (ასსცსა, ფ. რ-89, საქმე 795, ფურც. 14-15).

სამეცნიერო-მეთოდური მუშაობის საკითხები სისტემატურად განიხილებოდა გაერთიანება „მემატიანე“-ს საბჭოს სხდომებზე. საბჭოს გადაწყვეტილების შესაბამისად დაშვებული იქნა 1993 წ. 28 მაისის N 15 ბრძანება, შემუშავდა მეთოდური მითითებები „სახელმწიფო დაწესებულებათა ისტორიის“ ცნობარის შესადგენად. ამ მითითებების გათვალისწინებით გამოსაცემად მომზადდა „აჭარის სახელმწიფო დაწესებულებათა ისტორიის“ ცნობარი, რომელშიც გადმოცემულია აჭარის სახელმწიფო დაწესებულებათა შექმნის, სტრუქტურის, ფუნქციის, კომპეტენციის, რეორგანიზაციის და სხვა საკითხები. ცნობარში შეტანილია აგრეთვე ყველა ის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ცვლილება, რაც განიცადა აჭარამ 1921-1946 წლებში. მითითებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტები.

საარქივო საქმიანობის მეთოდის საკითხებს მიემდგვნა არაერთი პუბლიკაცია, რომელთაგან შეიძლება დავასახელოთ არქივისტ ნაზი ნაგერვაძის მიერ მომზადებული მეთოდური ხასიათის წერილები, რომლებიც საექსპერტო – შემმოწმებელი კომისიის სრულყოფის საკითხებს ეხება.

მეთოდური მუშაობის სრულყოფის საკითხები ამჟამადაც წარმოადგენს არქივისტების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას.

თაზო VII

საზოგადოებასთან ურთიერთობა, საარქივო საქმის კოპულარიზაცია

საარქივო სამმართველო არასდროს ყოფილა იზოლირებული სხვა ორგანიზაციებისაგან, სამეცნიერო-კვლევითი თუ სასწავლო და კულტურული დააწესებულებებისაგან. მას ყოველთვის ჰქონდა აქტიური ურთიერთობა საზოგადოებასთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, სხვადასხვა ორგანიზაციებთან და დაწესებულებებთან.

წმინდა საარქივო საქმიანობასთან ერთად არქივისტები აქტიურ მონაწილეობას იღებენ არქივის საზოგადოებრივ-კულტურულ ცხოვრებაში, საკუთარი ძალებით ატარებენ სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციებს, აღნიშნავენ ღირსსახესოვარ თარიღებს, უწყობენ შეხვედრებს ცნობილ მეცნიერებს, კულტურის მუშაკებს, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, დამსახურებულ არქივისტებს, ზოგადად ღვაწლმოსილ ადამიანებს.

არქივის ჩამოყალიბების პირველი წლებიდანვე, დოკუმენტსაცავის პრობლემის მოუგვარებლობის მიუხედავად, არქივისტები შემდგომისდაგვარად თანამშრომლობდნენ სამუხეუმო და სასწავლო დაწესებულებებთან, დროდადრო ახერხებდნენ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარებას, გამოფენების მოწყობას. არქივს არაერთხელ გადაუცია გარკვეული რაოდენობის წიგნები მხარეთმცოდნეობის მუხეუმისათვის, ხოლო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ჩამოყალიბებისთანავე, **1935 წელს, საკმაოდ დიდი რაოდენობის წიგნები გადასცა ახლადდაარსებულ უმაღლეს სასწავლებელს.** საქმეში არის გადაცემული

წიგნების ჩამონათვალი (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 13, ფურც. 1-54).

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი პოლიტიკური სიტუაციისა (კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია, 1930-ნი წლების რეპრესიები, ომი, ომისშემდგომი სიძნელები და ა.შ.) და არქივსაცავის არარსებობის პირობებში ძნელი იყო მსგავსი ხასიათის დონისძიებების ორგანიზება. 1960-იანი წლებიდან უფრო ხელშესახები გახდა სამეცნიერო-კულტურული თანამშრომლობა რეგიონის კულტ-საგანმანათლებლო, სასწავლო თუ სამეცნიერო დაწესებულებებთან. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საარქივო დარგის პოპულარიზაციას. ეს საკითხები დროდადრო განიხილებოდა კიდევ სხდომებსა და თათბირებზე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა 1965 წ. სამეცნიერო საბჭოს ერთ-ერთი სხდომა, რომელიც სწორედ აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის დოკუმენტური მასალების პოპულარიზაციის საკითხებს მიეძღვნა (ასსცსა, ფ. 1041, საქმე 428, ფურც 3).

არქივისტების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი იყო თემატური საღამოების ჩატარება. ზოგჯერ იგი იმართებოდა ღირსსახსოვარი თარიღების აღსანიშნავად. 1975 წელი გაეროს მიერ ქალთა საერთაშორისო წლად გამოცხადდა. ამ თემას მიეძღვნა არქივისტების თემატური საღამო, რომელზეც წარმოადგინეს მოხსენებები: „ქალი და რელიგია“ (ნ. ნოლაიდელი), „ქალი და კულინარია“ (გ. ანდღუღაძე), „ქალის როლი ოჯახში“ (ვ. მკერვალიშვილი) და ა. შ. თემატური საღამოს მონაწილეებმა პენსიაზე გააცილეს დეაწლმოსილი მუშაკი უფროსი ბუღალტერი ლიდა ქებურია (ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე 408, ფურც.1).

უწყება განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა საარქივო საქმის პოპულარიზაციას, დოკუმენტების სამეცნიერ-

რო ბრუნვაში მიმოქცევას, ახალგაზრდა მკვლევარების მოზიდვას. 1992 წლის 25 ივნისს, სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“-ს საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „საზოგადოებისათვის დოკუმენტური ინფორმაციის ოპერატიულად მიწოდების საქმეში აჭარის საარქივო დაწესებულებათა მიერ აჭარის არ პრესასთან, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიასთან გაწეული მუშაობისა და მისი შემდგომი გააქტიურების შესახებ“. გადაწყვეტილება ხაზს უსვამს აჭარის საარქივო დაწესებულებების კონტაქტების გააქტიურებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დოკუმენტური მასალების საზოგადოებისათვის ოპერატიულად მიწოდების მიზნით. გადაწყვეტილებაში აღნიშნულია **ლექცია-საუბრებისა და ისტორიის გაკვეთილების ჩატარების, ფართო საზოგადოებასთან შეხვედრების, საინიციატივო წერილების მომზადების, არქივისტების მიერ საგაზეთო და სამეცნიერო პუბლიკაციების გამოქვეყნების, ფოტო და წერილობითი დოკუმენტების გამოფენების მნიშვნელობა** საარქივო დარგის პოპულარიზაციისათვის (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1, საქმე 1514, ფურც. 32)

ასეთი გადაწყვეტილებები ხელს უწყობდა საარქივო დარგის შემდგომ განვითარებას. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან თანამშრომლობას. მას შემდეგ, რაც დოკუმენტების გამოყენების საკითხებზე იმსჯელა აჭარის არ სახელმწიფო-სამეცნიერო საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“-ს საბჭომ, მასმედიასთან ინფორმაციის მიწოდება გახდა უფრო მიზანმიმართული. ამ სამუშაოთა აქტუალური საკითხები აისახა სახელმწიფო არქივის ყოველწლიურ სამუშაო გეგმებში. ამ მიზანს ემსახურებოდა გაზეთ „აჭარაში“ ყოველწლიურად გამოქვეყნებული სტატიები, 16 წუთიანი რადიოგადაცემები.

1993 წ. მაისში „მემატიანეს“ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება „აჭარის არ რესპუბლიკურ და ადგილობრივ პრესასთან, რადიომაუწყებლობასა და ტელევიზიასთან, საზოგადოებასთან დოკუმენტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით აჭარის საარქივო დაწესებულებათა კონტაქტების შესახებ“. საბჭოს გადაწყვეტილება ითვალისწინებდა სარქივო საქმის პოპულარიზაციას, საზოგადოებასთან შეხვედრებსა და შემოქმედებითი კონტაქტების გაღრმავებას. ამ მიზნით უნდა ჩატარებულიყო „ღია კარის დღეები“, სადამოები, თემატური მიმოხილვები, ექსკურსიები, უნდა მომზადებულიყო სატელევიზიო გადაცემები, გამოქვეყნებულიყო საგაზეთო წერილები. რაიარქივებს დაევალიათ მოემზადებინათ პუბლიკაციები შესაბამის ფონდსაცავებში დაცული საინტერესო დოკუმენტური მასალების გამოყენებით (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე - 794, ფურც. 40,41). შედეგმაც არ დააყოვნა. არქივისტებმა მოამზადეს და გამოაქვეყნეს არაერთი საგაზეთო სტატია, მათ შორის: „არქივებში ცოცხლობს ისტორია“, „დოკუმენტური ისტორიის წარუშლელი სურათები“ და ა. შ. (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე - 794, ფურც. 45-46). განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გაზეთ „ძლევაში“ გამოქვეყნებულმა მასალებმა ტაბუდადებული დოკუმენტებიდან. ადგილობრივი და რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე არაერთხელ აისახა საარქივო ცხოვრების ამსახველი პუბლიკაციები.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და საზოგადოებასთან აქტიური თანამშრომლობის აუცილოებლობამ დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბების საკითხი. აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის საბჭოს 1999 წ. 26 თებერვლის N 18 გადაწყვეტილებით საარქივო დეპარტამენ-

ტთან შეიქმნა „ლოკალური მნიშვნელობის პრესსამსახური“ (საზოგადოებრივ საწყისებზე), რომლის შემადგენლობაში შევიდა 5 თანამშრომელი (თ. ქობულაძე -სამსახურის უფროსი, ნ. დურგლიშვილი, ი. ფაცურეიშვილი, ც. ქათამაძე, ნ. მიქელთაძე) (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871, ფურც. 105-106), თუმცა ამ სტრუქტურამ დიდხანს ვერ იმუშავა. აღნიშნული ფუნქციით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება მოხერხდა 2010 წელს.

არქივში ჩატარებულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებულ დატვირთვას ატარებდა შემეცნებითი და შემეცნებით-გასართობი ღონისძიებები. მარტო ერთი, 2000 წლის განმავლობაში ჩატარდა არაერთი ღონისძიება: ახალი წლისადმი მიძღვნილი საზეიმო შემეცნებით-გასართობი ღონისძიება, „დედის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო“, „ა. წერეთლის დაბადების 160 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია“, „ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია“, „საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია“, „ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამსახველი ფოტომასალების გამოფენა“, „ქრისტიანული კერების მშენებლობა აჭარაში“, „აკაკი და აჭარა“, „ქართული სახელმწიფოებრიობის სათავეებთან“, „ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის“ და ა. შ. (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1, საქმე 1883, ფურც. 183); მსგავსი და სხვა ღონისძიებები ტარდებოდა მომდევნო წლებშიც, კერძოდ: საახალწლო კარნავალი (2003 წ. 8 იანვარი) (ასსცსა,ფ. 1041, ან. 1. საქმე 2060), ქართული ენის დღისა და (ასსცსა, ფ. 1041, ს.1784, ფურც. 20), ფაშიზმზე გამარჯვებისადმი (ფ. 1041, ს.1784, ფურც. 20)

მიძღვნილი ღონისძიებები, საქართველოს სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი გამოფენა-ტელეგადაცემა (ასსცსა, ფ. 1041, ს.1784, ფურც. 20), ჰაიდარ აბაშიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია (ასსცსა, ფ. 1041, ს.1784, ფურც. 20) და ა. შ. მსგავსი ღონისძიებების ჩატარება იქცა საარქივო ცხოვრების შემადგენელ ნაწილად.

მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდებოდა არქივის-ტოა საქმიანობის დაფასების, გამოჩენილი და დვაწლმოსილი მუშაკების შრომისა და დამსახურების წარმოსახენად. ამ დატვირთვას ატარებდა „წლის საუკეთესო არქივისტი“ წოდების შემოღება. არქივისტებს აჯილდოებდნენ ფულადი პრემიითა და საპატიო სიგელებით.

ტრადიციად დამკვიდრდა **ყოველწლიური კონკურსების ჩატარება წლის საუკეთესო არქივისტის გამოსაგდენად**. აღნიშნულის შესახებ საინტერესო ინფორმაციებია დაცული თამაზ ქობულაძის მიერ შედგენილ წლიურ ანგარიშებში (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871 ფურც. 60). სახელმწიფო თუ საარქივო სამმართველოს ჯილდოებზე წარსადგენად იწერებოდა დახასიათება-რეკომენდაციები (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 1997, ან. 1 ფურც. 60-71). საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო-სამეცნიერო გაერთიანება „მემარტიანე“-ს 1991 წ. 30 დეკემბრის N61 ბრძანებით, რომელსაც ხელს აწერს ზურაბ მახარაძე, ცნობილ არქივისტს გუგული ანდრულაძეს მიენიჭა **„1991 წლის საუკეთესო არქივისტის“ წოდება** (ასსცსა, ფონდი N რ-1041, ან 1, საქმე 1514 ფურც. 1), ხოლო ქობულეთის რაიარქივის საცავს **„1991 წ. სანიმუშო არქივსაცავის წოდება და პრემია 500 მანეთი** (ასსცსა, ფონდი N რ-1041, ან 1, საქმე 1514 ფურც. 3).

არქივისტების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეტაპი იყო საქართველოს პრეზიდენტის 1999 წ. 19 იანვრის N 19 ბრძანებულება, რომლის მიხედვით ყოველი წლის მარტის პირველი კვირა დღე საარქივო დარგის მუშაკთა პროფესიულ დღესასწაულად გამოცხადდა. პრეზიდენტის ზემოთაღნიშნული ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ზურაბ მახარაძემ გამოსცა შესაბამისი ბრძანება, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საარქივო დაწესებულებისადმი პატივისცემა და გაითვალისწინა რა ქვეყნის სახელმწიფო არქივების მნიშვნელობა, მისი თანამშრომლების უანგარო შრომა, რომლებიც მაღალი პროფესიონალიზმით ერთგულად ემსახურებიან მათზე დაკისრებულ საქმეს, მიმდინარე წლის 19 იანვარს გამოსცა ბრძანებულება N 19 საქართველოში საარქივო დარგის მუშაკის პროფესიული დღესასწაულის დაწესების შესახებ. ასეთ თარიღად დაწესდა ყოველი წლის მარტის პირველი კვირა დღე, რომლის აღნიშვნა ხელს შეუწყობს საარქივო დარგის მუშაკთა პრესტიჟისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას“. ბრძანება ავალდებულებდა ყველა საარქივო დაწესებულებას, არქივისტის პროფესიული დღესასწაულის აღსანიშნავად შეემუშაებინათ და წარედგინათ წინადადებები კონკრეტული ღონისძიებების შესახებ (ასსცსა, ფონდი 1041, ან 1, საქმე 1869, ფურც 12). აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ არქივისტების დიდი კმაყოფილება გამოიწვია. არქივის მუშაკთა განწყობა ამ დღესთან დაკავშირებით გამოიხატა არქივის იმჟამინდელი თანამშრომლის ნათია მიქელთაძის წერილში „ქაღალდში გაცხადებული დროის მცველნი“. მკითხველს ვთავაზობთ ამ წერილის შემოკლებულ ვარიანტს:

„საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 19 იანვრის N 19 ბრძანებულებით მარტის თვის პირველი კვირა სარქივო დარგის მუშაკის დღედ გამოცხადდა. მაშ ასე, ამიერიდან არქივის დარგის მუშაკთა შრომასაც თავის წილ ყურადღებასა და პატივს მიაგებენ. პროფესიულ დღესასწაულს მიულოცავენ ადამიანებს, რომლებიც თავიანთი უნო, დაფარული შრომითა და დაუშრეტელი შემართებით ემსახურებიან ადამიანებს, საკუთარ ერს და შესაბამისად მთელს კაცობრიობას. ფრაზა „არქივი ერის დოკუმენტური მესიერებაა“ - ლოზუნგადაა ქცეული. თითოეულ ჩვენთაგანს ცხოვრებაში ერთხელ მაინც დასჭირვებია არქივის დახმარება. ჩვენ ვიცით, რომ სადღაც არის დაწესებულება, რომელიც ბეჭდიან ქალაქად ქცეულ ჩვენი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ინახავს და საჭიროების შემთხვევაში უცილობელ მოწმედ დაგვიდგება გვერდით. მაგრამ ცოტამ თუ იცის რამოდენა შრომა უდგას უკან თითოეული დოკუმენტის შენახვას, მოვლას, პოვნასა და კეთილი საქმის სამსახურში ჩაყენებას. ჩვენ არ ვიცნობთ ადამიანებს, რომლებიც უდიდესი საუნჯის დაუღალავი მცველები არიან. სტელაჟებზე წლების მიხედვით დალაგებულ, მუდამ მოწესრიგებულ, დასახმარებლად მუდამ მზადყოფ წარსულს უკან ის ადამიანები უდგანან, რომელთა ღვაწლით დაუმსახურებლადაა მიჩქმალული. არქივის რიგითი თანამშრომლები, არქივისტები თუ ფონდების მცველნი დღენიდაღ ზრუნავენ ჩვენი წარსულის იმ ნაწილზე, რომლიდან შობილი აწმყოც, თუ ლაიბნიცს დაუუჯერებთ, ჩვენივე მშობელია. არქივი და არქივისტები ფასდაუდებელ სამსახურს უწევენ მეცნიერებს, სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, რეაბილიტირებულებს, რეპრესირებულებს და მათ ოჯახებს. სწორედ არქივის მეშვეობით პოულობენ მოქალაქეები დაკარგულ მიწებს, დაგიწყებულ ორდენებს, ჩამორთმეულ სახლებსა და ქონებას. დღეს ბათუმის ცენტრალურ სახელ-

მწიფო არქივში ყოფილი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან მოდის წერილები, რომლებშიც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მცხოვრებლები თავიანთი ღვაწლის უტყუარ საბუთებს აქედან ითხოვენ და უღრმეს მადლობას წირავენ აჭარის ცენტრალურ არქივს ფასდაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის.

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში ჩვენი ქვეყნის, ქალაქის წარსულის შესახებ საოცარი მასალების პოვნაა შესაძლებელი. აქ ჩვენი ახლო თუ შორეული, წყნარი თუ შფოთიანი, მაგრამ ყოველთვის მნიშვნელოვანი წარსული ინახება. იმისათვის, რომ დოკუმენტი დოკუმენტსაცავში მოხვდეს და ერის ისტორიაში თავისი ადგილი დაიკავოს, გრძელი გზა უნდა გაიაროს ლაბორატორიიდან საცავამდე. მას სპეციალური ხსნარით დაამუშავენ, იმისათვის, რომ დრომ და გარემომ ვერაფერი დააკლოს, შესაბამის საქმეში მოათავსებენ და დროის კანონით მკაცრად მოწესრიგებულ მატრიანეთა რიგში მიუჩენენ ადგილს. ყველაფერს ამას უზარმაზარი შრომა, ბევრი ადამიანის ხელი, დიდი მოთმინება და საქმის დიდი სიყვარულიც უნდა. სწორედ ასე ეკიდებიან საქმეს საარქივო დეპარტამენტისა და აჭარის ცენტრალური სახელმწიფო-არქივის თანამშრომლები, „უხილავი ფრონტის“ ფარული მებრძოლნი, რომელთაგანაც ბევრმა ცხოვრება შესწირა საარქივო საქმეს, რომლის კეთილდღეობაზეც ერის კეთილდღეობაა დამოკიდებული ...

მვირფასო საარქივო დარგის მუშაებო, წარსულის ქომბაგებო, ქალაქში გაცხადებულ დროის მცველნო, ჭარმაგებო და ახალგაზრდებო, დამსახურებულნო და რიგითნო, პროფესიულ დღესასწაულს გილოცავთ, მრავალს დაესწარიო“ ნ. მიქელთაძე (ასსცსა, ფ. 1041. საქმე 1883, ფურც. 30-32).

პრეზიდენტის ზემოთდასახელებული ბრძანებულების შემდეგ ყოველწლიურად აღინიშნება არქივისტების პრო-

ფესიული დღესასწაული. სამუშაო გეგმებში გათვალისწინებულია შესაბამისი ღონისძიებები. 2004 წლამდე არქივისტების პროფესიული დღესასწაული კვირეულების სახით ტარდებოდა. **კვირეულში გათვალისწინებული იყო საზეიმო სხდომის ჩატარება, უზენაეს საბჭოში არქივისტთა მიღება, ექსკურსია-ლექციები, მზადდებოდა მოხსენებები:** „არქივები მეცნიერების სამსახურში“, „სახალხო მეურნეობის ამსახველი საარქივო დოკუმენტები“, „არქივების მნიშვნელობა კულტურულ მემკვიდრეობაში“ და ა. შ. ღონისძიების ფარგლებში ხდებოდა მოწინავე არქივისტთა წარდგენა საპატიო სიგელებზე; მატერიალური წახალისება ერთი თვის ხელფასით; სასურსათო პროდუქტების გაცემა, არქივის სიგელებით თანამშრომელთა დაჯილდოება, ქვეყნდებოდა საგაზეთო პუბლიკაციები, გარკვეული დრო ეთმობოდა არქივისტთა საქმიანობის წარმოჩენას ადგილობრივ რადიოსა და ტელევიზიაში, ეწყობოდა გამოფენები - „საარქივო მასალების კვალდაკვალ“. არქივის წარმომადგენლები ხვდებოდნენ გამორჩეულ ადამიანებს როგორც ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ისე რაიონებში, ეწყობოდა ექსკურსიები და ა. შ. (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871ფურც. 24,25,26. ასევე, ფონდი N რ-89, საქმე 519 ფურც. 2,3,4,5,6).

2002-2008 წლებში ამ მიმართულებით მუშაობა საგრძნობლად შენედა, თუმცა რამოდენიმე ღონისძიების ჩატარება მაინც მოხერხდა. არქივის დაარსების 80 წლისთავისა და არქივისტთა პროფესიული დღესასწაულის 5 წლისთავის იუბილეს მიეძღვნა 2003 წ. მარტში ჩატარებულ საზეიმო საღამო, რომელსაც ესწრებოდა საქართველოს **საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარე ზურაბ მახარაძე** (ასსცსა, ფონდი 1041, საქმე 2062, ან. 1ფურც. 1)



**ზურაბ მახარაძე (საქართველოს საარქივო
დეპარტამენტის თავმჯდომარე (2003 წლის მარტი)**

მომდევნო წლებში აღდგა ბევრი დაკარგული ტრადიცია. დაინერგა ზოგიერთი სიახლეც. სისტემატური ხასიათი შეიძინა არქივისტის დღისადმი მიძღვნილი ადგილობრივი სამეცნიერო კონფერენციების თუ საზეიმო ღონისძიებების ჩატარებამ. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დამხასურებული არქივისტების ღვაწლის (ლილი ოთიაშვილი, თალიკო შეყილაძე, ნანა კუჭაშვილი, სერგო ტაბაღუა, გრიგოლ პინიანცი და სხვ.) წარმოჩენას, რომლებიც ჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით. ღონისძიებების ფარგლებში ეწყობა სხვადასხვა სახის გამოფენები.



არქივისტთა პროფესიული დღისადამო მიძღვნილი
სამეცნიერო კონფერენცია. 2012 წ. მარტი

არქივისტები არც მეცნიერ-მკვლევარებს ივიწყებენ, რომლებიც წლების განმავლობაში ეძიებდნენ საარქივო მასალებს და სამეცნიერო ბრუნვაში შეჰქონდათ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ამსახველი დოკუმენტური წყაროები. არქივისტებმა შეხვედრა მოუწყეს აჭარაში მოღვაწე ქალბატონ პროფესორებს: შუშანა ფუტკარაძეს, ნაზი მიქელაძეს და თინა შიოშვილს (2009 წ. 23 მაისი); თბილი შეხვედრა მოუწყეს აგრეთვე პროფესორებს: ოთარ თურმანიძეს, სერგო დუმბაძეს, ოთარ გოგოლიშვილს (2008 წლის ზაფხულში), ამირან კახიძეს, ნოდარ კახიძეს, ნოდარ ბარამიძეს, ბიჭიკო დიასამიძეს (25 დეკემბერი, 2013 წელი) და წარმოაჩინეს მათი დვაწლი და დამსახურება.

აჭარის საარქივო სამმართველოში განსაკუთრებულ პატივს მიაგებენ **1989 წლის 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნას**. ამ დღის აღსანიშნავად ყოველწლიურად იმართება ღონისძიებები. სწორედ ამ თარიღს მიეძღვნა საღამო: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შეილი დასაკარგავი“ (2012 წლის 6 აპრილი), „9 აპრილის ცრემლი“ (2013 წლის 8 აპრილი) და ა. შ.

აღნიშნული ღონისძიებების ბოლოს ხდება დოკუმენტური ფილმის ჩვენება, ეწყობა ფოტო გამოფენები.



„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“
(2012 წლის 6 აპრილი)

სისტემატურად აღინიშნება ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების წლისთავი, რომელზეც იწვევენ ამაგდარ არქივისტებს, ომის ვეტერანებს: სერგო ტაბაღუას, ტოფია ფრანგიშვილს და სხვებს. 2012 წ. 8 მაისს გამართულ ღონისძიებაზე ტოფია ფრანგიშვილმა ავადმყოფობის გამო მოსვლა ვერ შეძლო, ამიტომ საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ვეტერანი არქივისტი ოჯახში მონახულეს.



სტუმრად ტოფია ფრანგიშვილთან (2012 წლის 8 მაისი)

საარქივო სამმართველო ყოველწლიურად უწყობს შეხვედრებს ომის ვეტერანებს და აჯილდოებს ფასიანი საჩუქრებით.



*შეხვედრა ომის ვეტერან სერგო ტაბაღუასთან
(7 მაისი, 2015 წელი)*

საარქივო სამმართველოში ყოველწლიურად აღინიშნება **საქართველოს დამოუკიდებლობის დღე** - 26 მაისი, ეწყობა საჯარო ლექციები. შესაბამისად იმართება წერილობითი და ფოტოლოკუმენტების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილია დამოუკიდებლობის აქტი, დამფუძნებელი კრების, პირველი პრეზიდენტის, მთავრობის სხვა წარმომადგენლების პორტრეტები, დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებული სხვა მასალები. ღონისძიების ბოლოს ხდება დოკუმენტური ფილმისა და საგანგებოდ მომზადებული სლაიდშოუების ჩვენება.



*საქართველოს დამოუკიდებლობის დღე სარქივო
სამმართველოში (2012 წ. 25 მაისი)*

არქივში ჩატარებული ღონისძიებების თემატიკის შესაბამისად ეწეობა წერილობითი და ფოტოდოკუმენტების, ასევე სამეცნიერო პუბლიკაციების გამოფენები, კერძოდ: რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ამსახველი დოკუმენტების გამოფენა (2010 წლის 12 თებერვალი), რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის ამსახველი ფოტო დოკუმენტების გამოფენა (2010 წლის 12 აგვისტო), საბჭოთა ოკუპაციის 90 წლისთავისადმი მიძღვნილი ფოტო დოკუმენტების გამოფენა (2011 წლის 24 თებერვალი), საარქივო დაწესებულების ამსახველი წერილობითი დოკუმენტების გამოფენა (2011 წლის 2 მარტი) და ა. შ.

ცნობილი ქართველი მსახიობის სესილია თაყაიშვილის დაბადებიდან 105 წლის იუბილის აღსანიშნავად, საქართველოს ეროვნულმა არქივმა მის მშობლიურ ქალაქში, ბათუმში, იუსტიციის სახლში მოაწყო გამოფენა სახელწოდებით “სესილია”. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო როგორც ეროვნულ არქივში დაცული კინოფოტოფონო დოკუმენტები, ისე სესილია თაყაიშვილის საოჯახო ალბომებში არსებული ფოტოები, მსახიობის კინო და თეატრალური როლების ამსახველი კადრები, ბიოგრაფიული შინაარსის სურათები. გამოფენაში მონაწილეობა მიიღო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებლო დაწესებულება - საარქივო სამმართველომ.



ფოტოდოკუმენტების გამოფენა „სესილია“,

ეროვნული არქივისა და აჭარის საარქივო სამმართველოს ერთობლივი პროექტის საფუძველზე იუსტიციის სახელში კვლავ მოეწყო ერთობლივი გამოფენა „ძველი და თანამედროვე ბათუმი“ (2011 წ. 24 სექტემბერი). გამოფენაზე წარმოდგენილი იყო XIX - XX -XXI საუკუნეებში ცნობილი ფოტოგრაფის დიმიტრი ერმაკოვისა და სხვა უცნობი ავტორების მიერ გადაღებული ხედები ბათუმის შესახებ, ასევე ფრაგმენტები დოკუმენტური კინო-ფილმებიდან: „დღე ბათუმში“ (1936წ.) და „მზიური აჭარა“ (1958წ.). თანამედროვე ბათუმი კი ფოტოკადრებზე ასახა გურამ წიბახაშილმა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ის ფოტოებიც, რომელიც შავი ზღვისპირა ქალაქის თანამედროვე არქიტექტურას ასახავს.



გამოფენა „ძველი და თანამედროვე ბათუმი“
(2011 წ. 24 სექტემბერი).

2012 წლის 17 აგვისტოს ბათუმში ეროვნული არქივის ორგანიზებით იუსტიციის სახლში გაიხსნა ცნობილი ქართველი მსახიობის სოფიკო ჭიაურელის დაბადებიდან 75 წლის იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს აჭარის საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმაც.



სოფიკო ჭიაურელის დაბადებიდან 75 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა (2012 წ. 17 აგვისტო)

აღნიშნულ თემატიკას ეხებოდა აგრეთვე საბჭოთა ოკუპაციის 91-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარებულ ღონისძიებასთან დაკავშირებული გამოფენა, სადაც წარმოდგენილი იყო გ. მაზნიაშვილის, ნ. ჟორდანიას, ნ. რამიშვილის, ამბროსი ხელაიას და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა პორტრეტები, სახალხო გვარდიის, დამფუძნებელი კრების, ტაბახმელასთან დაღუპული იუნკერების, ეკლესიებიდან ჯვრის ჩამოსხნის ამსახველი ფოტოდოკუმენტები.



საბჭოთა ოკუპაციის 91-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა

2012 წლის 4 მაისს მოეწყო „ძველი და განახლებული 6 მაისის სახელობის პარკის“ ფოტოდოკუმენტების გამოფენა:



მედი და განახლებული 6 მაისის სახელობის პარკის ფოტოდოკუმენტების გამოფენა


არქივისტები აქტიურად თანამშრომლობენ ცნობილ მეცნიერებთან, საზოგადო მოღვაწეებთან, რეჟისორებთან, შემოქმედებითი და სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებთან. საარქივო სამმართველოში სამუშაო გეგმის შესაბამისად ეწეობა შეხვედრები, წიგნებისა თუ ფილმების განხილვა-პრეზენტაციები. 2010 წლის 18 ნოემბერს საარქივო სამმართველოში მოეწყო რეჟისორ **ზურაბ ქავთარაძის დოკუმენტური ფილმის „ტალ – კლარჯეთი“-ს პრეზენტაცია**. აღნიშნულმა ნამუშევარმა მართმადიდებლური ფილმების ფესტივალზე საპრიზო ადგილი დაიმსახურა.

საარქივო სამმართველოში ჩატარდა აგრეთვე: პროფ. **ოთარ გოგოლიშვილის (2009 წ. 3 ივლისი), პროფ. ოთარ თურმანიძის (2014 წ. 20 ივნისი) და სხვა ავტორთა სამეცნიერო შემოქმედების განხილვა-პრეზენტაციები**. გაიმართა საარქივო სამმართველოს ორგანოს, ჟურნალ „არხეიონის“ პირველი და მეორე ნომრის პრეზენტაცია (2012 წ. 22 თებერვალი).



„არხეონის“ პრეზენტაცია (2012 წლის 22 თებერვალი)

საზოგადოების წარმომადგენლებს არ დაავიწყდებათ ტერიტორიულ ორგანო - ხელვაჩაურის არქივში 2014 წლის 21 აგვისტოს ჩატარებული ღონისძიება - „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ ოთხტომეულის აკადემიური გამოცემის პრეზენტაცია. მომხსენებლებმა და სიტყვაში გამომსვლელებმა მოკლედ მიმოიხილეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები, ხაზი გაუსვეს საპრეზენტაციოდ წარმოდგენილი ოთხტომეულის აკადემიური გამოცემის მნიშვნელობას და იმ ადამიანების ღვაწლსა და დამსახურებას, რომლებმაც დიდი შრომა გასწიეს მის მომზადებასა და გამოცემაში. გამომსვლელებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის თარგმნა რუსულ, თურქულ, ინგლისურ ენებზე და დასვეს მისი სახელმწიფო პრემიაზე წარდგენის საკითხი.



საზემო ღონისძიებებით აღინიშნება **გამოჩენილ პიროვნებათა პირადი ფონდების** მიმოხილვები. სპეციალური ღონისძიება მიეძღვნა გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, ენის, ფოლკლორის, ეთნოგრაფიის ცნობილი მკვლევარის ჯემალ ნოღაიდელის პირადი ფონდის მიმოხილვას (2012 წლის 23 მარტი).



ჯემალ ნოღაიდელის პირადი ფონდის მიმოხილვა
(2012 წლის 23 მარტი)

2012 წლის 5 ივლისს აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოში ჩატარდა აგრეთვე ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის **რამაზ სურმანიძის პირადი ფონდის მიმოხილვასთან** დაკავშირებული ღონისძიება. სადამოხე ნაჩვენები იქნა რამაზ სურმანიძის მშობლიური სოფლისა და სკო-

ლის, ასევე მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოკოლაჟი. რამაზ სურმანიძემ პირადი ფონდის შესავსებად არქივს გადასცა 1945-1947 წლების პირადი ხელნაწერები.



რამაზ სურმანიძის პირადი ფონდის მიმოხილვა
(2012 წლის 5 ივლისი)

მსგავსი ღონისძიება მიეძღვნა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სამსონიას პირადი ფონდის მიმოხილვასაც (2013 წლის 26 ივლისი). არქივისტებმა ღონისძიება დაამთავრეს მისი დაბადების 80 წლის იუბილეს. ღონისძიების მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაეთვალიერებინათ ალი სამსონიას წიგნების, პირადი ფონდისა და ფოტომასალების გამოფენა და ენახათ ზურაბ ფირცხალაიშვილის დოკუმენტური ფილმი „ალი სამსონია“.



ალექსანდრე სამსონიას პირადი ფონდის მიმოხილვა
(2013 წლის 26 ივლისი)


არქივისტებს ყოველთვის ახსოვთ ღვაწლი იმ ადამიანებისა, რომლებმაც თავიანთი უანგარო შრომით საფუძველი ჩაუყარეს საარქივო დოკუმენტების მოძიებისა და თავმოყრის საქმეს. მათ შორისაა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ქართული განძის დარაჯი ექვთიმე თაყაიშვილი. სწორედ დაბადებიდან 150 წლისთავზე მისი ღვაწლისა და ამაგის დაფასებას მიეძღვნა საარქივო სამმართველოში 2013 წლის 29 იანვარს ჩატარებული ღონისძიება. ღონისძიების მონაწილეებს შესაძლებლობა მიეცათ კიდევ ერთხელ ენახათ რეზო თაბუკაშვილის დოკუმენტური

ფილმი „საქართველოს მეჭურჭლეთუხეცის“ და არქივის-ტების მიერ მომზადებული სლაიდშოუ.



ექვთიმე თაყაიშვილი

საარქივო სამმართველო მსგავს ღონისძიებებს ატარებს ტერიტორიულ არქივებშიც. 2014 წლის 18 ივლისს ტერიტორიულ ორგანო ქობულეთის არქივში ჩატარდა ქართული წიგნის ქომავის, ქართული ხელნაწერების ჭირისუფალის, მაჰმადიანი ქართველების გულშემატკივრის ზაქარია ჭიჭინაძის დაბადებიდან 160 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიება. ღონისძიებას საარქივო სამმართველოს თანამშრომლებთან ერთად ესწრებოდნენ ზაქარია ჭიჭინაძის თანამოაზრეების - გულო კაიკაციშვილისა და დედე ნიჟარაძის შთამომავლები: კუკური კაიკაციშვილი, ნინო ინაიშვილი, ნუკრი ნიჟარაძე, ნიჟარაძეების ოჯახის რძალი თამარ (ბესირე) ინაიშვილი.



ზაკარია ჭიჭინაძის
იუბილე
160



ზაკარია ჭიჭინაძის გახსენება
(ქობულეთი, 2014 წ. 18 ივლისი)

არქივისტების დიდი მწუხარება გამოიწვია შესანიშნავი პროცენტების, გამორჩეული პროექტის, პროფესიონალი ახალგაზრდა არქივისტის **ნაზი ხიმშიაშვილის ტრაგიკულად დაღუპვის ამბავმა**. სწორედ მის ხსოვნას მიეძღვნა საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანო-შუახვევის არქივში 2013 წლის 24 სექტემბერს ჩატარებული ხსოვნის საღამო, რომელსაც არქივისტებსა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან ერთად ესწრებოდნენ დაღუპული არქივისტის ოჯახის წევრებიც. არქივისტებმა დამსწრე საზოგადოებას წარუდგინეს საარქივო სამმართველოს მიერ მომზადებული ფოტოკოლაჟი ნაზი ხიმშიაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ.



**ნაზი ხიმშიაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება
(შუახვეი, 2013 წ. 24 სექტემბერი)**

საარქივო სამმართველო აქტიურად თანამშრომლობს რეგიონის სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან, ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმთან. მზადდება მსგავსი მემორანდუმები აჭარის ტელევიზიასთან, გაზეთ „აჭარასთან“, ბათუმის არქეოლოგიურ, გონიო-აფსაროსისა და ნობელის მუზეუმებთან - საარქივო და სამუზეუმო სფეროებში, ასევე პრესასთან და ტელევიზიასთან ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის, ინფორმაციის გაცვლისა და პროგრესული გამოცდილების გაზიარების მიზნით.



მემორანდუმის ხელმოწერა ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმთან (18.05.2010წ.)



მემორანდუმის ხელმოწერა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტთან

მემორანდუმის ფარგლებში არაერთხელ მოეწყო შეხვედრა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან. არქივის კვალიფიციური თანამშრომლები სტუდენტებს აქტუალურ საკითხებზე უტარებენ **ლექცია-გაკვეთილებს**. ისინი ეცნობიან საარქივო საქმის სპეციფიკურ თავისებურებებს, მკვლევართან ურთიერთობას, სამეცნიერო საქმიანობას, დოკუმენტების დიგიტალიზაციის, მასალების ციფრული ვერსიის შექმნისა და საბოლოოდ არქივის ინტერნეტმისაწვდომობის გეგმებსა

და თავისებურებებს, არქივის ლაბორატორიის მუშაობას, კანცელარიაში მოქალაქეებებთან ურთიერთობას და სხვა მათთვის საინტერესო საკითხებს.

ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას 2009 წლის 18 მარტს სტუდენტებმა მოისმინეს არქივისტ ფრიდონ ქარდავას ლექცია „საქართველოს ოკუპაცია წითელი არმიის მიერ“. მსგავსი შეხვედრები შედგა აგრეთვე: 2009 წლის 22 მაისს, 2012 წლის 29 მარტს, 2013 წ. 22 აპრილს და სხვა დღეებში. თემატიკაც მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი: „საქართველოს დამოუკიდებლობა საარქივო დოკუმენტებში“, „გიორგი მაზნიაშვილი - ბრძოლები ბათუმისათვის“, „წმინდა ექვთიმე ღვთისკაცი“ და ა. შ.



ექსკურსია - გაკვეთილი უნივერსიტეტის სტუდენტებთან (2012 წ. 29 მარტი)

არქივი მასპინძლობს პროფესიული სასწავლებლებს სტუდენტებს და საჯარო სკოლის მოსწავლეებსაც. ანალოგიური ხასიათის ექსკურსია-გაკვეთილები ჩატარდათ: „ბათუმის დამოუკიდებელ უნივერსიტეტთან“ არსებული პროფესიული კოლეჯის სტუდენტებს (2013 წ. 19 აპრილი), ელიტარული სკოლა „გორდა“-ს მოსწავლეებს (2010 წ. 9 თებერვალი), ხოლო შ.პ.ს. ბათუმის მრავალდარგობრივი პროფესიული კოლეჯის „მედიცინის“ სტუ-

დენტებს ჩაუტარდათ სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობები (2014 წ. ივნისი)



სასწავლო პრაქტიკული მეცადინეობაპროფესიული კოლეჯის „მედიცინის“ სტუდენტები


სხვადასხვა სახის ღონისძიებები ტარდება საარქივო სამმართველოს ტერიტორიულ ორგანოებშიც. დამოუკიდებლობის დღისამი მიძღვნილი ღონისძიებები შესაბამისი რაიონების სკოლის უფროს კლასელებთან ლექცია-გაკვეთილებით აღინიშნა ხულოს, შუახევის, ქედის, ქობულეთის არქივებში (2012 წ. 24-25 მაისი):



დამოუკიდებლობის დღისამი მიძღვნილი ღონისძიება. ხულოს არქივი (2012 წ. 24 მაისი)



დამოუკიდებლობის დღისამი მიძღვნილი ღონისძიება
შუახვევის არქივი (2012 წ. 24 მაისი)



დამოუკიდებლობის დღისამი მიძღვნილი ღონისძიება.
ქელის არქივი (2012 წ. 24 მაისი)



დამოუკიდებლობის დღისამი მიძღვნილი ღონისძიება. ქობულეთის არ-
ქივი (2012 წ. 25 მაისი)

არქივში ჩატარებულ ღონისძიებებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს რუსეთ –საქართველოს 2008 წელს აგვისტოს ომში დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოები (2010 წლის 12 აგვისტო, 2012 წლის 8 აგვისტო), რომელზეც მოწვეული იყვნენ იყვნენ ომში მონაწილე ჯარისკაცები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოწვეული ჯარისკაცები დაჯილდოვდნენ ფასიანი საჩუქრებით. ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო რუსული აგრესიის ამსახველი ვიდეოფილმი და ფოტო კოლაჟი.



რუსეთ-საქართველოს 2008წ. აგვისტოს ომში დაღუპულთა ჯარისკაცების ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო (2012 წ. 8 აგვისტო)

აღნიშნულ თემატიკას ეხებოდა საბჭოთა ოკუპაციის 91-ე წლისთავისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში ჩატარებული ღონისძიება, რომელიც დასრულდა დოკუმენტური ფილმის „დამოუკიდებლობის 1005 დღე“-ს ჩვენებით.



დოკუმენტური ფილმის ჩვენება

საარქივო სამმართველოში ყოველწლიურად აღნიშნება ბავშვთა საერთაშორისო დღე. არქივისტები არ ივიწყებენ უპატრონო ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს. 2010 წ. 1 ივნისს, საარქივო სამმართველოს თანამშრომლებმა ბავშვთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ურეხის ბავშვთა სახლის მობინადრეებს მიულოცეს დღესასწაული და 60-მდე აღსაზრდელს გადასცეს ფასიანი საჩუქრები. 2013 წლის 1 ივნისს კი ეწვივნენ ბათუმის განათლების და დასაქმების ცენტრთან არსებულ საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლს და აღსაზრდელებს საჩუქრად გადასცეს: ლეპტოპი, ტკბილეული და სხვადასხვა სახის საჩუქრები.



საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან
(2013 წლის 1 ივნისი)

მსგავსი საქველმოქმედო აქცია მოეწყო 2015 წლის ივნისშიც.



საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლის აღსაზრდელებთან
(2015 წ. 1 ივნისი)

არქივისტები სათანადო პატივს მიაგებენ იმ თანამშრომლებს, რომლებიც წლების განმავლობაში კეთილსინდისიერად ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას. პენსიაზე გასვლასთან დაკავშირებით ბათუმელმა არქივისტებმა საზეიმო გაცელება მოუწვეს და ფასიანი საჩუქრებითაც დააჯილდოვეს მერი დოლიძე (2012 წლის 2 ნოემბერი) და სიმონ რესულიძე (2015 წ. 3 მარტი)



მერი დოლიძისა და სიმონ რესულიძის
საზეიმო გაცილება

2013 წელი საიუბილეო თარიღი იყო აჭარის საარქივო სამმართველოსათვის. მას დაარსებიდან 90 წელი შეუსრულდა. სწორედ ამ თარიღს მიემდვნა 2014 წლის 7 მარტს გამართული ღონისძიება, რომელსაც ესწრებოდნენ ვეტერანი არქივისტები, ადგილობრივი ხელისუფლებისა და საზოგადოებრიობის თვალსაჩინო წარმომადგენლები.

საიუბილეო ღონისძიების ფარგლებში აღინიშნა არქივისტის პროფესიული დღე და ქალთა დღესასწაულები, მოეწყო საარქივო სამმართველოს დაარსებასთან დაკავშირებული ფოტო და წერილობითი დოკუმენტების, არქივის სამეცნიერო გამოცემების, არქივში დაცული ძველი ხელნაწერების და კოლექციების, ასევე არქივის ცხოვრების ამსახველი და ძველი ბათუმის ფოტოდოკუმენტების გამოფენა. მოწინავე არქივისტები დაჯილდოვდნენ აჭარის უმაღლესი საბჭოსა და საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელებით.



არქივის 90 წლის უბილესადმი მიძღვნილი ღონისძიება
(2014 წ. 7 მარტი)

მასმედიასთან ურთიერთობა. საარქივო სამმართველო აქტიურადც თანამშრომლობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. ყველა ღონისძიება შუქდება ადგილობრივ ტელევიზიაში, რადიოსა და პრესაში. საარქივო სამმართველოს თანამშრომელთა მონაწილეობით მომზადდა არაერთი სატელევიზიო გადაცემა, საგაზეთო პუბლიკაცია. არქივისტები მონაწილეობას იღებდნენ რესპუბლიკური და ადგილობრივი ტელევიზიების სავტორო გადაცემებში. 2011 წ. 30 მარტს აჭარის რადიოში გადაიცა ინფორმაცია საარქივო

სამმართველოში დაცული კინო-ფოტო-ფონო მასალების შესახებ.

აჭარის ტელევიზიაში გაშუქდა არქივში ჩატარებული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები (2011 წ. 30-31 მაისი, 2012 წ. 20-21 სექტემბერი, 2013 წ. 15-16 აგვისტო, 2014 წლის 18-19 სექტემბერი). ერთ-ერთი კონფერენციის შესახებ ინფორმაცია დაიბეჭდა ბულგარულ გაზეთ „სტრუმის“ 2011 წ. 16 ივნისის ნომერში. გარდა ამისა, სპეციალური გადაცემები მიემდგვნა გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის ხელნაწერთა ფონდიდან ჩამოტანილ ხელნაწერთა ასლებს (2012 წ. 2 მაისი), სოფიის (ბულგარეთი) კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკიდან შემოტანილ ოსმალური დოკუმენტებს (2013 წ. 2 ივლისი). ამავე საკითხს მიემდგვნა სპეციალური გადაცემა „დილის ტალღა“-ში (2012 წ. 20 მაისი). აჭარის ტელევიზიის გადაცემა „არისტენს“-ში პროფ. თამაზ ფუტკარაძის მიერ წაკითხული იქნა ლექციების ციკლი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე (2014 წ. 2, 7, 22, 28 მაისი, 10 ივნისი).

საინტერესო გადაცემები მოეწყო საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებისა“ (2014 წ. 11,12, 13, 14, 17 იანვარი, 2 სექტემბერი, 2015 წლის 21 თებერვალი) და „ტელობიექტივის“ (2013 წ. 10 აგვისტო), ასევე ტვ აჭარის დილის გადაცემებში (მაია ივანიშვილი, ელგუჯა ჩაგანავა, თამაზ ფუტკარაძე, მაია რურუა...) (2015 წლის 31 იანვარი, 2015 წლის 29 თებერვალი)

არქივის თანამშრომელთა (მზია სურმანიძე, ფრიდონ ქარდავა, ნინო გოგიტიძე, ელგუჯა ჩაგანავა, თამაზ ფუტკარაძე) მონაწილეობით სატელევიზიო პროექტის „სახლი ძველ ბათუმში“ ფარგლებში მომზადდა საინტერესო გადაცემები პორტო-ფრანკოს რეჟიმის გაუქმებასთან (2014 წლის 9 ივნისის და 20 ივნისის გადაცემები), ძველი ბათუ-

მის ქუჩებთან (2014 წ. 7 ივნისი, 21 ივნისის გადაცემები, 2015 წლის თებერვალი, მარტი, აპრილი), მუჰაჯირობასთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით.

აჭარის ტელევიზიის საავტორო გადაცემა „პარადიგმა“-ს – 2014 წლის 23 ივლისის გადაცემა მთლიანად მიეძღვნა აჭარის საარქივო სამმართველოს. გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს არქივის თანამშრომლებმა და იმ მეცნიერებმა, რომლებიც წლების განმავლობაში მუშაობდნენ და კვლავ აგრძელებენ მუშაობას არქივში მკვლევარად და აქტიურად იყენებენ საარქივო მასალებს. გადაცემაში საუბარი იყო არქივის ფონდების ახალი დოკუმენტებით შევსების საკითხებზე. გადაცემას წინ უძღოდა ტელევიზიური საარქივო სამმართველოს საქმიანობის შესახებ, რომელშიც მონაწილეობას იღებდა ბულგარელი სტუმარი მარიანა პისკოვა. გადაცემაში წარმოჩნდა საარქივო სამმართველოს სამეცნიერო საქმიანობა.

სატელევიზიო გადაცემებში აქტიურად იყვნენ ჩართული არქივის თანამშრომლები: მაია ივანიშვილი, თამაზ ფუტკარაძე, ფრიდონ ქარდავა, ნაზი ნაგერვაძე, მაია რურუა, ელგუჯა ჩაგანავა, მზია სურმანიძე, ნინო გოგიტიძე, ელგუჯა გოგიბერიძე და სხვები. ზოგიერთი ტელევიზიური საარქივო ცხოვრების შესახებ გაშუქდა „ტვ-25“-ის საინფორმაციო გადაცემებშიც. საარქივო ცხოვრების სხვადასხვა მხარე აისახა აგრეთვე გაზეთ „აჭარის“ ფურცლებზეც (2012 წ. 8-9 მაისი, 24 მაისი, 2013 წ. 30-31 ივლისი, 2013 წ. 30 აპრილი, 2-6 ივნისი, 17-19 აგვისტო, 2014 წ. 18 იანვარი და ა. შ.).

საარქივო სამმართველო კვლავაც განაგრძობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან აქტიურ თანამშრომლობას. ამ თვალსაზრისით გათვალისწინებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების მომზადება და გაფორმება.

თაზი VIII

საერთაშორისო ურთიერთობები

§ 1. თანამშრომლობა უცხოეთის საარქივო დაწესებულებებთან

აჭარის საარქივო სამმართველოში დაცული უნიკალური ისტორიული დოკუმენტების პოპულარიზაციის, ასევე, მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების დამკვიდრების თვალსაზრისით, უმნიშვნელოვანესია საზღვარგარეთის ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა და გამოცდილების გაზიარება.

საბჭოთა პერიოდში აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივისა და საზღვარგარეთის არქივებთან რაიმე სახის თანამშრომლობა შეუძლებელი იყო. სპონტანურ ხასიათს ატარებდა მოკავშირე რესპუბლიკების არქივებთან თანამშრომლობაც. ამ ფონზე მნიშვნელოვან ფაქტად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ 1971 წ. 22 აგვისტოს მოსკოვში გამართული არქივების მეშვიდე საერთაშორისო კონგრესის მუშაობაში მონაწილეობდნენ აჭარის საარქივო დაწესებულების წარმომადგენლებიც. ცოტა მოგვიანებით, 1977 წელს საქართველო მონიახულა ბრიტანეთის ნაციონალური არქივის დირექტორმა, დოქტორმა იდმა. იგი ეწვია აჭარის რეგიონალურ არქივსაც.

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში შესაძლებელი გახდა უფრო სრულფასოვანი ურთიერთობების დამყარება უცხოეთის საარქივო დაწესებულებებთან. **არქივის სტრუქტურაში გაჩნდა საერთაშორისო ურთიერთობათა მიმართულებაც.** 1998 წლის სტრუქტურული რეორგანიზაციის შესაბამისად ჩამოყალიბდა „ეროვნული საარქივო ფონდის დოკუმენტების დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის და საერთაშორისო ურთიერთობების გან-

ყოფილება“, თუმცა მალე აღნიშნულ განყოფილებას ჩამოშორდა საერთაშორისო ურთიერთობების ფუნქცია და ეწოდა „ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის უზრუნველყოფის, ინფორმაციის განყოფილება (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1. საქმე 1826. ფურც. 45)

აღნიშნული განყოფილების ფორმირების შემდეგ, 1999 წლის ივნისში აჭარის საარქივო სამმართველოს ესტუმრა **თურქეთის არქივების გენერალური გაერთიანების დირექტორის მოადგილე ნეჯათ აქტაში**. სტუმრის მიღებისას მოეწყო შესაბამისი წერილობითი და ფოტოდოკუმენტების გამოფენა, შედგა საუბარი, რომელიც შეეხებოდა თურქეთის არქივებსა და წიგნსაცავებში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ არსებულ დოკუმენტებს. დაისვა საკითხი დასახელებული დოკუმენტების ასლების შემოტანის შესახებ, განხორციელდა საპასუხო ვიზიტებიც, თუმცა ვერ მოხერხდა ჩანაფიქრის განხორციელება. არც რაიმე სახის თანამშრომლობის დოკუმენტისათვის მოუწერიათ ხელი (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871, ფურც.172, 173, 174-175). ფაქტობრივად, 2010 წლამდე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი არცერთ უცხოურ არქივთან არ გაფორმებულა.

საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება-გააქტიურებას განსაკუთრებული ყურადღება მიექცა 2010 წლიდან. სწორედ ამ წელს, აჭარის მთავრობის 2010 წლის 17 ივნისის N 20 დადგენილებით ჩამოყალიბდა **„საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილება“**, ხოლო მომდევნო 2011 წელს „პუბლიკაციისა და დოკუმენტების გამოყენების განყოფილებასთან“ (რომელიც დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის სახით არსებობდა 1990-იანი წლებიდან) გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდა **„საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან, მასმედი-**

ასთან ურთიერთობის, დოკუმენტების პუბლიკაციის და გამოყენების განყოფილება“.

განყოფილების ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო აქტიური მუშაობა უცხოეთის ცენტრალურ თუ რეგიონალურ არქივებთან საარქივო და სამეცნიერო კონტაქტების დასამყარებლად. პირველობა ამ თვალსაზრისით წილად ხვდა ბუღგარეთს. **2008 წლის ივნისში ჩატარდა აჭარის დედა სამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია**, რომლის მუშაობაში ქართველ არქივისტებთან და მკვლევარებთან ერთად მონაწილეობდნენ ბუღგარეთის, რუსეთის, თურქეთის საარქივო და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები ჩატარდა მომდევნო 2012, 2013, 2014, 2015 წლებშიც. გაფართოვდა კონფერენციების მუშაობაში მონაწილე უცხოელ მკვლევართა მონაწილეობის მასშტაბებიც. ბუღგარელ და რუს კოლეგებს შემოუერთდნენ ავსტრიელი, მაკედონელი და სომეხი კოლეგებიც.



არქივისტები საერთაშორისო კონფერენციაზე,
2013 წ. აგვისტო

2011 წლის 30-31 მაისს ჩატარდა აჭარის საარქივო სამმართველოს, ბლავოვეგრადის ნოვიტ-რილსკის უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საერთაშორისო კონფერენცია „საქართველო-ბულგარეთი, ისტორიული პარალელები“.

ეს კონფერენციები არის როგორც უცხოეთთან, ისე საქართველოს სასწავლო დაწესებულებებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის ნათელი მაგალითი. კონფერენციის დასრულებიდან რამოდენიმე დღის შემდეგ, 2011 წ. 2 ივნისს საარქივო სამმართველოს ესტუმრნენ ბლავოვეგრადის უნივერსიტეტის დელეგაცია მარიანა პისკოვას, კრისტინა პოპოვას, მილენა ანგელოვას, ანასტასია პაშოვას, ნურიე მურატოვას და პიერ ვოდენიჩაროვის შემადგენლობით, მათგან ორი - მარიანა პისკოვა და მილენა ანგელოვა კვლავ ესტუმრნენ საარქივო სამმართველოს 2014 წ. 5 სექტემბერს.



ბულგარელი სტუმრები საარქივო სამმართველოში
(2014 წ. 5 სექტემბერი)

საარქივო სამმართველოს სტუმრობდნენ აგრეთვე მაკედონელი სომეხი, ბერძენი, ავსტრიელი და პოლონელი კოლეგები.

2013 წლის 1 მაისს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს ეწვია ბრიტანელი მკვლევარი **რობერტ ლ. ჯერმენი**. იგი უკვე წლებია მუშაობს ბრიტანეთის არქივებში, საქართველოსა და კერძოდ ჩვენს რეგიონთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტების მოძიებასა და გამოქვეყნებისათვის. შეხვედრის დროს დაისვა ბრიტანეთის არქივებში საქართველოს შესახებ დაცული მასალების შემდგომი კვლევა-ძიების გადრმავეების გზებისა და შესაძლებლობების საკითხი.

აჭარის საარქივო სამმართველოს საერთაშორისო კავშირების გადრმავეებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ევროკავშირის ელჩის **ფილიპ დიმიტროვის** სტუმრობას ბათუმში 2014 წლის 10 ივლისს. იგი შეხვდა არქივისტებს და შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს. შეხვედრის ინიციატორი იყო თავად ევროკავშირის ელჩი, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიულოცა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმება და ისაუბრა იმ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სარგებელზე, რასაც საქართველო მიიღებს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ. საუბარი შეეხო საარქივო სამმართველოში დაცულ ოსმალური პერიოდის დოკუმენტების მნიშვნელობასაც.



შეხვედრა ევროკავშირის ელჩ ფილიპ დიმიტროვთან
(2014 წლის 10 ივლისი)

სამეცნიერო კონტაქტების გადრმავებამ დღის წესრიგში დააყენა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების მომზადებისა და გაფორმების აუცილებლობის საკითხი.

2010 წლის 1 ნოემბერს, ბულგარეთში. სოფიაში ხელი მოეწერა აჭარის არ საარქივო სამმართველოსა და სახელმწიფო სააგენტო „არქივებს“ (ბულგარეთი) შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. დოკუმენტს ხელი მოაწერეს: აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსმა კახაბერ სურგულაძემ, სახელმწიფო სააგენტო „არქივები“-ს თავმჯდომარემ - პროფ. გიორგი ბაკალოვმა და ბლაგოვევრადის ტერიტორიულ არქივის განყოფილების გამგემ – პეტრე სტანევმა.



მემორანდუმის ხელმოწერა სოფიის (ბულგარეთი)
არქივთან (2010 წ. 1 ნოემბერი)

მემორანდუმის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ბათუმელი არქივისტების სტაჟირება ბულგარეთში. 2013 წლის აპრილ-ივნისში ბულგარეთის სახელმწიფო არქივში სტაჟირება გაიარა პროფესორმა თამაზ ფუტყარაძემ.

ასეთივე მემორანდუმი გაფორმდა სხვა ქვეყნის არქივებთანაც. 2010 წლის 24 დეკემბერს უკრაინაში, ქ. ოდესაში ხელი მოეწერა აჭარის არ საარქივო სამმართველოსა და ოდესის სამხარეო სახელმწიფო არქივებს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს, ხოლო 2012 წლის 31 ივლისს მსგავს დოკუმენტს ხელი მოეწერა შტირიის მიწის (გრაცი, ავსტრია) სამხარეო არქივთანაც. მემორანდუმის ფარგლებში დაიწყო საარქივო სფეროში მხარეების თანამშრომლობა, ინფორმაციების გაცვლა და პროგრესული გამოცდილების გაზიარება.

როგორც ცნობილია, სოფიაში, კირილეს და მეთოდეს სახელობის ბიბლიოთეკაში დაცული იყო მე-16-18 საუკუნეების ოსმალური დოკუმენტები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სწორედ ამ სამეცნიერო დაწესებულებასთან დაახლოებას. მცდელობას შედეგიც მოყვა.

2013 წლის 20 ივნისს, სოფიაში (ბულგარეთი) ხელი მოეწერა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საარქივო სამმართველოსა და სოფიის წმინდა კირილეს და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. აღნიშნულ დოკუმენტს ხელი მოაწერეს: გურამ სალაძემ (აჭარის არ საარქივო სამმართველოს უფროსი) და ბორიანა ქრისტოვამ (სოფიის კირილეს და მეთოდეს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი). ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ: ბულგარეთში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ირინე ბურდული, საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე ჯაბა ბერიძე და საზოგადოებასთან, მასმედიასთან, საზღვარგარეთთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების უფროსი თამაზ ფუტყარაძე.



მემორანდუმის ხელმოწერა სოფიის (ბულგარეთი) ბიბლიოთეკასთან (2013 წ. 20 ივნისი)

2011 წ. 23 მარტს საარქივო სამმართველო მასპინძლობდა შვედეთის ბიზნესის ცენტრის წარმომადგენლობით დელეგაციას ცენტრის დირექტორის ალექსანდერ ჰიუსბაის ხელმძღვანელობით. სტუმრებმა გამოთქვეს აჭარის საარქივო სამმართველოსთან თანამშრომლობის სურვილი და წარმოადგინეს ძმები ნობელების კომპანია „ბრანობელები“-ს საერთაშორისო ვებ-გვერდის შექმნის პროექ-

ტი, რომელშიც თავს მოიყრიდა ბიზნესის ისტორიასთან დაკავშირებული წერილობითი და ფოტოდოკუმენტები. შეხვედრაზე მიღწეული შეთანხმების საფუძველზე განხორციელდა საპასუხო ვიზიტი.

2011 წლის 28 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრის მიწვევით შვედეთის სამეფოში იმყოფებოდა დელეგაცია, რომელსაც იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გენერალური დირექტორი თეონა იაშვილი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველოს უფროსი თენგიზ ცინცილაძე და ბათუმის ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიური მუზეუმის ხელმძღვანელი თემურ ტუნაძე. შვედეთის სამეფოში ვიზიტის დროს დელეგაციას შეხვედრები ჰქონდა სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრის ხელმძღვანელთან ალექსანდრე ჰიუსბაისთან, შვედეთის ეროვნული არქივის დირექტორთან ბიორნ ჯორდელთან და მის მოადგილესთან –კარენ ჰერმადოსთან.



შვედეთის მეცნიერებათა აკადემია, ნობელების პრემიის მიმნიჭებელი პრეზიდიუმის დარბაზი

შეხვედრები გაიმართა აგრეთვე ძმები ნობელების მუზეუმში, შვედეთის სამეფოს მეცნიერებათა აკადემიაში და სამხედრო არქივში. საქართველოს ეროვნულმა არქივმა, აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველომ და ბათუმის ძმები ნობელების სახელობის ტექნოლოგიურმა მუზეუმმა შვედეთის კულტურის სამინისტროში სტოკჰოლმის ბიზნესის ისტორიის ცენტრთან გააფორმეს თანამშრომლობის მემორანდუმები.



მემორანდუმის გაფორმება შვედეთის ბიზნესის ისტორიის ცენტრთან

2013 წლის ნოემბერში მიღწეულ იქნა შეთანხმება უკრაინის სახელმწიფო არქივთან ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის გაფორმების შესახებ, მაგრამ უკრაინაში განვითარებულმა პოლიტიკურმა პროცესებმა მნიშვნელოვნად შეფერხა ეს პროცესი.

მიღწეულია სიტყვიერი შეთანხმება რუსეთის სახელმწიფო ისტორიულ არქივთან (მდებარეობს პეტერბურგში), სადაც დაცულია უამრავი დოკუმენტი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის შესახებ. ამ მიზნით, 2014 წლის ნოემბერში პეტერბურგში იმყოფებოდა საარქივო სამმართველოს განყოფილების უფროსი თამაზ ფუტკარაძე, რომელმაც ჩამოიტანა კავკასიის შესახებ იქ დაცული დოკუმენტების ანაწერები. ზემოთაღნიშნულ არქივებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორან-

დუმების საფუძველზე შესაძლებელი გახადა უცხოეთში არსებული ხელნაწერებითა და საარქივო დოკუმენტებით აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდების გამდიდრება.

საარქივო სამმართველო პერიოდულად მასპინძლობს საზღვარგარეთის ქვეყნების საარქივო დაწესებულებების დელეგაციებს. მუდმივად მუშაობს უცხოეთის ქვეყნების ანალოგიურ დაწესებულებებთან თანამშრომლობის დამყარებისა და გადრმავეების მიმართულებით, აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში, ფორუმებში, კონგრესებში, მრგვალ მაგიდებში. მიმდინარეობს აქტიური მუშაობა „არქივების საერთაშორისო საბჭოში“ (ICA) საარქივო სამმართველოს გასაწევრიანებლად.

§ 2. უცხოეთის არქივებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ არსებული ელექტრონული არქივების შემოტანის ორგანიზაცია

დოკუმენტების მოზიდვის, საარქივო ფონდების გამდიდრებისათვის ზრუნვა ყოველთვის იყო არქივის ხელმძღვანელთა უმნიშვნელოვანესი საზრუნავი. არქივისტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ მოეძიათ, შეეგროვებინათ ქართული თუ უცხოენოვანი წერილობითი დოკუმენტები და დაებინავებინათ შესაბამის ფონდსაცავებში.

უცხოეთის არქივებში დაცული დოკუმენტების ასლების შემოტანა საარქივო საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. სოლიდურ თანხებს გაიღებენ ჩვენი საარქივო დაწესებულებები პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში დაცული 29 ქართული ხელნაწერის, ვენისა და გრაცის ბიბლიოთეკებში დაცული 11, გოტინგენის, ჰალეს, ლაიფციგის, ტიუბინგენის, ოქსფორდის, კემბრი-

ჯის, პრინსტონის, პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ოდესის და სხვა ქალაქების საბუთსაცავებში დაცული უამრავი დოკუმენტის შესასყიდად, მაგრამ დოკუმენტების დედნების უნიკალური ღირებულებების გამო ამის მიღწევა ვერ ხერხდება. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ კემბრიჯის უნივერსიტეტის მარჯორი უორდროპის ფონდში დაცული ხელნაწერები: ვახტანგ VI-ის სამართლის შემცველი კრებული, სულხან-საბას ლექსიკონი, მისივე „მოგზაურობა ევროპაში“, „სირინოზიანი“, „ალექსანდრიანი“, ანდრია სალოსის ცხოვრება, „გეფხისცვაოსანი“, ეზოპეს ცხოვრების აღწერა და ა. შ. ჩვენთვის ცნობილია, რომ საინტერესო დოკუმენტური მასალებია დაცული ოდესის სახელმწიფო არქივში, რომელთანაც გაფორმებული გვაქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. ამ მემორანდუმის საფუძველზე 2013 წლის ნოემბერში მოხერხდა ოდესის სახელმწიფო არქივიდან დოკუმენტების ნაწილის შემოტანა, ნაწილი კი კვლავ გამოსავლენია.

ევროპის ქვეყნების არქივები სწორედ ამდგომარად უდგებიან მათი ქვეყნის შესახებ საზღვარგარეთის დოკუმენტსაცავებში დაცული საბუთების მოძიების საქმეს. ბულგარეთის სახელმწიფო არქივში არსებობს სპეციალური განყოფილება, სადაც საზღვარგარეთიდან შემოტანილი დოკუმენტების კოლექციების მხოლოდ დასახელება დაახლოებით 700 გვერდს შეადგენს (<http://www.archives.government.bg>).

საქართველოს ფარგლებს გარეთ დაცული დოკუმენტების მოძიებასა და შემოტანას ყურადღება 1920-იან წლებშიც ექცეოდა. მართალია ასეთი სამუშაოები ტარდებოდა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში არსებული რესპუბლიკების არქივებთან, მაგრამ ამასაც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა საარქივო დოკუმენტებით

აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის გამდიდრების თვალსაზრისით.

საარქივო საბუთებში დაცულია „Терски“-ს სამხარეო საარქივო ბიუროსა და აჭარის საარქივო ბიუროს შორის 1927 წლის მაისის მიმოწერები აჭარის შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტების აჭარის საარქივო ბიუროსათვის გადმოცემის შესახებ (ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 3, ფურც.1).

1934 წელს უკრაინის ცენტრალურ საარქივო სამმართველოს აჭარის სახელმწიფო არქივისათვის გამოუგზავნია 13 საქმეთა ერთეული ერთი თვის ვადით - სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებისათვის (ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 9, ფურც. 2). დოკუმენტებში წარმოდგენილია ხარკოვის შრომის ცენტრალური არქივიდან გამოგზავნილი საქმეების ჩამონათვალი და სია იმ დოკუმენტებისა, რომლებიც შეეხება ბათუმს და დაცულია უკრაინის ცენტრალურ საარქივო სამმართველოში (ასსცსა, ფ. რ-89, ან. 1, საქმე 9, ფურც. 6, 58).

უკრაინიდან საარქივო დოკუმენტების შემოტანას ყურადღება მიექცა დამოუკიდებელი საქართველოს პირობებშიც. სახელმწიფო სამეცნიერო გაერთიანება „მემატიანეს“ 1992 წლის სამუშაო გეგმაში ვკითხულობთ: „განხორციელდეს რუსეთისა და უკრაინის არქივებში საქართველოს შესახებ არსებული მასალების მოძიება და სათანადო ხელშეკრულების გაფორმება დოკუმენტების პირების საქართველოში ჩამოსატანად“. ზემოთდასახელებული ღონისძიებების პარალელურად გარკვეული ყურადღება მიექცა უცხოეთის შესახებ საქართველოს არქივებში დაცული დოკუმენტების გამოვლენასა და სისტემატიზაციას. აღნიშნულთან დაკავშირებით 1992 წ. მიღებულ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ჩაიწერა: „განხორციელდეს რესპუბლიკის ცენტრალურ სახელმწიფო არქივებში საზ-

ღვარგარეთის ქვეყნების ისტორიის ამსახველი მასალების ნუსხების შედგენაზე კონტროლი, მათი წარმოდგენა და ანალიზი (ასსცსა, ფონდი N რ- 1041, ან 1, საქმე 1514, ფურც. 16).

ყურადღება მიექცა თურქეთის არქივებიდან შესაბამისი დოკუმენტების გამოვლენასა და შემოტანის საკითხებსაც. ამ მიზნით 1997 წელს ორი მუშაკი მიუვლენიათ თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოდ (ასსცსა, ფონდი 1041, ან 1, ს 1883, ფურც. 58)

უცხოეთის არქივებიდან საარქივო დოკუმენტების შემოტანის საკითხი დროდადრო იხილებოდა კიდევ ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა სტრუქტურებში. ეს საკითხი განიხილა აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1999 წლის 26 აპრილის სხდომაზე. გამომსვლელების სიტყვაში აღინიშნა, რომ „თურქეთის რესპუბლიკის არქივებში არსებობს საქართველოს, კერძოდ აჭარის ისტორიული წარსულის ამსახველი მეტად საინტერესო დოკუმენტების დიდი რაოდენობა, რომლებიც ჯერჯერობით შეუსწავლელია და არ გამოიყენება სამეცნიერო ბრუნვაში. აღნიშნული მასალების შემოტანის გარეშე შეუძლებელია მე-15-მე-16 საუკუნის პერიოდის საქართველოს ისტორიის ობიექტურად და სრულყოფილად გამოკვლევა და შესწავლა (ასსცსა, ფონდი 1041, ან. 1, საქმე 1868, ფურც. 9, 10). სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით შეიქმნა „თურქეთის რესპუბლიკის არქივებში დაცული საქართველოს ისტორიული წარსულის ამსახველი დოკუმენტების შემსწავლელი კომისია“-ნური ვერძაძის, შუშანა ფუტყარაძის, გივი ბოლოთაშვილის, ოსიკო გვარიშვილის, ჯემალ ჯაყელის, შალვა აბაშიძის, ნუგზარ ზოსიძის შემადგენლობით. მიღებული გადაწყვეტილებით უცხოეთიდან დოკუმენტების შემოტანაზე ყოველწლიურად 8000 ლარი უნდა გახარჯულიყო (ასსცსა, ფ. 1041, ან. 1,

საქმე 1974, ფურც. 17), თუმცა აღნიშნული გადაწყვეტილების რეალიზაცია ყოველთვის არ ხერხდებოდა.

მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე აჭარის ცენტრალური არქივის ფონდების შევსება აჭარის შესახებ საქართველოს არქივებსა თუ სხვადასხვა უწყებებში დაცული დოკუმენტებით. ამ მიზნით 2000 წლის სამუშაო გეგმით გათვალისწინებული იყო არქივისტების **მივლინება ქუთაისსა და თბილისში** (ასსცსა, ფ. 1041, ან.1, ს. 1871 ფურც. 133). შესაბამისად, ქუთაისის სახელმწიფო და საქართველოს ეროვნულ არქივებში გამოვლინდა უამრავი უნიკალური დოკუმენტი, რომელთა ასლები შალვა აბაშიძის ხელმძღვანელობით იქნა შემოტანილი აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში 2001 წლის აპრილ-მაისში (ქუთაისიდან 8 ათასი, თბილისიდან - 7 ათასი ფურცელი) (ასსცსა, ფ. 1041, ან. 1, საქმე 1974, გურც. 28)

გარკვეული ღონისძიებები გატარდა **ადგილობრივი უწყებებიდან წერილობითი, კინო, ფოტო, ფონო მასალების არქივისათვის გადაცემის თვალსაზრისით**. ამ მიზანს ემსახურებოდა თათბირი აჭარის არ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილესთან (ოქმი N23. 29. 06. 2001 წ.), რომელზეც განიხილეს ტელევიზიაში, რადიოში, სახელმწიფო მუზეუმსა და კულტურის სამინისტროს სისტემაში დაცული კონოჟურნალების, კინოსიუჟეტების, ვიდეო-ფოტო-ხმოვანი მასალების ცენტრალური არქივისათვის გადაცემის საკითხი (ასსცსა, ფ. 1041, ან. 1, საქმე 1974, ფურც. 52)

უცხოეთიდან თუ საქართველოს არქივებიდან დოკუმენტების მოზიდვის თვალსაზრისით გარკვეული მუშაობა ტარდებოდა მომდევნო პერიოდშიც. 1970-იან წლებში ეს მიმართულება სტრუქტურული ერთეულის სახითაც ჩამოყალიბდა. სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდური და პრაქ-

ტიკულ-ორგანიზაციული მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, კერძოდ ოჯახებში ქართველი ხალხის წარსულისა და აწმყოს ამსახველი დოკუმენტებისა და კოლექციების გამოვლენისა და სახელმწიფო საარქივო ფონდის შევსების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი საარქივო სამმართველოს კოლეგიამ 1974 წ. 19 თებერვალს მიიღო გადაწყვეტილება მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მთავარ საარქივო სამმართველოსთან საარქივო საქმის ხელშემწყობი რესპუბლიკური საზოგადოებრივი საბჭოს შექმნის შესახებ (ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე 372, ფურც. 1).

ჩვენი ქვეყნის შესახებ უცხოეთის არქივებში დაცული დოკუმენტების მოძიებისა და საარქივო სამმართველოში შემოტანის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ღონისძიებები იქნა გატარებული 2010 წლიდან. საზოგადოებასთან, საზღვარგარეთთან, მასმედიასთან ურთიერთობის, დოკუმენტების გამოყენებისა და პუბლიკაციის განყოფილების ინიციატივით (განყოფილების უფროსი თამაზ ფუტკარაძე) ევროპის სხვადასხვა ქალაქების არქივებიდან ჩამოტანილი იქნა მეტად მნიშვნელოვანი დოკუმენტების ასლები, რომლებიც შესაძლებლობას აძლევს დაინტერესებულ მკვლევარს ადგილზე გაეცნოს და შეისწავლოს უცხოური დოკუმენტები ჩვენი ქვეყნის სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ცხოვრების შესახებ.

2011 წლის 14 ივლისიდან 28 ივლისამდე ბუღაჩურეთში, სოფლის კირილესა და მეთოდეს ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის განყოფილებაში იმყოფებოდნენ საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილე სანდრო ბერიძე და საზღვარგარეთთან, საზოგადოებასთან ურთიერთობებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი თამაზ ფუტკარაძე.



სოფიის კირილეს და მეთოდეს სახელობის ბიბლიოთეკა

ასეთივე ვიზიტი განხორციელდა 2012 წლის 10-21 დეკემბერს (თამაზ ფუტკარაძე, ფრ. ქარდავა). აღნიშნული ვიზიტების შედეგად მოძიებული იქნა სოფიის არქივში დაცული ოსმალური პერიოდის (XVI-XVIII სს.) 1000-მდე დოკუმენტი, რომელთა ქსეროასლებმა ბინა დაიდო აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდსაცავებში. აღნიშნულ დოკუმენტებში წარმოდგენილია მოსახლეობის ეთნიკური სურათი, გადასახადები, საბრძოლო და სამხედრო შინაარსის დოკუმენტები, სხვადასხვა სახის ინფორმაციები კაზების შესახებ, არზები, არზუჰალები, დავთრები, ფირმანები, მაზბატები. დოკუმენტების ერთი ნაწილი ეხება ბათუმში, გონიოსა და ციხისძირში დისლოცირებული ოსმალთა შეიარაღებული ძალების რაოდენობას, მათ პოზიციას, შეიარაღების მდგომარეობას, ციხის მცველებად ჩაყენებული იანიჩრების, ბეშლუიანების, ჯებექიების და სხვა მეთაურების მიერ ოსმალეთის ხელისუფლებისადმი წარდგენილ არზებს ამა თუ იმ ციხეში ჩაყენებული სახელმწიფო ლაშქრის რაოდენობის, მათ შესანახად საჭი-

რო თანხასთან დაკავშირებულ პრობლემებს. დოკუმენტებში საუბარია ადგილობრივი მოსახლეობის აჯანყების შესახებაც. აღნიშნულ წერილობით დოკუმენტებს აქვს უაღრესად დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა, რადგან ოსმალური პერიოდის ამსახველი ისტორიული დოკუმენტები საქართველოს საარქივო დაწესებულებებში ძალზე მწირია, აჭარის არ საარქივო სამმართველოში კი პრაქტიკულად არ არსებობდა.



თამაზ ფუტკარაძე და ფრიდონ ქარდავა სოფიის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილების თანამშრომლებთან (2012 წლის 16 დეკემბერი)

საარქივო სამმართველოში ბინა დაიღო აგრეთვე პეტრიწონის მონასტრის ტიპიკონის XVIII საუკუნის ქართული (ასომთავრული) ხელნაწერის ქსეროასლმა, რომელიც უსასყიდლოდ იქნა გადმოცემული ბულგარელი კოლექციის მიერ.

ვიზიტის პერიოდში საარქივო სამმართველოს წარმომადგენლები შეხვდნენ სოფიისა და ბლაგოევგრადის

საარქივო დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, დაათვალიერეს ფონდსაცავები, რესტავრაციის ლაბორატორია, ერთმანეთს გაუზიარეს გამოცდილებები და ისაუბრეს სამომავლო სამეცნიერო კონტაქტების აუცილებლობის შესახებ.



სოფიის ბიბლიოთეკის აღმოსავლეთმცოდნეობის განყოფილება

მოგვიანებით მოხერხდა საქართველოს შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტების შემოტანა სოფიისა და ბლაგოვეგრადის არქივებიდანაც. ბუღარელმა კოლეგებმა აღნიშნული დოკუმენტები უსასყიდლოდ გადმოსცეს აჭარის საარქივო სამმართველოს. აღნიშნული დოკუმენტების მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია მათი მოკლე დახასიათება.

დოკუმენტების ქრონოლოგიური ჩარჩო მოიცავს 1917-1992 წლებს. იგი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ჩვენი ქვეყნის ბოლო პერიოდის სოციალ-ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული ვითარების შესახებ.

დოკუმენტები ძირითადად ბულგარულ ენაზეა წარმოდგენილი, მცირე ნაწილი კი ფრანგულ და რუსულ ენებზე. მათი ძირითადი ნაწილი ნაბეჭდია, ხოლო ნაწილი ხელნაწერი.

დოკუმენტებში წარმოდგენილია მიმოწერები საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით; თურქეთის მიერ ბათუმის, ყარსისა და არტაანის ექსპანსიის ამსახველი დოკუმენტები; ხელშეკრულებები თურქეთ-საქართველოსა და გერმანია-თურქეთს შორის; გერმანია-რუსეთის შეთანხმება საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებასთან დაკავშირებით; მასალები ყარსის, ბათუმისა და არტაანის რეფერენდუმების შესახებ და ა. შ. საქმე შედგება 124 გვერდისა და საქმის დამადასტურებელი ფურცელისაგან. დოკუმენტი მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს ქვეყნის პოლიტიკური ისტორიის ასევე ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხების შესწავლის თვალსაზრისით.

შემოტანილ საარქივო მასალებში დაცულია ბულგარულ ენაზე გამოცემული **ილიკო ქურხულის** წიგნები ქართული ხალხური სიმღერების შესახებ.

ამავე მასალებში არის მიმოწერა საქართველოს კათალიკოს - პატრიარქ მელქისედეკ მესამესა და ბულგარეთის სასულიერო პირს - დინო ბოჟკოვს შორის. წერილიდან ჩანს, რომ ისინი ერთად სწავლობდნენ ყაზანის სასულიერო აკადემიაში. დინო ბოჟკოვი გულთადად მოიკითხავს პატრიარქს, საუბრობს მათ კეთილმეგობრულ ურთიერთობებზე, პიროვნულ თვისებებზე და მას **„აკადემიის უფროს მეგობარს და სულიერ ძმას“** უწოდებს. დინო ბოჟკოვი დაინტერესებულია საქართველოთი და ამ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით. „ჩვენთან ბულგარეთში, ყველაფერი გვაინტერესებს, რაც ხდება საქართველოში“ -

წერს იგი. ბოჟკოვის ერთი წერილი ბულგარულ ენაზეა, ხოლო მეორე რუსულ ენაზე. საქმეშია მელქისედეკ მესამის ორი ფოტო.



მელქისედეკ მესამე (სოფიის არქივში დაცული ფოტოდოკუმენტის ასლი)

შემოტანილ დოკუმენტებში წარმოდგენილია ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის და ძველი ქართული ლიტერატურის კათედრის დოცენტის - **რევაზ სირაძის** წერილი სოფიის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანისადმი ბულგარეთ-საქართველოს ურთიერთობების ერთობლივი კვლევის აუცილებლობის შესახებ. წერილი დათარიღებულია 1973 წლის 26 მარტით.

ამრიგად, საქართველოს შესახებ სოფიის სახელმწიფო არქივში დაცული დოკუმენტები ცხადყოფს ბულგარეთის ხელისუფლების სწრაფვას და სურვილს - დაამყაროს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა საქართველოსთან, გააგრძელონ ისტორიულად არსებული პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობების ტრადიციები თანამედროვე პერიოდშიც. ცხადია, ასეთი მისწრაფება ჩვენი ხალხების ისტორიული ბედის ერთობითაც არის განპირობე-

ბული. ბულგარელი კოლეგების მიერ საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების უსასყიდლოდ გადმოცემა სწორედ ამ მეგობრობის და სიყვარულის გამოხატულებაა. აჭარის საარქივო სამმართველო კვლავაც აქტიურად თანამშრომლობს ბულგარეთის საარქივო დაწესებულებებთან.

საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებისა და საარქივო ფონდებით აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის გამდიდრების თვალსაზრისით მნიშვნელოვან მოვლენად გვესახება გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილებაში დაცული VII-XI საუკუნეების უძველესი ქართული ხელნაწერების ასლების შემოტანა 2012 წ. წლის ივლისში. ცნობილია, რომ გრაცის (ავსტრია) უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა დეპარტამენტში დაცულია 7 უნიკალური ქართული ხელნაწერი, რომლებიც თარიღდება VII-XI საუკუნეებით. ერთ-ერთი მათგანი, VII საუკუნით დათარიღებული ქართული ლექციონალი ბიბლიოთეკის მშენებაა, რადგან იგი არის ყველაზე ძველი ხელნაწერი გრაცში დაცულ 400 000 ხელნაწერს შორის.

გრაცში დაცულ ხელნაწერებს არაერთი ქართველი და უცხოელი მკვლევარის ყურადღება მიუპყრია. მათი ისტორია ცნობილი ქართველოლოგის, გრაცის უნივერსიტეტის პროფესორის ჰუგო შუხართის სახელს უკავშირდება. იგი 1880-იან წლებში დაინტერესდა ქართულით, დაამყარა სამეცნიერო კონტაქტები ქართველ მეცნიერებთან და საზოგადო მოგვაწევებთან: ილია ჭავჭავაძესთან, პეტრე მელიქიშვილთან, ნიკო მართან, ალექსანდრე ცაგარელთან, დავით სარაჯიშვილთან და სხვებთან. შუხართს ორ ათეულამდე გამოკვლევა აქვს საქართველოს შესახებ. სწორედ ქართულისადმი მისმა დიდმა სიმპათიამ გადაარჩინა ეს უნიკალური ძეგლები, რომელიც ვიღაც გადაამყიდველის ხელში იყო მოხვედრილი. ქართულმა საზოგადოებამ

გრაცში დაცული ქართული ხელნაწერების შესახებ ინფორმაცია აკაკი შანიძისაგან შეიტყო. ეს ხელნაწერები 1883 წელს სინას მონასტერში უნახავს პროფესორ ალექსანდრე ცაგარელს, მაგრამ 1902 წელს ნიკო მარსა და ივანე ჯავახიშვილს ეს ხელნაწერი აღგიღზე აღარ დახვედრიათ. ძნელია იმის თქმა, ვინ და როდის გაიტანა მონასტრის საცავიდან ეს დოკუმენტები. ავსტრიელი მხატვარის ალფონს მილიხის თქმით 1894 წლისათვის ამ ხელნაწერების ხელში ჩასაგდებად ნამდვილი ომი გაიმართაო. თუმცა საბოლოოდ იგი მაინც მილიხის ხელში აღმოჩნდა. იგი დილექტანტი იყო, მაგრამ ეს ხელნაწერები გარეგნული სილამაზის გამო გამოსტაცა კონკურენტებს. მილიხი ანტიკვარული ნივთების და ძველი ხელნაწერების ვაჭრობით ირჩენდა თავს. 1896 წელს მილიხმა აღნიშნული კოლექცია შესთავაზა ვენის ბიბლიოთეკას. ბიბლიოთეკის დირექტორმა ცაისბერგმა შუხართს თხოვა დახმარება, რათა გაეგო ხელნაწერების შინაარსი და 4 ხელნაწერი გადაუგზავნა. აღმოჩნდა, რომ ხელნაწერები სინას მთის ეკატერინეს მონასტრის კუთვნილება იყო. ცაისბერგმა მილიხს მოთხოვა ხელნაწერების ფლობის დამადასტურებელი საბუთი, რაც მილიხს არ გააჩნდა. ცაისბერგმა ვერ გაბედა აღნიშნული ხელნაწერების მიღება, რისთვისაც ის მკაცრად გააკრიტიკა ვენის უნივერსიტეტის პროფესორმა იაგინმა: ”მე არ მესმის ბიბლიოთეკის დირექტორისა, სხვებიც ასე რომ მოქცეულიყვნენ, ევროპის ძალიან ცოტა ბიბლიოთეკას ექნებოდა მათი ახლანდელი განძიო”. მილიხს შეეშინდა ხელნაწერების დაკარგვისა, რადგან მას სამართალდამცველებიც დაემუქრნენ და ხანგძლივი ვაჭრობის შემდეგ იგი მიყიდა ჰუგო შუხართს (დაახლოებით 500 გულდენად). შუხართმა აღნიშნული ხელნაწერების საფასური საკუთარი ჯიბიდან გადაიხადა და ამ უნიკალურ დოკუმენტებს ბინა დაუდო გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში.



გრაცის უნივერსიტეტი



ბიბლიოთეკის სამკითხველ დარბაზი და ხელნაწერთა განყოფილება


ხელნაწერების მოვლა-შენახვას ავსტრიელები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ. ქართული ხელნაწერები მოთავსებულია ორ ყუთში პირველ ყუთში არის ხუთი ხელნაწერი, რომელთგანაც ერთი გრაგნილია.



ქართული ხელნაწერები

ამ დოკუმენტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აღმოსავლეთის ხალხების და მათ შორის ქართველების ლიტერატურული მემკვიდრეობის, ქრისტიანული კულტურის ისტორიის, ძველი ქართული ენის გრამატიკის კონკრეტული თუ ზოგადთეორიული საკითხების კვლევის თვალსაზრისით.

განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ხელნაწერი-ხანმეტი ლექციონარი, რომელიც VII საუკუნით თარიღდება, თუმცა იგი მომდინარეობს V საუკუნის დედნიდან. ამიტომაცაა, რომ ქართულ ხელნაწერებს „ბიბლიოთეკის ოქროს ფონდს“ უწოდებენ და გასაოცარი პასუხისმგებლობით უვლიან და უფრთხილდებიან. მათი ინფორმაციით, ამ ხელნაწერების შესყიდვის სურვილი არა ერთ ორგანიზაციას თუ კერძო პირს ჰქონია, სოლიდურ თანხებსაც სთავაზობდნენ, მაგრამ ბიბლიოთეკამ მათ გასხვისებაზე კატეგორიული უარი განაცხადა.



ხანმეტი ლექციონარი

აღნიშნულ დოკუმენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის მეორე პირის ნიშნების შესწავლის თვალსაზრისით. ხელნაწერი შესრულებულია ასომთავრულით, რომელიც გადაწერილია იერუსალიმში, VII საუკუნეში. იერუსალიმიდან ეს დოკუმენტები აუტანიათ სინას მთაზე, საიდანაც მოიპარეს და მოგვიანებით აღმოჩნდა გრაცის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. შინაარსობრივად მასში წარმოდგენილია საკითხავები ახალი აღქმის წიგნებიდან. ეს ხელნაწერი გამოიკვლია აკაკი შანიძემ.

მკვლევართა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მეორე ხელნაწერი-სომხურ-ქართული პალიმფსესტი. ამ ხელნაწერში პირველი 4 ფურცელი ნუსხურით, ხოლო დანარჩენები კი ასომთავრულითაა შესრულებული. იგი დღემდე საგანგებოდ არავის შეუსწავლია. ხელნაწერი თარიღდება

X საუკუნის პირველი ნახევრით და გადაწერილია **მონაზონ სერაფიონის მიერ**. ხელნაწერი ყურადღებას იქცევს აკინძვის ორიგინალურობის თვალსაზრისითაც.



სომხურ-ქართული პალიმფსესტი

სომხურ-ქართულ პალიმფსესტს თავისი მნიშვნელობით არ ჩამოუვარდება III ხელნაწერი **“სემიონ სალოსოს ცხოვრება”**. ეს ძეგლი სრულყოფილად დღემდე არაა შესწავლილი. მისი ავტორია VII საუკუნის სასულიერო მოღვაწე, კვიპროსის ქალაქ ნეაპოლისის ეპისკოპოსი **ლ. ნიკოპოლელი**. **თხზულება შესრულებულია ნუსხურით, გადაწერილია X საუკუნეში თეოდორე წყუდეელის მიერ**. წიგნის ამკინძველად ჩანს იოანე ზოსიმე. თხზულების მთავარი გმირია **522-590 წლების მოღვაწე**

სალოსი ანუ სულელი, უფრო სწორად “ღმრთისათვის სულელი.” იმ პერიოდში სირიელ ასკეტთა შორის თავი იჩინა მოღვაწეობის ახალმა მიმართულებამ. ისინი ხალხში არ ცხოვრობდნენ, თუმცა ხშირად იყვნენ საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, რათა სულელი კაცის სამოსში გახვეულებს შეესრულებინათ თავიანთი მიზნები. მათ თითქოსდა ორი ცხოვრება ჰქონდათ: გარეგანი და შინაგანი. სხვების დასანახად ერთნი იყვნენ, ღმრთისა და საკუთარი თავის მიმართ კი მეორენი. სწორედ ასეთ მოღვაწეთა რიცხვს მიეკუთვნებოდა სვიმიონი. “სვიმიონ სალოსოს ცხოვრებას” დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც რელიგიური, ისე ლიტერატურული თვალსაზრისითაც.

ასეთივე მნიშვნელობისაა მომდევნო ხელნაწერებიც: “იაკობ მოციქულის ჟამისწირვა”, “წესი განახლებისა” “ნაწყვეტები იოანეს სახარებიდან” და მრავალთაგოდან. მეხუთე ხელნაწერი “იოანე ოქროპირის ჟამისწირვა” წარმოადგენს გრაგნილს და განეკუთვნება X საუკუნეს.



ხელნაწერთა განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელი ერის რეიპარდი

მთლიანობაში ხელნაწერები მოიცავს დაახლოებით 800 გვერდს. ჩვენ შესაძლებლობა მოგვეცა გვენახა აღნიშნული დოკუმენტები. იქაური კოლეგების დახმარებით ხელნაწერების ქსეროასლი უსასყიდლოდ გადმოეცა ჩვენს არქივს. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია გრაციის უნივერსიტეტის ხელნაწერთა განყოფილების სამეცნიერო ხელმძღვანელმა ერის რეიჰარდმა.



ერის რეიჰარდი და თამაზ ფუტკარაძე
(2012 წლის ივლისი)

ამჟამად ჩვენი არქივის განკარგულებაშია ამ ხელნაწერების სრული ელექტრონული ვერსია.

საარქივო სამმართველო კვლავაც აგრძელებს საქმიანობას უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში დაცული წერილობითი დოკუმენტებისა და ქართული ხელნაწერების მოძიება-გამოვლენისათვის და მათი ელექტრონული ვერსიების შემოტანისათვის.

თაზო IX

ოსინი ქმნილენე საარქივო ღარგის ტრადიციებს

აჭარის საარქივო დაწესებულების თითქმის საუკუნოვან ისტორიაში მრავლად მოიპოვებიან ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვით საარქივო საქმის განვითარებაში. მათი უბრალოდ ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა, რომ არაფერი ვთქვათ სასოებით და მზრუნველობით მოვლილ დოკუმენტებზე, პასუხისმგებლობით გადარჩეულ ღირებულ და პრაქტიკულ ღირებულებასმოკლებულ საარქივო საქმეებზე, საცავებში ფაქიზად დალაგებულ საარქივო ფონდებადქცეულ სხვადასხვა დაწესებულებების მოღვაწეობის ამსახველ მასალაზე.

დოკუმენტები დუმს, მაგრამ დოკუმენტები მეტყველებენ. არქივში ჩანს ყველაზე მეტად დუმილისა და მეტყველების მნიშვნელობა. და თუ დღეს ზოგიერთ ამაგდარ არქივისტთა სხეულები ძვალთშესანახში მშვიდად განისვენებენ, არქივში დაცული დოკუმენტები, მათი პირადი საქმეები მათივე კეთილსინდისიერებაზე, ზნეობაზე, პასუხისმგებლობასა და საქმის სიყვარულზე გვესაუბრებიან.

აჭარი სარქივისტთა გაღერეაში ბევრი კარგი სახეა, რომლებმაც უანგარო შრომითა და გარჯით დიდი ამაგი დასდეს დარგის განვითარებას. თითქმის 30-40 წელი იღვაწეს არქივში ჩვენმა უფროსმა კოლეგებმა: ვალიკო მკერვალიშვილმა, გრიგოლ ჩაგანავამ, შოთა გაბრუშიძემ, გუგული ანდღულაძემ, ნუნუ სკამკოჩაშვილმა, დოდო ჩაჩუამ, გრიგოლ პინიანცმა, მაყვალა არობელიძემ, ლიანა ვანიძემ, კოლია თოდაძემ. დღესაც სიყვარულითა და მზრუნველობით მოიკითხავენ არქივს დამსახურებული არქივისტები: სერგო ტაბაღუა, თალიკო შეყილაძე, ლილი ოთიაშვილი...

განსაკუთრებით საინტერესო და დასაფასებელია იმ არქივისტთა საქმიანობა, რომლებიც იდგნენ არქივის სათავეებთან და მეორე მსოფლიო ომის დროს მოუწიათ მოღვაწეობა.

ჩვენს არქივში დაცული მასალების შესწავლით ნათლად ჩანს, რომ 1921 წლის 15 ივლისს, ბათუმისა და მისი ოლქის სამხედრო კომისარის მიერ შექმნილმა სამხედრო ისტორიული დოკუმენტების შემგროვებელმა დროებითმა კომისიამ ხელი მოჰკიდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო და საარქივო დოკუმენტების შეგროვებასა და დაცვას (ასსცსა, ფონდ ირ-1. საქ.40. ფურც. 104). ბათუმში ეს საქმე დაევალა მთავარი საარქივო სამმართველოს რწმუნებულს გიორგი ფურცელაძეს, რომელიც 1923 წლის 9 მარტს აჭარის სახკომსაბჭოსადმი წარდგინილ მოხსენებაში მიმოიხილავეს რა ბათუმში საარქივო საქმეების შემადგენლობას, მათ ადგილსამყოფელს, დაცვის ცუდ პირობებს, ითხოვს დახმარებას, „რომ ეს დიდი განძი და საისტორიო მასალა, რომელიც არის შეუფერებელ ბინაში, გადავარჩინოთ დაღუპვას“.

გიორგი ფურცელაძის მონღომებამ ნაყოფი გამოიღო. სახკომსაბჭოს პრეზიდიუმის 1923 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილებით განათლების სახალხო კომისარიატის დაქვემდებარებაში შეიქმნა აჭარის საარქივო განყოფილება 4 საშტატო ერთეულით: გამგე, კლასიფიკატორი, არქივარიუსი და კურიერი.

ქედს ვიხრით იმ პირველი არქივისტების წინაშე, რომელთაც საკმაოდ მოკლე დროში სრულ ტექნიკურ წესრიგში უნდა მოეყვანათ 1878-1921 წლების ქალაქის საკრებულოს, სათათბიროს, ფოსტა-ტელეგრაფის, საბაჟოს და მეფისდროინდელი რუსეთის სხვადასხვა დაწესებულებების ქაოსურ მდგომარეობაში მიმოფანტული საარქივო დოკუმენტები. ძნელია არ გავიხსენოთ გიორგი

ფურცელადის (1924 წლამდე), **ნიკოლოზ სპილიოტის** (1924-1931), **სერგო ყუფარაძის** (1932-1937) სახელები, რომლებიც ურთულეს პერიოდში ხელმძღვანელობდნენ არქივს. პროფესიონალური კვალი დატოვეს **ოსმან ხალვაშმა** (1937-1939) და **ვასილ სალმატიანმა** (1939-1941). სწორედ მათი ხელმძღვანელობის პერიოდში მიიღო დოკუმენტებმა საარქივო ფონდების სახე, შეიქმნა აღრიცხვის სექტორი და დაიწყო მუშაობა საცნობარო აპარატის ჩამოსაყალიბებლად.

კიდევ ერთი მძიმე და ძნელი პერიოდი დაუდგათ არქივებს მეორე მსოფლიო ომის დროს. იმდროინდელი არქივისტების ერთგულებისა და პროფესიონალიზმის შედეგია ის, რომ ომის წლებში არ დაკარგულა, არ გაბნეულა არცერთი საარქივო საქმე. ეს უპირველესად აჭარის ასსრ შინსახკომის საარქივო განყოფილების უფროსების: **ალექსი პროტოპოვის** (1941-1942 წწ), **კასიანე ბაბილოძის** (1942-1943წწ), **გალინა ივანოვას** (1942; 1943-1946 წწ) დამსახურებაა. მაღლიერებით უნდა გავიხსენოთ აგრეთვე ცენტრალური არქივის დირექტორების: **შლეიპოვის** (1942 წელი), **ქეთო ცეცხლაძის** (1942-1943წწ; 1944-1949 წწ), **ელენე დომოპოლოვას** (1943-44წწ), **მარია ხარკოვას** (1944 წ) სახელები, რომლებმაც ბევრი გააკეთეს საარქივო დოკუმენტების დაცვა-შენახვის თვალსაზრისით.

როდესაც ამ სიას გადახედავ, თვალს მოხვდება ხელმძღვანელ ქალთა სიმრავლე. ეს ომის გამომდახილია, რომელმაც ბრძოლის ველზე მოუხმო ვაჟკაცთ, ხოლო ზურგში დარჩენილი ქალებისაგან ვაჟკაცური შემართება მოითხოვა.

ადვილი არ იყო ქალისათვის ომის წლებში ხელმძღვანელობა გაეწია იმ დარგისათვის, რომელსაც არქივი ჰქვია, რომელიც ქვეყნის ისტორიას იცავს და

ინახავს, რომელიც ის დაწესებულებაა, დღევანდელ დღეს მომავლად რომ აქცევს.

მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ორმათგანზე: **გალინა ივანოვასა და ქეთო ცეცხლაძეზე.**

გალინა ივანოვა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის გრიგოლ ივანოვის ოჯახში დაიბადა. გრიგოლი მეტად განათლებული პიროვნება იყო. პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ქუთაისის და ბათუმის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებში, ხოლო ბათუმის პედინსტიტუტის დაარსების შემდეგ ფიზიკა-მათემატიკის კათედრას ჩაუდგა სათავეში.

გალინა ივანოვამ ქალთა გიმნაზიის წარმატებით დასრულების შემდეგ სწავლა ინდუსტრიულ ტექნიკუმში განაგრძო, ხოლო შემდეგ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა. 1941 წელს იგი ინიშნება აჭარის სახელმწიფო არქივის დირექტორად, ხოლო 1942 წელს აჭარის შსსახკომის საარქივო განყოფილების უფროსად გადაჰყავთ.

ომი კი მძვინვარებდა და თავის მსახვრალ ხელს ახებდა ყველას და ყველაფერს. ომმა შეცვალა დრო და ადამიანები. ცხოვრებისა და არსებობის განსაკუთრებულ რეჟიმზე გადასვლა აორმაგებდა იმ ადამიანთა პასუხისმგებლობას, ვინც წარმოადგენდა საიდუმლო საქმეთა დამცველს, ვისაც შესანახად ებარა სახელმწიფოს მმართველობითი დოკუმენტები, ქვეყნის ისტორია. ამისათვის კი საჭირო იყო ორგანიზატორული ნიჭითა და მაღალი პასუხისმგებლობით დაჯილდოებული ადამიანი, ვინც შეძლებდა იმ რთულ პერიოდში თავის თავზე აეღო საარქივო დოკუმენტების დაცვის და მოვლა-შენახვის პასუხისმგებლობა.

ომმა კიდევ ერთი საკითხი წამოჭრა: ეს იყო მეტად მნიშვნელოვანი ობიექტების - ფაბრიკა-ქარხნების, ლაბორატორიების, კვლევითი დაწესებულებების, მუზეუმების, არქივების ევაკუაცია. **1942 წელს სტალინის ბრძანებულებით ევაკუაციას დაექვემდებარა აჭარის საარქივო ფონდებიც.**

სწორედ გალინა ივანოვა იყო ის ქალბატონი, ვინც პირადად ხელმძღვანელობდა პირველი კატეგორიის ფონდების შერჩევას და მათ ევაკუაციას ტაშკენტში. ევაკუირებული იქნა 10307 ს/ერთეული. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ფონდში დაცულია აქტი, სადაც მოცემულია ინფორმაცია ევაკუირებული ფონდებისა და საქმეების შესახებ (ასსცსა, პ-89; აღწ.1, საქ.65; ფურც.1,9).

იმ დროს გალინას მეუღლე მურად ნიჟარაძე ფრონტზე იბრძოდა. იგი ტყვედ ჩავარდა, რამაც დიდი გავლენა მოახდინა მათ მომავალზე. ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ იგი დააპატიმრეს და გადაასახლეს, როგორც პოლიტიკურად არასაიმედო. გალინა კი მხოლოდ იმით გადარჩა, რომ ძუძუთა ბავშვის დედა იყო. სამაგიეროდ აგრძნობინეს და ნათლად მიახვედრეს, რომ იგი „დამნაშავის“ ცოლია და არ უნდა ხელმძღვანელობდეს ისეთ დაწესებულებას, რომელსაც შსს-ს საარქივო განყოფილება ჰქვია. ისიც უხმოდ, მორიდებით განერიდა თავის საყვარელ საქმეს, დატოვა ქალაქი და შვილებთან ერთად ქედის რაიონში გადასახლდა.

ომის წლებში არქივის ხელმძღვანელ ქალთა შორისაა **ქეთო ცეცხლაძეც**. იგი დაიბადა ქ. ოზურგეთში 1918 წელს. მისი განათლების შესახებ პირად საქმეში დაცულია მხოლოდ საშუალო სკოლის ატესტატი. 1941 წელს საარქივო განყოფილებას გამოეყო სახელმწიფო არქივი 5-კაციანი შტაბით. არქივის ბიბლიოთეკის გამგედ დაი-

ნიშნა ქეთო ცეცხლადე (დირექტორი - გ. ივანოვა; მეცნიერ-მუშაკი- სვირიდოვა; უფროსი ტექნიკური მუშაკი - ფარცხალადე; უმც. მეცნიერ-მუშაკი - კოლტუნოვა), რომელიც მალე გადაიყვანეს ჯერ არქივსაცავის გამგის, შემდეგ კი (1942 წლიდან) არქივის დირექტორის თანამდებობაზე (ასსცსა, ფ. რ-1041, საქმე-22).

სამსახურეობრივ დახასიათებაში, რომელსაც ხელს აწერს საარქივო განყოფილების უფროსი, უმც. ლეიტენანტი ტ. ნეფედოვა, ვკითხულობთ: „აჭარის ასსრ შსს სისტემაში ქეთო ცეცხლადე მუშაობს 1941 წლის მარტიდან. სამუშაოს ეკიდება სერიოზულად. ხელმძღვანელობის დავალებებს ასრულებს დროულად და კეთილსინდისიერად. ცხოვრებაში მორიდებულია. თანამშრომლებს შორის სარგებლობს ავტორიტეტით“.

ასეთები იყვნენ ის ქალბატონები, რომელთაც ცხოვრება და შრომითი საქმიანობა მეტად მძიმე პირობებში მოუწიათ. ეს იყო დრო, როცა გარეშე მტერთან ერთად შინაურ ბანაკშიც ბევრი იყო დამსმენი და სხვის უბედურებაზე საკუთარი ბედნიერების მაშენებელი. მაგრამ ცხოვრება გრძელდებოდა.

მნელი იყო საარქივო დარგის მუშაკთათვის ომის შემდგომი წლებიც. დანგრეულ ქვეყანას აღდგენა ესაჭიროებოდა. მამაკაცების გვერდით ჩვეული ერთგულებით იღწვიან ქალბატონები: **ტატიანა ნეფედოვა, ელენე ქორიძე, ლენა ზაქარეიშვილი...**

რომ არა საქმის სიყვარული და შემართება, პასუხისმგებლობა და შრომისმოყვარეობა, ვერ შეძლებდა შეუძლებელს **ტატიანა ნეფედოვა**, რომელმაც 1947 წელს საარქივო განყოფილების მმართველი გალინა ივანოვა შეცვალა და 1961 წლამდე ღირსეულად უძღვებოდა საარქივო დაწესებულებას. ტატიანა ნეფედოვა იყო ერთ-ერთი გა-

მორჩეული არქივისტი. დაიბადა როსტოვში 1910 წელს. შრომითი საქმიანობა დაიწყო 1929 წლიდან. სხვადასხვა დროს მუშაობდა: როსტოვის სათამაშოების ფაბრიკაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგამომძიებლო განყოფილებაში. 1947 წელს იგი გადმოიყვანეს აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულ საარქივო განყოფილების უფროსად (1961 წლამდე), შემდეგ კი მოსკოვის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში - უფროს მეცნიერ-თანამშრომლად. იგი ხელმძღვანელობდა საარქივო სამმართველოსთან არსებულ სამეცნიერო საბჭოს. მისი ხელმძღვანელობით და რედაქტორობით 1959 წელს გამოიცა აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის მეგზური რუსულ ენაზე, ხოლო 1961 წელს საარქივო დოკუმენტების კრებული „ბრძოლა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“ (1917-1922 წწ.).

ტ. ნეფედოვამ დიდი როლი შეასრულა სამეცნიერო-საცნობარო აპარატის შექმნის, სახელმწიფო საარქივო ფონდის დოკუმენტური მასალების გამოყენებისა და კადრების მომზადების საქმეში. იგი ითვლებოდა გამოჩენილ არქივისტ-სპეციალისტად. ამიტომაც არაერთხელ იყო დაჯილდოებული სამთავრობო ჯილდოებით. ტატიანა ნეფედოვა გარდაიცვალა 1985 წელს.

კიდევ ერთი ქალბატონის ელენე ქორიძის ბიოგრაფია დაუკავშირდა არქივს, როდესაც იგი, ბათუმის რაიადმასკომის ინსტრუქტორი - ბათუმის (ეხლ. ხელვაჩაური) რაიონული არქივის გამგედ დანიშნეს (1946 წელი). 1965 წლიდან იგი აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია - ჯერ ფონდების შემნახველად, შემდეგ კი რესტავრატორად.

ელენე ქორიძე დაიბადა 1925 წელს, სამტრედიის რაიონის სოფელ გამოჩინებულში (ეხლ. ზემო აბაშა). გამო-

ჩინებულელი ქალბატონი უმოკლეს პერიოდში „გამოჩინებულ“ არქივისტად იქცა. საარქივო დოკუმენტები იქცა ელენე ქორიძის ზრუნვის საგნად. დაუღალავი შრომის შედეგად ახლადშექმნილი ბათუმის რაიონული სახელმწიფო არქივი დაკომპლექტდა რაიონის ტერიტორიაზე არსებული სხვადასხვა დაწესებულების 80 ფონდის 10000 ს/ერთეულით.

დოკუმენტებს, არქივში თავმოყრისა და დაკომპლექტების გარდა, მოვლა და დაცვა სჭირდება. ეს გაყვითლებული, ჟამთასვლისაგან გაცრეცილი, ფარატინა, მაგრამ დიდი ისტორიის დამტვევი ფურცლები დროდადრო რესტავრაციას, ლაბორატორიულ დამუშავებას საჭიროებს. ლაბორატორიას დაარსების დღიდან ელენე ქორიძე ჩაუდგა სათავეში. მან ახლადშექმნილ სტრუქტურულ ერთეულს და ათასობით დასნებოვნებულ და დაზიანებულ საარქივო დოკუმენტს დაუბრუნა სიცოცხლე. იგი საარქივო საქმეს ემსახურებოდა 1983 წლამდე (პენსიაში გასვლამდე). გარდაიცვალა 1991 წელს. ელენე ქორიძეს დარჩა ვაჟი და შვილიშვილები, რომელთაგან ერთ-ერთი მის სახელს ატარებს.

საარქივო საქმის გამოჩენილ მოღვაწეთა შორის **გრიგოლ ასათურის ძე პინიანცს** განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. იგი იყო ენთუზიასტი, ნოვატორი, იდეების გენერატორი, საარქივო საქმის წარჩინებული მუშაკი. მის მიერ შემუშავდა მეცნიერულად დასაბუთებული, არგუმენტირებული, სახელმწიფოებრივად გამართლებული არაერთი კონცეფცია არსებული შრომითი რესურსების ბაზაზე საარქივო საქმის რეორგანიზაციის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მას მომზადებული ჰქონდა სპეციალური წერილი გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის“ უფროსის მარგველადის სახელზე, რომელშიც თხოვდა საარქივო საქმის პერსპექტიული განვითარებისა და რეორგანიზაციის სა-

კითხვებთან დაკავშირებული სტატიის გამოქვეყნებას (ას-სცსა, ფ.რ-271. ან.1, ს. 2, ფურც. 8-12).

გრიგორი პინიანცი დაიბადა 1923 წ. 10 ნოემბერს, ქ. ბათუმში, ასათურ პინიანცისა და მაკრინე ჩხაიძე - პინიანცის შესანიშნავ ოჯახში. ოჯახშივე ჩამოუყალიბდა გულისხმიერების, მოყვასის სიყვარულისა და მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობის შესაშური თვისებები.



გრიგორ პინიანცი, ალექსანდრე ბაჟუაძე

გრიგორ პინიანციმა 1941 წ. დაამთავრა ბათუმის N18 საშუალო სკოლა. 1941 წლის ივნისში იგი გააგზავნეს ხარკოვის უმაღლეს სამხედრო-სამედიცინო სასწავლებელში, შემდეგ კი სამხედრო სამსახურის გასაწყველად გადაიყვანეს ჯერ კიევის, მოგვიანებით მეცხრე სამხედრო ოლქში. ქ. ბელოცერკოვში გრიგორ პინიანცს დაემართა კანტუზია. იგი დიდხანს მკურნალობდა ბაქოს სამხედრო ჰოსპიტალში. ბრიგადამ, რომელსაც გრ. პინიანცი

ხელმძღვანელობდა, აჩვენა საბრძოლო გმირობის შესანიშნავი მაგალითები მოზდოკთან, ბესლანთან, მელდოპეტთან და ორჯონიკიძესთან წარმოებულ ბრძოლებში. საბრძოლო ბრიგადა მოგვიანებით გადაიყვანეს ტუაფსეში. მალე გრიგოლ პინიანცს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით შეექმნა სერიოზული პრობლემები (მოყვინა ფეხები), რის გამოც იგი სამკურნალოდ გადაიყვანეს სოჭის ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების შემდეგ გაგზავნილ იქნა 109-ე საგვარდიო დივიზიაში. სამხედრო ოპერაციებში გამოჩენილი გმირობისა და მამაცობისათვის გრ. პინიანცი ორჯერ იქნა დაჯილდოვებული „გმირის წოდების“ საბრძოლო ჯილდოთი.

სამხედრო სამსახურიდან დემობილიზაციის შემდეგ, 1944 წ. 4 მარტს გრ. პინიანცმა დაიწყო მუშაობა აჭარის საარქივო განყოფილებაში უფროს ინსპექტორად. 1954-1957 წწ. მან წარმატებით გაიარა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები სსრ კავშირის სახელმწიფო არქივში. იმავე პერიოდში (1954 წელს) დაამთავრა მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტიც. 1967 წელს გრ. პინიანცი დააწინაურეს და დანიშნეს საარქივო სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე. 1948 წლიდან იგი იყო საქსპერტო-შემმოწმებელი კომისიის თავმჯდომარე.

საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის იგი სამჯერ დააჯილდოვეს საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით, უმაღლესი საბჭოს 1968 წლის 2 იანვრის ბრძანებით კი მას მიენიჭა სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკის წოდება.

შეუძლებელია ყურადღების მიღმა დატოვოთ ცნობილი არქივისტის **ნაზი ნოღაიდელის** დამსახურება და ღვაწლი.



ნანი ნოლიძე

იგი 1963-1989 წლებში ხელმძღვანელობდა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს. ნ. ნოლიძემა თავისი შრომისმოყვარეობით და ორგანიზატორული ნიჭით დამსახურებული ავტორიტეტი მოიპოვა საზოგადოებაში. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში გამოიცა „მეგ ზურის“ განახლებული ვარიანტი. დაიბეჭდა მონოგრაფიები, კრებულები, საარქივო დოკუმენტური წყაროები და საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით შედგენილი კრებულები.

საბრძოლო გამოცდილებით მოვიდა არქივში უფროს მეცნიერ-მუშაკის თანამდებობაზე (1956 წელი) ცნობილი ისტორიკოსი **სერგო ტაბაღუა**, რომელიც 1985-1997 წლებში სათავეში ედგა ცენტრალური სახელმწიფო არქივის საქმიანობას.




სერგო ტაბაღუა

მისი ხელმძღვანელობის პერიოდში რამდენჯერმე დაიხვეწა ცენტრალური არქივის სტრუქტურა. საარქივო ფონდმა 180 000 ს/ერთეულიდან 500 000 ერთეულს გადააჭარბა, რის გამოც 1997 წელს ცენტრალურ არქივს მე-2 კატეგორიის არქივის სტატუსი მიენიჭა და შეიქმნა ცხრა განყოფილება 45 საშტატო ერთეულით.

მისი ხელმძღვანელობითვე ორჯერ განხორციელდა საარქივო დოკუმენტების ახალ შენობაში გადატანის ორგანიზება. ს. ტაბაღუა ძირფესვიანად იცნობდა საარქივო ფონდებს. სამსახურებრივ მოვალეობას კარგად უთავსებდა სამეცნიერო-კვლევით მუშაობას. გამოქვეყნებული აქვს ოთხ ათეულზე მეტი მეტი სამეცნიერო ნაშრომი და პუბლიკაცია, დაცული აქვს ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი. ამჟამად ბატონი სერგო პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა და ახალგაზრდებს საარქივო საქმის მნიშვნელობას და წარსულისადმი პატივისცემას ასწავლის.

საქართველო და ჩვენი კუთხე მდიდარია ერთი პროფესიის ოჯახური დინასტიებით. ამ მხრივ არც ჩვენი

დარგია გამონაკლისი. გამოჩენილი არქივისტის გრიშა ჩაგანავას ოჯახის ოთხმა წევრმა თავისი შრომითი ბიოგრაფია ნებით თუ უნებლიეთ საარქივო საქმეს დაუკავშირა და თავისი კვალი დააჩნია საარქივო დარგის განვითარებას.



გრიგოლ ჩაგანავა

გრიგოლ ანთიმოზის ძე ჩაგანავა იმ ერთეულ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, რომელთა ცხოვრება პატიოსნების, კეთილსინდისიერების, ვაჟკაცობისა და ერთგულების ნათელი მაგალითია. გრიგოლი ანუ გრიშა, როგორც მას დღემდე სიყვარულით მოიხსენებენ ნაცნობ-კოლეგები, 1924 წლის 6 ოქტომბერს დაიბადა აბაშის რაიონის სოფ. კეთილარში. კეთილი, ალაღმართალი 18 წლის ჭაბუკი, 1942 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე ჩადგა ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა რიგებში.

ომიდან სახელგონი და მედლებით მკერდდამშვენებული დაუბრუნდა საქართველოს და შრომით საქმიანობაში ჩაება. შრომას და სწავლას კარგად უთავსებდა ერთმანეთს, 1961 წლიდან აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია. მან გაიარა ყველა საფეხური მკინძავიდან არქი-

ის დირექტორამდე, 1963 წელს კი დაამთავრა ყოფილ საბჭოთა კავშირში ერთადერთი მოსკოვის საარქივო ინსტიტუტი. 35 წელი ემსახურა აჭარაში საარქივო დარგის განვითარებას გრიგოლ ჩაგანავა, აქედან 23 წელი აჭარის ცენტრალური არქივის დირექტორი იყო, ხოლო 1986 წლის იანვრიდან დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამეურნეო ჯგუფს ხელმძღვანელობდა.

დირექტორის თანამდებობაზე მუშაობის დროს გრ. ჩაგანავამ თავი გამოავლინა, როგორც შესანიშნავმა ორგანიზატორმა, თანამშრომელთა ჭირისა და ღხინის თანამოზიარე ხელმძღვანელმა. იგი კოლექტებში ეძებდა არა ნაკლს, არამედ ხელჩასაჭიდს, რათა გვერდში დადგომოდა და პრობლემები შეემსუბუქებინა, თუმცა დაკისრებული მოვალეობისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებასაც არავის აპატიებდა. გრ. ჩაგანავას შენიშვნასა თუ საყვედურში აშკარად ჩანდა კრიტიკის ობიექტისადმი სიყვარული. შენობის გარეთ იგი იყო ყველა თანამშრომლის ქობაგი და უპირველესი დამცველი. სწორედ ამიტომ გახდა გრ. ჩაგანავა მისი კოლეგის, ნუნუ სკამკონიაშვილის მეგობრული შარჟის ობიექტი, პოეტური შთაგონების წყარო:

„ეს ყველგფერი როდია, ცხოვრება სხვაგვარ ტრიალებს,
სულ რომ დაგვმახის, გვაფრთხილებს, ნუ აცდენთ, ნუ
ავგიანებთ!

ბატონი გრიშა ბრძანდება, ეჭვიც არ არის ამაში,
მაგდენი ქულა ყვირილის, მესხსაც არ ჰქონდა თამაშში.
მაგრამ სულ ყველას ჯობია, კაცი კაცურად ქებული,
უყვარს არქივის კრებული, თვით მასზე შეყვარებული“

გრ. ჩაგანავას ადამიანური თვისებების ერთ საინტერესო შტრიხზე გვინდა გავამახვილოთ მკითხველის ყურადღება. ბატონი გრიშა სამსახურში დადიოდა საგზალითა და ღვინით სავსე მისი განუყრელი იისფერი ჩანთით.

სამსახურის შემდეგ უყვარდა კოლეგებთან წაქეიფება. საამისო საბაბს ყოველთვის ნახულობდა: მნიშვნელოვანი დოკუმენტების გამოვლენა, გეგმის შესრულება, დაბადების დღე, სხვა ღირსსახსოვარი თარიღები.

მკითხველისათვის საინტერესოდ გვეჩვენება გრიშა ჩაგანავას უბის წიგნაკიდან ამოკითხული ერთი ეპიზოდი:

„1942 წლის რუსეთის სუსხიანი და მკაცრი ზამთარი იდგა, მაშინ ჩვენი ნაწილი კრასნოდარის მხარის ერთ-ერთი ქალაქის საიდუმლო ობიექტების დასაცავად ვიყავით დისლოცირებული. მოსახლეობა სურსათის გაჭირვებას მოთმინებით უძღებდა. ჯარისკაცები უყურადღებოდ არ ვტოვებდით ბავშვებს და ჩვენ წილ უღუფას ვუნაწილებდით. ერთი 10-ოდე წლის ბიჭუნა შემომეჩვია, იქვე ჩვენს ობიექტთან ახლოს ცხოვრობდა. საცოდავი შესახედი იყო. გამხდარი, სისუსტისგან ხელებზე ძარღვები აჩნდა. დიდი, ჭკვიანი თვალებით. მოვიდოდა გვერდით დამიდგებოდა, სანამ იქეთ არ შევებასუხებოდი, აქეთ არ შეგაწუხებდა. პატარას მამა ფრონტზე ჰყავდა, დედას მიეტოვებინა და მარტოხელას კეთილი ადამიანების დახმარებით ედგა სული.

ერთხელ, დილით მტრის ავიაციის მიერ ობიექტების მასიური დაბომბვის დროს, დავინახე, რომ ყუმბარა ჩემი ნაცნობი პატარა ბიჭის სახლის მახლობლად დაეცა. გულმა არ მომიტმინა და სასწრაფოდ აღმოდებულ სახლს მივაშურე. ცეცხლი თანდათან ძლიერდებოდა, სახლი ცეცხლის აღში გახვეულიყო, ბავშვს გარეთ ვერ გამოვსწრო და მცირე კანტუზიის გამო უგონოდ ეგლო სახლის წინ. ბიჭი სახლიდან გამოვიყვანე და ასი მეტრიც არ მქონდა გავლილი, რომ მეორე ყუმბარამ სახლი ნაფოტებად აქცია. ხელმოტეხილ ბიჭუნას ჰოსპიტალში სათანადო დახმარება აღმოუჩინეს. ჩვენ ყოველდღე ვხდებოდით ერთმანეთს. მას ისე უხაროდა ჩემი დანახვა თითქოს მე ვიყავი მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. ჩვენი ნაწილის გადაადგილებისას ტირილით

დავმორდით ერთმანეთს. ომის შემდეგ მის ასავალ დასავალს ვერ მივაგენი”- ასე მთავრდება ეს ჩანაწერი, რომელიც უდავოდ მეტყველებს გრიშა ჩაგანავას ადამიანობაზე, ნიჭზე, დახმარების ხელი გაეწოდებინა გაჭირვებულთათვის მაშინაც კი, როცა როცა თავად ყმაწვილსა და ახალგაზრდას, სამშობლო კუთხესა და ოჯახს მოშორებულს, კერიის სითბოსა და მეგრულ კერძებს მონატრებულს შიოდა, ციოდა, ტკიოდა, მაგრამ გული სავსე ჰქონდა სიკეთითა და სითბოთი.

გრიგოლ (გრიშა) ჩაგანავა იყო საარქივო საქმის კარგი სპეციალისტი, მინდობილ საქმის პასუხისმგებელი და შემსრულებელი. მისი დამსახურებაა საარქივო საქმეთა მოზიდვა, სახელმწიფო აღრიცხვაზე აყვანა და შენახვა.

გ. ჩაგანავა დიდი სიყვარულით, მაღალი პროფესიულადლიზმით 34 წელი ემსახურა საყვარელ საქმეს. იგი იყო აჭარის, საქართველოს და საბჭოთა კავშირის კულტურის დამსახურებული მუშაკი. მის კალამს ეკუთვნის არაერთი წიგნი და სამეცნიერო ნაშრომი.

ეს სიყვარული, სითბო, მაღლის ქმნის სურვილი ფრონტზე არ დაუტოვებია, კაცთამკვლელ ომს არ გაუბოროტებია, საყვარელი კაცი იყო, კარგი დირექტორი და ხელმძღვანელი, კეთილიცა და მკაცრიც, ღიმილანიცა და მომთხონიც, პრინციპულიცა და სამართლიანიც. თანამშრომლებს ეამაყებოდათ, რომ გრიშა ჩაგანავა მათი დირექტორი იყო.

სიკვდილამდე ვერ შეეღია საყვარელ საქმეს, საყვარელ არქივს, თანაშეზრდილ თანამშრომლებს. წავიდა და თან გაიყოლა სითბო და სიყვარული, თანამშრომელთა ცრემლი და გულისტკივილი, სამაგიეროდ კი თაობას დაუტოვა კაცურკაცობის, ღირსეული ადამიანის ჭეშმარიტი სახე.

ღირსეული კაცი იყო და ოჯახიც ღირსეული ჰქონდა. **ლენა ზაქარეიშვილი** წლების განმავლობაში მასთან ერთად მხნედ ეწეოდა ოჯახის უძღვს.



ლენა ზაქარეიშვილი

ლენა ზაქარეიშვილი ჩოხატაურის რაიონის სოფელ საჭამიასერში დაიბადა 1925 წელს. ბათუმის საბუნებისმეტყველების ინსტიტუტის დასრულების შემდეგ მუშაობდა ბათუმის ნავთობბაზაში. 1947 წელს იგი ინიშნება საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივის გამგედ. მისი ახალი საზრუნავი არქივის კეთილმოწყობა და შემდგომი განვითარება, დოკუმენტების დაცვა და არქივის დოკუმენტებით გამდიდრება გახდა. თავად კეთილსინდისიერი და უანგარო, სხვებისგანაც ასეთ დამოკიდებულებას ითხოვდა. მისი მრწამსი იყო ყოველთვის მდგარიყო იქ, სადაც სჭირდებოდა ქვეყანას. 1963 წელს ლენა ზაქარეიშვილი ბათუმის შემდგომში ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელის საპასუხისმგებლო თანამდებობაზე ინიშნება. ამ პოზიციაზე მან 1979 წლამდე იმუშავა.

ლ. ზაქარეიშვილის პირადი ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა სემინარულ მეცადინეობებს, პერიოდულად

აწარმოებდა რაიონული არქივის დაკომპლექტების წყარო-ორგანიზაციებში საუწყებო არქივისა და საქმისწარმოების მდგომარეობის შესწავლას, რის შემდეგაც ისახებოდა ახალ-ახალი ღონისძიებები საარქივო საქმის სრულყოფის, საარქივო დოკუმენტების დაცვისა და შენახვის პირობების გაუმჯობესებისათვის. 1979-1983 წლებში ლ. ზაქარეიშვილი აჭარის ცსა-სთან არსებული დოკუმენტთა სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების სამეურნეო ანგარიშსწორების ჯგუფში უფროს არქივისტად აგრძელებს მუშაობას, კეთილსინდისიერი და ნაყოფიერი მუშაობისთვის მინიჭებული ჰქონდა აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება (1968 წ.), დაჯილდოებული იყო საპატიო სიგელებითა და მედლით „შრომითი მამაცობისათვის“.

ცხოვრების შუა გზაზე შემოადამდა. 1983 წელს სამუდამოდ დაემშვიდობა საყვარელ საქმეს, საყვარელ არქივს, მაგრამ დატოვა კვალი ნათელი.

დაუვიწყარია იმ არქივისტთა სახელები, რომლებმაც საარქივო დარგის განვითარებას თავიანთი ცხოვრების შესანიშნავი წლები აჩუქეს. მათ მიერ განვლილი ცხოვრებისეული გზა ნათელი მაგალითია მომავალი თაობებისა და ახალგაზრდა არქივისტებისათვის. მათ შორის შეიძლება დავასახელოთ: **თალიკო შეყილაძე, ლიანა ვანიძე, გუგული ანდღულაძე, ლილი ოთიაშვილი, გალინა მოსიძე, ნუნუ სკამკოჩაიშვილი, ვლადიმერ მკერვალიშვილი, შოთა გაბრუშიძე, მაყვალა (დოდო) თავაძე, ნანა კუჭაშვილი.** მათ ერთსა და იმავე სამსახურში თითქმის ნახევარი საუკუნე გაატარეს.

მკაცრი და მომთხოვნი, ამასთანავე ენერგიული და უღალატო - ასე იცნობდნენ **თალიკო შეყილაძეს** საარქივო დარგის მუშაკები.



თალიკო შეყილაძე

თალიკო შეყილაძე დაიბადა 1929 წლის 16 ივლისს, ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ბათუმს მიაშურა. 1953 წლიდან იგი ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია. მუშაობდა არქივარიუსად, დოკუმენტების სამეცნიერო - ტექნიკური დამუშავების ჯგუფის მუშაკად. 1994 წლიდან კი ცენტრალური სახელმწიფო არქივის არქივსაცავის გამგედ.

თალიკო შეყილაძე დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა როგორც დოკუმენტების სამეცნიერო - ტექნიკურ დამუშავებას, ასევე სახელმწიფო შენახვაზე შემოტანილი საარქივო საქმეების დაცვა - გამოყენებას. მან კარგად იცოდა, რომ ნებისყოფა, საქმის სიყვარული და ცოდნაა საჭირო, რომ ხელი მოჰკიდო წლების განმავლობაში ერთად თავმოყრილ ათასობით დოკუმენტს, გაარჩიო მათში მუდმივად და ხანგრძლივად შესანახი, გასანადგურებულად გამოსაყოფი, შემდეგ კი ეს ყველაფერი შესაბამისად დააღაგო, შეკრა, აკინძო, გააფორმო და თაობებს შემოუნახო. არც ის უნდა დაივიწყო, რომ ქალაქის ერთ პატა-

რა, თითქოს უნიშვნელო ნაგლეჯს შეიძლება უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდეს ისტორიისათვის.

ამ პრინციპითა და პროფესიული ეთიკით იგი 50 წელზე მეტხანს ემსახურა საყვარელ საქმეს. მისი პირადი საქმე სავსეა მადლობებით. საარქივო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის და არქივისტის დღესთან დაკავშირებით 2000 წლის 12 მაისს თალიკო შეყილაძე დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ერთი შეხედვით სუსტი, პატარა, ფაქიზი ქალი, მაგრამ შესანიშნავი სპეციალისტი, პროფესიონალი, თავდაჯერებული და ურთიერთობაში ზომიერი - ასე იცნობდნენ ლიანა ვანიძეს აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში.



ლიანა ვანიძე

ლიანა ალექსანდრეს ასული ვანიძე დაიბადა 1934 წელს ოზურგეთის რაიონის სოფელ დვაბზუში, მოსამსახურის ოჯახში. სოფლის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იგი ბათუმში ჩამოვიდა.

1960 წელს საქალაქო საბჭოს აღმასკომის არქივის გამგის ლენა ზაქარეიშვილის რეკომენდაციით ლ. ვანიძემ მუშაობა დაიწყო ბათუმის საქალაქო არქივში, ხოლო მისი გაუქმების შემდეგ 1963 წლიდან აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივშია. მალე იგი ამადლდა არქივარიუსის თანამდებობიდან უფროსი ფონდების მცველის, შემდეგ კი არქივსაცავის გამგის თანამდებობამდე. 43 წელი ემსახურა ლიანა ვანიძე საარქივო საქმეს. 43 წელი თავს დაფოფინებდა დოკუმენტებს. შესაშური სისუფთავე და სიფაქიზე მეფობდა მის არქივსაცავში და თვალს ახარებდა თაროებზე ლამაზად შეკრული და კოხტად დალაგებული საარქივო საქმეების ხილვა. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, ლაბორატორიული სამუშაოებისათვის საქმეთა შერჩევა, სოციალურ - უფლებრივი ხასიათის საარქივო ცნობების მომზადება და ამავდროულად მკვლევარებისათვის საქმეთა დროული მიწოდება - იყო მისი ყოველდღიური საქმიანობა. ამიტომაც ჩაიწერა მის პროფესიულ დახასიათებაში: „შეადგენს რა მის მოვალეობას საარქივო დოკუმენტების დაცვა - შენახვა, იგი პასუხისმგებლობით ეკიდება მასზე დაკისრებულ მოვალეობას“. სხვანაირად არც შეეძლო. მას გათავისებული ჰქონდა არქივის ფუნქცია და სწამდა, რომ ახალგაზრდა მკვლევარების მეცნიერული წრთობა შეუძლებელი იყო არქივის გარეშე. თავადაც საარქივო საქმიანობას შესწირა მთელი მისი შეგნებული ცხოვრება. ამბობდა კიდევ: „მე არქივს ცხოვრება შევწირე, საარქივო საქმეს ოჯახზე წინაც კი ვაყენებდი. ეს ხომ მხოლოდ ჩემი კი არა, სახელმწიფოს საქმეა.“ არქივი იქცა ლიანა ვანიძის მეორე ოჯახად. საარქივო საქმისადმი სიყვარული სახლშიც გაიყოლა და თავის ერთას - ინგა ფაცურეიშვილს ჩაუნერგა, რომელმაც ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ასევე არქივში დაიწყო მუშაობა და ამჟამად საარქივო სამმარ-

თველოს მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე წარმატებით აგრძელებს მუშაობას.

საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ლ. ვანიძეს 1978 წელს გადაეცა აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი. 2003 წლის 18 აპრილს ლიანა ვანიძის პირად საქმეში დაცულ მადლობებსა და საპატიო სიგელებს საქართველოს პრეზიდენტის მადლობაც დაემატა. საარქივო საქმის თავდადებული მუშაკი 2010 წელს გარდაიცვალა.

საარქივო საქმის განვითარებაში დიდია **გუგული ანდღულაძის** როლი. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების დიდი ნაწილი - 42 წელი ახალგაზრდა არქივისტების პროფესიულ აღზრდა - დაოსტატების საქმეს მოახმარა.



გუგული ანდღულაძე

„მთელი ჩემი ცხოვრება არქივში გავატარე. ამ წლებმა მე ცოდნა და გამოცდილება შეემძინა, ჩემი ქვეყნის ისტორიასთან, მის წარსულთან დამაახლოვა“ - სიამაყით

ამბობდა იგი და ახალგაზრდა სპეციალისტებსაც უნერგავდა საქმისადმი სიყვარულსა და პასუხისმგებლობას.

გუგული ამბროსის ასული ანდლულაძე დაიბადა 1933 წლის 15 მარტს, ოზურგეთის რაიონის სოფელ მელექედურაში. ოზურგეთის პედსასწავლებლის დასრულების შემდეგ (1958 წ.) იგი საცხოვრებლად ბათუმში გადმოვიდა. 1961 წლიდან გუგული ანდლულაძემ თავისი საქმიანობა აჭარის საარქივო დარგის განვითარებას დაუკავშირა. იგი მუშაობდა არქვისტად, უმცროს, შემდეგ უფროს მეცნიერ-მუშაკად, უფროს არქივისტად, ხელმძღვანელობდა სამეცნიერო - საცნობარო განყოფილებას. ნიჭიერმა და ენერგიულმა ახალგაზრდამ სწრაფად აითვისა საარქივო საქმიანობის სპეციფიკა. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა ნორმატიულ - მეთოდური დოკუმენტების მომზადებაში, ამუშავებდა რეფერატებს. გ. ანდლულაძის აქტიური მონაწილეობითა და ხელმძღვანელობით მომზადდა სახელმწიფო დაწესებულებების ცნობარი, გამოქვეყნდა ათეულობით სტატია და წერილი, გამოვიინდა და შედგენილი იქნა განსაკუთრებულ საქმეთა ანაწერები, ინსტრუქციები, სამეცნიერო - საცნობარო თვალსაზრისით გაუმჯობესდა ათობით ფონდი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის გ. ანდლულაძეს 1977 წელს მიენიჭა აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება. იგი დაჯილდოვებული იყო სსრკ მთავარი საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელით (1988 წ.), აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1999 წ.). 2002 წელს მისი შრომა და ღვაწლი დაფასდა რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი - „ღირსების ორდენით“ (ასსცსა, ფ. რ-1041; აღწ. 6; საქმე 2).

ღვაწლმოსილი არქივისტი გარდაიცვალა 2008 წელს და გაიყვანა თანამშრომელთა სიტბო და სიყვარული.

არქივი ისტორიკოსების, მეცნიერ - მუშაკების სამჭედლოა, მაგრამ ზოგჯერ სხვა პროფესიის ადამიანებსაც დაუტოვებიათ შესამჩნევი კვალი საარქივო საქმის განვითარებაში. მათ შორისაა **ლილი ოთიაშვილი** - დაუღალავი, კეთილსინდისიერი, შრომისმოყვარე და ავტორიტეტული არქივისტი. მან თავისი საქმიანობა საარქივო დაწესებულებას 1962 წელს დაუკავშირა.



ლილი ოთიაშვილი

ლ. ოთიაშვილი დაიბადა 1934 წლის 15 თებერვალს, ქობულეთის რაიონის სოფელ ლელვაში. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მშობლიურ სკოლაში იწყებს პედაგოგად მუშაობას. 1958 წელს ლ. ოთიაშვილი საცხოვრებლად გადმოვიდა ბათუმში. 1962 წელს იგი დაინიშნა აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ საარქივო სამმართველოს ინსპექტორად. პედაგოგიურმა აღლომ, საქმისადმი მათემატიკური

სიზუსტით მიდგომამ, სიფაქიზემ და კეთილშობილებამ იგი საარქივო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის საპატიო თანამდებობამდე აამაღლა. ლ. ოთიაშვილი მთელი სულითა და გულით, სუფთა სინდისით საარქივო საქმეს ემსახურებოდა 45 წლის განმავლობაში. მის სამსახურებრივ დახასიათებაში ვკითხულობთ: ლ. ოთიაშვილი 45 წლის მანძილზე „კეთილსინდისიერად ემსახურება მხარის ისტორიული წარსულისა და აწმყოს ამსახველი სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულების დოკუმენტების დაცვა - გამოყენების, რესპუბლიკის სამინისტროებში, გაერთიანებებსა და საწარმოებში საარქივო საქმისა და საქმისწარმოების განვითარების საქმეს“ (ასსცსა, ფ. რ-1041; აღწ. 6; საქმე 3; ფურც. 21).

ლ. ოთიაშვილი გასაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა რაიონული არქივების მუშაობას და გარკვეული წვლილიც შექონდა რაიონული სახელმწიფო არქივების მუშაობის სტილის, ფორმებისა და მეთოდების დახვეწასა და შემდგომ განვითარებაში.

სამსახურებრივ მოვალეობებს ლ. ოთიაშვილი კარგად უთავსებდა საზოგადოებრივ საქმიანობას. წლების განმავლობაში იგი იყო აჭარის ასსრ სასამართლოს შტატგარეშე ინსტრუქტორი, ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარე, საარქივო სამმართველოს (შემდგომში დეპარტამენტის) საექსპერტო - შემმოწმებელი კომისიის მდივანი და კოლეგიის წევრი. იგი წარმატებით უძღვებოდა საარქივო დარგის მუშაკთა პროფესიული დაოსტატების მუდმივმოქმედი სემინარის მუშაობას.

ღილი ოთიაშვილი ჩამოყალიბდა როგორც საარქივო საქმის კარგი სპეციალისტი, პატიოსანი, შრომისმოყვარე, თავმდაბალი მუშაკი, შესანიშნავი მოქალაქე და ხელმძღვანელი, რაც შესანიშნავად შეაფასა კიდევ საარქივო დარგის ხელმძღვანელობამ და რესპუბლიკის მთავ-

რობამ. ლ. ოთიაშვილი დაჯილდოვებული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1968 წ.), სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საარქივო სამმართველოსა და სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მთავარი არქივისა და აჭარის ასსრ სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირის საპატიო სიგელებით (1976;1988 წწ). მინიჭებული ჰქონდა „შრომის დამკვირვლის“ (1975 წ.), აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის (1978 წ.) საპატიო წოდებები.

კეთილი საქმე, შრომა და გარჯა კვალს არ კარგავს. საქართველოს რესპუბლიკის საარქივო სისტემის დაჯილდოვებულ მუშაკთა სიაში ღილი ოთიაშვილიცაა. მას 1997 წელს საქართველოს პრეზიდენტის მადლობა გამოეცხადა - საარქივო სისტემაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისათვის (ასსცსა, ფ. რ-1041; აღწ. 4; საქმე 340; ფურც. 34).

საინტერესო ბიოგრაფიითა და შრომითი საქმიანობით გამორჩეულ არქივისტა შორის განსაკუთრებულია **გალინა მოსიძე-საზგულოვა** დვაწლი და დამსახურება.



გალინა მოსიძე-საზგულოვა

გალინა ივანეს ასული საზგულოვა დაიბადა 1924 წლის 8 აპრილს, ლიპეცკის ოლქის ქალაქ უსმანში. 1947 წელს დაამთავრა ვორონეჟის სასოფლო - სამეურნეო ინსტიტუტი და თავისი ბედი ქართველ ახალგაზრდას, ბათუმელ გრიგოლ მოსიძეს დაუკავშირა.

ასე გადაიქცა უკრაინელი საზგულოვა ქართველების რძლად. იმავე წლის დეკემბერში გალინა მოსიძე მუშაობას იწყებს აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროსი მეცნიერ - თანამშრომლის თანამდებობაზე.

ფონდების დაკომპლექტება, დაცვა, აღრიცხვა, ფონდებში მომხდარი ყველა ცვლილების ზუსტი და დროული ასახვა - ეს ზოგადი ჩამონათვალია იმ სამუშაოებისა, რომელსაც იგი ყველდღიურად ასრულებდა. სააღრიცხვო დოკუმენტების: ფონდების სიების, მიღების წიგნის, ფურცლებისა და ბარათების წარმოება მან კატეგორიულად დახვეწა. ამ სამუშაოების შესრულება დიდ შრომასა და გამოცდილებას მოითხოვდა, რასაც მან წარმატებით გაართვა თავი და კომპეტენტური და მაღალი რანგის სპეციალისტის სახელი დაიმკვიდრა.

გალინა მოსიძის კეთილსინდისიერი შრომა შესაბამისად დაფასდა. იგი დააჯილდოვეს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელებით (1968; 1975 წწ.), ლენინის საიუბილეო მედლით (1970 წ.), „სოც-შეჯიბრებში გამარჯვებულის” სამკერდე ნიშნით (1975 წ.). 1975 წელს გ. მოსიძეს მიენიჭა აჭარის ასსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება (ასსცსა, ფ.რ-1041; აღწ4; საქმე 192). დვაწლმოსილი ქალბატონი 40 წელი (1987 წლამდე) ემსახურა საარქივო საქმეს. მის მიერ შედგენილი იქნა ინფორმაციები, ისტორიული ცნობები და ინსტრუქციები, რომლებიც დღესაც გვეხმარება საარქივო საქმისა და სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოების სრულყოფის საქმეში.

საოცარია ადამიანთა ხვედრი. ხშირად ბედი მათ იმ საქმეს აკეთებინებს, რაც მათი მოწოდება არ არის. არქივი სამეცნიერო დაწესებულებაა, სადაც ფართო სარბიე-ლია მეცნიერული კვლევა - ძიებისათვის, მაგრამ ის არ არის დაწესებულება, სადაც პოეტური სულისა და რომანტიკული ბუნების ადამიანი ლაღად გაშლიდა ფრთებს. სწორედ ასეთი ხვედრი ერგო წილად **ნუნუ გრიგოლის** ასულ **სკამკოჩაიშივილს**.



ნუნუ სკამკოჩაიშივილი

ნუნუ სკამკოჩაიშივილი დაიბადა 1943 წლის 24 აპრილს ოზურგეთის რაიონის სოფელ მაკვანეთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ იქვე სოფლის ბიბლიოთეკასა და კულტურის სახლში დაიწყო შრომითი საქმიანობა, მაგრამ ახალგაზრდა ქალიშვილის სხვა ოცნება ჰქონდა - იურისტობა სურდა, თუმცა ოჯახის ხელმოკლეობამ გზა გადაუღობა და ნიჭიერი ახალგაზრდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიული ფაკულტეტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი გახდა.

ბევრი გაჭირვება, ბევრი სიკეთეც უნახავს, ბევრი ცრემლი და ბევრი სიხარული ჰქონია, მაგრამ ყველაზე

ბედნიერად წიგნებთან მუშაობის დროს გრძნობდა თავს. მისი სტატიები, გამოკვლევები ხშირად იბეჭდებოდა არამარტო ადგილობრივ პრესაში, არამედ საქართველოს სახელმწიფო საარქივო დეპარტამენტის სამეცნიერო - საინფორმაციო ბიულეტენში.

განსაკუთრებით ბედნიერი იყო, როცა აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის სამკითხველო დარბაზს ხელმძღვანელობდა. კონფერენციები, შეხვედრები ქალაქის მოწინავე და ცნობილ ადმიანებთან, ურთიერთობა მკვლევარებთან, რომელთა შორის მეცნიერები, პედაგოგები, იურისტები, ხშირად კი მოსწავლეებიც იყვნენ, მას ხალისით ავსებდა. გულთბილი ურთიერთობისა და პროფესიული დახმარებისათვის არა ერთი მაღლობა მიუღია მათგან. „მე მისგან (ნუნუ სკამკოჩაიშვილისაგან) ბევრი რამ ვისწავლე არა მარტო გამოვლინების, არამედ ადამიანობის დარგშიც“ - წერდა მის შესახებ თალიკო ბოლქვაძე, ხოლო აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კაბინეტის გამგეს ნოდარ დარსანიას შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაუწერია: „მაღლობა ქალბატონ ნუნუ სკამკოჩაიშვილს გულთბილი, გულისხმიერი მიღებისა და სანიმუშო მომსახურებისათვის“. მაღლიერების სიტყვებს არ იშურებენ აგრეთვე ადგილობრივი მკვლევარებიც. მათ შორისაა პროფესორი ოთარ თურმანიძე, რომელიც აღნიშნავს: „ჩემი შრომები ნუნუს დაუზარელი და გულთბილი მომსახურების შედეგად დაიწერა“.

ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა ეროვნული საარქივო ფონდის დაცვის, აღრიცხვისა და სანეცნიერო - საცნობარო აპარატის განყოფილებაში, რომელსაც ჩვეული მომთხოვნელობითა და პასუხისმგებლობით უძღვებოდა. იგი არ დაღატობდა თავის პროფესიულ ეთიკას აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის სშკ-ის მდივნობისა და ექსპერტად მუშაობის დროსაც, მაგრამ ყოველთვის აწუხებ-

და ის გარემოება, რომ არქივის მნიშვნელობა არ იყო კარგად გათავისებული და მეორეხარისხოვან დაწესებულებად ითვლებოდა სამთავრობო სტრუქტურებსა და საზოგადოებაში. ამიტომაც ამბობდა გულისტკივილით: „სამწუხაროდ არქივის გაგება ფართო საზოგადოებაში არ არის ისეთი, როგორც სასურველია. არქივი ჩვენი ისტორიაა დოკუმენტებში გაცხადებული. საზღვარგარეთ, ხელისუფლების შემდეგ არქივს მიაგებენ პატივს, არქივი სახელისუფლებო დონეზეა აყვანილი. ზემოთხსენებული მოვლენა დიდ სიხარულს მანიჭებს, რადგან მთელი ცხოვრება არქივს შევწირე. საქართველოს საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის თამჯდომარე ბატონი **ზურაბ მახარაძე აღნიშნავდა, რომ არქივში მომუშავე ქალები შეწირულები არიან.** მეც ვეთანხმები მას და ვთვლი, რომ საარქივო დარგის მუშაკები თავიანთ საქმეს მართლაც ეწირებიან. მე შემოდღია არქივისტის მუშაობა დიდი ოჯახის დიასახლისის მუშაობას შევადარო. ჩვენი თანამშრომლები დიდიდან სადამომდე მუხლჩაუხრელად მუშაობენ. ჩვენი შრომა თითქოს კულუარულია, მაგრამ ჩვენ უდიდეს საარქივო საქმეს ვემსახურებით. ზოგს არქივი მტკვერისა და ქაღალდის გროვა ჰგონია, მაგრამ ეს ასე არ არის, არქივი ძველი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს თქმისა არ იყოს, მუდრო და მოსასვენებელი ადგილია. არქივი მთელი ჩემი ცხოვრებაა, ყოველი ფურცელი, ყოველი დოკუმენტი ისე მიყვარს, როგორც მშობელს უყვარს საკუთარი პირმშო, როგორც შემოქმედებით ადამიანს უყვარს თავისი ლექსი, თავისი მუსიკა. აი ეს არის არქივი ჩემს ცხოვრებაში. მე მინდა ყველას მოვუწოდო, ნუ შეხედავენ არქივს ისე, თითქოს იგი არაფერს წარმოადგენს. მთელი ჩვენი ქვეყნის უდიდესი საუნჯე არქივშია თავმოყრილი. ამ თვალსაზრისით მის არსებობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს“.

პროფესიული საქმიანობისა და კეთილსინდისიერი შრომისათვის ნ. სკამკოჩაიშვილი დაჯილდოვებული იყო საპატიო სიგელებით, მიღებული ჰქონდა მადლობები, ხოლო 1997 წელს „საქართველოში საარქივო დარგის განვითარებაში შეტანილი წვლილისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი მუშაობისათვის” საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით გამოეცხადა მადლობა (ასსცსა, ფ. რ-1041; აღწ. 4; საქმე 340).

დრო და დრო ნუნუ სკამკოჩაიშვილს, როგორც ნამდვილ პოეტს რომანტიკა მოეძალებოდა, კალამს ხელში აიღებდა და მისი გრძნობები ლექსის სტრიქონებად ჩამოიღვრებოდა. ლექსი „ისტორიის კარიბჭესთან” ერის საგანძურს, არქივს მიუძღვნა:

რძისფერ ნისლებს დაუბერავს ქარი
გადიხსნება სარკოფაგის კარი,
დადუმებულ მუმიების გვერდით
ხავსწაყრილი ძელქვები და ძვლები.

დახუნძლულა ვით ხეხილი ბაღში
ლოკუმენტა საოცარი მთები,
სიბრძნის სიტყვა ასე საძიებო
ისტორიის გარდასული წლები.

გაკრთომია ცის ვარსკვლავებს ფერი
გადაყვითლდა პერგამენტი ბევრი,
მეტყველებენ ძვლები, მუმიები,
ლოკუმენტა უჩინარი ენით.

ქარიშხლები გადაივლის ქვეყნად
შეიცვლება თაობებიც ბევრი,
შეუცვლელი რჩება საგანძური
ეროვნული ეს სიმდიდრე ძველი.

სადღაც მთებზე ჩამოთოვა ფიფქი
დაითროვილა საცავებში მტვერიც,
აჩრდილების საუბარი მესმის
გაცოცხლდენო ძვლები, მუმიები.

80-წლის მოიყარე თითქოს
მაგრამ მარად ახალგაზრდა რჩები,
ამოუხსნელ ქარაგმებად გვესმის
წინაპართა შორეული ხმები.

კიდევ ბევრჯერ დაუბერავს ქარი,
ისევ რძისფერ ნისლებს გადაფანტავს,
არქივები - ერის საგანძური
კვლავ დარჩება ისტორიის კართან.

36 წელი ემსახურა ეს კეთილშობილი ქალბატონი
საარქივო საქმეს. იგი 2008 წელს გარდაიცვალა. განათ-
ლებით ისტორიკოსი, ბუნებით რომანტიკოსი, სისხლით
ხორცამდე ქართველი ქალი - ასეთად დაამახსოვრდათ
იგი საარქივო დარგის მუშაკებს.

ამაგდარ არქივისტებს შორის განსაკუთრებულია
ვლადიმერ პლატონის ძე მკერვალიშვილის დამსახურება.
იგი დაიბადა ბათუმში, 1925 წლის 1 დეკემბერს.



ვლადიმერ მკერვალიშვილი

ვ. მკერვალიშვილმა 1967 წელს დაამთავრა მოსკოვის სახელმწიფო საისტორიო - საარქივო ინსტიტუტი, თუმცა საარქივო სისტემაში სამუშაოდ მოგვიანებით, 1974 წელს მოვიდა. 1974-1979 წწ. მუშაობდა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში უფროს მეცნიერ-მუშაკად, ხოლო 1979-1993 წლებში ხელმძღვანელობდა ხელვაჩაურის რაიონულ სახელმწიფო არქივს. რაიონის წარმოება - დაწესებულებების საქმიანობის პროცესში წარმოქმნილი დოკუმენტების დაცვისადმი მკაცრი კონტროლი, ზრუნვა არქივში დოკუმენტების თავმოსაყრელად და ზოგადად, საარქივო დარგის შემდგომი განვითარება იყო მისი საქმიანობის ყოველდღიურობა და საზრუნავი. 1993 წელს იგი გადმოყვანილი იქნა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში, ჯერ უფროს მეცნიერ - თანამშრომლად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ.



ვლ. მკერვალიშვილი, თათბირი ხელვაჩაურის რაიონულ არქივში (1987 წელი)

ვლადიმერ მკერვალიშვილმა კალამი მოსინჯა როგორც მეცნიერებაში, ასევე პუბლიცისტიკაში. მის მიერ დაწერილ მონოგრაფებსა და სამეცნიერო ნაშრომებს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა. საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის ვ. მკერვალიშვილი დაჯილდოვებული იყო საარქივო საქმის წარჩინებულის „სამკერდე ნიშნით“, მიღებული ჰქონდა აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1996 წ.), საქართველოს პრეზიდენტის მადლობა (1999 წ.) და რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო „ღირსების ორდენი“ (ასსცსა, ფ. რ-1041; აღწ. 4; საქმე 256).

პროფესიული საქმიანობის პარალელურად ვ. მკერვალიშვილი აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. იგი არჩეული იყო ხელვაჩაურის რაისაბჭოს დეპუტატად, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის საზოგადოების აჭარის განყოფილების პასუხისმგებელ მდივნად.

საარქივო საქმის დიდმა გულშემატკივარმა, მინდობილი საქმის კეთილსინდისიერმა შემსრულებელმა და

პირნციპულმა მუშაკმა, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება არქივს დაუკავშირა. ვლადიმერ მკერვალიშვილი გარდაიცვალა 2007 წელს. არქივში დაცულია მისი, როგორც არქივისტისა და საზოგადო მოღვაწის პირადი ფონდი (რ-402).

საოცარი სიყვარულით, ჯანსაღი და ხალასი იუმორით იხსენებდნენ **შოთა გაბრუშიძეს** თანამშრომლები, რომლის ცხოვრების გზა ერთი ჩვეულებრივი პროფესიონალის ბიოგრაფიაა.



შოთა გაბრუშიძე

შ. გაბრუშიძე დაიბადა 1929 წელს, ბათუმის რაიონის სოფ. ჩიქუნეთში. 7-წლიანი სკოლისა და პედაგოგიური სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო სოფლის სკოლაში ისტორიის მასწავლებლად. პარალელურად, 1962-1966 წწ. სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტზე. მარტო პედაგოგიური მოღვაწეობა არ იყო შ. გაბრუშიძის მოწოდება. „საერთოდ მასწავლებლობაზე პრეტენზიას არ ვაცხადებ, მაგ-

რამ მაქვს მომავლის გარკვეული პერსპექტივა, მსურს ვიმუშაო ჩვენი მხარის ისტორიის ამსახველ რომელიმე აქტუალურ თემაზე” - წერდა იგი. აღნიშნული მიზნის განხორციელება შესაძლებელი იყო ცენტრალურ სახელმწიფო არქივში. აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის დ. დიასამიძის სახელზე გაგზავნილ განცხადებაში შ. გაბრუშიძე აღნიშნავს: „გთხოვთ გაითვალისწინოთ მომავლისადმი ჩემი მისწრაფება და გამიწიოთ დახმარება აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში სამუშაოს დასაწყებად” (ასსცსა, ფ. რ-1041; აღწ.4; საქმე 148). 1967 წლიდან იგი აჭარის ასსრ ცს არქივის უმცროსი მეცნიერ - მუშაკია. მალე იგი დააწინაურეს უფროსი მეცნიერ - მუშაკის (1971 წ.), ხოლო შემდეგ საცნობარო განყოფილების ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ნიშანდობლივია, რომ განყოფილებაში მხოლოდ ქალები იყვნენ დასაქმებული. შესაბამისად ხშირი იყო ხმამაღალი სიცილი, ხმაურიანი საუბრები, მაგრამ ბატონ შოთას არ გაჭირვებია მათთან ურთიერთობა და მათდამი პატივისცემით, სიფაქიზით, პასუხისმგებლობითა და სითბოთი აკეთებდა თავის საკეთებელს. ისტორიული განათლება თითქოს მოერგო განყოფილების სტილს. ფონდების პ/საქმეებში დღესაცაა დაცულია შ. გაბრუშიძის ხელმოწერით შედგენილი არაერთი ფონდის წინასიტყვაობა.

შ. გაბრუშიძის პირად საქმეში უხვადაა საპატიო სიგელები, სამკერდე ნიშნები. ყველაზე დიდ ჯილდოდ - „საარქივო საქმის ფრიადოსანის” სამკერდე ნიშანი მიანიჭდა. მას ჭეშმარიტად უყვარდა არქივი. იგი ნამდვილად იყო საარქივო საქმის ფრიადოსანი.

აჭარის არ ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არაერთი მომავალი მეკვლევარი დაკვალიანდა და დაფრთიანდა. მათ შორისაა საარქივო საქმის შესანიშნავი სპეციალისტი **მაყვალა (დოდო) თავაძე**. სწორედ არქივში მიღე-

ბული ცოდნა - გამოცდილება გახდა მისი სამეცნიერო წარმატებების საფუძველი ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო - კვლევით ინსტიტუტში.



მაყვალა (დოდო) თავაძე

მაყვალა მოსეს ასული თავაძე დაიბადა 1934 წელს, ქალაქ ოზურგეთში. მან ბავშვობიდანვე შეიყვარა ისტორია და საარქივო საქმიანობა. ამიტომაც 1953 წელს, ქალთა N 4 გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, არქივმცოდნეობის მიმართულებით გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება. გამოცდებიც ჩააბარა მოსკოვის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში, თუმცა კონკურსში ვერ გავიდა. ნიჭიერ ახალგაზრდას გული არ გაუტეხია და სამუშაოს დასაწყებად აჭარის ასსრ ცენტრალურ სახელმწიფო არქივს მოაკითხა. აქ იგი გულთბილად მიიღეს, ხელი შეუწყვეს და შრომაც ასწავლეს. მალე მისი ოცნებაც ახდა. იგი მოსკოვის საარქივო ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების სტუდენტი გახდა.

მაყვალა თავადქს არქივში საარქივო დოკუმენტების აღიციხვა ევალეხოდა. იგი ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულეხდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. მის დახასიათებაში ვკითხულობთ: „მაყვალა თავადქმ საარქივო საქმე იცის კარგად და ცდილობს კიდევ უფრო ღრმად შეისწავლოს იგი“. მ. თავადქ დაუღალაღად შრომობდა, ცდილობდა რაც შეიძლება ბევრი გაეგო, გაცნობოდა ახალ - ახალ საარქივო დოკუმენტს. საარქივო მასალების საფუძველზე მომზადდა მისი საკანდიდატო დისერტაცია: „აჭარის პროფესიული კავშირების ისტორიიდან (1905-1921 წწ.)“, რომელიც წარმატებით დაიცვა.

მაყვალა თავადქს თავდაუზოგავი შრომა დაფასდა. იგი დაჯილდოვებული იყო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით (1968 წ.) და მედლით „მამაცური შრომისათვის“ (1970 წ.) (ასსცსა, ფ. რ-1041; აღწ. 4; საქმე 169). სახელოვანი არქივისტი გარდაიცვალა 1996 წელს.

საოცარი ხიბლით, შრომისმოყვარეობით, თავაზიანობით, პროფესიონალიზმით და სხვა საუკეთესო ადამიანური თვისებებითაა გამორჩეული **ნანა კუჭაშვილი** - უანგარო პიროვნება, ზნეკეთილობით, კლდევამოსილებით, მეგობრობის უზადო ნიჭით დაჯილდოებული ქალბატონი, საარქივო საქმის შესანიშნავ სპეციალისტი.



ნანა კუჭაშვილი

ნანული (ნანა) შალვას ასული კუჭაშვილი დაიბადა 1950 წლის 4 სექტემბერს ქ. ფოთში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, შრომითი საქმიანობის პარალელურად მან დაამთავრა ამიერკავკასიის კომკავშირული სკოლა.

1978 წლიდან ნანა კუჭაშვილი აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში არქივარიუსის თანამდებობაზე იწვევს მუშაობას. 1989 წელს იგი ინიშნება მეორე კატეგორიის არქივისტად. 1993 წლიდან ნ. კუჭაშვილი არქივსაცავის ფონდების მცველია. მოგვიანებით იგი ასრულებს მთავარი სპეციალისტის მოვალეობას. ამ რანგში მან 2010 წლამდე იმუშავა. ზედმიწევნით კარგად იცოდა არქივში დაცული ფონდების შემადგენლობა, პასუხისმგებლობით ეკიდებოდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას. საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, არქივსაცავში დაცული საქმეების დაცვა - აღრიცხვა, მოქალაქეებთან თავაზიანი და პროფესიონალური ურთიერთობა ხელს უწყობდა მისი ავტორიტეტის განუხრელ ზრდას. გეგმიური დავალების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის სხვადასხვა დროს დაჯილდოებული იყო საარქივო

დეპარტამენტის სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით. 1999 წელს გამოეცხადა აჭარის არ საარქივო დეპარტამენტის მადლობა. 2000 წელს კი გადაეცა აჭარის არ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (ას-სცსა, ფ. რ-1041; აღწ. 4; საქმე 320). ქალბატონი ნანა პენსიაზე გასვლის შემდეგაც ინარჩუნებს არქივის თანამშრომლებთან თბილ და მეგობრულ ურთიერთობას.

დიდი სიყვარულითა და პატივისცემით იხსენებენ მაღალზნეობრიობითა და პროფესიონალიზმით გამორჩეულ არქივისტს **ნადეჟდა – ნადია კოპლატაძეს**.



ნადეჟდა კოპლატაძე

მან 1993 წელს დაიწყო მუშაობა აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში პირადი შემადგენლობის დოკუმენტების დაცვისა და გამოყენების განყოფილებაში არქივისტის თანამდებობაზე. თავმდაბალი, კეთილსინდისიერი და უპრეტენზიო მუშაკი მალე არქივისტებისათვის სამაგალითო თანამშრომელი გახდა. მის სამსახურებრივ ბიოგრაფიაში ვკითხულობთ: „ნადეჟდა კოპლატაძემ მალე

აულო აღლო საარქივო საქმიანობას. განსაკუთრებით დიდ დახმარებას უწევს განყოფილებას რუსულენოვან დოკუმენტებზე მუშაობაში, გამოირჩევა საქმისადმი ფაქიზი მიდგომით, არის კარგი მეოჯახე, დედა, ბებია”- (ასსცსა, ფ. რ-1041 აღწ.4, საქ318, ფურც. 14). აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების 120 წლისთავთან დაკავშირებით (1998 წელს) საარქივო დარგის განვითარებაში მიღწეული წარმატებისათვის” ნ. კოპლატაძე დაჯილდოვდა საარქივო დეპარტამენტის საპატიო სიგელით.

ნადია კოპლატაძეს პენსიაზე გასვლის შემდეგაც არ შეუწყვეტია ურთიერთობა თავის ძველ კოლეგებთან და საარქივო სამმართველოსთან. მას დღესაც ბავშვური სიხარულით ახარებს იმ სამეცნიერო დაწესებულების წარმატება, სადაც გაატარა თავისი შრომითი საქმიანობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

საარქივო საქმის განვითარებაში დიდია **ვლადიმერ ოდიშარიას** (1946-1947), **ლევან კალანდარიშვილის** (1962-1963), **ტოფია ფრანგიშვილის**, **შალვა აბაშიძის** (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, 1989-2002) და სხვათა წვლილი, რომლებიც ასევე უმძიმეს პერიოდში ედგნენ სათავეში აჭარის საარქივო დაწესებულებას.

აჭარის საარქივო დაწესებულებას 14 წლის განმავლობაში ედგა სათავეში ბრწყინვალე ორგანიზატორი, ნოვატორი, საარქივო დარგის შესანიშნავი სპეციალისტი **შალვა აბაშიძე**. აჭარის არ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 10 ივლისის ბრძანებულებით იგი დაინიშნა საარქივო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე.



შალვა აბაშიძე

შ. აბაშიძემ დანიშენისთანავე დაიწყო აქტიური საქმიანობა საარქივო დარგის შემდგომი განვითარებისათვის. მისი ხელმძღვანელობით დაიხვეწა საარქივო საქმიანობის სტილი, ფორმები და მეთოდები, განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მისი დამსახურებაა დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორიის შექმნა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და ტექნიკური დოკუმენტების განყოფილებების ფორმირება, კინოვიდეოფოტოფონო დოკუმენტების არქივის ჩამოყალიბება, საქართველოს ეროვნულ და ქუთაისის სახელმწიფო არქივებთან საქმიანი ურთიერთობების დამყარება, აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტსა და თურქეთის არქივების გენერალურ გაერთიანებას შორის მეგობრული ურთიერთობების დამყარების მცდელობა.

შ. აბაშიძემ დიდი როლი შეასრულა კულტურულ-შემეცნებითი და სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებების ორგანიზაციისა და ჩატარების თვალსაზრისით. იგი არის ათობით პუბლიკაციის ავტორი, არაერთი კრებულის რედაქტორი, „მეგზურის“ ახალი, შევსებული ვარიანტის (ხელნაბეჭდის სახით) მომზადების ინიციატორი და ხელმძღვანელი.

ენერგიული, საქმიანი ხელმძღვანელი გამორჩეული იყო თანამშრომლებთან ურთიერთობის თვალსაზრი-

სითაც. საარქივო სამმართველოს კედლებს გარეთ იგი იყო თავისი კოლეგების უპირველესი დამცველი, მათი ღვინისა და ჭირის გამზიარებელი, თუმცა საქმეში იყო შეუპოვარი, პრინციპული და სამართლიანი. საარქივო დოკუმენტებში დაცულია მისი ხელით დაწერილი უამრავი თხოვნა სათანადო არგუმენტაციით შტატების მომატების, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების, თანამშრომელთა წახალისების, დაჯილდოების, ჯამრთელობისათვის მავნე სამუშაოებზე დასაქმებულ თანამშრომელთა შრომითი პირობების გაუმჯობესების, ხელფასების მომატების თაობაზე. მისი დაუღალავი შრომის შედეგად საარქივო დაწესებულებაში შტატების რაოდენობა გაიზარდა 30-დან 80 ერთეულამდე.

საარქივო საქმიანობას მიუძღვნა თავისი შეგნებული ცხოვრება დამსახურებულმა არქივისტმა **ტოფია ფრანგიშვილმა**. იგი 1923 წ. დაიბადა სოფელ კეთილარში (აბაშის რაიონი). მეორე მსოფლიო ომის დროს იგი იბრძოდა აღმოსავლეთ პრუსიაში, შემდეგ კენიგსბერგში.



ტოფია ფრანგიშვილი

დემობილიზაციის შემდეგ, 1949 წლიდან საცხოვრებლად გადმოდის ბათუმში. სხვადასხვა დროს მუშაობ-

და: კეთილარის და სუჯუნის ზოოვეტუბანში, აჭარის შსს ხ/დაცვის განყოფილებაში, ცენტრალურ შემნახველ საღაროში (გამგედ), ფესსაცმელების ფაბრიკაში, ხე-ტყის დამამუშავებელ და მექანიკურ სახელოსნოში და ა. შ. 1989 წლიდან იგი მუშაობს აჭარის საარქივო სამმართველოსთან არსებულ კოოპერატივ „არქივმცოდნე“-ს ჯგუფში, 1994 წლიდან კი ცსა-ში სამეურნეო ნაწილის გამგეა. მოგვიანებით (1997 წ.) იგი დაინიშნა ცსა-ის დირექტორის მოადგილედ სამეურნეო დარგში. არქივთან მას არ გაუწყვეტია თანამშრომლობა პენსიაზე გასვლის შემდეგაც.

საარქივო საქმის განვითარებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ომისა და შრომის ვეტერანმა **ნიკოლოზ (კოლია) თოღაძემ**.



კოლია თოღაძე

კ. თოღაძე დაიბადა 1925 წელს ხონის რაიონის სოფელ შრომისუბანში. 1942 წელს, ჯერ კიდევ მე-10 კლასის მოსწავლე სასწავლებლად ერევნის სამხედრო სასწავლებელში ჩაირიცხა. მალე იგი მოხალისედ წავიდა ჯარში და მტერთან მძიმე და შეუბრალებელ ბრძოლებში ჩაერთო.

1956 წელს კ. თოდაძემ მოსკოვის საარქივო ინსტიტუტში ჩააბარა, მაგრამ რუსეთის მკაცრმა ზამთარმა ომში მიღებული ჭრილობები გაუმიზიჭა, რის გამოც იძულებული გახდა ინსტიტუტი მიეტოვებინა. მოგვიანებით, კ. თოდაძე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა.

1973 წელს კ. თოდაძემ მუშაობა დაიწყო აბაშის რაიონის არქივის სამეურნეო, მოგვიანებით კი ქობულეთის რაიონული სახელმწიფო არქივის დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების ჯგუფში. საარქივო საქმის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის კ. თოდაძეს არაერთხელ გამოეცხადა საარქივო დარგის ხელმძღვანელთა მადლობები.

გამორჩეული და პროფესიონალი სპეციალისტებით გამოირჩევა აგრეთვე საარქივო სამმართველოს **ტერიტორიული ორგანო - რაიონული არქივები**. დაუვიწყარია ქობულეთის რაიონული არქივის თანამშრომლების: **შუქრი გუგუნავას, ელისო მექვაბიშივილის, ბაბილინა გეგელიას, ჰენრი გოგავას** და სხვა ღირსეული არქივისტების საქმიანობა. ზოგიერთ მათგანზე გვინდა შევჩაეროთ მკითხველის ყურადღება.

ჟუჟუნა რომანაძე ბოლო პერიოდის გამორჩეული არქივისტი. იგი ქობულეთის რაიონულ არქივს სათავეში ჩაუდგა 1968 წელს.



ჟუჟუნა რომანაძე

სასარგებლო და ნაყოფიერი მუშაობისათვის ჟ. რომანაძეს რამდენჯერმე გამოცხადებული აქვს საარქივო საქმის ხელმძღვანელობის მადლობები, დაჯილდოვებულია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის (1978 წ) და აჭარის ასსრ საარქივო სამმართველოს საპატიო სიგელე-ბით, 1997 წლის 9 სექტემბერს საარქივო დარგში შეტანი-ლი წვლილისა და ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათ-ვის გამოეცხადა საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, ხოლო 2000 წელს მიენიჭა „აჭარის ავტონომიური რესპუბ-ლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება“.

თვალსაჩინო არქივისტთა შორის უნდა დავასახელოთ **გუგული იმედაიშვილი**, რომელმაც სიყვარულითა და ერ-თგულებით 36 წელი გაატარა აჭარის საარქივო სისტემაში.




გუგული იმედაიშვილი

იგი 1946 წლის 9 ივნისს დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ მანხვარეთში. აქვე დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში - ბიბლიოთეკარის სპეციალობაზე, თუმცა ოჯახური პირობების გამო სწავლა ვედარ განაგრძო და საცხოვრებლად ქ. ბათუმში გადმოვიდა.

1971 წელს მუშაობა დაიწყო ხელვაჩაურის რაიონის სახელმწიფო არქივში ფონდების მცველად. მას შემდეგ საარქივო დოკუმენტებზე ზრუნვა, მათი დაცვა და გამოყენება იქცა მის უპირველეს საქმიანობად, სიყვარულითა და უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას. საარქივო საქმეში მიღწეული წარმატებებისათვის გ. იმედაიშვილი დაჯილდოებული იყო აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით (1998 წელს), ხოლო 2000 წლის 12 მაისს კი აჭარის არ უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით (ასსცსა, ფონდი რ-1041; აღწ. 4; საქ. 313).

გუგული იმედაიშვილმა 2007 წლამდე იმუშავა საარქივო სფეროში და დაიმსახურა კარგი სპეციალისტისა და უანგარო არქივისტის სახელი.

რაიონული დოკუმენტსაცავების გამორჩეულ არქივისტებს შორისაა **ილია დიასამიძე**, რომელიც 1949 დაინიშნა ქედის რაიონული არქივის გამგედ (ასსცსა, ფ.რ-1041; აღწ.4; საქ.155). სწორედ მისი დაუღალავი შრომისა და საქმისადმი პრინციპული დამოკიდებულებით მოკლე დროში რაიონულ არქივში 7 000 საქმეთა ერთეულს მოუყარა თავი.



ილია დიასამიძე

თავდაპირველად ქედის არქივის განყოფილებას შენობა არ ჰქონდა და წლების განმავლობაში „სელეპოს“ ოთახში იყო შეხიზნული. ი. დიასამიძემ შეუპოვარი პრინციპულობით მიაღწია რაიონულ ცენტრში არქივისათვის შენობის გამოყოფას, რომელზეც შემდგომში დააშენეს ერთი სართული.

საარქივო საქმის დიდი გულშემატკივარი, მინდობილი საქმის კეთილსინდისიერი შემსრულებელი, პრინციპული და სამართლიანი - ასეთად შემორჩა საარქივო დარგის ისტორიას ილია დიასამიძის სახელი, რომელმაც 38 წლის განმავლობაში, 1949 წლიდან 1987 წლამდე უხელმძღვანელებს ქედის არქივს. მისი შრომა სათანადოდ დაფასდა. დაჯილდოებული იყო საპატიო ნიშნებითა და სიგელებით.

საარქივო დარგის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორისაა **დიმიტრი ბოლქვაძე**, რომელსაც 25 წლის განმავლობაში (1961-1986 წწ.) მოუწია მუშაობა რაიარქივის გამგის თანამდებობაზე.




დიმიტრი ბოლქვაძე

საარქივო საქმის დიდი გულშემატკივარი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას და სხვებისაგანაც ამას მოითხოვდა. კეთილსინდისიერება იყო მისი პიროვნების ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული თვისება. ამავე დროს იგი ხასიათდებოდა პრინციპულობითა და სამართლიანობით. ყოველივე ამან განაპირობა დ. ბოლქვაძის 25 წლიანი მუშაობა ხულოს რაიონულ არქივში.

1986 წელს დიმიტრი ბოლქვაძე ამ თანამდებობაზე **თემურ ჯორბენაძემ** შეცვალა. იგი 1990 წლამდე ეღვა სათავეში რაიონის არქივს.

რაიონული არქივის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შორისაა შუახვევის რაიონული არქივის პირველი ხელმძღვანელი **ქაჯიმ დუმბაძე**. მის პირად საქმეში დაცულია აჭარის ასსრ საარქივო განყოფილების უფროსის ტ.

ნეფედოვას წერილი შუახევის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის წულუკიძისადმი - ქაზიმ დუმბადის არქივის გამგედ დანიშვნის თაობაზე. ამავე წერილით ტ. ნეფედოვა თხოვნით მიმართავს შუახევის რაიადმსკომის თავმჯდომარეს: „გთხოვთ გამოუყოთ სამუშაო ოთახი და შენობა საარქივო მასალების შესანახად, აგრეთვე გაუწიოთ დახმარება დუმბადეს შუახევის რაიონის ტერიტორიაზე განლაგებული ორგანიზაციების, დაწესებულებების, სასოფლო საბჭოების, კოლმეურნეობების და სკოლების საარქივო მასალების დაცვის უზრუნველყოფის საქმეში (ასსცსა, ფ. რ-1041, აღწ 4,საქ 161, ფურც5)



ქაზიმ დუმბადე

ფაქტიურად ქ. დუმბადის მხრებზე გადავიდა შუახევის რაიონში არქივის დაკომპლექტებისა და ჩამოყალიბების რთული სამუშაოები. ის იყო საარქივო საქმის გზამკვლევი შუახევის რაიონში.

ქ. დუმბადე 1922 წელს დაიბადა ხულოს (შემდგომში შუახევის) რაიონის სოფ. ჩანჩხალოში. აქვე დაამთავრა 8-წლიანი სკოლა. 1947 წელს სწავლა განაგრძო ქ. ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ სასწავლებელში, მაგრამ სწავლა აღარ დაუსრულებია.

1950-1951 წლებში მუშაობდა სოფელ ჩანჩხალოს სა-
სოფლო კლუბთან არსებული ბიბლიოთეკის გამგედ,
1951-1954 წწ. მსახურობდა არმიაში. არმიიდან დემობილი-
ზაციის შემდეგ დაიწყო მუშაობა შუახევის რაიონის
მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ინსტრუქ-
ტორად. სწორედ აქედან გადაიყვანეს ქ. ღუმბაძე შუახე-
ვის რაიონის არქივის გამგედ.

1962 წელს შუახევის და ხულოს რაიონების გაერთ-
იანებასთან დაკავშირებით, აჭარის საარქივო განყოფი-
ლების ბრძანებით ქ. ღუმბაძე დაინიშნა ხულოს არქივში
არქივარიუსად (1963 წლის 1 აპრილიდან), ხოლო 1964
წლიდან, შუახევის რაიონის ხელახალი გამოყოფის შემ-
დეგ ისევ, შუახევის რაიონულ არქივის გამგის თანამდე-
ობაზე მოუწია მუშაობის გაგრძელება (1979 წლამდე).

საარქივო დარგის განვითარებაში მნიშვნელოვანი
წვლილი შეიტანა აგრეთვე **ვალერიან ხიმშიაშვილმა, რო-
მელიც** შუახევის რაიონულ არქივში - სამეურნეო ჯგუფის
მუშაკად იწყებს მუშაობას 1972 წლიდან. უწყებათა
დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავება და
მოწესრიგება გადაიქცა ვალერიან ხიმშიაშვილის უპირ-
ველეს საზრუნავად.

34 წელი ემსახურა რაიონის ისტორიული წარსული-
სა და აწმყოს ამსახველი სამეცნიერო თუ პრაქტიული
ღირებულების დოკუმენტების დაცვის, შენახვისა და გა-
მოყენების საქმეს. იგი კარგად იცნობდა რაიონის წარმო-
ება-დაწესებულებების საქმიანობას, იცოდა მათ მიერ შექ-
მნილი დოკუმენტების მნიშვნელობა და ღირებულება.
სწორედ ამიტომ იღწვოდა ისე აქტიურად დოკუმენტების
შეგროვების, თავმოყრისა და საარქივო ფონდის სახის მი-
საცემად. 2006 წლის 16 იანვარს 67 წლის ვალერიან ხიმ-
შიაშვილი დამსახურებულ პენსიაზე გავიდა.

დამსახურებულ არქივისტებს შორისაა შესანიშნავი ქალბატონი, პოეტური ნიჭით დაჯილდოებული ენერგიული მუშაკი, სტუმართმოყვარეობით გამორჩეული დიასახლისი, ქართული სუფრის სიამაყე **ნაზი ხიმშიაშვილი**. მნელია ისაუბრო იმ ადამიანის შესახებ, ვისაც სიცოცხლე თავად სიცოცხლეზე მეტად უყვარდა, ოჯახსა და საზოგადოებაში ხალისი შეჰქონდა, ვისაც განსაკუთრებული მეგობრობა და სიყვარული შეემლო, მაგრამ ბედის უკუღმართობის წყალობით ნაადრევად წავიდა წუთისოფლიდან.



ნაზი ხიმშიაშვილი

შუახვევის რაიონის სოფელ ნიგაზეულში დაიბადა ნაზი ხიმშიაშვილი 1962 წლის 9 იანვარს. 1979 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1982 წელს სწავლა გააგრძელა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში - გეოგრაფია-ბიოლოგიის სპეციალობით, რომლის სრული კურსი დაამთავრა 1987 წელს.

სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა ნიგაზეულის და ახალდაბის საშუალო სკოლებში პედაგოგად, სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში, რაიონულ გაზეთ „ცისკრის“ კორესპონდენტად.

1995-2011 წლებში ნაზი ხიმშიაშვილი შუახვევის რაიონული არქივის დირექტორია. სამსახურეობრივ დახასია-

თება-რეკომენდაციაში ვკითხულობთ: „ნაზი ხიმშიაშვილი დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურებრივი და საზოგადოებრივი დავალებების შესრულებას, სისტემატურად იმაღლებს თავისი ცოდნის დონეს, კარგი ავტორიტეტით სარგებლობს რაიონის მოსახლეობასა და შრომით კოლექტივში“ (ასსცსა, ფონდი რ-1041; აღწ.1; საქ.1962).

ლამაზი ოჯახი ჰქონდა. „ერთ სულ და ხორც“ იყვნენ ნაზი და მისი მეუღლე. ასეთ სიყვარულში ზრდიდნენ სამ შვილს: ორ ქალიშვილსა და ვაჟიშვილს. როცა მოვიდა დრო, ბუდიდან აფრენილ ქალიშვილებს სიყვარულითვე დაულოცეს მომავალი, მაგრამ ბედისწერამ სხვანაირად იწება. 2011 წლის 5 აგვისტოს დატრიალებულმა საშინელმა ტრაგედიამ დედა და ახლად ჯვარდაწერილი შვილი სამუდამოდ განაშორა საყვარელ ადამიანებს.

ნაზის ერთი გატაცება ჰქონდა. პოეზია უყვარდა და თვითონაც სცდიდა კალამს. მისი ლექსები დროდადრო იბეჭდებოდა გაზეთებში: „დროშა“, „ცისკარი“, „მთიანეთი“, „გორდა“, „შუახევი“, კრებულში „მთის ყვავილები“. სამწუხაროდ ვერ მოესწრო და ვერ შეიგრძნო პირველი კრებულის გამოცემით გამოწვეული სიხარული, რომელსაც მეტად ნიშანდობლივი სახელწოდება აქვს „ვეღარ დავიცდი“ (2011 წ.).

წინათგრძნობა არ ასვენებდა. რაღაც საშინელის მოლოდინი მოსვენებას უკარგავდა და ეს „რაღაც“ ბოლო ლექსის ბოლო სტროფში ასე გამოხატა ბედს მინდობილმა არქივისტმა და პოეტმა:

„ჩემი გულის კარი ჩაირაზა,
აღარ მსურს დიბა და ფარჩა,
უცებ გაჩერების მიზეზი
აღმოსაჩენი დარჩა“.

შეიძლება მართლაც ამოუხსნელი დარჩა ტრაგედიის დეტალები, მაგრამ ნაზი ხიმშიაშვილი, ალალ-მართალი, გულწრფელი, სტუმართმოყვარე, ოჯახისა და მეგობრების ერთგული მისი მეგობრებისა და კოლეგებისათვის ამოუხსნელი არასოდეს ყოფილა.

საარქივო სამმართველოს არსებობის 90 წლოვან ისტორიაში მრავალმა სახელმა გაიელვა. თითოეულმა მათგანმა თავისი კვალი დატოვა საარქივო დარგის განვითარებაში. დაუვიწყარია საარქივო საქმის შესანიშნავი სპეციალისტების, გულისხმიერი და თავმდაბალი თანამშრომელების: დოდო ჩაჩუას, მაყვალა არობელიძის, თინა მადრაძის, ნატაშა სელიძის, კუკური ჩხარტიშვილის და მრავალი სხვა არქივისტის სახელი. ყველა მათგანის ჩამოთვლა და დახასიათება ვერ ხერხდება, რისთვისაც დიდსულოვნად ვთხოვთ პატიებას. საარქივო სამმართველოს დღესაც ჰყავს გამორჩეული არქივისტები, რომელთა შესახებ თბილ სიტყვებს არ დაიშურებენ ჩვენი მომავალი თაობები.

ზოგიერთისთვის არქივი შეიძლება მხოლოდ საბუთებითა და დოკუმენტებით სავსე შენობაა. იქ მომუშავე ადამიანებისათვის, არქივისტებისათვის კი ის „მეორე ოჯახია“, ადგილია, სადაც ცხოვრების დიდ ნაწილს ატარებენ, სადაც ერთმანეთი შეუთვისებიათ და ამით სამსახურეობრივი ურთიერთობები ხშირად მეგობრულ ურთიერთობებში გადაუზრდიათ.

თაობები იცვლება. უცვლელი უნდა იყოს არქივისტების ურთიერთპატივისცემა და სიყვარული. ამ თვალსაზრისით ჩვენი წინაპრები მისაბამნი იყვნენ ეხლანდელი თაობებისათვის. ასე იყო დღემდე. ვიმედოვნებთ, რომ ურთიერთპატივისცემისა და წინაპართა ღვაწლის დაფასების ეს ღამაზი ტრადიცია არასოდეს წაიშლება.

თაზო X

პრობლემები და პერსპექტივები

1923 წლიდან მოყოლებული არაერთი პრობლემა და მოსაგვარებელი საკითხი მდგარა საარქივო სამმართველოს წინაშე. ათწლეულების განმავლობაში ცენტრალურ სახელმწიფო არქივსა და რაიონულ არქივებს არ გააჩნდათ შენობები და სრულყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის დაცვისთვის ფონდსაცავებში არ იყო დამონტაჟებული შესაბამისი მოწყობილობა, არ არსებობდა გათბობის სისტემა, არ იყო უწყვეტი ელექტრომომარაგება, ფართის სიმცირის გამო გადაუწყვეტელ პრობლემად რჩებოდა ახლად მიღებული საარქივო დოკუმენტების განთავსების საკითხი და ა. შ.

დასახელებულ პრობლემათაგან ზოგიერთი საკითხი დადებითად გადაწყდა. მოწესრიგდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, შეკეთდა (ზოგან ახალ შენობაში გადავიდა) რაიონული და ცენტრალური საარქივო დეწესებულებებისათვის განკუთვნილი შენობები, გადაწყდა გათბობასა და უწყვეტ ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული პრობლემები, თუმცა გასაკეთებელი და მოსაგვარებელი საკითხები ჯერ კიდევ ბევრია.

კვლავაც გადასატრეფია საარქივო დოკუმენტების მოვლისა და შენახვის პრობლემები. **უპირატესად იგი ტემპერატურისა და ტენიანობის რეჟიმის დაცვის საკითხებს ეხება.** საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულმა კანონმა „ისტორიის, კულტურის და ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“ - კიდევ უფრო აამაღლა ამ მიმართულებით საარქივო დაწესებულების საზოგადოებრივი ფუნქციები.

საარქივო დოკუმენტების დაცვაში იგულისხმება დოკუმენტების ფიზიკური დაცვა, საქმეთა არსებობისა და მდგომარეობის შემოწმება, განსაკუთრებულად ღირებული დოკუმენტების სადაზღვევო ფონდის შექმნა. სადაზღვევო ფონდის შექმნასთან დაკავშირებულ მეთოდურ და პრაქტიკულ საქმიანობას გააჩნია სპეციფიკა და სირთულეები, რაც მათ ზუსტ განსაზღვრას, მის კომპლექსურობას უკავშირდება. სირთულე დაკავშირებულია იმასთანაც, რომ დღემდე სრულყოფილად არ არის შემუშავებული უნიკალურ და განსაკუთრებულად ღირებულ დოკუმენტთა განსაზღვრის კრიტერიუმები. დაუზუსტებელია არსებული კინოფილმების ხარისხი.

საარქივო სამმართველოსა და მის ტერიტორიულ ორგანოებში დოკუმენტების მოვლისა და შენახვის რეჟიმი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვეობის მოთხოვნებს. დაზიანებისაგან, გარემოს მავნე ზემოქმედებისაგან საარქივო დოკუმენტების დაცვის თვალსაზრისით აუცილებელია ოპტიმალური ტემპერატურულ-ტენიანობითი რეჟიმის დაცვა, ჰაერის კონდიციონირების თანამედროვე სისტემების დამონტაჟება - დოკუმენტთა სახეობების სპეციფიკის შესაბამისად, კლიმატური პირობების ოპტიმიზაციის ღონისძიებები, ჰაერის პარამეტრების რეგულარული გაზომვა შესაბამისი საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების (თერმომეტრები, ჰიგრომეტრები) გამოყენებით, საცავების განმტკვრიანება, ანტისეპტიკური ხსნარების საშუალებით სტელაჟების დამუშავება, დეზინფექცია, მწერებისა და სოკოვანი დაავადებების საწინააღმდეგო ღონისძიებანი და ა. შ.

დოკუმენტების დაცვის ღონისძიებებს შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიებად გვესახება **დაავადებებისა და გამტკვრიანებისაგან მათი დაცვა მუყაოს ყუთებში განთავსების გზით**. ჩვენს ფონდსაცავებში მუყაოს ყუთებში დაახლოებით 100 000 საქმეთა ერთეულია განთავსებული, დანარჩენი დოკუმენტები კი შეფუთულია (დაახ-

ლოებით 1000 შეკვრა) ან მოითხოვს შეფუთვას (დაახლოებით 400 000 ს/ე).

დოკუმენტების მუყაოს ყუთებში განთავსება საისტორიო საბუთების დაცვის ყველაზე ოპტიმალური გზაა, მაგრამ ამ შემთხვევაში საჭირო იქნება დამატებითი ფართი და სტელაჟები (ყუთები იჭერს უფრო დიდ ფართს, ვიდრე შეფუთული დოკუმენტები). ერთ ყუთში საშუალოდ თავსდება 6 ს/ე. ამ გაანგარიშებით 100 000 ს/ე-ზე საჭირო იქნება დაახლოებით 17-18 ათასი ყუთი (ცნობისათვის, ერთი მუყაოს ყუთის ღირებულება შეადგენს დაახლოებით 12-13 ლარს). ჩვენს პირობებში ამდენი ყუთების განთავსება სტელაჟებზე ვერ მოხერხდება ფართისა და სტელაჟების სიმცირის გამო. ფართის სიმცირის საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა შესაძლებელია ფონდსაცავებში რკინის მობილური საარქივო კარადა-თაროების დამონტაჟებით, რომელიც მინიმუმ 50%-ით ამცირებს დაკავებულ ფართობს. დოკუმენტების შენახვისა და დაცვის უზრუნველყოფის ღონისძიებათა სისტემა მოიცავს დოკუმენტების რაციონალურ განლაგებას, კონტროლს მათ მოძრაობასა და ფიზიკურ მდგომარეობაზე, სადაზღვევო ფონდისა და სარგებლობის ფონდის შექმნის მიზნით დოკუმენტების პირების გადაღებას, იმ დოკუმენტების თავდაპირველი ან თავდაპირველთან მიახლოებული თვისებებისა და გარე ნიშნების აღდგენას (რესტავრაციას), რომლებიც დაზიანდა ან დაიშალა.

აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალური არქივის ფონდსაცავებში დოკუმენტების ეფექტური მოვლა-შენახვისათვის ბოლომდეა მისაყვანი კონდიციონების, ტემპერატურული რეჟიმის პირობების უზრუნველყოფის საკითხები. მნიშვნელოვან ღონისძიებად გვესახება აგრეთვე ათეული წლების წინ დაგებული ლინელიუმის იატაკის შეცვლა, საცავების სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების პირობების გაუმჯობესება.

გადასაწყვეტია კინო-ფოტო-დოკუმენტების საცავში არსებული პრობლემებიც. დაუშვებელია კინოფირებისა და ქალაქდღოფიანი დოკუმენტების ერთად განთავსება, რაც ქმნის ხანძრის გაჩენის რეალურ საშიშროებას (კინოლენტები ხასიათდება თვითაალებადი თვისებებით) და კინო-დოკუმენტების გაუვარგისებას უწყობს ხელს. დაუშვებელია აგრეთვე ფოტოდოკუმენტების საცავში სამუშაო კაბინეტების არსებობა, რადგან იგი შეიცავს ჯანმრთელობისათვის საშიშ ნივთიერებებს. მიზანშეწონილად მიგვაჩნია სადღეინფექციო კამერის შექმნა, ასევე ჩვენს ფონდსაცავებში დაცული ფოტოდოკუმენტების ექსპერტიზა, კინოფირების ვარგისიანობის განსაზღვრა და ვარგისიანი ფირების სათანადო დისკებზე ჩაწერა, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი ფოტოლაბორატორიისა და საამკინდო-სარესტავრაციო და მიკროფილმირების ლაბორატორიის მოწყობა, სპეციალური სარესტავრაციო დანადგარის შექმნა, რომლითაც შესაძლებელი იქნება დაზიანებული ქალაქდღების აღდგენა და სხვა სარესტავრაციო სამუშაოების შესრულება. ჩვენს პირობებში აღნიშნული სამუშაოები ხორციელდება კუსტარული მეთოდებით, რაც წინააღმდეგობაში მოდის თანამედროვეობის მოთხოვნებთან.

არქივის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია საარქივო დოკუმენტების მოზიდვაა, მაგრამ კერძო ინიციატივით მსგავსი საკითხების მოგვარება შეუძლებელია. საჭიროა აღნიშნული საკითხისადმი სახელმწიფოებრივი დამოკიდებულება. სახელმწიფო უნდა იყოს დაინტერესებული უცხოეთის არქივებსა და წიგნსაცავებში საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების მოძიებისა და ჩვენს არქივებში მათი თავმოყრისათვის (თუნდაც ელექტრონული ვერსიის სახით). ამ თვალსაზრისით ბოლო წლებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, რამაც შესაძლებელი გახდა ჩვენი ფონდების გამდიდრება უნიკალური წერილობითი კოლექციებით.

აჭარის არ საარქივო სამმართველოს ცენტრალურ არქივში დაიდო ბინა XVI-XVIII საუკუნეების ოსმალური დოკუმენტების ქსეროასლებმა (1000-მდე დოკუმენტი). სოფის ბიბლიოთეკაში 4000 – ზე მეტი ოსმალური დოკუმენტია დაცული საქართველოს შესახებ. მრავლადაა დოკუმენტები თურქეთის არქივებში, რომელთა ელექტრონული ვერსიების შემოტანა არაა დაკავშირებული დიდ სიძნელეებთან, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ საქართველოში ოსმალური სკოლა თანდათან კვდება. პრაქტიკულად აღრავინ დარჩა ამ დოკუმენტების წამკითხავი. ოსმალური პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორია ძირითადად საგაზეთო პუბლიკაციებს ეფუძნება. ოსმალეთის არქივებში დაცული დოკუმენტები წინათ მიუწვდომელი იყო ქართველი მკვლევარებისათვის, ახლა კი მათ წასაკითხად სპეციალისტთა დეფიციტს განვიცდით. წარმატებული საარქივო საქმიანობისა და წარსულის უკეთ გაცნობისათვის, სასურველია არქივში თურქულ-ოსმალური ენის სპეციალისტის მოძიება და დასაქმება. გამოსავალიც შეიძლება მოიძებნოს: სოფის უნივერსიტეტში არის ოსმალური ენის ძლიერი სკოლა. იქაური კოლეგები გვპირდებიან დახმარებას ოსმალური ენის სპეციალისტის მომზადების საქმეში. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში არქივი მიიღებს კვალიფიციურ სპეციალისტს, ხოლო სამეცნიერო ბრუნვაში შემოვა უამრავი ახალი საარქივო დოკუმენტი, რომელიც ნათელს მოჰფენს ოსმალური პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის დღემდე უცნობ თუ ნაკლებად ცნობილ საკითხებს.

საქართველოს შესახებ საარქივო დოკუმენტები დაცულია ინგლისის, იტალიის, ეგვიპტის, ამერიკის, არგენტინის და სხვა ქვეყნების არქივებში, რომელთა ასლების შემოტანა ჩვენი საარქივო დაწესებულების გადაუდებელ ამოცანად გვესახება.

ერთ-ერთი უნმიშენელოვანესი საკითხია აგრეთვე არქივის თანამშრომელთა შრომის ორგანიზაციის საკითხების მოგვარება. საარქივო დაწესებულება სპეციფიკური ორგანიზაციაა. შესაბამისად, თანამშრომელთა შრომის ორგანიზაციის ცალკეული საკითხები რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. რესტავრაციის ლაბორატორიის, დაკომპლექტებისა და დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავების, კინოვიდეო, ფოტოფონო საცავის, ტერიტორიული ორგანოების, ფონდსაცავების, ასლის გადამღებ და კომპიუტერულ დანადგარებზე მომუშავე თანამშრომელთა მუშაობა ითვლება ჯანმრთელობისათვის მავნე სამუშაოდ. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წ. 3 მაისის 2147/ნ ბრძანების („მძიმე და მავნე საშიშროებიან სამუშაოთა ნუსხის დამტკიცების შესახებ“) მიხედვით ასეთ სამუშაოებად მიჩნეულია: ფილმის ასლების დაკომპლექტება, ნეგატივიან მასალებზე მუშაობა, კინოფირების კონტროლი, მემონტაჟე, ფილმის პირების რესტავრირება, ასლის გადამღებ და კომპიუტერულ ტექნიკაზე მუშაობა, წიგნის ჰიგიენის დაცვა და რესტავრაცია და სხვა სამუშაოები (თავი მე-14, 21-ე, მუხლი 51-54).

წერილობითი დოკუმენტების დასუფთავება მოითხოვს ქიმიური ნივთიერებების გამოყენებას. ორგანიზაციებიდან შემოსულ დოკუმენტებს უტარდება სადეზინფექციო სამუშაოები, რისთვისაც გამოიყენება ჯანმრთელობისათვის მავნე ნივთიერებები და სხვა ანტისეპტიკები. ყოველივე ეს მოითხოვს გარკვეულ შედაგათებს და მოქნილ სამუშაო გრაფიკს, კერძოდ, 7 საათიან სამუშაო დღეს და უფასო რძის ან ტოლფასოვანი კვების პროდუქტების გაცემას, რაც მოქმედებდა საბჭოთა პერიოდში (იხ. სსრ კავშირის ჯანდაცვის მინისტრის 1987 წ. 4 ნოემბრის 4430-87 ბრძანება).

არქივში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ბოლო წლებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, განახლდა მუნიციპალური არქივების შენობები და აღიჭურვა თანამედროვე ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით. 2014 წლის დასაწყისში საარქივო სამმართველოს დიგიტალიზაციის განყოფილებას შეემატა ახალი, კეთილმოწყობილი კაბინეტი, შემოტანილი იქნა ინვენტარი, დიგიტალიზაციისათვის სპეციფიკური ახალი ტექნიკა. სადაზღვევო ფონდების შესაქმნელად მიმდინარეობს ქაღალდსაფუძვლიანი საარქივო დოკუმენტების ელექტრონულ მატარებელზე გადატანა, გაუმჯობესდა სამუშაო პირობები, თუმცა კვლავაც რჩება გარკვეული პრობლემები, რომელთა გადაჭრა უახლესი წლების პერსპექტივას განეკუთვნება.

არქივის ცხოვრებაში მომხდარ სასიკეთო ცვლილებებს ხელი შეუწყო იმ სამუშაო და კეთილმოსურნეობის ატმოსფერომ, რომელიც აქ შეიქმნა ბოლო წლების განმავლობაში. ამან ასახვა ჰპოვა სამმართველოს თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის ცხოვრებაში. წმინდა საარქივო საქმიანობის პარალელურად მიმდინარეობს აქტიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. აქ იწვევენ საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლებს - ცნობილ მეცნიერებს, მწერლებს, პოეტებს, აწყობენ გამოფენებს, პრეზენტაციებს, ფონდების მიმოხილვებს, რომლებიც პერიოდულად შექდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

ბოლოსიტყვაობა

საქართველოში საარქივო საქმის განვითარების ისტორიის საწყის თარიღად მიჩნეულია 1920 წლის 23 აპრილი, როცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მიიღო კანონი რესპუბლიკის ცენტრალური სამეცნიერო არქივის დაარსების შესახებ. აჭარაში კი დოკუმენტსაცავის ოფიციალურად ჩამოყალიბებამ სამი წლით გადაიწია. 1923 წლის 11 აპრილს აჭარის ასსრ სახკომსაბჭოს პრეზიდიუმმა განიხილა განათლების კომისარიატის მიერ წარდგენილი პროექტი „არქივის ორგანიზაციისა და ცენტრალიზაციის შესახებ“ და დაადგინა საარქივო სამმართველოს შექმნა.

დღეისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტსაცავი და სამეცნიერო ორგანიზაციაა საქართველოში, სადაც ინახება 1878 წლის შემდგომი პერიოდის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ამსახველი მეტად საინტერესო და უნიკალური დოკუმენტები (2325 ფონდის 665 664 საქმე).

არქივმა ჩამოყალიბების დღიდან არაერთხელ განიცადა სტრუქტურული ცვლილება. ასეთი ცვლილებები განსაკუთრებით გახშირდა 1990-იანი წლებიდან. დაუსრულებელი სტრუქტურული ცვლილებები და რეორგანიზაციები ქმნიდა ფსიქოლოგიურ დაძაბულობას, ამკვიდრებდა არასტაბილურობის განცდას, რაც ცხადია უარყოფითად მოქმედებდა საარქივო დარგის განვითარებაზე. მიუხედავად ამისა, საარქივო სამმართველოს არ შეუჩერებია მუშაობა საარქივო საქმის მართვის, საქმისწარმოების სრულყოფის და საარქივო ფონდის განვითარებისათვის ზრუნვის თვალსაზრისით. ყოველწლიურად იზრდება და უმჯობესდება საქ-

მეთა ყდაში ჩასმა-ჩაკერების, მარტივი რესტავრაციის, განსაკუთრებული ღირებულების მქონე დოკუმენტების გამოვლენის, დოკუმენტების არსებობისა და მდგომარეობის შემოწმების, საინფორმაციო საძიებო სისტემის შექმნის, ანაწერების გადამუშავების, მიზნობრივი ექსპერტიზის, მეცნიერულ-ტექნიკური დამუშავების, დოკუმენტების გამოყენების, დიგიტალიზაციისა და სხვა სამუშაოების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები.

აღნიშნული სამუშაოების შესრულების პარალელურად მიმდინარეობს აქტიური სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, რომელიც იგეგმებოდა და იგეგმება იმ პრობლემატიკაზე, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიული, დარგთაშორისი, დარგობრივი თუ ლოკალური სამეცნიერო და პრაქტიკული ღირებულება. აქტიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა წარმოებს არქივმცოდნეობის, დოკუმენტმცოდნეობის, არქეოგრაფიის, სამეცნიერო-საინფორმაციო და ზოგადად ისტორიული კვლევების მიმართულებით. არქივში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს აგრეთვე საინტერესო კვლევები სახელმწიფო დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ისტორიის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის ისტორიის, წყართმცოდნეობისა და დამხმარე საისტორიო დისციპლინების მიმართულებით, ყოველწლიურად ტარდება ადგილობრივი და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, იბეჭდება სამეცნიერო კონფერენციის მასალების კრებულები, საარქივო სამმართველოს ჟურნალი „არხეიონი“.

საარქივო სამმართველო აქტიურად ეხმიანებოდა და ეხმიანება ქვეყანაში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს, ატარებს სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, იხსენებს ღვაწლმოსილ არქივისტთა დამსახურებას, თანამშრომლობს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია უცხოეთის საარქივო დაწესებულებებთან ურთიერთობებისა და თანამ-

შრომლობის მიზნით საარქივო სამმართველოს მიერ გატარებული ღონისძიებები. გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები სოფიის, ბლაგოვეგრადის, შვედეთის, ოდესის, გრაცის სამხარეო არქივებთან, სოფიის კირილესა და მეთოდეს სახელობის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან. აღნიშნულმა ღონისძიებებმა განაპირობა ზემოთდასახელებული დაწესებულებებიდან საქართველოს შესახებ არსებული დოკუმენტების ელექტრონული ვერსიების შემოტანა.

დღეის მდგომარეობით საარქივო სამმართველოში ტერიტორიული არქივების ჩათვლით დაცულია 2356 ფონდის 670 222 საქმეთა ერთეული, მათ შორის მუდმივად შესანახი - 2300 ფონდის 626668 საქმეთა ერთეული, პირადი წარმოშობის - 53 ფონდის 2826 შესანახი ერთეული, კინო-ფოტო-ფონო დოკუმენტების 19736 საქმეთა ერთეული, სამეცნიერო - ტექნიკური 3 ფონდის 18279 შ/ერთეული, და განსაკუთრებულად ღირებული 19 536 შ/ერთეული. არქივის ფონდსაცავებში დაცული დოკუმენტების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

ARCHIVES ADMINISTRATION OF AJARA (1923-2015)

Archive is a documentary memory of a nation. It covers country's history and its adventure. Archives is the most precious treasure; experience and empirical knowledge of people, collected throughout thousands of years are accumulated in historical, legal, demographic and other materials.

Documentary repositories – archival institutions are subject of special attention in every country. It always was and will highly important for the state.

Sub-department of Ajara Autonomous Republic Government – Archives Administration is one of the most important document repository and scientific organization in Georgia; very interesting and unique documents, reflecting South-west Georgia's history from the period 1878 are kept. All these documents are available for interested persons. Working with these documents has become easier, scientific data system is created together with a guide, thematic cards, compiled lists of references, thematic reviews. Now is going active working on documents for digitalization.

History of Archival case development in Georgia is considered to take its start on April 23, 1920, when founder council of Democratic Republic of Georgia passed a law on establishing Central Scientific Archive of Republic. The official establishment of the document repository in Ajara was postponed for three years. On April 11, 1923 the Presidium of the Council of People's ASSR discussed the draft “About Organization and Centralization of Archive” submitted by the Commissioner of Education and has ruled establishment of Archives Administration.

Since the day of its establishment Archive underwent though several structural change. Such changes became more frequent from the 1990s. Endless structural changes and reorganizations caused psychological tension, bringing a sense of instability, which obviously had a negative effect on the development process of the archive. However, Archives Administration continued to work on the managerial issues of Archives, for improving case management and development of archival fund. Insertion of documents in the cover, simple restoration, revealing of a special valuable documents, examination of existence and condition of such documents, creation of informational search system, description processing, targeted expertise, scientific and technical development, the utilization of documents, digitalization and other quantitative and qualitative characteristics works – all these procedures are improved and increased on early bases.

In parallel to these works, active scientific-research works are in the process, which were aimed and still are aimed on those problems, which have historical, interdisciplinary, sectoral and local scientific or practical value. Active research work is carried in the direction of archives expert, documents, scientific information and general historical research. Interesting studies in the direction of State Institutions, history of public organizations, history of administrative-territorial division, source studies and auxiliary historical disciplines were taking place and are still conducted in Archives. Local and international scientific conferences are held on annual bases, conference materials books, Archives Administration magazine - „Archeion” are published.

Archives Administration actively monitors current public processes in the country, holds a variety activities, recalls honored archivist's merit, and collaborates with mass-media.

Particular attention should be paid to the measures taken by Archives Administration in order to establish relationship and cooperation with foreign archival institutions. Memorandums of Understanding were signed with Sofia, Blagoevgrad, Sweden, Odessa, Graz regional archives, Cyril and Methodius National Library in Sofia. As a result of these measures electronic versions of documents concerning Georgia were brought from above listed institutions.

As of today, there are 670 222 units of 2356 fund, including permanent storage – 626668 units of 2300 fund, private – 2826 units of 53 fund, cinema-photo-audio documents – 19736 units, scientific-technical – 18279 units of 3 fund, and especially valuable 19536 units are preserved in Archives Administration, including territorial archives. The number of documents kept in the archives repositories increases every year.

აჭარის საბრძოლო სამმართველო ფოტოლოგუმენტები

























ბამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

ა. საარქივო დოკუმენტური წყაროები:

1. სუიცსა (საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური სახელმწიფო არქივი) ფ.335, ან.1, საქმე №7, 11;
2. სუიცსა, ფ. 335, საქმე №63, ან. 1, ფურც. 14, 22, 23, 147, 149, 150, 151, 152;
3. ასსცსა (აჭარის საარქივო სამმართველოს ცენტრალური სახელმწიფო არქივი) ფონდი ი-1, საქმეები №115, 140, 141, 205, 242, 275, 480, 557, 642;
4. ასსცსა, ფონდი ი-6, საქმე №13;
5. ასსცსა, ფონდი ი-6, ან.1, საქმე №199, ფურც.1-94;
6. ასსცსა, ფონდი ი-7, ან. 1, საქმე №524, ფურც. 2;
7. ასსცსა, ფონდი ი-7, ან. 1, საქმე №633, ფურც. 7;
8. ასსცსა, ფონდი ი-10, საქმე №41, 47, 58;
9. ასსცსა, ფონდი ი-16. საქმე №18;
10. ასსცსა, ფონდი ი-30, საქმე №12;
11. ასსცსა, ფონდი ი-67, ან.1, საქმე №13, 14, 15
12. ასსცსა, ფონდი ი-81, საქმე №1, 2, 4;
13. ასსცსა, ფონდი ი-82, საქმე №18, 20, 33, 34;
14. ასსცსა, ფონდი ი-83. ტ.1. საქმე №1, 2, 3;
15. ასსცსა, ფონდი ი-84. საქმე №1, 13;
16. ასსცსა, ფონდი ი-85. საქმე №9, 10, 11, 14, 15;
17. ასსცსა, ფონდი რ-1, ან. 1, საქმე №23, 40, ფურც. 91, 104;
18. ასსცსა, ფონდი რ-2, ან.1, საქმე №12, ფურც. 4;
19. ასსცსა, ფონდი რ-2, საქმე №14, ფურც. 120;

20. ასსცსა, ფონდი რ-2, ან. 1, საქმე№23, ფურც. 158, 163, 166, 167;
21. ასსცსა, ფონდი რ-4; ან.1; საქმე №952; ფურც.40;
22. ასსცსა, ფონდი რ-5, საქმე №36, ფურც. 4;
23. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №1. ფურც.2,3, 23;
24. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №3, ფურც.1, 6;
25. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №9, ფურც. 2, 6, 58;
26. ასსცსა, ფონდი რ- 89, ან. 1. საქმე №10, ფურც. 36;
27. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №13, ფურც. 1-54;
28. ასსცსა, ფონდი რ-89, ან.1, საქმე №17, ფურც. 23;
29. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №45 ა, ფურც.3, 4;
30. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №50, 51, 63;
31. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №50, ფურც 55;
32. ასსცსა, ფონდი რ-89, КНИГА УЧЕТА ПОСТУПЛЕНИЙ ДОК. МАТЕРИАЛОВ», N 1.;
33. ასსცსა, ფონდი რ-89; ან. 1, საქმე №65; ფურც. 1,9;
34. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე№68, ფურც. 5-6, 75, 116;
35. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. (7)1, საქმე №72 ბ. მ. თავადის სადიპლომო ნაშრომი;
36. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №74;
37. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე№112, ფურც. 9;
38. ასსცსა, ფონდი რ-89, ან.1, საქმე №117;
39. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე№162, ფურც. 1;
40. ასსცსა, ფონდი რ-89, ან.1, საქმე №221;
41. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №307-308;
42. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე№315, ფურც.17;
43. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე №359ა. ფურც 1, 2, 3;
44. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე №372, ფურც. 1;
45. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №388, ფურც. 1, 2, 3;

46. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №396, ფურც. 7;
47. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე №407 ფურც. 1;
48. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №408, ფურც.1;
49. ასსცსა, ფონდი რ-89, ან 1, საქმე №429, ფურც 3;
50. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე №492, ფურც. 1, 2, 3;
51. ასსცსა, ფონდი რ-89,ან. 1, საქმე№517, ფურც. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7;
52. ასსცსა, ფონდირ-89, საქმე №519 ფურც. 2, 3, 4, 5, 6;
53. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე №531, ფურც. 1, 2 ;
54. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №629, ფურც. 1, 2,3,4;
55. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1 საქმე №759 ა;
56. ასსცსა, ფონდი რ-89, ან 1, საქმე№674, ფურც. 1, 48, 49;
57. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე №794, ფურც. 4, 5, 19, 25, 32, 40, 41, 88;
58. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №795, ფურც. 14-15;
59. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №806, ფურც. 1,2,3;
60. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე №809, ფურც. 1, 2, 3;
61. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №848, ფურც. 1, 2, 3, 4;
62. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე№849, ფურც. 45,46;
63. ასსცსა, ფონდი რ-89, ან. 1, საქმე №871, ფურც. 1,2,3;
64. ასსცსა, ფონდი რ-89, საქმე №1525, ფურც. 9;
65. ასსცსა, ფონდი რ-271, საქმეები: №2, 4, 5, 7, 9;
66. ასსცსა, ფონდი რ-332; ან.1; საქმე №226;
67. ასსცსა, ფონდი რ-497, ან.1, საქმე №1, ფურც.38;
68. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან.1, საქმე №3, ფურც.1-15;
69. ასსცსა, ფონდი რ-497, ან. 1, საქმე №4, ფურც.1;
70. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1,საქმე№10, ფურც. 1, 4;

71. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან.1, საქმე№21, ფურც.2;
72. ასსცსა, ფონდი რ-1041; საქმე №22;
73. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან.1, საქმე №45, ფურც.1;
74. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №46, ფურც. 3;
75. ასსცსა, ფონდი რ-1041; ან. 1;საქმე №161, ფურც. 3;
76. ასსცსა, ფონდი რ-1041,ან. 1, საქმე№206, ფურც. 2;
77. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 4, საქმე №318, ფურც. 14;
78. ასსცსა, ფონდი რ-1041, საქმე №428, ფურც. 3;
79. ასსცსა, ფონდი რ-1041, საქმე №487, ფურც.1, 3, 12;
80. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე 1512, 1701;
81. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე№1512, ფურც. 2, 3;
82. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №1513, ფურც. 12;
83. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1, საქმე№ 1514, ფურც.1, 3, 16, 32;
84. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1, საქმე №1529, ფურც. 7, 19;
85. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1, საქმე №1742. ფურც. 3, 18-19;
86. ასსცსა, ფონდი რ-1041, საქმე№1559, ფურც. 11;
87. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1, საქმე №1761,ფურც. 8, 9;
88. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1,საქმე №1773, ფურც. 1;
89. ასსცსა, ფონდი რ-1041, საქმე №1784, ფურც. 16-17, 20;
90. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1, საქმე №1799 ა. ფურც. 5;
91. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1. საქმე №1826. ფურც. 45, 184, 196;
92. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №1868, ფურც. 9, 10;
93. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან1, საქმე №1869, ფურც. 12;

94. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან.1, საქმე №1871, ფურც. 1, 2, 8, 24,25,26, 36, 38,39, 60, 89, 105, 106, 133, 160, 161, 174, 175, 305;
95. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან.1, საქმე №1882,ფურც.13;
96. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან 1, საქმე №1883, ფურც. 3, 18, 19, 40, 56, 58, 85, 118;
97. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №1974, ფურც.17, 28, 52;
98. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №1976, ფურც.44, 56, 57, 71;
99. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №1997, ფურც. 60-71,123;
100. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №2009, ფურც. 5;
101. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №2009, ფურც. 34;
102. ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1. საქმე №2060;
- 103.ასსცსა, ფონდი რ-1041, ან. 1, საქმე №2062, ფურც.1;
104. ასსცსა, ფონდი - 5, ან.1, საქმე №49, ფურც.1-14;
105. ასსცსა, ფონდი - 7, ან. 1, საქმე №249, ფურც. 45;
106. ასსცსა, ფონდი - 84, ან. 1, საქმე №1272, ფურც. 55;
107. ასსცსა, ფონდი -170, ან.1, საქმე №133, ფურც. 88;
108. ასსცსა, ფონდი - 170, ან.1, საქმე №220, ფურც. 323;
- 109.ასსცსა, ფონდი - 170, ან. 1, საქმე №546, ფურც. 33;
- 110.ასსცსა, ფონდი - 982, ან. 1, საქმე №3, ფურც. 65.

ბ. ლიტერატურა:

1. ახვლედიანის., სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, ბათ., 1956;
2. ახვლედიანის., საბჭოთა ხლისუფლების დამყარება აჭარაში (1917-1921), ბათ. 1971;
3. ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა XIX ს. 70-80 იანი წლების ისტორიიდან სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, ბათ. 1999;
4. ქართულ-რუსულ-ოსმალური ურთიერთობები XIX ს. I მესამედში, ბათ. 2005;
5. ბათუმი და მისი შემოგარენი, ბათ. 1906;
6. ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათ. 2001;
7. ბრძოლა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის აჭარაში, დოკუმენტებისა და მასალების კრებული, 1926-1932 წწ., ბათ., 1980;
8. გერსამია ს., მემედ აბაშიძე, ბათუმი, 1960;
9. გოგოლიშვილი თ., საზოგადოებრივ პილიტიკური მოძრაობა ბათუმის ოლქში 1910-1918, ბათ. 1999;
10. გოგოლიშვილი თ., ბათუმის ოლქი 1908-1914 წლებში, ბათ. 1998;
11. გოგოლიშვილი თ., სოციალური და ეროვნული მოძრაობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში 1900-1921 წლებში, ბათ. 2005;
12. გოგოლიშვილი თ., სახალხო-განმათავისუფლებელი მოძრაობა გურეისა და ბათუმის ოლქში 1905-1907 წლების რევოლუციის დროს, ბათ. 2003;
13. დუმბაძე ს., აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში, ბათ 2006;
14. დუმბაძე ს., საბედისწერო მგზავრობა“ თბ. 2007;
15. დუმბაძე ს., „სახელოვანი ხიხანელი“, თბ. 2008;

16. ზოსიძე ნ., „პოლიტიკური სიტუაცია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა აჭარაში 1918-1920 წწ. „ბათ. 1995;
17. თავაძე მ., აჭარის ასსრ-ს ცენტრალური სახელმწიფო არქივის ისტორია, სადიპლომო ნაშრომი, ბათ. 1967;
18. თურმანიძე ო., სოციალურ-ეკონომიკური ვითარება აჭარაში ომისშემდგომ პერიოდში (1946-1980 წწ.), ბათუმი, 2005;
19. კაკაბაძე ს., ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, „საისტორიო მოამბე“, I, ტფ., 1924;
20. კარასევა ა., „აჭარის ასსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივი“, სადიპლომო ნაშრომი, ხელნაბეჭდი (რუსულად). ბათუმი 1961;
21. ლოლაშვილი ი., ქართული წიგნისა და მწერლობის საწყისებთან, თბ. 1978;
22. „მეგზური“, ბათუმი 2003 (ხელნაბეჭდი);
23. მესხია ე., „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან,, ბათ. 1997
24. მესხია ე., „საქართველოს ერთიანობის მედროშე“, ბათ. 1999;
25. მესხია ე., საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში“, ბათ. 2004;
26. მაკარაძე ვ., გამონათლევის გამონათება, ბათ. 2006;
27. მირიანაშვილი ნ., იტრიაშვილი მ., აჭარის არქივის შექმნის ისტორიიდან. სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), II საერთაშორისო კონფერენციის მასალები, თბ.2012;
28. მროველი ლ., „ცხოვრება მეფეთა“, ქართული მწერლობა, ტ. I, თბ. 1987;
29. საქართველოს არქივები“ ცნობარი;
30. სამეცნიერო-საინფორმაციო ბიულეტენი, N 27-28, თბ. 1975;

31. საქართველოს რესპუბლიკის კანონი ეროვნული საარქივო ფონდის შესახებ, თბ.1995;
32. სახელმწიფო არქივის მუშაობის ძირითადი წესები, თბ.1988;
33. სურგულაძე აბ., ბათუმის ისტორიისათვის, აჭარის მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხები, თბ. 1965;
34. სურგულაძე აბ., სიორიძე მ., პორტო-ფრანკო ბათუმში, ბათ. 1996;
35. სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წწ.), ბათ. 1998;
36. სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათ. 2002;
37. ფუტყარაძე თ., ქიქავა ნ., საარქივო სამმართველოს სათავეებთან, „არხეონი“ III, ბათ. 2012;
38. ქართული მწერლობა, ტ. I, თბ. 1987;
39. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, წიგნი I, თბ. 1984;
40. ქურიძე შ., მხატვრული სიტყვის განვითარება აჭარაში, ბათუმი 1970;
41. შერვაშიძე ხ., საარქივო დაწესებულების ისტორიის ზოგიერთი საკითხი. „არხეონი“ I, ბათ. 2011;
42. ჩიტაია გ., შრომები, IV, თბ., 2001;
43. ჩიქოვანი ლ., ცეცხლაძე ნ., რეაბილიტაცია, ბათ. 1990;
44. ცივაძე ე., ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის განვითარება აჭარის ასს რესპუბლიკაში, ბათუმი, 1970 წ;
45. ცეცხლაძე შ., აჭარის არ ქალაქების და დაბების ქუჩათა ძველი და ახალი სახელწოდებები, ბათ. 2008;
46. ჯავახიშვილი ი., ქართული სიგელმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა, ტფ. 1926;
47. ჯავახიშვილი ი., ქართული დამწელობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, თბ. 1949.

სარჩევი

1. შესავალი (თამაზ ფუტკარაძე)3

თავი I

საარქივო საქმის ბანკოთარება აჭარაში.....8

- §1. წერილობითი დოკუმენტებისა და ნივთიერი მასალის შენახვის ტრადიციები საქართველოში (ქეთი იაკობაძე).....8
- §2. დოკუმენტური მასალების მდგომარეობა აჭარაში საარქივო დაწესებულების ჩამოყალიბებამდე (თამაზ ფუტკარაძე, ნატო ქიქავა) 13
- §3. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივი საბჭოთა პერიოდში 18
- ა. აჭარის ცენტრალური სახელმწიფო არქივის ჩამოყალიბება. დოკუმენტების დაკომპლექტების პირველი ღონისძიებები (თამაზ ფუტკარაძე)..... 18
- ბ. არქივარიუსის თანამდებობების შემოღება და საარქივო განყოფილებების ფორმირება. ფონდების მოწესრიგებასთან დაკავშირებული სირთულეები (თამაზ ფუტკარაძე).....36
- გ. რეორგანიზაცია და სტრუქტურული ცვლილებები, დოკუმენტების კატალოგიზაცია, დოკუმენტური მასალების ერთიანი კლასიფიკაციის სქემა (თამაზ ფუტკარაძე).....45

თავი II

აჭარის არქივი დამოუკიდებელი საქართველოს პერიოდში.....53

- § 1. სტრუქტურული რეორგანიზაცია. სახელმწიფო სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „მემატიანე“ (თამაზ ფუტკარაძე).....53
- § 2. აჭარის არ საარქივო სახელმწიფო დეპარტამენტი.

დოკუმენტების რესტავრაციისა და მიკროფილმირების რესპუბლიკური ლაბორატორია (თამაზ ფუტკარაძე).....	59
§ 3. აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველო (თამაზ ფუტკარაძე).....	67

თავი III

საარქივო დოკუმენტების განთავსების პრობლემა (თამაზ ფუტკარაძე).....	93
---	----

თავი IV

საარქივო დოკუმენტებით უზრუნველყოფა და აღრიცხვა	121
§ 1. სამეცნიერო- ტექნიკური დამუშავება-დაკომპლექტება (ნაზი შარაშიძე).....	121
§ 2. საექსპერტო-შემმოწმებელი კომისია (დოდო შუშანიძე).....	126
§ 3. სამეცნიერო-საცნობარო აპარატი (მაია რურუა).....	135

თავი V

დოკუმენტური მასალების უმადგენლობა და შინაარსი. დოკუმენტების გამოყენება	143
§ 1. ისტორიული ფონდები (ნათია ბერიძე).....	143
§ 2. პარტიული ფონდები (ნაზი ნაგერვაძე).....	158
§ 3. პირადი ფონდები (მზია სურმანიძე).....	166
§ 4. კინო-ფოტო-ფონო ფონდები (გუგული პატარიძე)...	169
§ 5. განსაკუთრებულად ღირებული და სადაზღვევო ფონდები (ელგუჯა ჩაგანავა, ეთერ ნათელაძე).....	190
§ 6. ბიბლიოთეკა (ინგა ფაცურეიშვილი).....	194
§ 7. საარქივო დოკუმენტური პირველწყაროები მკვლევართა სამეცნიერო შრომებში (თამაზ ფუტკარაძე).....	204

თაზო VI

სამეცნიერო-კვლევითი და მეთოდური საქმიანობა..224

- § 1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (თამაზ ფუტკარაძე).....224
- § 2. სამეცნიერო კონფერენციები (თამაზ ფუტკარაძე).242
- § 3. მეთოდური მუშაობა (თამაზ ფუტკარაძე)252

თაზო VII

საზოგადოებასთან ურთიერთობა, საარქივო საქმის პროპაგანდა (თამაზ ფუტკარაძე).....255

თაზო VIII

საერთაშორისო ურთიერთობები.....292

- § 1. თანამშრომლობა უცხოეთის საარქივო დაწესებულებებთან (თამაზ ფუტკარაძე, ნატო ქიქავა).....292
- § 2. უცხოეთის არქივებიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტების ასლების შემოტანის ორგანიზაცია (თამაზ ფუტკარაძე)302

თაზო IX

ისინი ძმინდნენ საარქივო დარბის ტრადიციებს (მანია რურუა).....321

თაზო X

პრობლემები და პერსპექტივები (ელგუჯა ჩაბანაშა).....375

- ბოლოსიტყვაობა382
- Archives administration of ajara (1923-2015).....385
- საარქივო სამმართველო ფოტოდოკუმენტებში.....388
- გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა.....401



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჯავახიშვილის გამზ. 19, ☎: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge